ღგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში

ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
2020

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

rfsu

წინამდებარე კვლევა მომზადებულია პროექტის, „ლგბტი პირთა უფლებების გაძლიერება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა“, ფარგლებში.

კვლევა შესრულდა სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ პოზიციას და არ შეიძლება განიხილებოდეს სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) შეხედულებების ამსახველად.

კვლევის ავტორი: ლიკა ჯალაღანია
ტექნიკური ანგარიში/მონაცემთა დამუშავება: თემო ბეჟანიძე
კვლევის ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
ენობრივი რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი, ნინო ბექიშვილი
გარეკანის დიზაინი: თათია ნადარეიშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ISBN: 978-9941-8-2904-8

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციაა. მისი მიზანია თავისუფალი, თანასწორი და სოლიდარული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. ორგანიზაცია სოციალური გარდაქმნებისათვის ქმნის და მხარს უჭერს სოლიდარობის პლატფორმებს, რომლებიც აერთიანებს ემანსიპატორულ პოლიტიკაზე მომუშავე ჯგუფებს, აქტივისტებს და ორგანიზაციებს.

ორგანიზაცია მიზნად ისახავს სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის, ჩაგვრის სტრუქტურული მიზეზების გამოვლენას, მათ კრიტიკულ ანალიზსა და უფლებადაცვითი ინსტრუმენტებისა და აქტივისტური ბრძოლის მეთოდების გამოყენებით არსებული პოლიტიკის შეცვლას.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, მათ მიერ გაწეული მნიშვნელოვანი შრომისთვის, მადლობას უხდის კვლევაში მონაწილე ინტერვიუერებს: ანანო სურმავას, მარიამ ქაჯაიას, სანდრო ღვინიაშვილს, ქეთევან ლეჟავას, ანა ბალიაშვილს, ირა სილანტევას, თორნიკე შევარდნაძეს და თემურ ბურჯანაძეს.

შინაარსი

შემაჯამებელი დასკვნა 11

1. შესავალი 17

1.1. კვლევის საჭიროება 17

1.2. სოციალური ექსკლუზიის ჩარჩო კონცეფციები 19

2. ლგბტქ ადამიანთა მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა საქართველოში 26

2.1. საკანონმდებლო გარემო 26

2.2. წინასწარგანწყობები ლგბტქ თემის მიმართ 27

2.3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ნდობა სამართალდამცავი უწყებების მიმართ 28

2.4. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება 33

2.5. განათლებაზე წვდომა 35

2.6. დასაქმებაზე წვდომა 37

2.7. ჯანდაცვაზე წვდომა 39

2.8. სოციალური დაცვა და უსახლკარობა 41

2.9. ქამინგაუთი 43

3. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგიური ჩარჩო 47

3.1. კვლევის მიზნები 47

3.2. კვლევის მეთოდოლოგია 47

3.3. კვლევის ინსტრუმენტი 48

3.4. შერჩევა 49

4. რაოდენობრივი კვლევის შედეგები 52

4.1. სოციოდემოგრაფიული მახასიათებლები 52

4.1.1. შემოსავლები 59

4.1.2. ცხოვრებით კმაყოფილება 62

4.2. ნდობა სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ 65
4.3. ქამინგაუთის გამოცდილება..... 71
4.3.1. ღიაობა სექსუალური ორიენტაციის შესახებ..... 72
4.3.2. ღიაობა გენდერული იდენტობის შესახებ 80
4.4. ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის გამოცდილება..... 87
4.4.1. ძალადობის გამოცდილება ცხოვრების განმავლობაში..... 87
4.4.1.1. ფიზიკური ძალადობის უკანასკნელი გამოცდილება 2 წლის ინტერვალში 90
4.4.1.2. ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე გამოცდილება 5 წლის ინტერვალში 95
4.4.1.3. ფსიქოლოგიური ძალადობა 2 წლის ინტერვალში 100
4.4.1.4. ფსიქოლოგიური ძალადობა 5 წლის ინტერვალში 106
4.5. განათლებაზე წვდომა და ჰომო/ტრანსფობიური ბულინგის გამოცდილება.....111
4.5.1. სასკოლო განათლება 113
4.5.2. პროფესიული განათლება..... 122
4.5.3. უმაღლესი განათლება 128
4.6. შრომა და წვდომა დასაქმებაზე..... 134
4.6.1. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 143
4.6.2. სექს-სამუშაო..... 151
4.7. ჯანდაცვაზე წვდომა..... 154
4.7.1. ფსიქიკური ჯანმრთელობა..... 166
4.8. გენდერის სამართლებრივი აღიარება 172
4.9. სოციალური დაცვა და უსახლკარობის გამოცდილება 175
4.10. ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები და დემოკრატიული მონაწილეობა 180
4.11. სამოქალაქო აქტივიზმი და სოლიდარობის ჯგუფები 191

5. დასკვნა 203

ტერმინოლოგია[1]

გეი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ კაცების მიმართ და აღნიშნავს კაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება საკუთარ თავს, შესაძლოა, კაცად ან ქალად აღიქვამდეს. ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულინურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებასა და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებსა“ და „შესაბამისობებთან“. გენდერული არაკონფორმულობა, შესაძლოა, გამოვლინდეს იმისგან დამოუკიდებლად, უთავსებს თუ არა ადამიანი ერთმანეთს თავისი დაბადების სქესსა და გენდერულ იდენტობას.

გენდერული დისფორია – დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ სტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის განსხვავების გამო.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტ – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) – ეს ტერმინი სექსუალურ ქცევას უფრო შეესაბამება, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ მამაკაცის ქცევის

1 წყაროდ გამოყენებულია ILGA Europe-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, იხ: http://old.ilga-europe.org/home/publications/glossary

აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

სისგენდერი – ტერმინი სისგენდერი მიესადაგება იმ ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა და გენდერული თვითგამოხატვა შეესაბამება დაბადებისას მისთვის მინიჭებულ ბიოლოგიურ სქესსა და იმ სოციალურ მოლოდინს, რომელიც მის გენდერს მიემართება.

სქესი – მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განასხვავებს მდედრისა და მამრის ორგანიზმს.

ტრანსგენდერი/ტრანსი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი ასევე გულისხმობს ტრანსსექსუალებს, ტრავესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტეროსექსუალური, ჰომოსექსუალური ან ბისექსუალური ორიენტაცია.

ტრანსგენდერი კაცი – ადამიანი, ვინც დაბადებისას მდედრობით სქესს მიაკუთვნეს, მაგრამ თავს კაცად აღიქვამს. ტრანსგენდერ კაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მამრობით სქესს მიაკუთვნეს, მაგრამ თავს ქალად აღიქვამს. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ტრანსსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა ის მათსავე გენდერულ იდენტობას მიუსადაგონ.

ქროსდრესერი – დროგამოშვებით ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც, ტრადიციულად, სხვა სქესის ადამიანებთან ასოცირდება. ქროსდრესერები ხშირად თავიანთ ბიოლოგიურ სქესთან კომფორტულად არიან და შესაძლოა არ სურდეთ მისი შეცვლა. ქროსდრესინგი გენდერული თვითგამოხატვის ფორმაა და არ არის აუცილებელი, ორიენტაციასა თუ სექსუალურ ქცევას უკავშირდებოდეს.

ჰომოფობია/ტრანსფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და ჰგავს რასიზმს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმსა და სექსიზმს.

ჰეტეროსექსიზმი – რწმენა, რომ ჰეტეროსექსუალობა არის უმაღლესი (რელიგიურად, მორალურად, სოციალურად, ემოციურად და სხვ.) სხვა სექსუალობებთან შედარებით; პრეზუმფცია, რომ ყველა ადამიანი ჰეტეროსექსუალია; რწმენა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს ჰეტეროსექსუალი. როგორც ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, ჰეტეროსექსიზმი უარყოფითად აისახება ლგბტი ადამიანებსა და, ასევე, ზოგიერთ ჰეტეროსექსუალ ინდივიდზეც, რომლებიც არ შეესაბამებიან მასკულინობისა და ფემინურობის ტრადიციულ გაგებას.

ჰეტეროსექსუალი – ემოციური, რომანტიკული და სექსუალური კავშირის/გრძნობის ქონა საწინააღმდეგო სქესისა და გენდერის ადამიანის მიმართ.

შემაჯამებელი დასკვნა

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიისა და ძალადობის გამოცდილების შესწავლა წინამდებარე კვლევის ფარგლებში 2019 წელს დაიწყო. კვლევის მიზანი იყო ლგბტქ ჯგუფის წინაშე მდგარი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ბარიერების გამოვლენა და ძირითად პრობლემათა აღმოსაფხვრელად საჭირო პოლიტიკის გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება.

კვლევამ მიზნად დაისახა გამოეკვლია სოციალური მოწყვლადობის დეტერმინანტები და სოციალური ექსკლუზიის სიმპტომები, რაც შესაძლებელი გახადა ვერტიკალური და ჰორიზონტალური უთანასწორობის ასპექტების ურთიერთქმედების გამოვლენამ. ის დაეფუძნა ლგბტქ თემის სოციალური და ეკონომიკური გამორიცხვის მახასიათებლებს და მათი პოლიტიკური მონაწილეობის, აგენტობისა და ინკლუზიური ჩართულობის გამოვლენას, ისევე როგორც აქტივიზმში ჩართულობისა და საკუთარი დღის წესრიგის განსაზღვრის შესაძლებობებს.

სოციალური ექსკლუზიის ჩარჩოს ფართო შინაარსის გამოყენებით, კვლევა ცდილობს ლგბტქ თემის ექსკლუზია არ დაუქვემდებაროს მხოლოდ ეკონომიკურ აღმწერებს და ექსკლუზიის ისეთ ფორმებზე მოახდინოს აქცენტირება, რომელიც შედეგს იძლევა არამხოლოდ მონეტარული სიღარიბით, არამედ ცხოვრებისეული შანსების სოციალური სიღარიბითაც, რაც სხვა საკითხთა შორის, ასევე მოიცავს აგენტობის დაკარგვისა და თანასწორი მოქალაქეობის იდეიდან განდევნას. კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ თემის წევრები სხვებთან თანასწორი და სრულყოფილი ცხოვრებით სარგებლობას ვერ ახერხებენ და მათი თავისუფლად ცხოვრების შანსები არსებითად შეზღუდულია ყველა უფლებრივ ჩარჩოსთან მიმართებით.

თვითგამორკვევის უფლება და ქამინგაუთი – ჰეტეროსექსიზმის კულტურის დომინაციის პირობებში, თემს შეზღუდული აქვს საკუთარი იდენტობის გამოხატვის შესაძლებლობები და ეს პროცესი მუდმივ მედიაციას, თვითშეზღუდვას და თვითკონკონტროლს ექვემდებარება. კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ თემის წევრებისთვის ქამინგაუთს შედეგად მრავალმხრივი მოწყვლადობა შეიძლება მოჰყვეს, მათ შორის, ძალადობა, განათლებაზე ადეკვატური წვდომის არარსებობა, ჯანმრთელობის სერვისით სარგებლობის შეუძლებლობა და უსახლკარობის გამოწვევები. შესაბამისად, რესპონდენტების დიდი პროცენტული წილი – 63.9% თავს არიდებს სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებას, განსაკუთრებით, სახლში/ოჯახში, სამეზობლოში, ქუჩასა და სხვა საჯარო სივრცეებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლგბტქ ჯგუფის წევრებისთვის დაცული სივრცე თითქმის არ არსებობს და მათ მუდმივად

უწევთ საკუთარი თავის პრეზენტირების/გამოხატვის კონტროლი. ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტთა 44% აღნიშნავს, რომ მათ შესაძლო ქამინგაუთს, სავარაუდოდ, მოჰყვება უსახლკარობა, სამუშაოს დაკარგვა და ძალადობა.

ძალადობა – სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის დამაზიანებელი ბუნება და მისი სიმბოლური ხასიათი ლგბტქ ჯგუფის კეთილდღეობაზე არსებით ნეგატიურ გავლენას ახდენს. კვლევა აჩვენებს, რომ ცხოვრების განმავლობაში ძალადობა გამოკითხულთა 52%-ს ერთხელ მაინც განუცდია, ძალადობის გამოცდილება ყველაზე მაღალია გეი (65.5%) და ტრანსგენდერ (61.8%) რესპონდენტებში. ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მიღებული ინსტიტუციური ზომების, ისევე როგორც სოგი-ს შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ, გარვეული ცვლილებები გამოიწვია ძალადობაზე რეაგირების გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა ძალადობის მასშტაბი კვლავ მაღალია. როგორც კვლევა აჩვენებს, რესპონდენტების 48%-ს გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა ბოლო 2 წლის განმავლობაში, 29%-ს კი – მძიმე ფიზიკური ძალადობა (სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ცემა, ძალადობის სხვა ფორმები). თუმცა მიუხედავად ძალადობის გავრცელებისა, რესპონდენტები სამართალდამცავ სისტემას კვლავ იშვიათად მიმართავენ. ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში სამართალდამცავ სისტემას რეაგირებისთვის მხოლოდ 30.4%-მა მიმართა, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში – 14.2%-მა. მიმართვიანობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი ებმის სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის არსებითად დაბალ მაჩვენებელსაც, კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ ჯგუფის 74.1% საერთოდ არ ენდობა ან უფრო არ ენდობა სამართალდამცავ უწყებებს, რაც კომპლექსური ფაქტორებით არის განპირობებული, მათ შორის, წარსულში არსებული ნეგატიური გამოცდილებებით, ამ სისტემის ჰიპერმასკულინურობითა და ინსტიტუციური ჰომოფობიით.

განათლებაზე წვდომა – კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ ადამიანთა წვდომა განათლებაზე შეზღუდულია. განათლებაზე სრულყოფილი წვდომა გულისხმობს არამხოლოდ მის ფიზიკურ არსებობასა და ფინანსურ მისაწვდომობას, არამედ ჯანსაღ გარემოსა და უსაფრთხო სივრცეს. საგანმანათლებლო დაწესებულებათა და საფეხურთა შორის ყველაზე მწვავე პრობლემები სკოლის საფეხურზე გამოვლინდა, რაც ბუნებრივად უკავშირდება ლგბტქ ადამიანთა ასაკობრივ მოწყვლადობასაც. სასკოლო სივრცეების არამხარდამჭერი გარემო ყველაზე ნეგატიურად აისახება ინდივიდების სამომავლო ცხოვრებაზე, რადგანაც ის ქმნის ერთგვარ ფუნდამენტს, რომელიც ზრდასრულობაში ტრანზიციას უზრუნველყოფს. კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტების (N=292) 32.2%-თვის, ზოგადი განათლების მიღების ბარიერია ჰომოფობიური დისკრიმინაცია პედაგოგების ან/და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, ხოლო 41.9%-თვის კლასელების/სკოლელების მხრიდან მომდინარე ჰომო-

ფობიური ბულინგი. უნდა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც თავიანთი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო (N=136), ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ბარიერები შეექმნათ, 44.1%-ს გაუცდენია სასწავლო დღე სკოლაში. სასკოლო სივრცეში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებები არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე და შემეცნების მოტივაციაზე/უნარზე, რადგანაც იდენტობაზე დაფუძნებული ნეგატიური გარემო აძლიერებს სტრესსა და საკუთარი თავის მიმართ მიუღებლობას.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, მის ხელმისაწვდომობას პირველ რიგში ხელს სოციალური ბარიერები უშლის, რაც დაკავშირებულია სწავლის გადასახადთან და იმ ტვირთთან, რომელიც დასაქმებულ სტუდენტებზე ყველაზე მძიმედ აისახება. სტუდენტებს უწევთ არჩევანი გააკეთონ განათლებასა და ფინანსურ შემოსავალს შორის, რაც მხარდაჭერილი არ არის სახელწმიფოს მხრიდან ადეკვატური სოციალური დაცვის მექანიზმებითა და ღონისძიებებით.

შრომა და წვდომა დასაქმებაზე – საქართველოში დასაქმების შესაძლებლობა საზოგადოების ყველა წევრისთვის შეზღუდულია, ღირსეული სამუშაო გარემო კი გამონაკლისი. ლგბტქ თემის წევრები თავიანთი გარიყულობიდან გამომდინარე, ვერ სარგებლობენ დასაქმებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობებით საზოგადოებაში, რაც გამოწვეულია როგორც ობიექტური ფაქტორებით, რაც დისკრიმინაციულ პრაქტიკასა და უთანასწორო მოპყრობის სხვა ფორმების რისკებს გულისხმობს, ასევე სუბიექტური ფაქტორებითაც, რაც დაკავშირებულია ლგბტქ ჯგუფის წევრების მხრიდან საკუთარი შესაძლებლობების მიმართ დაბალ თვითშეფასებასა და საკუთარი უძალობის რწმენასთანაც, რაც, ამასთან, კვლავ გარემოფაქტორების დამსახურებაა და ზღუდავს მათი განვითარების შესაძლებლობებს. ამას მოწმობს კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც, კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 93.1% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ლგბტქ ადამიანებს, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი დასაქმებაზე“. შესაბამისად, ლგბტქ ჯგუფის ნაწილი ირჩევს იმ სამუშაო გარემოს, რომელიც საშუალებას მისცემს მათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი თავი, დისკრიმინაციის მოლოდინის გარეშე, თუმცა ეს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, მათ დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე კონცენტრირებისა და „პრეკარიულობის სპირალში“ დარჩენისკენ უბიძგებთ.

კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ პირთა საშუალო ანაზღაურება რესპონდენტთა 60.5%-ის შემთხვევაში, 1000 ლარის ფარგლებს არ სცდება. დასაქმებულ რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი (22.3%) ერთდროულად ორ სამუშაო ადგილასაა დასაქმებული, რისი მიზეზიც 88.9%-ის შემთხვევაში, დაბალი ანაზღაურებაა. ასევე აღსანიშნია, რომ კვლევაში გამოკითხულთა 82%-თვის შრომის ანაზღაურება მხოლოდ კვების, ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად არის საკმარისი. ეს იმაზე

მიუთითებს, რომ საქართველოში შრომის ანაზღაურება არ არის ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების ადეკვატურ ხარისხს, რადგანაც კეთილდღეობის ზოგიერთ საკვანძო განზომილებაზე ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია შემოსავალთან და შემოსავლიდან ექსკლუზია წინ უძღვის ექსკლუზიის სხვა ფორმებს, როგორიცაა შეზღუდული წვდომა სერვისებზე, მათ შორის, ჯანდაცვაზე, განათლებასა და საბაზო კომუნალურ პირობებზე. ამრიგად, შემოსავლის ექსკლუზია ხშირად წარმოადგენს გზას ანდა გადამცემ მექანიზმს, სხვა ფორმის ექსკლუზიისაკენ.

წვდომა ჯანდაცვის ადეკვატურ ხარისხზე – ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ლგბტქ პირთა დიდი ნაწილისთვის მთავარი გამოწვევაა ფსქიკური ჯანმრთელობა, რაც შესაძლოა განვიხილოთ სოციალური ექსკლუზიის ერთ-ერთ სიმპტომატიკად. ჯანდაცვის სერვისი საქართველოში არ არის მორგებული ინდივიდთა საჭიროებებზე, ის არ უზრუნველყოფს პრევენციას, ისევე როგორც ვერ ახერხებს უკვე დამდგარ შედეგთან ადეკვატურ გამკლავებას ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის, ფინანსური ბარიერებისა და არამხარდამჭერი სერვისების გამო. გარდა აღნიშნულისა, როგორც კვლევაში ჩანს, მენტალური ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის პრობლემა დაკავშირებულია იმ სოციალურ გარიყულობასთანაც, რაც ლგბტქ თემის მარგინალიზებითა და სტიგმატიზებით გამოიხატება. კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტების 43.1%-ს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, რასაც რესპონდენტთა 37.1% აკავშირებს უშუალოდ მათ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ სტიგმასთან, დისკრიმინაციულ პრაქტიკასა და სტრესთან. თუმცა, რადგანაც სახელმწიფოს საყოველთაო დაზღვევის, ისევე როგორც კერძო სადაზღვევო კომპანიების პაკეტები არ ანაზღაურებენ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებს, თემის წევრებს უწევთ, ინსტიტუციური და სტრუქტურული ჩავარდნებით (ძალადობა, სტიგმა, დისკრიმინაცია და მიუღებლობა) გამოწვეულ ზიანს თავად გაუმკლავდნენ, რაც წარმოქმნის საფრთხეს, რომ ეს გამოწვევები ინდივიდუალურ დაავადებად პათოლოგიზირდნენ და ყურადღების ფოკუსი სტრუქტურული ჩაგვრიდან პირთა ინდივიდუალურ პრობლემაზე კონცენტრირდეს.

სოციალური დაცვა და წვდომა ადეკვატურ საცხოვრისზე – სოციალური დაცვა და უსახლკარობის რისკების პრევენცია ლგბტქ თემის წევრებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა. საქართველოში სოციალური დაცვის სისტემა არაეფექტიანია და არ არის მორგებული კონკრეტულ პირთა საჭიროებებზე. სახელმწიფოს არასაკმარისად აქვს გააზრებული უსახლკარობის რისკების გამომწვევი ფაქტორები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, რაც არღვევს სათანადო საცხოვრისზე უფლებას, ანდა ამ უფლების დარღვევის რისკს წარმოშობს. ადეკვატურ საცხოვრისზე წვდომის უფლება ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლების ნაწილია და ცენტრალური მნიშვნელობისაა ყველა სხვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით სარგებლობისთვის.

სოციალური პრედიქტორიების გარდა, ადეკვატური საცხოვრისის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალადობა და სოციალური მოწყვლადობა, რომელიც ყველაზე ხელსაყრელ გარემოს ქმნის უსახლკარობისთვის. ამრიგად, დისკრიმინაცია, ხშირად, უსახლკარობის მიზეზიცაა და შედეგიც, ერთდროულად.

სოლიდარობის ჯგუფები და სამოქალაქო აქტივიზმი – ლგბტქ ადამიანთა პოლიტიკური მონაწილეობა და მათი მხრიდან აზრის გამოთქმის შესაძლებლობები შეზღუდულია, რაც აისახება კიდეც სახელმწიფოებრივი დღის წესრიგიდან მათი რეალური საჭიროებების ადეკვატური ასახვის ნაკლებობაში სახელმწიფოს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში. ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ არსებითად დაბალია, ლგბტქ თემის წევრები მათი მხარდაჭერის მთავარ აქტორებად არასამთავრობო სათემო ორგანიზაციებს ხედავენ, რაც პრობლემათა დეპოლიტიზებასა და სათემო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების ხარვეზულ ასპექტებში ვლინდება. როგორც კვლევა აჩვენებს, ლგბტქ თემის წევრების საჭიროებები სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ეფექტიან განხორციელებას მოიცავს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობას, საცხოვრისის უზრუნველყოფას (ლგბტქ ადამიანთა თავშესაფარს), ჯანმრთელობის დაცვას – რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სათემო ორგანიზაციები ამ საჭიროებებს ყოველთვის ვერ ასახავენ საკუთარ დღის წესრიგში, რაც დემოკრატიული მონაწილეობის დაბალი ხარისხითა და დონორების მხრიდან წინასწარგანსაზღვრული ჩარჩო მიმართულებებითაც არის განპირობებული.

სამოქალაქო აქტივიზმის თვალსაზრისით, ლგბტქ ან/და ქვიარ თემი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სეგმენტია. ისინი ხშირად ერთვებიან სხვადასხვა საფუძვლით სოციალური სამართლიანობისთვის გაერთიანებულ წინააღმდეგობის ჯგუფების აქტივობებში და ხშირად არიან კიდეც ამ მოძრაობების სულისჩამდგმელები. თუმცა თავად ლგბტქ ჯგუფი სხვა სოლიდარობის ჯგუფების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობას განიცდის. კვლევა აჩვენებს, რომ სოლიდარობის ჯგუფებად რესპონდენტები მეტწილად ფემინისტურ მოძრაობებს მოიაზრებენ, და შედარებით ნაკლებად, როგორც განყენებულად მემარცხენე, ისე ლიბერალური იდეოლოგიის მქონე მოძრაობებს.

წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ უფლებრივ ჭრილში ლგბტქ ადამიანები უფლებათა შეზღუდვის ან რესურსებზე/შესაძლებლობებზე წვდომის ნაკლებობას განიცდიან, რაც მიანიშნებს მათ სოციალურ ექსკლუზიაზე სასიცოცხლო ციკლის ყველა არეალში, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც ლგბტქ ადამიანები სოციალური ჩართულობის თუ თემის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოტოვებულნი არიან, მათი იდენტობის გამო. შესაბამისად, არსებითია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ექსკლუზიის საპასუხოდ სოციალური დაცვისა და ინკლუზიის „ტრანსფორმაციული“ ფუნქციის მნიშვნე-

ლობის გააზრება. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ სოციალური დაცვის ინტერვენციებმა არა მხოლოდ ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემა უნდა გადაჭრას, არამედ უნდა დაისახოს თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და გაძლიერების უფრო ფართო მიზნები, რაც ხელს შეუწყობს არამხოლოდ ექსკლუზიის შედეგების გამოსწორებას, არამედ დეპრივაციის პროცესზე ფოკუსირებასაც.

პრობლემათა ამგვარმა, მრავალგანზომილებიანმა ანალიზმა სახელმწიფოს სოციალური დაცვის ახალი მოდელების შექმნისკენ უნდა უბიძგოს, რომელიც ადამიანებს მხოლოდ იმაში კი არ დაეხმარება, რომ საბაზო მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ, არამედ შესძენს უნარებს, თავი დააღწიონ სიღარიბეს და წვლილს შეიტანს მათ კეთილდღეობაში შორ პერსპექტივაში.

1. შესავალი

1.1. კვლევის საჭიროება

ლგბტქ ადამიანთა მდგომარეობისა და განცდილი ჩაგვრის აღწერა კომპლექსურ მიდგომასა და ანალიზს მოითხოვს, რომელიც არ იზღუდება იდენტობაზე დაფუძნებული ჩაგვრის გამოვლენითა და მისით განსაზღვრული კულტურული შედეგებით. ლგბტქ ჯგუფის განხილვა დომინანტურ ანალიტიკურ მიდგომებში იდენტობაზე დაფუძნებული ძალადობრივი და დისკრიმინაციული გამოცდილებების გამოკვეთით შემოიფარგლება, რომელიც ამ ჯგუფის მიმართ არსებულ ინდივიდუალურ, ინტერპერსონალურ თუ ინსტიტუციურ ძალადობრივ მექანიზმებში გამოიხატება.

შესაბამისად, ლგბტქ ჯგუფის მიმართ არსებული დომინანტური ანალიტიკური ჩარჩოები, რომლებიც იდენტობაზე დაფუძნებულ ჩაგვრას მხოლოდ კულტურულ გამოხატულებებში ხედავს, როგორიც არის ჯგუფის თანაბარ სუბიექტებად თუ სრულუფლებიან მოქალაქეებად აღიარების არარსებობა, ანალიტიკური ველიდან გამოტოვებს მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, რომლებიც რეალობაში არსებითად აუარესებს ჯგუფის კეთილდღეობასა და ღირსეული ცხოვრების შანსებს.

სახელმწიფოებრივი დღის წესრიგი საერთაშორისო ინსტრუმენტების მხრიდან ზეწოლის პირობებში, ლგბტქ ჯგუფის იდენტობის აღიარებისა და ხილვადობისაკენ ნაბიჯებს ფორმალური და ილოზორული ფორმებით დგამს და არ ისწრაფვის ჩაგვრის შედეგების აღმოფხვრისაკენ, რასაც საფუძლად უდევს ამ ჯგუფის მხოლოდ კულტურული ჩაგვრის ობიექტებად დანახვა, რომელთა პრობლემებს „ტოლერანტობის მშენებლობა“ თუ სამართლებრივი „აღიარება“ მოაგვარებს. შედეგად, დღევანდელ ანალიტიკურ ჩარჩოში, იდენტობა მოწყვეტილია მატერიალურ ბაზისს, რაც კულტურული ჩაგვრის მატერიალური შედეგების გამოვლენასა და ანალიზს აბრკოლებს.

ამგვარად, მხოლოდ კულტურულ ჩაგვრაზე კონცენტრირების დისკურსის ტენდენციაა, იდენტობა წმინდად კულტურულ პირობებში მოათავსოს, და გააუფერულოს გეოგრაფიული წარმოშობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სოციალური კლასისა და გენდერის სხვადასხვა ფუნქცია ლგბტქ ჯგუფის სოციალურ ექსკლუზიაში. უამისოდ, თუკი არ იარსებებს ამხსნელი სქემა იმისა, თუ რატომ ასრულებს ჰომოფობია და სექსიზმი კონკრეტულ ფუნქციებს, და რეალობაში რამდენად ამცირებს ღირსეული ცხოვრების შანსებს, იდენტობა და ჩაგვრა მხოლოდ და მხოლოდ ინტერპერსონალურ დისკრიმინაციად შეიძლება გამოჩნდეს.

მეორე მხრივ, არსებობს თეორიული ჩარჩოები, რომელთათვისაც ამოსავალი წერტილი მხოლოდ ეკონომიკური ჩაგვრაა. კლასზე დაფუძნებული კვლევები, რომლებიც ჩაგვრის ნებისმიერი გამოხატულების მოდელად მხოლოდ ეკონომიკურ მდგომარეობასა თუ სოციალურ სტატუსს მიიჩნევს და კულტურული ჩაგვრის საზიანო შედეგებს უკუაგდებს – ასევე ვერ გამოკვეთს ლგბტქ ჯგუფის წინაშე არსებულ იმ სპეციფიკურ ჩაგვრებს, რომლებიც ინტერსექციური ჩაგვრის ფორმით რეპრეზენტირდება და გამოიხატება ჩაგვრის ახალ ფორმაში, რომელსაც ერთდროულად განსაზღვრავს იდენტობაც და ეკონომიკური მოწყვლადობაც.

შესაბამისად, ამ ორი უკიდურესი მიდგომის პირობებში, ლგბტქ პირთა საჭიროებები აუღიარებელი და გაუანალიზებელი რჩება. აღნიშნული კვლევის მთავარი მიზანი იდენტობაზე დაფუძნებული ჩაგვრის მატერიალური (სოციალური და ეკონომიკური) შედეგების გამოვლენაა, რომელიც, ერთი მხრივ, აჩვენებს, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა თუ როგორ წარმოშობს კულტურულ ჩაგვრას, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს ჯგუფის გარიყულობას, მეორე მხრივ, გარიყული იდენტობის მქონე სუბიექტის მდგომარეობა თავისთავად როგორ მძიმდება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით ან/და როგორ იწვევს ამ სოციალურ გარიყულობასა და ექსკლუზიას.

არადომინანტურ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ცალმხრივი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს ჰომოფობიის შედეგებთან ადეკვატურ ბრძოლას. სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა არ არის მორგებული ჰომო/ტრანსფობიით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრაზე, ადეკვატური ფსიქოსოციალური სერვისების შეთავაზებითა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

აქედან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალური ექსკლუზიის ასპექტების შესწავლას, რაც საშუალებას იძლევა უკეთ გამოვლინდეს ის ინდიკატორები, რომლებიც შეძლებენ ექსკლუზიური პროცესების მექანიზმებისა და ტრაექტორიების განსაზღვრას, ისევე როგორც დეპრივაციის სხვადასხვა ფორმის ჩამოყალიბებასა და ხელშეწყობას.

ამრიგად, სოციალური გარიყულობის საკითხის სიღრმისეული კვლევები ლგბტქ ადამიანთა გაძლიერების დღის წესრიგისთვის მნიშვნელოვან ფუნდამენტს ქმნის, როგორც ინდივიდუალურ და კოლექტიურ, ისე ინსტიტუციურ და სახელმწიფო დონეზე. სოციალური დაცვის ინტერვენციების გაძლიერებით, ლგბტქ პირთა საჭიროებებზე ყველა საკითხში გამჭოლად მუშაობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და თემს კოლექტიურად შეუძლიათ ნაბიჯი გადადგან სოციალური ექსკლუზიის პრობლემის გადაჭრისკენ, რაც მათ სოციალურ ინკლუზიასა და თანაბარ აღიარებას შეუწყობს ხელს.

1.2. სოციალური ექსკლუზიის ჩარჩო კონცეფციები

უთანასწორობის შესწავლა მრავალშრიანი ფაქტორების ანალიზს საჭიროებს, რომელიც ერთდროულად მოიაზრებს ეკონომიკური, სოციალური და ჯგუფზე დაფუძნებული უთანასწორობის გადაკვეთის პროცესის ანალიზსა და შედეგების აღწერას.

ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც შემოსავლებისა და სიმდიდრის უთანასწორო გადანაწილებას შეეხება, შეიძლება დიფერენცირებული იქნას „სოციალური უთანასწორობისგან", რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების, ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრისის უფლებისა და რესურსების გადანაწილების სტატუსს მოიცავს საზოგადოების წევრებს შორის. სოციალური უთანასწორობა და ეკონომიკური უთანასწორობა ერთმანეთზე ურთიერთქმედებს, და აძლიერებს ერთმანეთს. მაგალითად, როდესაც ადამიანს მაღალი შემოსავალი აქვს, ის შეიძლება მეტ ძალაუფლებას ფლობდეს და ხელი მიუწვდებოდეს უკეთეს განათლებაზე, მასთან შედარებით, ვისაც ნაკლები შემოსავალი აქვს.[2] ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა ხშირად კატეგორიზდება „ვერტიკალურ უთანასწორობად", რაც საზოგადოების წევრებზე შემოსავლის, ჯანდაცვისა თუ ძალაუფლების გადანაწილებას ეხება. თავის მხრივ, ვერტიკალური უთანასწორობა განსხვავდება „ჰორიზონტალური უთანასწორობისგან", რომელიც ჯგუფზე დაფუძნებულ განსხვავებას გულისხმობს ქალსა და კაცს შორის, სხვადასხვა რასის წარმომადგენელ ადამიანებსა თუ სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე ინდივიდებს შორის. ჰორიზონტალური უთანასწორობა ხშირად გადაიკვეთება ვერტიკალური უთანასწორობით, მაგალითად, როდესაც ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილები დაბალშემოსავლიან სამუშაო სექტორსა და სეგმენტში.[3]

ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემატიზება დაკავშირებულია არამხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ჩარჩოსთან, არამედ იმასთან, თუ რამდენად აძლიერებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების არათანაბარ განხორციელებას, შესაბამისად, ეკონომიკური უთანასწორობის მაღალმა ხარისხმა „შესაძლოა შექმნას ინსტიტუციები, რომლებიც ინარჩუნებენ ელიტების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრივილეგიებს და ახდენენ ღარიბთა სიღარიბის ხაფანგში ჩაკეტვას, რომლისგან გათავისუფლება და გაქცევა სირთულეს წარმოადგენს".[4]

ვერტიკალური და ჰორიზონტალური უთანასწორობები, მათ შორის, ახლო კავშირშია დისკრიმინაციასა და შესაძლებლობების არათანაბარ წვდომასთან სხვადასხვა

2 A/HRC/29/31, Report of the Special Rapporteur on extreme poverty and human rights, Philip Alston, 27 May 2015, პარ. 6.

3 იქვე, პარ. 7.

4 Combating Poverty and Inequality: Structural Change, Social Policy and Politics (United Nations publication, Sales No. E.10.III.Y.1), გვ. 6.

მახასიათებლით განსაზღვრულ ჯგუფებში. ბევრ ქვეყანაში, ყველაზე ღარიბი სექტორი, როგორც წესი, მარგინალიზებული სოციალური და ეთნიკური/რასობრივი ჯგუფებით არის დაკომპლექტებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია შესაძლებლობების არათანაბარი გადანაწილების მიზეზიცაა და არათანაბარი გადანაწილების შედეგიც.[5]

ვერტიკალური და ჰორიზონტალური უთანასწორობების ურთიერთქმედების, მისი გამომწვევი ფაქტორებისა და შედეგების უკეთესად შესწავლისა და ანალიზის შესაძლებლობას „სოციალური ექსკლუზიის" ჩარჩო იძლევა, რომელიც ცდილობს გამოავლინოს საზოგადოების კონკრეტულ წევრთა გამორიცხვისა და გარიყვის სხვადასხვა ფაქტორი და სიმპტომატიკა.

სოციალური ექსკლუზია შედარებით ახლად წარმოშობილი მიდგომაა და სოციალური პოლიტიკისა და სოციალური განვითარების ლიტერატურაში გამოიყენება როგორც ერთგვარი ჩარჩო, ადამიანთა დეპრივაციის კონცეპტუალიზაციისა და მისი გამომწვევი თუ მისი რეპროდუქციის მექანიზმების აღმოსაჩენად.[6] მისი განვითარება უკავშირდება საფრანგეთში სოციოლოგიურ ნაშრომებს, რომლებიც 1980-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე კონცენტრირდებოდა. ის ცდილობდა აესახა სოციალური გამორიცხვის (disqualification) შედეგად სოციალური კავშირების შესუსტების დინამიკები, რაც ინდუსტრიულ სახელმწიფოებში მასობრივი სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობით იყო გამოწვეული.[7]

1990-იან წლებში, ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ პროცესებს, რომლებიც ადამიანთა პრეკარიულობას მათ ექსკლუზიაში გარდაქმნიდა. იმ დროისათვის, „ღარიბი" ჰეტეროგენიულ ჯგუფად აღიქმებოდა, შესაბამისად, საჭირო იყო შემოსავლებით განსაზღვრული სტატიკური განმარტების გარდაქმნა დინამიკურ და მრავალგანზომილებიან ახსნის თეორიად. ამ ცვლილების არგუმენტი მდგომარეობდა სოციალური კლასის, როგორც ერთადერთი ამხსნელი ჩარჩოს ძალაუფლების შესუსტებაში, რადგანაც ნათელი გახდა, რომ ცხოვრების შანსების უთანასწორობა მხოლოდ კლასობრივი პოზიციებით აღარ აიხსნება.[8]

5 A/HRC/29/31, Report of the Special Rapporteur on extreme poverty and human rights, Philip Alston, 2015, პარა. 24

6 Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012.

7 Paugam, S. (1996) 'The Spiral of Precariousness: a Multidimensional Approach to the Process of Social Disqualification in France', in Room, G. (ed.) Beyond the Threshold: the Measurement and Analysis of Social Exclusion. Bath: Policy Press: pp. 47–79 (როგორც ციტირებულია CoE, Promoting the policy debate on social cohesion from a comparative perspective, 2001, გვ. 11).

8 CoE, Promoting the policy debate on social cohesion from a comparative perspective, 2001, იხ: https://www.coe.int/t/dg3/socialpolicies/socialcohesiondev/source/Trends/Trends-01_en.pdf

შესაბამისად, სოციალური ექსკლუზია დაკავშირებულია არამხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობასთან, არამედ სიმბოლურ ექსკლუზიასთან, სოციალურ დეპრივაციასა და არასრულყოფილ მონაწილეობასთან სოციალურ ინსტიტუციებში. ის ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ხარისხის შემცირების პრობლემასა[9] და თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობისა და აგენტობის ნაკლებობაზე მიუთითებს.[10] სოციალური ექსკლუზიის ჩარჩოს შეუძლია, სოციალური დაცვის, ადამიანთა კეთილდღეობაზე ზეგავლენის მქონე სპეციფიკურ ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ კონტექსტში ჩასმასა და იმის დანახვაში დაგვეხმაროს, თუ როგორ მიემართება პოლიტიკები და პროგრამები დეპრივაციის სხვადასხვა განზომილებასა და მათ გამომწვევ მიზეზებს.[11]

სოციალური ექკლუზიის ერთი კონკრეტული განსაზღვრება აკადემიასა და პოლიტიკის მეცნიერებებში არ არსებობს. თუმცა სხვადასხვა ავტორები, თანხმდებიან სოციალური ექსკლუზიის რამდენიმე საერთო მახასიათებელზე, კერძოდ იმაზე, რომ სოციალური ექსკლუზია არის პროცესი, მრავალგანზომილებიანი და დროში ცვალებადი.

სოციალური ექსკლუზიის განმარტებები

ესტივილის მიხედვით, სოციალური ექსკლუზია „შეგვიძლია გავიგოთ როგორც თანმხვედრი პროცესების აკუმულაცია, რომელსაც თან სდევს ეკონომიკის, პოლიტიკისა და საზოგადოების წიაღში წარმოქმნილი განხეთქილებები“.[12]

ლევიტასისა და სხვების მიხედვით, „სოციალური ექსკლუზია კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომელიც მოიცავს რესურსებზე, უფლებებსა და სერვისებზე წვდომის არარსებობასა თუ შეზღუდვას, ისევე როგორც იმ ნორმალურ ურთიერთობებსა და აქტივობებში მონაწილეობის შეუძლებლობას, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად იმისა, ის ეხება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ

9 CoE, Promoting the policy debate on social exclusion from a comparative perspective, 2001, ob: https://www.coe.int/t/dg3/socialpolicies/socialcohesiondev/source/Trends/Trends-01_en.pdf

10 UN, Department of Economic and Social Affairs, Leaving no one behind: the imperative of inclusive development, Report on the World Social Situation, 2016.

11 Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012.

12 Estivill, J. (2003). Concepts and Strategies for Combating Social Exclusion. Geneva: International Labour Organisation.

პოლიტიკურ სფეროებს. ის გავლენას ახდენს, როგორც ინდივიდთა ცხოვრების ხარისხზე, ისე სოციუმის თანასწორობასა და ერთობაზე".[13]

სილვერის მიხედვით, სოციალური ექსკლუზია დინამიკური პროცესია, რომელიც „გამორიცხავს მოცემული საზოგადოების ნორმატიულად გაწერილ აქტივობებში სრულ ჩართულობას და ხელს უშლის ინფორმაციაზე, რესურსებზე, სოციალურობაზე, აღიარებასა და იდენტობაზე წვდომას, არყევს საკუთარი თავისადმი რწმენას და ამცირებს შესაძლებლობებს პირადი მიზნების მისაღწევად".[14]

როგორც ჩარჩო, სოციალური ექსკლუზია გვთავაზობს სიღარიბისა და უთანასწორობის კონცეპტუალიზაციის ალტერნატიულ ინსტრუმენტს და მიანიშნებს ინდივიდების არასაკმარის ჩართულობაზე თავიანთი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებში.[15] ექსკლუზიის ფართო გაგება გულისხმობს სხვადასხვაგვარ არახელსაყრელ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის, არაადეკვატური შემოსავლით, ჯანმრთელობის პრობლემებით, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და კულტურული იდენტიფიკაციით.[16]

სოციალური ექსკლუზიის მთავარი ანალიტიკური უპირატესობა ის არის, რომ იგი აქცენტს სვამს კავშირზე კეთილდღეობასა და კეთილდღეობის პარამეტრებზე გავლენის მქონე უფრო ფართო პირობებსა და ფაქტორებს შორის. დე ჰაანის (1999) კატეგორიზაციის მიხედვით, სოციალური ექსკლუზია, შესაძლოა, გამოვიყენოთ „დეპრივაციის შედეგებისა" და „დეპრივაციის პროცესების" აღსაწერად.[17] დეპრივაციის შედეგებზე ფოკუსირებით, სოციალური ექსკლუზიის ცნება აჩვენებს დეპრივაციის მასშტაბებს, რომელიც შეიძლება ადამიანმა განიცადოს. იგი ასევე ავლენს ადამიანთა დეპრივაციის შემოსავალთან დაკავშირებულ და დაუკავშირებელ პარამეტრებს. შესაბამისად, იგი მიუთითებს, რომ ადამიანებს, შესაძლოა, ხელი არ მიუწვდებოდეთ

13 Levitas, R. a. (2007). The multi-dimensional analysis of social exclusion. Department of Sociology and School for Social Policy, Townsend Centre for the International Study of Poverty, and Bristol Institute for Public Affairs, Bristol, United Kingdom: University of Bristol.

14 Silver, H. (2007). The Process of Social Exclusion: the Dynamics of an Evolving Concept. CPRC Working Paper 95. Manchester: Chronic poverty reasearch center.

15 Ajit Bhalla and FreÂdeÂric Lapeyre, Social Exclusion: Towards an Analytical and Operational Framework, Development and Change Vol. 28 (1997), 413±433. #Institute of Social Studies 1997. Published by Blackwell Publishers Ltd, 108 Cowley Rd, Oxford OX4 1JF, UK.

16 UN, Department of Economic and Social Affairs, Leaving no one behind: the imperative of inclusive development, Report on the World Social Situation, 2016.

17 De Haan, A. (1999) Social Exclusion: Towards an Holistic Understanding of Deprivation. London: Department for International Development.

დასაქმებაზე, პროდუქტებსა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და, ამავე დროს, ჰქონდეთ შეზღუდული წვდომა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, კომუნალურ მომსახურებასა და სათანადო საცხოვრისზე, სოციალურ და კულტურულ ჩართულობაზე, უსაფრთხოებაზე, პოლიტიკურ უფლებებზე, ხმის უფლებასა და წარმომადგენლობითობაზე. ზოგადად რომ ვთქვათ, ადამიანები ღარიბები არიან ერთზე მეტი, და სავარაუდოდ ბევრი პარამეტრით.[18]

ექსკლუზიის მასშტაბი ხშირად დამოკიდებულია ისეთ ინდივიდუალურ და სოციალურ მახასიათებლებზე, როგორიცაა სიმდიდრე, რასა, გენდერი, ეთნიკური წარმომავლობა, სოციალური სტატუსი, კასტა ან რელიგია, ისევე როგორც პოლიტიკური შეხედულებები, პროფესია, ენა და საცხოვრებელი ადგილი. აღნიშნული კონცეპტი აქცენტს აკეთებს დეპრივაციის „შედარებით“ და არა „აბსოლუტურ“ ბუნებაზე და შესაბამისად, ინდივიდუალურ საჭიროებებს მათსავე თემისა და საზოგადოების კონტექსტში სვამს.[19]

სოციალური ექსკლუზიის ჩარჩო, გარდა იმისა, რომ აშიშვლებს სხვადასხვაგვარ დეპრივაციას, ასევე გამოკვეთს მათ გამომწვევ მიზეზებს. სიღარიბის „მონეტარული“ გაგებისაგან განსხვავებით, სოციალური ექსკლუზია „არსებითად, და არა როგორც მეორეხარისხოვან საკითხზე, ფოკუსირდება პროცესებსა და დინამიკაზე, რომლებიც შესაძლებელს ხდის დეპრივაციის წარმოშობასა და არსებობას“.[20] სოციალური ექსკლუზიის ჩარჩო ხელსაყრელია დეპრივაციის გამომწვევი უფრო ფართო, სტრუქტურული ფაქტორების გასააზრებლად. მას „აქცენტი სიღარიბის როგორც პიროვნული ნაკლის გაგებისაგან გადააქვს და მიმართავს მას სოციალურ სტრუქტურებზე“.[21] შესაბამისად, იგი ყურადღებას ამახვილებს ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს ადამიანთა კეთილდღეობასა და უფრო ფართო გაგების გარემოებებს შორის, მათ შორის, პოლიტიკებზე, სოციალურ ურთიერთობებზე, ნორმებსა და ღირებულებებზე, რომლებიც აწარმოებენ დეპრივაციის მრავალგვარ ფორმას და ახდენენ მათ რეპროდუქციას.

18 Ruggeri Laderchi, C., Saith, R., and Stewart, D. (2003) ‘Does it Matter that we Don’t Agree on the Definition of Poverty? A Comparison of Four Approaches’. Queen Elizabeth House (QEH) Working Paper Series 107. Oxford: University of Oxford (როგორც ციტირებულია, Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012).

19 Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012.

20 Ruggeri Laderchi, C., Saith, R., and Stewart, D. (2003) ‘Does it Matter that we Don’t Agree on the Definition of Poverty? A Comparison of Four Approaches’. Queen Elizabeth House (QEH) Working Paper Series 107. Oxford: University of Oxford (როგორც ციტირებულია, Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012).

21 Gore, C. and Figueiredo, J. B. (1997) ‘Social Exclusion and AntiPoverty Policy: A Debate’. Research Series Paper 110. Geneva:ILO and UNDP (როგორც ციტირებულია, Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012).

დაბოლოს, სოციალური ექსკლუზია გვეხმარება დეპრივაციის დინამიკური ბუნების მოხელთებაში, რომელსაც მრავალი სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი განზომილება გააჩნია. პოგამი (1996) აღნიშნავს, რომ ეს არის დინამიკური პროცესი, ანდა „პრეკარიულობის სპირალი“, სადაც დეპრივაციის ერთი ფორმა მეორე ფორმისაკენ გვიბიძგებს. იგი ამტკიცებს, რომ სოციალური ექსკლუზია უბრალოდ პრეკარიული სამუშაოს საკითხი კი არ არის, არამედ მტკიცე კორელაციის, რომელიც არსებობს დასაქმებასა და ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა საკითხებს შორის (მაგ., ოჯახი, შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები და სოციალური კავშირები). დეპრივაციაზე, როგორც პროცესზე, აქცენტის დასმა შესაძლებელს ხდის, რომ გამოვყოთ მთელი წყება ფაქტორებისა, რომლებსაც წვლილი შეაქვს ადამიანთა ექსკლუზიაში.[22]

გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური ექსკლუზიის ჩარჩო ფართო შინაარსის კონცეფციაა, მისი ინტერპრეტირების ჩარჩოც ასევე ფართოა, რაც მის კონკრეტულ ჯგუფთა წინაშე არსებული გამოწვევების აღსაწერად გამოყენების საშუალებას იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ამის მაგალითები შედარებით მწირია კვლევით ლიტერატურაში. ამასთან, სირთულეს წარმოადგენს სოციალური ექსკლუზიის როგორც დეპრივაციის პროცესის ოპერაციონალიზებაც. მართალია, მისი დინამიკური ხასიათის მოხელთება შესაძლებელია თვისობრივი კვლევებით, მაგრამ რთულია იმ ინდიკატორთა ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ექსკლუზიური პროცესების მექანიზმებისა და ტრაექტორიების განსაზღვრას. კვლევები გვთავაზობენ ექსკლუზიის პროცესის ერთმანეთისაგან გამოყოფილ სეგმენტებად დაშლას, რათა გამოიკვეთოს კონკრეტული ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ დეპრივაციის სხვადასხვა ფორმაში. ეს შეიძლება მოხდეს ინდივიდუალურ დონეზე, როგორიცაა ცხოვრებისეული მოწყვლადობა, ანდა საზოგადოებრივ თუ ჯგუფურ დონეზე, როგორიცაა დისკრიმინაციული ნორმები და პრაქტიკები. სოციალური ექსკლუზიის ჩარჩოს ლგბტქ ჯგუფზე მორგება საჭიროებს მათი მდგომარეობის გააზრებას სამ ძირითად განზომილებაში – შესაძლებლობების თანასწორობა, რესურსებზე თანაბარი წვდომა და თანაბარი მონაწილეობა. ეს სამი ასპექტი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ლგბტქ პირთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მონაწილეობის ჭრილში არსებული შესაძლებლობების არარსებობა ან მათი სიმწირე, ისევე როგორც მათი სოციალური უძალობა, წარმოადგინონ საკუთარი ინტერესები და აუღიარებლობა, რაც არ აძლევთ მათ საშუალებას ისარებლონ თანაბარი შესაძლებლობებით, როგორც თანაბარი სტატუსის მქონე მოქალაქეებმა.[23]

22 Babken Babajanian and Jessica Hagen-Zanker, Social protection and social exclusion: an analytical framework to assess the links, Overseas Development Institute, 2012.

23 Judit Takács, ILGA-Europe and IGLYO, Social exclusion of young lesbian, gay, bisexual and transgender (LGBT) people in Europe, 2006.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევა აანალიზებს რამდენიმე მთავარ ინდიკატორს, რომელიც აჩვენებს შესაძლებლობებზე წვდომას, კერძოდ კი, განათლებაზე, ჯანდაცვაზე წვდომასა და მისაღებობას, დასაქმებაზე წვდომასა და შემოსავლებს, საცხოვრისის უფლებას და მონაწილეობას პოლიტიკურ, სამოქალაქო და კულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნული კვლევა არ ახდენს სოციალური ექსკლუზიის ოპერაციონალიზებასა და გაზომვას, არამედ აჩვენებს სოციალური ექსკლუზიის სიმპტომებს, რომლებიც სამომავლოდ ექსკლუზიის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების უფრო ღრმა ანალიზისთვის დამატებით შესწავლას საჭიროებს.[24]

24 UN Leaving no one behind, გვ. 26.

2. ლგბტქ ადამიანთა მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა საქართველოში

2.1. საკანონმდებლო გარემო

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობამ არსებითი ცვლილებები განიცადა, რამაც პოლიტიკის დონეზე ლგბტქ ჯგუფის აღიარებას შეუწყო ხელი. 2014 წელს მიღებული საქართველოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი დაცულ საფუძვლებს შორის მოიაზრებს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, თუმცა კანონში არსებული სუსტი დანაწესების გამო, მან ვერ უზრუნველყო დაცვის მაღალ სტანდარტი და სამართლებრივი შედეგის მიღწევა დისკრიმინაციის მსხვერპლებისათვის. სახალხო დამცველისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან არაერთი მოწოდების მიუხედავად, ამ კანონის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მასში ცვლილებები მხოლოდ 2019 წელს შევიდა, რამაც, გარკვეულწილად, გააძლიერა კანონის აღსრულების მექანიზმი. ცვლილებები ასევე შევიდა საქართველოს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში, შედეგად, გაძლიერდა გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების მანდატიც.[25] მნიშვნელოვანია, რომ კანონი გენდერული თანასწორობის ცალკე მდგომი პოლიტიკის განხორციელებასა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თანასწორობის მისაღწევად საჭირო პრინციპებს გამოყოფს, და ინსტიტუციური მექანიზმების ამუშავებას სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე ითვალისწინებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მექანიზმთა ეფექტიანი ფუნქციონირება კვლავ პრობლემად რჩება.

საკანონმდებლო ცვლილებები 2020 წელს ასევე შეეხო საქართველოს შრომის კოდექსსაც, რის შედეგადაც დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად განახლდა, ცვლილებები შეეხო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხებსაც.[26] რეფორმირებულმა კოდექსმა შრომის ინსპექციის ეფექტიანი სამსახურის ჩამოყალიბებაც გაითვალისწინა, რომლის მანდატიც გაფართოვდა და გარდა სამუშაო ადგილზე ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლისა, მას დისკრიმინაციის შემთხვევებზე ზედამხედველობა და მონიტორინგიც დაევალა, რაც მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, თუმცა კოდექსმა რეგულირების მიღმა დატოვა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მინიმალური

25 ცვლილებები ეროვნულ მექანიზმებთან დაკავშირებით განხორციელდა 2016, 2017, 2018, 2019 და 2020 წლებში.

26 დეტალურად იხილეთ: https://emc.org.ge/ka/products/emc-pozitiuri-tsvlilebebis-miukhedavad-shromis-kanonmdeblobashi-problemebi-rcheba

ანაზღაურება, რასაც შეეძლო მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არსებული შრომის პირობები.

მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, თანასწორობის პოლიტიკის აღსრულება და მისი პრაქტიკაში ეფექტიანად განხორცილება კვლავ პრობლემურია. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას ლგბტქ ჯგუფის მიმართ, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში, და რომლის მიმართაც არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია უთანასწორო მოპყრობის მრავლობით ფორმებში გამოიხატება. მიუხედავად მრავალი საკანონმდებლო აქტისა თუ ეროვნული სამოქმედო გეგმებისა, რომელთაც უზრუნველყვეს ლგბტქ პირთა უფლებების დაცვის ვალდებულების მოაზრება, რეალურ ცხოვრებაზე აღნიშნული ცვლილებები არ ასახულა, რაც სახელმწიფოს ზედაპირულ და არასისტემურ მიდგომაში გამოიხატება, რის გამოც ინსტიტუციური ცვლილებები ვერ ჰპოვებს ასახვას ლგბტქ თემის წევრთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

2.2. წინასწარგანწყობები ლგბტქ თემის მიმართ

ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოში კვლავ ნარჩუნდება ჰომოფობიური დამოკიდებულებები.[27] UNFPA-ს მიერ საქართველოში 2020 წელს ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულ კაცთა 83%-ს შერცხვებოდა ჰომოსექსუალი შვილის ყოლა, ქალების შემთხვევაში ამ დებულებას ქალთა 74% იზიარებს. დებულებას, რომ ჰომოსექსუალ ქალებს/კაცებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება, იზიარებს კაცების კვლავ 83% და ქალთა 64%, გამოკითხულ კაცთა 81% აღნიშნავს, რომ არ ეყოლებოდა ჰომოსექსუალი მეგობარი, როდესაც, ამავე დებულებას, ქალთა მხოლოდ 54% იზიარებს.[28] CRRC-ის კვლევის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, რესპონდენტებისთვის დასმულ კითხვაზე, თუ ვის არ ისურვებდნენ მათ მეზობლად კრიმინალებისა (27) და ნარკომანების (25) შემდგომ, ჰომოსექსუალები მესამე ადგილს იკავებენ და გამოკითხულთა 24%-ს შეადგენს.[29]

ევროსაბჭოს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისთვის უმცირესობების უფლებების დაცვა, ლგბტ ჯგუფის შესახებ დადებითი პასუხი ყველაზე ნაკლებ პროცენტულ მაჩვენებელში გამოიხატა (33%), 42% კი აღნიშნავს, რომ ლგბტ პირთა უფლებების დაცვა არ არის მნიშვნელოვანი.[30]

27 UNFPA. (2020). კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. თბილისი: UNFPA და UNDP.

28 იქვე.

29 CRRC. (2020). ცვლილებათა ათწლეული: მოსაზრებები და ღირებულებები საქართელოში, (2009-2019). Tbilisi: CRRC- საქართველო, Caucasus Barometer.

30 CoE, C. (2018). სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა. თბილისი: ევროპის საბჭო.

ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით, რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლგბტ ადამიანების დაცვას, ადამიანის მიერ უფლებების დაცვის მნიშვნელობის აღქმის რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი განმაპირობებელია სქესი. კერძოდ, როგორც კვლევა აჩვენებს, გაცილებით ნაკლებად სავარაუდოა მამაკაცების მიერ ლგბტ თემის უფლებების დაცვის მხარდაჭერა, ვიდრე რელიგიური უმცირესობებისა. რაც შეეხება ზოგადად უფლებებს, კვლევის ფარგლებში, მეორე რეგრესული ანალიზი ჩატარდა იმის დასადგენად, თუ რამდენად განსაზღვრავს სხვადასხვა უფლების შესახებ ინფორმირებულობა ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის მხარდაჭერის დონეს. მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ გაცილებით მეტი შანსია, ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვნად მიიჩნიოს უმცირესობების უფლებების შესახებ უფრო მეტად ინფორმირებულმა ადამიანმა.[31]

აღნიშნული კვლევები მიუთითებს, რომ ლგბტქ ადამიანთა მიმართ კვლავ არსებობს ნეგატიური წინასწარგანწყობები, რაც ხშირად გამოიხატება დისკრიმინაციასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში, რომელიც ლგბტქ ადამიანებს მუდმივი საფრთხის წინაშე ამყოფებს და შედეგობრივად, მათ სოციალურ და ეკონომიკურ გარიყულობასაც განაპირობებს.

2.3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და ნდობა სამართალდამცავი უწყებების მიმართ

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები არამხოლოდ კრიმინოგენული, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა საქართველოში. კვლევები აჩვენებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები არსებით გავლენას ახდენს ძალადობაგამოვლილი პირების ცხოვრებაზე და ფართო სოციალურ სტრუქტურებზე, სადაც ის ხორციელდება.[32] შესაბამისად, წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის რისკის წარმომშობი ფაქტორია[33], მისი ნეგატიური გავლენა კი – ხშირად აღმოუფხვრელი რჩება.

შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულით გამოწვეული სიმძიმე სხვა ტიპის დანაშაულებისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის ძალაუფლების მექანიზმია, რომლის მიზანიც საზოგადოებაში უკვე არსებული იერარქიების შენარჩუნებაა, როდესაც საზოგადოებაში სტიგმატიზებულ და მარგინალიზებულ ჯგუფს და ინდივი-

31 იქვე.

32 Herek G., &. B. (1992). Hate Crimes: Confronting Violence Against Lesbians and Gay Men. Newbury Park: Sage Publications. ასევე იხილეთ, Levin, J. a. (1993). Hate Crimes. New York: Plenum.

33 Bell, C. (2003). Racism: Diagnostic and treatment considerations. . Paper presented at the 156th Annual Convention of the American Psychiatric Association, San Francisco, Ca.

დებს მიემართება. ამ პერსპექტივიდან ეს დანაშაულები გენდერირებულ და რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული წესრიგის დაცვის ინსტრუმენტად გარდაიქმნება.[34] ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ წინასწარგანწყობითა და სტერეოტიპებით ნასაზრდოები დანაშაულები არ სრულდება კონკრეტული ქმედებითა თუ ინციდენტით და არც კულტურულ და სოციალურ ვაკუუმში წარმოიქმნება. მიიჩნევა, რომ ამგვარ დანაშაულთა მსხვერპლი ხშირად სიმბოლური აღმნიშვნელია, ხოლო ქმედება მიმართულია არა ამ კონკრეტული პირის, არამედ იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელსაც მსხვერპლი რეალურად თუ სავარაუდოდ მიეკუთვნება.[35]

იმის გამო, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აირეკლავს დისკრიმინაციული გამოცდილებების სპექტრს, მარგინალიზებულ ჯგუფებზე მისი ეფექტი და გავლენა, შესაძლოა, არსებითად მძიმე იყოს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი უფრო მეტად განიცდის შიშის, დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობას. შესაბამისად, ტრავმა ბევრად უფრო სერიოზულია, მაშინაც კი, როდესაც თავად მართლსაწინააღმდეგო ქცევა შეიძლება არ იყოს მძიმე ხარისხის.[36]

ყურადსაღებია, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ბუნებისა და მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის აღმწერი აკადემიური ჩარჩოები ყველაზე ნაკლებად ეხება იმ საკითხს, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ძალადობაგამოვლილი პირების მხრიდან შესაბამისი უწყებებისადმი დახმარების მოთხოვნაზე. დახმარების მოთხოვნა (Help-seeking) გულისხმობს პროცესს, როდესაც ინდივიდი იყენებს სამართლებრივ, ფინანსურ, სათემო და ინსტიტუციურ რესურსებს იმ პრობლემათა მოსაგვარებლად, რომლებიც მის ცხოვრებაზე არსებით ნეგატიურ გავლენას ახდენს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და ინციდენტების შესახებ სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვიანობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია დახმარების მოთხოვნის პროცესში, რადგანაც სწორედ ის უზრუნველყოფს მოწმისა და დაზარალებულის მხარდაჭერას, და სამართლიანობის აღდგენას შესაძლო დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის გზით. თუმცა, როგორც ჰერეკისა და მისი კოლეგების კვლევა აჩვენებს, გეი და ლესბოსელი დაზარალებულები ნაკლებად მიმართავენ პოლიციას დანაშაულის შესატყობინებლად.[37] ამასთან, დანბარის მიხედვით, მსხვერპლთა დეინდივიდუალიზაცია – მსხვერპლთა მხრიდან საკუთარი გამოცდილების ჯგუფურ გამოცდილებად აღქმა – მნიშვნელოვან როლს თამაშობს დანაშაულთა შეუტყობინებლობაში.[38]

34 Perry, B. (2001). In the Name of Hate.

35 იქვე.

36 FRA. (2016). Ensuring justice for hate crime victims: professional perspective.

37 Herek, G. G. (1996). Hate crime victimization among lesbian, gay, and bisexual adults. Journal of interpersonal violence, 12(2), 195-215.

38 Dunbar, E. (2000). Community, Group, and Individual Characteristics of Violent Hate Crime Activity. Paper presented at the 108th Annual Convention of the American Psychological Association, Washington, DC.

დანაშაულის შესახებ შეტყობინების სტატუსზე ასევე ახდენს გავლენას პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა თუ სხვა მახასიათებლები. კვლევები აჩვენებს, რომ მოწყვლადობის მრავალი სტატუსის მქონე პირები ნაკლებად მიმართავენ სამართალდამცავ, ან სხვა ტიპის ინსტიტუციურ მექანიზმებს დახმარებისათვის,[39] რაც ასევეა გამოწვეული ვიქტიმიზაციის მეტი სიმძიმითა და აღნიშნული მოვლენიდან რეაბილიტირების რთული შესაძლებლობებით. შედეგად, ძალადობაგამოვლილი პირები უფრო ხშირად მიმართავენ თვითდახმარების მეთოდებს, რომელიც გულისხმობს ძალადობის შესახებ ინფორმაციის მეგობრების, ან სხვა ვიწრო სანდო წრეებისათვის გაზიარებას. თუმცა, ამგვარი სტრატეგია დანაშაულით მიყენებული ზიანის ეფექტიან საპასუხო მექანიზმად არ მიიჩნევა და ხშირად არასაკმარისია იმ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან გასამკლავებლად, რომელიც თან სდევს აღნიშნულ მძიმე გამოცდილებებს.[40]

დანაშაულზე მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაული არ ხდება ან ხდება მცირე რაოდენობით. ის მიუთითებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ხარვეზზე, რომელიც სისტემის მიმართ მოქალაქეების დაბალ ნდობაზე მეტყველებს და სახელმწიფოს წინაშე სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციური რეფორმირების საჭიროებას აყენებს.[41] სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვიანობის დაბალი ხარისხი ლგბტქ თემსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის არსებული ურთიერთობების ანტაგონისტურად, დისტანციურად, დისკრიმინაციულად და სახიფათოდ აღქმაა, რაც სამართალდამცავი სისტემის „ჰიპერმასკულინობიდანაც“ გამომდინარეობს.[42] საპოლიციო სისტემაში არსებული ინსტიტუციური ჰეტეროსექსიზმი და ჰომოფობია არსებითად აზიანებს ამ უწყებებისადმი ნდობის ხარისხს და იწვევს მის დელეგიტიმაციას.

სახელმწიფოებრივი ინსტიტუციისა თუ სისტემის ლეგიტიმურობა გულისხმობს „ძალაუფლების, ხელისუფლების, ინსტიტუციისა და სოციალური სისტემების ფსიქოლოგიურ ბუნებას, რომელიც შედეგად იწვევს რწმენის გაჩენას აღნიშნული სისტემების ადეკვატურობის, სისწორისა და სამართლიანობის შესახებ“.[43] საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოებრივი სისტემების ლეგიტიმურად მიჩნევა ხელს უწყობს მასთან ნებაყოფლობით ინტერაქციას, რაც, პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად, არსებითი მნიშვნელობისაა. თუმცა, თუ ამ ინტერაქციის პროცესში არსებული პროცედურული სამართლიანობა – პატივისცემით მოპყრობა, ობიექ-

39 Garnets, L. (1997). Antigay violence and multiple minority status: Psychological consequences and interventions. Paper presented at the 105th Annual Convention of the American Psychological Association, Chicago, IL.

40 Dunbar, E. W. (2006). Race, Gender, and Sexual Orientation in Hate Crime Victimization: Identity Politics or Identity Risk? Violence and Victims 21(3), 323-37.

41 ჯალაღანია, ლ. (2017). ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი. თბილისი, EMC.

42 Rabe-Hemp, C. E. (2009). POLICEwomen or Policewomen? Doing gender in police work. Feminist Criminology, 6. 135–155.

43 Tyler, T. R. (1990). Why people obey the law. New Haven. CT: Yale University Press.

ტურობა, მხარდაჭერა და აშ. – სუსტი და შეუსაბამოა, ის ინტერაქციის ხარისხსაც ასუსტებს საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, მოქალაქეების მიმართ პოზიტიური მოპყრობა ხელს უწყობს ლეგიტიმურობის აღქმას, მაშინ როდესაც ნეგატიური მოპყრობა ამცირებს ლეგიტიმურობას.

საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები კვლავ რჩება ლგბტქ თემისთვის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად. სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის (სოგის) ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის თაობაზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში საქართველოს შესახებ[44], ავლენს ლგბტქ თემის წევრების მიმართ განგრძობით დისკრიმინაციულ პრაქტიკას და აღნიშნავს, რომ „ცემა გავრცელებული პრაქტიკაა, ისევე როგორც მუდმივი შევიწროება და ბულინგი ოჯახის მხრიდან, გარიყვა სასწავლო პროცესიდან, სამუშაოდან და ჯანდაცვის დაწესებულებებიდან“.[45] ექსპერტის შეფასებით, თემთან დაკავშირებით არსებული სტიგმა, იდენტობის გამჟღავნების შიში, სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის არქონა და პოლიციელთა მხრიდან გამოვლენილი ჰომოფობიური დამოკიდებულებები, აფერხებს ძალადობის შესახებ პოლიციისადმი მიმართვიანობას.[46] 2019 წლის სახელმწიფოს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სოგი-ს ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 32 პირის მიმართ. თუმცა მითითებული ბარიერების გამო არსებული დაბალი მიმართვიანობა ძალადობის რეალურ მასშტაბს ფარავს, რადგანაც სათემო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებული სტატისტიკა ოფიციალურ სტატისტიკას აღემატება.[47] პრობლემას ქმნის უნიფიცირებული სტატისტიკის მეთოდოლოგიის არარსებობაც, რაც დანაშაულთა ანალიზსა და პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში ხელშემშლელი ფაქტორია.

საქართველომ, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, არაერთი რეკომენდაცია მიიღო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის გაძლიერებისა და ცალკე არსებული საგამოძიებო უწყების შექმნის თაობაზე, რომელიც კონკრეტულად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე იმუშავებდა. ამ თემაზე რეკომენდაცია საქართველომ 2015 წელს გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის[48] და

44 Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity, 2019. იხ: https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR%201uGxuJ6lMh0KqfYO9D1vUNMQv4SWO0LSiwgZcH7UQCeSdylM71tmToyZo

45 იქვე, პარა. 31.

46 იქვე, პარა. 40.

47 მაგალითისთვის, ორგანიზაცია WISG-ის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015-18 წლების პერიოდში 226 რესპოდენტი გამხდარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა თუ ინციდენტის მსხვერპლი (აღდგომელაშვილი.ე., წინასწარგაწყობიდან თანასწორობამდე: ლგბტქი ადამიანები საქართველოში, 2018).

48 Report of the Working Group on the Universal Periodic Review – Georgia, 2015, Recommendation 118.10.

2016 წელს ევროსაბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის ევროპული კომისიის საქართველოს შესახებ ანგარიშის[49] ფარგლებში მიიღო. შედეგად, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის სრულყოფისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროში **ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის მონიტორინგი სამსახური შეიქმნა.** თუმცა, რამდენადაც შექმნილი დეპარტამენტი პოლიციის სისტემაში სპეციალიზებული საგამოძიებო უწყების შემცვლელი არ არის, მას ვერ მივიჩნევთ სამართალდამცავ დონეზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების გაძლიერებისკენ მიზანმიმართულ ძალისხმევად,[50] თუმცა ნიშანდობლივია, რომ ამ ინსტიტუციურ ცვლილებებს მოჰყვა აქტიური მუშაობა ერთიანი უნიფიცირებული სტატისტიკის საწარმოებლად. 2020 წლის სექტემბერში გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას, უზენაეს სასამართლოს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის[51], რომლითაც გათვალისწინებულია უწყებების ანგარიშვალდებულება ერთმანეთის მიმართ და მოიცავს ინფორმაციის გაზიარების ვალდებულებას. ამასთან, მემორანდუმით გათვალისწინებულია სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თავიდან ასაცილებლად.

თუმცა დღეისთვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი პრევენცია, მისი მასშტაბიდან და პოლიტიზებიდან გამომდინარე, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება სამართალდამცავი უწყებებისთვის. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მასშტაბს კარგად აჩვენებს ულტრაკონსერვატიული ძალადობრივი ჯგუფების გაძლიერება და მათი მხრიდან, ლგბტქ თემის წევრების მიმართ გამოხატული განგრძობით დისკრიმინაციული პრაქტიკაც. მაგალითისთვის, 2019 წლის 8 ნოემბერს, თბილისში ფილმის, „და ჩვენ ვიცეკვეთ“[52], პრემიერისას კინოთეატრთან შეკრებილი ძალადობრივი ჯგუფები ღიად დაუპირისპირდნენ ფილმის სანახავად მისულ მაყურებელს და ადგილზე მობილიზებულ პოლიციის თანამშრომლებს. ადგილზე ჩადენილი 27 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიმართ, კერძოდ, პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმისა და პოლიციის მანქანის დაზიანებასთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება, თუმცა, ნეგატიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს უყურადღებობა ფილმის პრემიერამდე ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების განცხადებების მიმართ, რომლებიც საჯაროდ იმუქრებოდნენ და

49 ECRI REPORT ON GEORGIA (fifth monitoring cycle) Adopted on 8 December 2015 Published on 1 March 2016.

50 რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) 2019 წლის 5 მარტს გამოქვეყნებული შუალედური დასკვნა (CRI(2019)4) საქართველოს მიმართ 2016 წლის 1 მარტის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://women.ge/ka/news/newsfeed/226/

51 იხ: https://police.ge/ge/saqartvelos-generalur-prokuraturashi-diskriminatsiis-nishnit-sheutsknareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistikis-tsarmoebisa-da-ertiani-angarishis-gamotsemis-shesakheb-memorandumi-gaformda/13986

52 ფილმი შეეხება ქვიარ თემატიკას.

მხარდამჭერებს კინოჩვენების ჩაშლისკენ მოუწოდებდნენ.[53] აღნიშნული ქმედებები მიუთითებს ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფების მობილიზების პრაქტიკასა და მათ მიერ ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების კულტივირებაზე საზოგადოებაში, რომელსაც სახელმწიფო ვერ უპირისპირდება ეფექტიანი პრევენციული თუ სადამსჯელო მექანიზმებით.

2.4. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოში ლგბტქ პირთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა კვლავ არსებითი პრობლემაა, რაც საზოგადოებაში ცალკეული ჯგუფების მხრიდან საჯარო სივრცის პრივატიზების მცდელობას უკავშირდება. დომინანტი რელიგიური, ასევე, ულტრაკონსერვატიული ძალადობრივი ჯგუფების მიერ ლგბტქ თემის მხრიდან შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ლიმიტირებულია და საჯარო სივრცეში ლგბტქ პირთა ნებისმიერი ფორმით გამოჩენა „ჰომოსექსუალობის პროპაგანდად აღიქმება".[54] 2012 და 2013 წლიდან დღემდე არსებულმა ნეგატიურმა გამოცდილებამ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის შესახებ საჯარო სივრცეში ძალადობის პროვოცირებას შეუწყო ხელი, რაც ასევე გამოიხატა სახელმწიფოს მარცხში, უზრუნველეყო როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება გამოხატვასა და შეკრებაზე, ასევე დაესაჯა ის ადამიანები, რომლებმაც ხელყვეს ეს უფლება.[55] შედეგად, 17 მაისი (IDAHOT), როგორც ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, წლიდან წლამდე ინსტიტუციური და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობების მანიფესტირების დღედ იქცა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებაში, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2012 წელს IDAHOT შეკრებისას ლგბტქ თემის წევრების შეკრების უფლებაში ჩარევასა და სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას ეხება, ისევე როგორც მომხდარ ინციდენტებზე არაეფექტიან გამოძიებას, აღნიშნულია, რომ „შიდასახელმწიფოებრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ჰომოფობიური და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების სათანადოდ შეკავება და 2012 წლის 17 მაისის მარშის მშვიდობიანი ჩატარება [..] ამ წინდაუხედაობის გათვალისწინებით, სახელისუფლებლო ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული თავიანთი პოზიტიური ვალდებულება, მე-14 მუხლთან

53 იხ: https://oc-media.org/georgian-ultraconservative-groups-vow-to-prevent-queer-romance-film-premier/

54 აღდგომელაშვილი ე. „ჰომოფობიური სიძულვილის ენა და პოლიტიკური პროცესები საქართველოში", ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში, 2012, გვ. 10.

55 ჯალაღანია ლ. „ლგბტი ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში", EMC, 2015.

ერთობლიობაში“.[56] მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ არის, რის საფუძველზეც სახელმწიფოს ევალება კონკრეტული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების მიღება და საქმეში ლგბტქ პირთა შეკრებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფა, 2013 წლის შემდგომ, ლგბტქ თემის წევრებს არ მისცემიათ შესაძლებლობა, IDAHOT დღე შეზღუდვების გარეშე, უსაფრთხო და პოლიტიკური მნიშვნელობის სივრცეში აღენიშნათ.[57]

17 მაისის საჯარო სივრცეში აღნიშვნის მცდელობები აჩვენებს, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან ერთად, საქართველოში მცხოვრებ ლგბტქ აქტივისტებს, სათემო ორგანიზაციებსა თუ მხარდამჭერებს არ ეძლევათ საშუალება, თემის წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებსა და საჭიროებებზე მიაპყრონ საზოგადოების ყურადღება. ამის მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა და ძალადობრივი ჯგუფების გაძლიერებაა, რადგანაც აღნიშნულ უფლებათა რეალიზების პრაქტიკულ შეზღუდვას თან სდევს ჰომოფობიური ჯგუფების მუდმივი აქტიური მობილიზების პრაქტიკაც.[58]

2019 წლის ივნისში, „თბილისი პრაიდის კვირეულის“ ფარგლებში, „ღირსების მარშის“ ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა შეკრების შემთხვევაში უზრუნველეყო მონაწილეთა უსაფრთხოება,[59] ამასთან, საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალური მოწოდება გამოაქვეყნა, რომლითაც საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, არ დაეშვა „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის“ გამართვა.[60] საპასუხოდ, 14 ივნისს, მთავრობის კანცელარიასთან „თბილისი პრაიდის“ მხარდამჭერებმა გამართეს აქცია, სახელმწიფოსგან მათი შეკრების უფლების გარანტირების მოთხოვნით. აქციის ორგანიზატორებისა და აქტივისტების ნაწილს ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური და კლერიკალური ჯგუფები დაუპირისპირდნენ, რომელთა ლიდერები და წევრები ღიად გამოხატავდნენ ძალადობრივ ქმედებებსა და განზრახვებს.

56 Case of Identoba and Others v. Georgia (Application no. 73235/12) 12 may 2015, para. 100, იხ: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400

57 გარდა 2017 წლისა, როდესაც ლგბტქ სათემო ორგანიზაციები შეიკრიბნენ საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან, სამართალდამცავი სისტემის მხრიდან დაცვის მაღალი ხარისხის დაცვის უზრუნველყოფის ფარგლებში, ლიმიტირებული დროითა და სივრცით, რაც არ შეიძლება მივიჩნიოთ შეკრების თავისუფლების დაცვის მაგალითად.

58 Coalition for Equality, The Right to Non-Discrimination in Practice for Various Groups in Georgia – 2019, იხ: http://equalitycoalition.ge/article/51

59 შსს-მ ლგბტქ თემის წევრთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მარშის ორგანიზატორებს არაპროპორციული ალტერნატივა, მარშის დახურულ სივრცეში – ღამის კლუბში ან საფეხბურთო მოედანზე ჩატარება შესთავაზა, იხ: https://netgazeti.ge/news/368709/ ასევე, იხ: https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/12775

60 იხ: http://tbl.ge/3rm1

ყურადსაღებია, რომ ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფის ლიდერის მხრიდან აღნიშნული შეკრების საწინააღმდეგოდ არაერთი საჯარო ძალადობრივი მოწოდება (ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდება)[61] გაკეთდა. მათ „სახალხო ლეგიონების“ შექმნა და ქუჩებში პატრულირება დააანონსეს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ ამ ფაქტზე, ფორმალურად დაიწყო გამოძიება[62], გამოძიების ეფექტიანობისა და მისი შედეგების შესახებ საზოგადოებასა და დაზარალებულებს ინფორმაცია ამ დრომდე არ მიუღიათ.[63] შედეგად, ძალადობრივ ულტრაკონსერვატიულ ჯგუფთა მხრიდან მომდინარე ძალადობის რისკებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვის ეფექტიანი ზომების უზრუნველყოფის არარსებობის გამო, ვერც 2019 წელს განხორციელდა პრაქტიკაში ლგბტქ თემის წევრთა უფლება შეკრების თავისუფლებაზე.

2.5. განათლებაზე წვდომა

განათლება არის უფლებაც, ასევე სხვა უფლებათა რეალიზების უმნიშვნელოვანესი საშუალებაც. როგორც გაძლიერების გზა, განათლება ეკონომიკურად და სოციალურად მარგინალიზებული მოზარდებისა და ბავშვებისათვის სიღარიბისგან თავის დაღწევისა და საკუთარ თემსა და საზოგადოებაში სრულად მონაწილეობის საშუალებების მიღწევის მთავარი იარაღია. განათლების როლი მნიშვნელოვანია ქალთა გაძლიერებაში, ბავშვთა მძიმე შრომისა და სექსუალური ექსპლოატაციისგან დაცვაში, ისევე როგორც, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ხელშეწყობაში. გლობალურად, განათლება ასევე მიიჩნევა მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციად, თუმცა გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-13 ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით, მისი მნიშვნელობა მხოლოდ პრაქტიკული მხარით არ შემოიფარგლება, არამედ ჯანსაღი და ნათელი გონების ადამიანთა ჩამოყალიბებასაც ემსახურება.[64]

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგის ფარგლებში, სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, „უზრუნველყონ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება და ხელი შეუწყონ ცხოვრების განმავლობაში სწავლების თანაბარ შესაძლებლობებს“ (მიზანი 4).

61 იხ: https://oc-media.org/tbilisi-pride-cancelled-after-location-leaks-online/

62 See: https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/108905/shssm-lgbtqpraidis-tsinaagmdeglegionissheqmnis-shesakheblevan-vasadzis-gantskhadebisshemdeg-gamodzieba-daitsko

63 საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე: http://www.ombudsman.ge/geo/qvela-zogadi-tsinadadeba/sakhalkhodamtsvelma-khelisuflebas-lgbt-temistsarmomadgenlebis-gamokhatvis-tavisuflebis-datsvisken-moutsoda

64 General Comment No. 13 of the United Nations Committee on Economic, Social and Cultural Rights “Right to Education” (the body in charge of monitoring the implementation of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 1999, პარა. 1, იხ: https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G99/462/16/PDF/G9946216.pdf?OpenElement

თუმცა ლგბტქ ახალგაზრდების უფლებას განათლებაზე, ხშირად ზღუდავს აღნიშნულ სივრცეებში არსებული პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ლგბტქ მოსწავლეებსა და სტუდენტებს აქვთ უფლება, ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან თავისუფლად მიიღონ განათლება, რაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების პატივისცემასა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვას.[65]

UNESCO-ს მიხედვით, განათლების სისტემიდან ექსკლუზია ლგბტქ ჯგუფის შემთხვევაში ხშირად ორ გავრცელებულ ფორმას მოიცავს:

იმპლიციტური ძალადობა *– როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებები ახდენენ პირთა გარიყვას, ექსკლუზიას მათი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობისა და გამოხატვის გამო;*

პირდაპირი ძალადობის გავლენა *– როდესაც ლგბტქ ჯგუფის წევრი სტუდენტი აცდენს საგაკვეთილო/სალექციო საათებს, თავს არიდებს სკოლაში დაბრუნებას, რათა თავიდან აირიდოს ძალადობა.*

სტუდენტებს, რომელთაც აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება და სკოლას ადრეულ ასაკში ტოვებენ, აქვთ დაბალი კვალიფიკაცია, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს მათი სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებზე. ჰომოფობიისა და ტრანსფობიის 2014 წელს ჩატარებული ფართო ანალიზის მიხედვით, განვითარებადი ეკონომიკის სახელმწიფოებში ჰომოფობია და ტრანსფობია დაკავშირებულია დასაქმების დაბალ შესაძლებლობებთან.[66] როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებები არ ახდენენ ჰომოფობიასა თუ ტრანსფობიაზე ადეკვატურ რეაგირებას, მან, შესაძლოა, მთლიან სოციალურ კლიმატზე იქონიოს ნეგატიური გავლენა. ძალადობამ მოსწავლეებსა და სტუდენტებს, შესაძლოა, უბიძგოს გამოსცადონ შიშის გარემო, დაუცველობა, სწავლისა და შემეცნების სირთულეები.[67]

ევროსაბჭოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის მიხედვით, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, მიმართული საგანმანათლებლო პერსონალისა და მოსწავლეებისადმი, რათა უზრუნველყონ განათლების უფლების ეფექტიანი გამოყენება სექსუალური ორიენტაციისა ან

65 იქვე.

66 M. V. L. Badgett, S. Nezhad, K. Waaldijk, and Y. V. D. M. Rodgers, 'The Relationship between LGBT Inclusion and Economic Development: An Analysis of Emerging Economies', USAID, the Williams Institute, 2014.

67 UNESCO, Out in the Open: Education sector responses to violence based on sexual orientation and gender identity/expression, 2016, იხ: https://www.gale.info/doc/unesco/INT-2016-UNESCO-OutInTheOpen.pdf

გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; ეს, კონკრეტულად, გულისხმობს ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლების დაცვას, მიიღონ განათლება გარემოში, რომელიც იქნება უსაფრთხო და თავისუფალი ძალადობის, სოციალური გარიყულობისა ან სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან.[68]

რეკომენდაციის თანახმად, განათლების უფლების დაცვა უნდა მოიცავდეს ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით, მაგალითად, სკოლის კურიკულუმსა და საგანმანათლებლო მასალებში; მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის, დაცვისა და მხარდაჭერის მიწოდებას, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, იცხოვრონ თავიანთი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ სკოლის თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები, ასევე უზრუნველყონ შესაბამის ანტიდისკრიმინაციულ ტრენინგებზე ან დამხმარე და სასწავლო საშუალებებზე წვდომა. ამგვარი ზომები უნდა ითვალისწინებდეს მშობლების უფლებებსაც მათი შვილების განათლებაზე.[69]

2.6. დასაქმებაზე წვდომა

ღირსეული შრომა ყველა იმ ასპექტის ერთიანობაა, რომელიც დასაქმებულთა საჭიროებებსა და უფლებებზეა მორგებული, სამუშაო, რომელიც არის პროდუქტიული, იძლევა სამართლიანი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას სოციალური უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმებით, იცავს საბაზო უფლებებს, სთავაზობს თანასწორ შესაძლებლობებსა და მოპყრობას, ხელს უწყობს პირთა კარიერულ განვითარებასა და აღიარების შანსებს, და სადაც უსმენენ დასაქმებულთა ხმასა და წუხილებს. ღირსეული შრომა სიღარიბის აღმოფხვრის ცენტრალური ძალისხმევა და თანასწორი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი გზაა.[70]

შრომის უფლება ფუნდამენტური უფლებაა და განუყოფელია ადამიანის ღირსების უფლებისგან.[71] შრომის შეუსაბამო პირობები და სამუშაო ადგილზე უთანასწორო მოპყრობის მატერიალური შედეგები წარმოქმნის რისკს, რომ უთანასწორო მოპყრობა დაუსჯელი დარჩეს. ქვიარ პრეკარიულობა სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ეკონომიკური უთანასწორობისა და დასაქმებაზე წვდომის არათანაბარი

68 CM/Rec(2010)5 , პარა. 31.
69 CM/Rec(2010)5, პარა. 32.
70 ILO, The Decent Work Agenda.
71 ISESCR, GR no. 18.

შესაძლებლობების ჭრილში მოიხსენიება. ლგბტქ ადამიანები განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან ეკონომიკური უთანასწორობის მიმართ, რადგანაც ადეკვატური პირობების სამუშაოს მოძიება აღნიშნული ჯგუფისთვის განსაკუთრებით რთულია და ხშირად კონცენტრირებულები არიან დაბალანაზღაურებად ან/და დაუცველ ალტერნატიულ ეკონომიკებში.[72] (Weiss, 2015).

საქართველოში ლგბტქ პირთა დასაქმების შესაძლობლობებისა თუ სამუშაო გარემოს შესასწავლად, სპეციფიკური კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა არსებული პრაქტიკული გამოცდილება მოწმობს, რომ ლგბტქ თემის წევრები, საზოგადოებისგან მათი გარიყულობიდან გამომდინარე, ვერ სარგებლობენ დასაქმებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობებით. სექსუალური ორიენტიაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის საქართველოს შესახებ ანგარიშის მიხედვით, *„[ლგბტქ თემის წევრები] მალავენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას იმისათვის, რათა ჰქონდეთ ღირსეული სამუშაო. მათ, ვისი გარეგნობაც არ შეესაბამება სოციუმის მოლოდინებს, განსაკუთრებით ფემინურმა კაცებმა, განაცხადეს, რომ ისინი არ აჰყავთ სამსახურში ან დასაქმების შემთხვევაში მათ რიყავენ, შეურაცხყოფას აყენებენ და დასცინიან, ხოლო იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურიდან დაითხოვონ კიდეც [...] ყველაზე მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფი ტრანსგენდერი ქალები არიან. თუ ისინი ორმაგი ცხოვრებით არ ცხოვრობენ, ტრანსგენდერ ქალებს დასაქმების ძალზე მცირე შანსი აქვთ. ამას თან ახლავს გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული სირთულეები და სამწუხარო რეალობა, რომ ტრანსგენდერ ქალთა უმრავლესობას აქვს პირადობის დამადასტურებელი ისეთი საბუთები, რომლებიც არ შეესაბამება მათ გენდერულ იდენტობას. შესაბამისად, ბევრი მათგანი დასაქმებულია არაფორმალური ეკონომიკის სფეროში მწირი სამუშაო პირობებითა და შემოსავლით“.*[73]

ლგბტქ ჯგუფის ხელმისაწვდომობის დაბალი შესაძლებლობები განპირობებულია როგორც გარე ფაქტორებით, რაც დისკრიმინაციულ პრაქტიკასა და უთანასწორო მოპყრობის სხვა ფორმების რისკებს გულისხმობს, ასევე სუბიექტური ფაქტორებით, რაც ლგბტქ ჯგუფის წევრების მხრიდან საკუთარი შესაძლებლობების მიმართ დაბალ თვითშეფასებასა და საკუთარი უძალობის რწმენასთან არის დაკავშირებული, რაც კვლავ გარემოფაქტორების დამსახურებაა და ზღუდავს მათი განვითარების შესაძლებლობას. შესაბამისად, ლგბტქ ჯგუფის ნაწილი ირჩევს იმ სამუშაო გარემოს, რომელიც საშუალებას მისცემს თავისუფლად გამოხატონ საკუთარი თავი, დისკრი-

72 Weiss M. and Hollibaugh A. Queer Precarity and the Myth, New Labor Forum, Vol. 24(3), 2015

73 სექსუალური ორიენტიაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმიანციისგან დაცვის საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატი, საქართველოში ვიზიტი (25 სექტემბერი – 5 ოქტომბერი, 2018) მისიის დასრულების შემდგომი განცხადება.

მინაციის მოლოდინის გარეშე, თუმცა ეს გარემოება, ცალკეული გამონაკლისების გარდა, მათ დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებისკენ კონცენტრირებისა და „პრეკარიულობის სპირალში“ დარჩენისკენ უბიძგებთ.

2.7. ჯანდაცვაზე წვდომა

ლგბტქ ადამიანთა მიერ განცდილი დისკრიმინაცია და სოციალური გარიყულობა უარყოფითად აისახება არა მხოლოდ მათთვის მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების თანასწორად სარგებლობაზე, არამედ მათ ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაციის მიხედვით, *„მიუხედავად იმისა, როგორია ჰომოფობიის წარმომავლობა და მანიფესტაცია, მისი ნებისმიერი ფორმა უარყოფითად აისახება ლგბტ ადამიანებზე, მათ ოჯახებსა და ფართო საზოგადოებაზე[...] მისით გამოწვეული სოციალური ექსკლუზიის, დანაშაულისა და სირცხვილის შეგრძნების, ტანჯვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის გამო, ჰომოფობია წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემას, რომელიც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს“.*[74]

გაეროს 1966 წლის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა პაქტის (ICESCR) მე-12 მუხლის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები აღიარებენ ყველას უფლებას, ისარგებლონ ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით.[75] ლგბტქ პირთა უფლებები გარდა ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი ჩარჩოსი, შესაძლოა, მოვიაზროთ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ჩარჩოს ქვეშაც.[76] პაქტის 22-ე ზოგადი კომენტარი, რომელიც აზუსტებს და სპეციფიკურად ასახავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ფუნდამენტურ საკითხებს, აღნიშნავს, რომ ამ უფლებათა ეფექტიან განხორციელებაზე გავლენას ახდენს „ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტები“.[77] ბევრ ქვეყანაში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ასპექტებზე ნეგატიურად აისახება საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა, გენდერის, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა ნიშნების საფუძველზე არსებული ძალაუფლებათა არათანაბარი გადანაწილება, რაც გავლენას ახდენს ამ და მასთან დაკავშირებულ სხვა უფლებათა სარგებლობის ხარისხზე.[78] შესაბამისად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლების სარგებლობის რეალიზებისთვის სახელწი-

74 Pan American Health Organization, regional office of WHO, “CURES” FOR AN ILLNESS THAT DOES NOT EXIST”, Purported therapies aimed at changing sexual orientation lack medical justification and are ethically unacceptable.

75 ICESCR, მუხლი 12.1.

76 ICPD PoA.

77 Committee on Economic, Social and Cultural Rights, General comment No. 22 (2016) on the right to sexual and reproductive health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), პარა. 7.

78 იქვე, პარა. 8.

ფოებმა ძალისხმევა უნდა მიმართონ სოციალურ დეტერმინანტებზე, რომლებიც კანონმდებლობებში, ინსტიტუციურ მოწყობებსა და სოციალურ პრაქტიკებში ჰპოვებს გამოხატულებას და ხელს უშლის ინდივიდებს ამ უფლებებით სარგებლობაში.[79]

როგორც კვლევები აჩვენებს, ფიზიკური ჯანმრთელობის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს სამედიცინო სფეროს მოუმზადებლობა და არაინფორმირებულობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე[80]. სტიგმისა და ნეგატიური დამოკიდებულებების შიში და, ზოგიერთ შემთხვევაში, დისკრიმინაციული გამოცდილება, ლგბტქ თემის წევრებს აიძულებთ გადაავადონ, ან სულაც უარი თქვან ჯანმრთელობის დაცვის სერვისის მიღებაზე, რასაც, შესაძლოა, ბევრად უფრო რთული და კომპლექსური ზიანი მოჰყვეს.

მენტალური ჯანმრთელობის კუთხით მნიშვნელოვანია ის ემპირიული მტკიცებულებები, რომლებიც აჩვენებს, რომ ჯანმრთელობის ნეგატიური შედეგები არსებითად არის დამოკიდებული სოციალურ სტრესორებზე, რომელიც ლგბტქ ჯგუფის სტიგმატიზებასა და დისკრიმინაციულ პრაქტიკაში გამოიხატება.[81] კვლევების მიხედვით, ლგბტქ ჯგუფი განიცდის როგორც სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ჩაგვრას სოციალური დაცვის სისტემებში, დასაქმებაში, ჯანდაცვის სერვისებსა და სამართლებრივ პოლიტიკებში, ის, ინდივიდუალურ ჩაგვრას, რაც ძალადობასა და შევიწროების მრავლობით პრაქტიკაში გამოიხატება. აღნიშნული ჩაგვრები ოპერირებს სუბიექტური და ობიექტური სტრესორების ფორმით, რასაც შედეგად ფსიქიკური აშლილობები და ფსიქოლოგიური დისტრესიც მოაქვს ამ პოპულაციაში.[82]

კვლევებით დასტურდება, რომ ლგბტქ თემის წევრებზე ინსტიტუციური ჰეტეროსექსიზმი, ჰომოფობიის მაღალი ხარისხი და სოციალური გარიყულობა კრიტიკულად აისახება მათ სოციალურ სტატუსზე, მენტალურ ჯანმრთელობასა და სუიციდალურ-თვითდესტრუქციულ ქცევებზე. ფართო მოსახლეობაზე სტრესის გამომწვევი ინდივიდუალური ფაქტორების გარდა, რომელიც მის კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას, ფსიქოლოგიაში არსებობს სოციალური სტრესის კონცეფციაც, რომლის მიხედვითაც, სტრესორები გულისხმობს იმ მოვლენებისა და პირობების ერთიანობას, რომელიც იწვევს არსებით ცვლილებებს და პირს აიძულებს ადაპტაციას შეცვლილ სიტუაციასა თუ ცხოვრების ახალ პირობებთან.

79 იქვე.

80 აღდგომელაშვილი ე. წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე, WISG, 2016

81 Kristi E. Gamarel, S. L. (2012). Association Between Socioeconomic Position Discrimination and Psychological Distress: Findings from a Community-Based Sample of Gay and Bisexual Men in New York City. American Journal of Public Health, vol 102, no.11.

82 Herek, G. M., Gillis, J. R., & Cogan, J. C. (1999). Psychological Sequelae of Hate Crime Victimization Among Lesbian, Gay, and Bisexual Adults. Journal of Consulting and Clinical Psychology, in press.

ფსიქოლოგიის ლიტერატურაში სოციალური სტრესის მოდელის მიხედვით, სოციალური გარემოს კონდიციები, და არა მხოლოდ პერსონალური მოვლენები, გავლენას ახდენს სხვადასხვა სტრესორის წარმოქმნაზე და აისახება პირის მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. შესაბამისად, სოციალურ სტრესს არსებითი გავლენა აქვს იმ ადამიანებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალურად სტიგმატიზებულ ჯგუფებს. სტიგმა და დისკრიმინაცია, რომელიც ამ ჯგუფების მიმართ არსებობს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, რასიზმის, ქსენოფობიის, სექსიზმისა და ჰომოფობიის საფუძველზე, ცვლის მათ მდგომარეობას საზოგადოებაში და, შესაბამისად, იწვევს დამატებით სტრესს.

ლგბტქ ადამიანებზე სოციალური სტრესის გავლენის უკეთ აღსაწერად, პროფესორმა ილინ მეიერმა შეიმუშავა „უმცირესობათა სტრესის“ მოდელი[83], რომელიც რამდენიმე ელემენტს შეიცავს და არსებითად არის დაკავშირებული პირის სოციალურ გარემოსთან ადაპტაციასა და ურთიერთქმედებაზე, რომელშიც უმთავრეს როლს თამაშობს სოციალური სტრუქტურების, ნორმებისა და ინსტიტუციებისგან გაუცხოება. „არანორმალურობის“ განცდამ, საზოგადოების მხრიდან მომდინარე სოციალურმა კონტროლმა და გაუცხოებამ, შესაძლოა, არსებითი გავლენა მოახდინოს პირის კეთილდღეობასა და თვითდესტრუქციული ქცევების პროვოცირებაზე, რადგანაც ბაზისური სოციალური საჭიროებები არ არის მიღწეული.[84]

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი კვლევები საქართველოში არ ჩატარებულა, რაც ართულებს საქართველოს მაგალითზე აღნიშნულ კვლევათა ტენდენციათა განზოგადების საშუალებას, წინამდებარე კვლევა მაინც იძლევა გარკვეული ვარაუდების გაკეთების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც, აშკარა იქნება, რომ, რაც უფრო მაღალია სოციალური სტრესორები, მით მეტად მოახდენს ის გავლენას ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ და ემოციურ მდგომარეობაზე.

2.8. სოციალური დაცვა და უსახლკარობა

ადეკვატურ საცხოვრისზე წვდომის უფლება ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლების ნაწილია და ცენტრალური მნიშნელობისაა ყველა სხვა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობისთვის.[85]

83 Meyer, I. (1995) Minority stress and mental health in gay men, Journal of Health and Social Behaviour, 7, pp.9-25; Meyer, I.(2003) Prejudice, social stress and mental health in lesbian, gay and bisexual populations: Conceptual issues and research evidence, Psychological Bulletin, 129, (5), pp. 674-697.

84 Durkheim's (1951) (როგორც ციტირებულია, Ilan H. Meyer, Prejudice, Social Stress, and Mental Health in Lesbian, Gay, and Bisexual Populations: Conceptual Issues and Research Evidence, Psychological Bulletin Copyright 2003 by the American Psychological Association, Inc. 2003, Vol. 129, No. 5, 674–697).

85 CESCR General Comment No. 4: The Right to Adequate Housing (Art. 11 (1) of the Covenant).

სოციალური პრედიქტორიების გარდა, ადეკვატური საცხოვრისის საკითხთან მჭიდრო კავშირშია ძალადობა და სოციალური მოწყვლადობა, რომელიც ყველაზე ხელსაყრელ გარემოს ქმნის უსახლკარობისთვის.

ამრიგად, დისკრიმინაცია, ხშირად, უსახლკარობის მიზეზიც არის და შედეგიც, ერთდროულად. მათ, ვინც ექვემდებარებიან დისკრიმინაციას რასის, საცხოვრებელი ადგილის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის, ასაკის და სხვა ნიშნების გამო, უფრო მეტად ემუქრებათ უსახლკარობა.[86] გლობალურად ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ლეექსბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ახალგაზრდები უსახლკარო ადამიანთა დიდ ნაწილს შეადგენენ და ექვემდებარებიან დამატებით სტიგმატიზაციასა და სოციალურ გარიყულობას თავიანთი ოჯახებისა და თემის მხრიდან, მეტად არიან ძალადობის რისკის ქვეშ და თავშესაფრებიც, ხშირად არ არის მათზე მორგებული.[87]

გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიხედვით, უსახლკარობა ინდივიდუალური გარემოებებისა და ფართო სისტემური ფაქტორების შედეგია. ადამიანის უფლებათა ჩარჩო კი ორივე მათგანს უნდა პასუხობდეს. უსახლკარობის მიმართ ადამიანის უფლებათა მიდგომა იაზრებს, რომ ის, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ინდივიდუალურ დინამიკებთან, როგორიცაა ფსიქოსოციალური პრობლემები, სამუშაოს დაკარგვა და სხვა ფაქტორები, ისევე როგორც სახელმწიფოთა არაეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ვერ პასუხობს ინდივიდთა უნიკალურ გარემოებებს მათი ღირსების პატივისცემითა და თანაგანცდით. ადამიანის უფლებათა მიდგომამ ასევე უნდა უპასუხოს უსახლკარობის ყოვლისმომცველ სტრუქტურულ მიზეზებს, რომლებიც განსხეულებულია ეროვნულ პოლიტიკებში, პროგრამებსა და კანონმდებლობაში, ისევე როგორც საერთაშორისო ფინანსურ და განვითარების შეთანხმებებში, რომელიც ხელს უწყობს და ქმნის უსახლკარობისთვის ნიადაგს.[88]

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ საცხოვრისის უფლება არ უნდა განიხილებოდეს ვიწრო გაგებით, არამედ, უნდა გულისხმობდეს ნებისმიერ ადგილას უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლების გარანტირებას.[89] FEANTSA-ს (European Federation of National Organisations Working with the Homeless) და უსახლკარობის ევროპული ობსერვატორიის მიერ შემუშავებული დეფინიციისა და ტიპოლოგიის/კლასიფიკა-

86 A/HRC/31/54, Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, and on the right to non-discrimination in this context, 2015, პარა. 39.

87 A/HRC/31/54, პარა. 44.

88 A/HRC/31/54, პარა. 28.

89 ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS, Report of the Special Rapporteur on adequate housing as a component of the right to an adequate standard of living, Miloon Kothari, 2005, პარა. 13.

ციის (ETHOS) მიხედვით, საცხოვრისის ცნებას სამი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს – **საცხოვრებელი სივრცის ფიზიკური, სოციალური და სამართლებრივი ასპექტები.** საცხოვრებელი სივრცის **ფიზიკური** განზომილება გულისხმობს პირობებს, რომლებიც იქ მცხოვრები ადამიანების საჭიროებების ადეკვატურია; საცხოვრისის სოციალური სივრცე განისაზღვრება როგორც უსაფრთხო და პრივატული გარემო, რომელიც სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობას იძლევა; საცხოვრებლის სამართლებრივი განზომილება კი ამ სივრცის ფლობის სამართლებრივ გარანტიებს გულისხმობს. კვლევითი ლიტერატურის მიხედვით, ცალკეული პირობების გაუარესება, გარკვეული ელემენტების დანაკლისი ან ამ ხდომილებათა ერთობლიობა უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისის არქონის მდგომარეობას განსაზღვრავს.[90]

საქართველოში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც უსახლკარობის მიზეზების გამოვლენის საშუალებას მოგვცემდა. შესაბამისად, შეუძლებელია ლგბტქ პირთა შორის უსახლკარობის გამოცდილების მასშტაბის ობიექტური კრიტერიუმებით შეფასება, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სოციალური დაცვის სისტემების იმგვარად ორგანიზება, რომ ის პასუხობდეს და იცავდეს ყველა სპეციფიკურ ჯგუფს, რომელიც დგას ან შესაძლოა დადგეს უსახლკარობის რისკის წინაშე.

2.9. ქამინგაუთი[91]

საზოგადოებაში უმცირესობათა სტრესი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს როგორც გარეგანი (დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული), ისე შინაგანი ფაქტორებით (ინტერნალიზებული ჰომოფობია), როგორც საკუთარი სექსუალური იდენტობის გამჟღავნებით (ქამინგაუთი), ისე საკუთარი იდენტობის დაფარვით.[92] უმცირესობათა იდენტობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება ლგბტქ ადამიანებზე და სოციალური ადაპტაციისთვის იცვლის ქცევებს. შესაბამისად, შესაძლოა, უარყოფის მოლოდინით, შეზღუდონ სოციალური ინტერაქცია გარესამყაროსთან, დაფარონ თავიანთი იდენტობა ძალადობისა და ზიანის შიშის გამო ან მოახდინონ სტიგმის ინტერნალიზება, რომელიც ინტერნალიზებული ჰომოფობიის სახით მძიმე ფორმით ვლინდება,[93] ამ ფორმების სიმძიმე კი იმითაც არის განპირობებული, რომ როგორც

90 Kate Amore, Michael Baker and Philippa Howden-Chapman, The ETHOS Definition and Classification of Homelessness: An Analysis, European Journal of Homelessness – Volume 5, No. 2, December 2011.

91 აღნიშნული თავი და ქამინგაუთის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა პირველად გამოქვეყნდა EMC-ის კვლევაში, ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები, 2018 წელი.

92 Meyer, I.(2003)Prejudice, social stress and mental health in lesbian, gay and bisexual populations: Conceptual issues and research evidence, Psychological Bulletin, 129, (5), pp. 674-697.

93 იქვე.

გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორები ქრონიკული/სისტემური ხასიათისაა და, შესაძლოა, მთელი ცხოვრების განმავლობაში გასდევდეს ადამიანს.

კვლევები მიუთითებს, რომ უმცირესობათა სტრესის დაძლევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხარდამჭერი გარემოს არსებობა, მათ შორის – ოჯახის, მეგობრებისა და თანამოაზრეების სახით. ლგბტქ ჯგუფის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე გარე გავლენების/გარეშე ფაქტორების გავლენის შესწავლის მიზნით, სოციალურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოჯახური გარემოს როლის შესწავლას. როგორც კვლევები აჩვენებს, თავის ნეგატიურად აღქმასა და მის ინტერნალიზებულ ჰომოფობიაში გადაზრდას ხელს უწყობს ლგბტქ ჯგუფის მოლოდინი მშობლების მხრიდან უარყოფაზე, რადგანაც ინტერნალიზებული ჰომოფობია ფსიქოლოგიურ სტრესს ინტერპერსონალური მხარდაჭერის შემცირების ხარჯზე ზრდის, რაც განაპირობებს სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის დამალვას. როგორც ანალიზი აჩვენებს, გეი და ლესბოსელი პირები, რომლებიც ინტერნალიზებული ჰომოფობიის პრობლემაზე საუბრობენ, იშვიათად მიმართავენ ქამინგაუთს ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან.[94]

როგორც მეირეი აღწერს, უმცირესობათა სტრესის დაძლევასა თუ გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირის მიერ საკუთარი იდენტობის გამჟღავნებას გარშემომყოფებისათვის, შესაბამისად, ქამინგაუთი არსებით გავლენას ახდენს როგორც პირის სოციალურ პოზიციონირებაზე გარესამყაროსთან, ისე ძალადობის რისკის წარმოშობასა და სტიგმატიზებაზე, განსაკუთრებით საკუთარ ოჯახში.

ვალენტაინის მნიშვნელოვანი კვლევა ქამინგაუთის შესახებ[95], კრიტიკულად აღწერს ქამინგაუთის ფასს ინტიმური ცხოვრების ისეთ ფუნდამენტურ ნაწილზე, როგორიც არის ინდივიდებს შორის შეკავშირების ღრმა სოციალური ერთობა – ოჯახი. თუმცა ვალენტაინი ქამინგაუთის გამოცდილებაზე საუბრამდე, კრიტიკულად აღწერს თანამედროვე სამყაროში ნეოლიბერალური სისტემისა და ინდივიდუალიზმის გავლენას ოჯახის ინსტიტუტის ცვლილებაზე, რომელიც, ერთი მხრივ, პირის გათავისუფლების იდეას, უფლებებს, თვითგანხორციელებასა და არჩევანს დაეფუძნა, მაგრამ, ამავე დროს, მას მძიმე პირადი პასუხისმგებლობაც დააკისრა საკუთარ განვითარებასა და წარმატებაზე.

ვალენტაინის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში იცვლება ტრადიციული, ნუკლეანური ოჯახების უპირობო დომინაცია და ურთიერთობები განსხვავებუ-

94 Julia A. Puckett, Eva N. Woodward, Ethan H. Mereish, and David W. Pantalone (2015), Parental Rejection Following Sexual Orientation Disclosure: Impact on Internalized Homophobia, Social Support, and Mental Health, LGBT Health Volume 2, Number 3 (short report).

95 Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499.

ლად ვითარდება, ახალმა სისტემამ სინამდვილეში მხოლოდ ოჯახის „ქმნადობის“ (doing families) ფორმები შეცვალა და არა მის შიგნით არსებული იერარქიები. პოსტმოდერნული ოჯახები თუ პოსტოჯახები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ტრადიციული ოჯახისგან მოვალეობებისა და ხანგრძლივობის ხარისხით, თუმცა მისი წევრების სურვილი ინტიმურობაზე, რესურსების გაზიარებასა და პასუხისმგებლობებზე, მაინც დარჩა. შედეგად, მიუხედავად ინდივიდუალიზებისა, დამოკიდებული ბავშვობიდან – დამოუკიდებელ ზრდასრულობამდე ტრანზიცია მრავალ რისკს მოიცავს და ის კვლავ ოჯახებს შიგნით მედიაციას ექვემდებარება. ინდივიდუალიზებულმა მიდგომამ ვერ უზრუნველყო ინდივიდების კეთილდღეობის ხელის შეწყობა. ისეთ პირობებში, როდესაც შრომის ბაზარზე შესვლა სულ უფრო რთულდება, სასკოლო და უმაღლესი განათლება აღარ არის ბაზისური სოციალური სიკეთეებით სარგებლობის საფუძველი, ხოლო სოციალური დაცვის ბენეფიტები ხელმიუწვდომელია, სახელმწიფო ახალგაზრდებს ოჯახებზე ნახევრად დამოკიდებულებაში ტოვებს. ჯონსის მიხედვით, „კეთილდღეობის სახელმწიფოს რესტრუქტურიზებამ და ახალგაზრდებისათვის სოციალური დახმარების შეკვეცამ, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მათ მიერ მშობლების სახლის დატოვებისთვის, ეს პროცესი გააჭიანურა და, ხშირად, შეუძლებელიც გახადა“.[96] თავის ფინანსურად შენახვის შეუძლებლობის გამო, ახალგაზრდები თავიანთ ოჯახებზე ხდებიან დამოკიდებულები, შესაბამისად, იმისათვის, რათა ახალგაზრდებმა დატოვონ ოჯახები, მათ ეს ისევ ოჯახის რესურსების ხარჯზე უნდა გააკეთონ. შედეგად, ახალგაზრდები ხშირად აღწევენ სოციალურ ავტონომიას მშობლებისგან (სოციალური იდენტობის, სექსუალური ურთიერთობების კუთხით), სანამ ფინანსურ და საცხოვრებელ დამოუკიდებლობას შეიქმნიან.[97]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახის, როგორც უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბევრი ახალგაზრდა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანისათვის ოჯახის წინაშე ქამინგაუთი საფრთხის შემცველია, მხარდაჭერის დაკარგვისა და უარყოფის შიშის გამო,[98] რის შედეგადაც ისინი მარტო აღმოჩნდებიან იმ სოციალური გარემოს წინაშე, სადაც სახელმწიფო მათ გვერდით არ დგას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში გეი ან ლესბოსელი ადამიანის გადაწყვეტილება ქამინგაუთზე არ ეფუძნება მხოლოდ მათ ინდივიდუალურ სურვილს, ის ასევე დაკავშირებულია ოჯახის „ქმნადობის“ პროცესზეც, პასუხისმგებლობასა და ურთიერთობაზე ოჯახის წევრებთან. ახალგაზრდებისათვის ოჯახს ცენტრალური ადგილი უჭირავს პირად ცხოვრებაში, მათ შორის, ემოციური

96 Jones G, 2000, „Experimenting with households and inventing `home'“, International Social Science Journal 52(2) 183– 194.

97 Jones G, 1987, ``Leaving the parental home: an analysis of early housing careers'' Journal of Social Policy 16, 49–74; Jones G, 1995 Leaving Home (Open University Press, Buckingham).

98 Finch J, Mason J, (1993) Negotiating Family Responsibilities (Routledge, London).

და ფინანსური მხარდაჭერის გამო, ამიტომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ქამინგაუთზე, პოტენციურ დანაკარგთან არის დაკავშირებული. ამასთან, ახალგაზრდების ემოციური კავშირი ოჯახის წევრების მიმართ, მშობლებისა და დედმამიშვილების დაცვის ვალდებულება ტკივილის, დანაშაულისა და სირცხვილისაგან, არსებით როლს თამაშობს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე.[99]

საინტერესოა, რომ, როგორც წესი, ქამინგაუთის გადაწყვეტილებისას, ლგბტქ ჯგუფის წევრები იშვიათად უზიარებენ მთლიან ოჯახს ინფორმაციას თავიანთი სექსუალობისა თუ იდენტობის შესახებ, არამედ უწევთ, შეარჩიონ ისეთი ადამიანი, რომელიც, გარდა ემოციური მხარდაჭერისა, ასევე გაუმარტივებს ოჯახის დანარჩენ წევრებთან ქამინგაუთის პროცესს, მათი ორიენტაციის შესახებ არაპირდაპირ მიწოდებისა და შემზადების გზით. შესაბამისად, ქამინგაუთი არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი, რომელიც ოჯახის წევრებს და ახლობლებს შორის განგრძობითად იურთიერთქმედებს. როგორც წესი, აღნიშნულ როლს დედა ირგებს, რომელიც საოჯახო სივრცეში ემოციური შრომის მთავარი გამწევია.[100] კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტქ ჯგუფის წევრები ყველაზე იშვიათად მიმართავენ ქამინგაუთს მამასთან, მათგან ძალადობისა და მიუღებლობის უფრო მაღალი რისკის შიშით. ამ შიშის საფუძვლიანობას ადასტურებს სხვა კვლევებიც, რომლებიც მიუთითებს, რომ მამები ყველაზე იშვიათად ამჟღავნებენ მიმღებლურ დამოკიდებულებას ჰომოსექსუალობის მიმართ, ვიდრე დედები და დედმამიშვილები.[101]

შესაბამისად, ვალენტაინის მიხედვით, ქამინგაუთი არის არა მხოლოდ ინდივიდუალური პროცესი, რომლის შედეგებიც ინდივიდუალურ გეი, ბისექსუალ ან ლესბოსელ ადამიანზე აისახება, არამედ გავლენას ახდენს ოჯახისა და მისი წევრების კოლექტიურ იდენტობაზეც. შედეგად, ჰომოფობია არა მხოლოდ ინდივიდის მიერ განიცდება, არამედ მარგინალიზების პროცესად იქცევა, რომელიც სხვებსაც გადაეცემა. ამრიგად, პირადი და ოჯახის იდენტობის დაზიანების, დისკრიმინაციისა და სოციალური ექსკლუზიის შიში მშობლებისთვის ქმნის ბარიერს, შვილების სექსუალური იდენტობის შესახებ განაცხადონ ოჯახის სხვა წევრებისა და საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, ფარულობა (closeted) ხშირად კოლექტიურ სივრცედ იქცევა.[102]

99 Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499.

100 Valentine G, 1997, „“My son’s a bit dizz“. „My wife’s a bit soft“. Gender, children and cultures of parenting” Gender, Place and Culture 4, 37–62.

101 D’Augelli A, Hershberger S, PilkingtonN, 1998,“Lesbian, gay and bisexual youth and their families: disclosure of sexual orientation and its consequences“, American Journal of Orthopsychiatry 68, 361– 371.

102 Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499.

3. კვლევის მიზნები და მეთოდოლოგიური ჩარჩო

3.1. კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევის მიზანია ლგბტქ თემის სოციალური მოწყვლადობის, ეკონომიკური მდგომარეობისა და ძალადობის გამოცდილების შესწავლა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ლგბტქ თემის სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის შესწავლა
- ქამინგაუთთან დაკავშირებული გამოცდილების შესწავლა
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მასშტაბის გამოვლენა, მათ შორის, ძალადობის აღქმის სუბიექტური პერსპექტივის ჩვენება
- ლგბტქ თემის წევრების მიერ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების პროცესში არსებული ბარიერების გამოვლენა
- შრომითი უფლებების დარღვევებისა და დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციული პრაქტიკის შესწავლა და შრომით ბაზარზე შესვლის პროცესში არსებული ბარიერების გამოვლენა
- ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისა და სერვისებით სარგებლობის პროცესში დისკრიმინაციული პრაქტიკების შესწავლა; ასევე, ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სერვისების არსებობისა და მისი ხარისხის შეფასება თემის წევრების საჭიროებებთან მიმართებით
- სოციალური დაცვის სერვისების ეფექტიანობა, მათ შორის, საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხების გამოვლენა და უსახლკარობის გამოცდილების შესწავლა
- ლგბტქ ან/და ქვიარ ფორმალურ და არაფორმალურ აქტივიზმში ჩართულობის მოტივაციების დადგენა, არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის გავლენის შეფასება თემის წევრების პერსპექტივიდან, მათ საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

3.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ სოციოლოგიური კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. თუმცა, თვისებრივი კვლევის მეთოდი (კერძოდ, ფოკუს ჯგუფები) გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის დამხმარე საშუალებად – იმ ცვლადებისა და ინდიკატორების შესამუშავებლად, რომლებიც საფუძვლად დაედო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის (კითხვარის) შექმნას.

კვლევის მეთოდი: სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით, სტრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ლგბტქ ჯგუფზე არსებული რაოდენობრივი კვლევები იყენებს ონლაინ გამოკითხვის ფორმატს, თუმცა, აღნიშნულ კვლევაში, მეტი სანდოობის უზრუნველსაყოფად, უპირატესობა პირისპირი ინტერვიუს მეთოდს მიენიჭა.

კვლევის ობიექტი: კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ლგბტქ თემის წევრებმა. სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- პირი, რომელიც თვითიდენტიფიცირდება, როგორც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან სხვა გენდერული იდენტობის მქონე სუბიექტია
- პირი, რომელიც საველე სამუშაოების ჩატარების ეტაპზე იყო 18 ან მეტი წლის.

ზემოხსენებული კრიტერიუმების მიხედვით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 375-მა რესპონდენტმა, თუმცა მონაცემთა დამუშავებისა და გაწმენდის შედეგად, კვლევისთვის ვალიდური აღმოჩნდა 320 ინტერვიუ. დანარჩენი კითხვარების შემთხვევაში, გამოვლინდა კვლევისათვის შეუსაბამო ან ნაკლული მონაცემები.

3.3. კვლევის ინსტრუმენტი

გამოკითხვის ძირითადი ინსტრუმენტის – კითხვარის – შექმნა რამდენიმე საფეხურად განხორციელდა. პირველ ეტაპზე, თბილისში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები, ლგბტქ თემის სოციალური საჭიროებებისა და გამოცდილებების შესასწავლად, რამაც განსაზღვრა კონკრეტული ინდიკატორები და ცვლადები, რომლებიც შეესაბამებოდა კვლევის მიზნებს, ამოცანებს და, შესაბამისად, განხორციელდა რელევანტური საკითხების ინკლუზია კითხვარში.

გარდა ამისა, კითხვარის პირველადი ვერსიის აგების პროცესი დაეყრდნო სხვა ქვეყნებში ლგბტქი თემატიკაზე ჩატარებულ სანდო და ვალიდურ კვლევებს და მათ ინსტრუმენტებს. გამოვიყენეთ ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს მიერ 2014 წელს გამოცემული კვლევა – European Union Lesbian, gay, bisexual and transgender survey (FRA – European Union Agency for Fundamental Rights, 2014). ასევე, დიდი ბრიტანეთის მთავრობის თანასწორობის ოფისის მიერ ჩატარებული კვლევა – National LGBT Survey (UK Government Equality Office, 2018). ასევე, რეგიონული ლგბტ ორგანიზაციების ILGA Europe-სა და IGLYO-ს მიერ ჩატარებული კვლევა – Social exclusion of young lesbian, gay, bisexual and transgender (LGBT) people in Europe.[103]

103 Judit Takács, ILGA-Europe and IGLYO, Social exclusion of young lesbian, gay, bisexual and transgender (LGBT) people in Europe, 2006.

მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ცალკეული შეკითხვების (ან კითხვათა ბლოკების) სინთეზირება და მისადაგება ადგილობრივ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტთან. ამ მიზნით, კითხვარმა გაიარა ექსპერტული შეფასების პროცესი. კერძოდ, კითხვარის პირველადი ვერსია შესაფასებლად დაეგზავნათ საქართველოში მოქმედ ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციების და ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტებს, კერძოდ, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG); იდენტობა იუს-ის; თანასწორობის მოძრაობის; თანადგომას; თემიდას; RFSL-ისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. ექსპერტებს ეთხოვათ, რომ შეეფასებინათ კითხვარში არსებული ბლოკების რელევანტურობა და ვალიდურობა არსებული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასების შემდეგ, მოხდა კითხვარის გარკვეული ნაწილის მოდიფიცირება, რათა მარტივად გამოსაყენებელი და გასაგები ყოფილიყო.

ექსპერტული შეფასების შემდგომი საფეხური იყო კითხვარის პილოტირება კვლევის სავარაუდო რესპონდენტებთან. პილოტირებული ინტერვიუ ჩატარდა ლგბტქ თემის 15 წევრთან, რის საფუძველზეც, კითხვარში შევიდა გარკვეული მოდიფიცირებები თემატური ბლოკების თანმიმდევრულობის, ენობრივი რედაქტირების და ტერმინთა განმარტებების მხრივ.

საბოლოოდ, გამოყენებული კითხვარი შედგება 16 თემატური სექციისგან და მოიცავს შემდეგ საკითხებს: სოციალურ-დემოგრაფიულს, ქამინგაუთის, ცხოვრებით კმაყოფილების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, განათლების, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების, ჯანდაცვის, მათ შორის, ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის, გენდერის სამართლებრივი აღიარების, სოციალური დაცვის მექანიზმების და ლგბტქ ფორმალური და არაფორმალური აქტივიზმის სექციებს.

კითხვარი ძირითადად წარმოდგენილია დახურული და ნახევრად ღია ფორმის შეკითხვების სახით, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში გამოყენებულია ღია ტიპის შეკითხვები, რომლებიც კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს საშუალებას აძლევდა, დამატებითი ინფორმაცია მოეწოდებინათ თავიანთი გამოცდილებისა და ხედვების შესახებ.

3.4. შერჩევა

რაოდენობრივ კვლევებში, კვლევის შედეგების მთლიან პოპულაციაზე განსაზოგადებლად, გამოიყენება ალბათური შერჩევის მეთოდები, რომელიც შერჩევის სტატისტიკურ ოპერაციებს ეფუძნება. რეპრეზენტატული შერჩევის დროს, შერჩევითი ერთობლიობის პარამეტრები ზუსტად უნდა ასახავდეს გენერალურ ერთობლიობას, რის გამოც მკვლევარს შეუძლია იკვლიოს ადამიანთა მცირე ჯგუფი, თუმცა შედეგები მთელ გენერალურ ერთობლიობაზე განაზოგადოს. მსგავსი ტიპის შერჩევის დროს მნიშვნელოვანია ორი

პრინციპის დაცვა: I) შერჩევის მახასიათებლები ზუსტად უნდა ასახავდეს იმ პოპულაციის მახასიათებლებს, საიდანაც ვიღებთ მონაცემებს; II) პოპულაციაში შემავალ თითოეულ ერთეულს შერჩევაში მოხვედრის თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს. რაც უფრო რთულდება გენერალური ერთობლიობის შესახებ დათვლადი (იდენტიფიცირებადი) მონაცემების მიღება, მით უფრო რთულდება შერჩევაც[104,105].

ლგბტქ პოპულაცია რთულად განსაზღვრებადი და არადათვლადი ჯგუფია, რამდენადაც ინდივიდის გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია თვითგანსაზღვრებადი კატეგორიებია, რის გამოც არ არსებობს (და შეუძლებელია არსებობდეს) ისეთი ტიპის მონაცემთა ბაზები, რომლებიც ლგბტქ თემის გენერალურ ერთობლიობაზე მოგვაწვდიდა ინფორმაციას.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებულია არაალბათობაზე დაფუძნებული, **მიზნობრივი შერჩევის მეთოდი,** რაც ართულებს კვლევის შედეგებზე განზოგადებულად საუბარს და ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების საქართველოში ლგბტქ თემის მთლიან პოპულაციაზე განზოგადებას. ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი იყო თვითიდენტიფიცირებადი ლგბტქ ადამიანების გამოცდილებებისა და საჭიროებების დანახვა და მათი პრობლემების შესახებ მიმანიშნებელი ინფორმაციის მოგროვება. **კვლევაში მიზნობრივი შერჩევა თოვლის გუნდის პრინციპის მეშვეობით განხორციელდა.**

კვლევაში რესპონდენტების გადანაწილება რეგიონების მიხედვით არათანაბარია და მთლიანობაშიც, რეგიონში მცხოვრები თემის წევრების საერთო რიცხვი დაბალია კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა საერთო რაოდენობაზე. მონაცემთა ანალიზის დროს, შეწონვა რეგიონების მიხედვით არ გაგვიკეთებია, რადგან შეწონვის დროს მნიშვნელოვანია ვფლობდეთ ინფორმაციას გენერალური ერთობლიობის ან ჩვენთვის საჭირო ჯგუფების რეალური გადანაწილების შესახებ. შერჩევით ერთობლიობაზე ინფორმაციის არქონის გამო, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რა წილი უკავიათ თემის წევრებს თითოეული რეგიონის საერთო პოპულაციაში. კვლევაში რეგიონის მონაცემები წარმოდგენილია მხოლოდ აღწერილობის მიზნით. მსგავსად ამისა, შეუძლებელია ვისაუბროთ ანალიზის პროცესში გამოყენებული კონფიდენციალობის ინტერვალებისა და სტატისტიკური ტესტების სიზუსტეზე, რადგან მონაცემები არ ეფუძნებოდა რეპრეზენტატულ შერჩევას.

ვინაიდან კვლევაში რესპონდენტების მოძიება სათემო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოხდა, მცდელობის მიუხედავად, რომ კვლევაში დაგვეფარა ყველა ასაკობრივი ჯგუფი, რესპონდენტთა უმეტესობა 18-23 და 24-29 წლის ასა-

104 Rohwer, G. (2010). Models in Statistical Social Research (Social Research Today). Routledge.
105 Singh, K. (2007). Quantitative Social Research Methods. Sage Publications Pvt. Ltd.

კობრივ ჯგუფშია გადანაწილებული. ამასთან, შერჩევის ბუნებიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა, შესაძლოა, ზუსტად ვერ აღწერდეს იმ ლგბტქ ადამიანების საჭიროებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც არ იცნობენ სათემო ორგანიზაციებს ან არ აქვთ ინფორმაცია მათ შესახებ (მათი წილი, ვინც არ იცნობს სათემო ორგანიზაციებს საქართველოში, მოცემული გამოკითხვის ფარგლებში 5.6%-ით არის წარმოდგენილი – სულ 18 რესპონდენტით).

საველე სამუშაოები: საველე სამუშაოებმა 20-მდე ინტერვიუერი მოიცვა. მონაცემების მოპოვება ველზე ბეჭდური კითხვარის საფუძველზე მიმდინარეობდა. საველე სამუშაოები ჩატარდა 2019 წლის სექტემბრიდან – დეკემბრის ჩათვლით.

მონაცემთა მოწესრიგება და ანალიზი: საველე სამუშაოების პარალელურად, მიმდინარეობდა მონაცემთა ბადის შექმნა SPSS პროგრამის გამოყენებით და მონაცემების შეყვანა სისტემაში. მონაცემთა შეყვანის შემდეგ ისინი გავამზადეთ ანალიზისთვის, რაც მოიცავდა ღია შეკითხვის პასუხების კოდირებას და მონაცემთა გაწმენდას.

რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავიანთი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია პასუხის დამატების შესაძლებობით დაეზუსტებინათ. რესპონდენტები მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სტატუსის ქვეშ დავაჯგუფეთ. კვლევის ლიმიტებიდან გამომდინარე, მითითებული იდენტობები სხვა ქოლგა იდენტობების ქვეშ დაჯგუფდა. გენდერული იდენტობის ქვეშ გამოიყო ტრანს კატეგორია, რომელმაც, კვლევის მიზნებისთვის, თავის მხრივ, მოიცვა ტრანსგენდერი ქალის (MtF), ტრანსგენდერი კაცის (FtM) და არაბინარული/აგენდერი/გენდერქვიარი/გენდერფლუიდი ჯგუფის გაერთიანება. გარკვეულ შემთხვევებში, ტრანს იდენტობა, რომელიც მოიცავდა გენდერფლუიდს, არაბინარულს, გენდერქვიარს და სხვა იდენტობებს, პარალელურად მოიაზრებდნენ საკუთარ თავს ლგბ კატეგორიაში. ასეთ შემთხვევებში, რესპოდენტთა გამოცდილებები იმ იდენტობასთან მიმართებით გაანალიზდა, რომელიც მათ შემთხვევაში იყო მოწყვლადობის განმაპირობებელი.

რესპონდენტების კრიტიკულად მცირე რაოდენობის გამო, ანალიზის დროს ინტერსექს კატეგორიის კვლევის განხორციელება ვერ მოხერხდა, ერთი მხრივ, სტატისტიკურად არასაკმარისი მონაცემების, მეორე მხრივ კი, რესპონდენტთა ანონიმურობის დარღვევის რისკის თავიდან ასარიდებლად.

მიგვაჩნია, რომ ლგბტქი+ თემის ფიქსირებულ ჯგუფებად დაყოფა არ არის ამ ჯგუფის შესწავლის ობიექტური მეთოდი. თუმცა, რაოდენობრივი კვლევის მეთოდური შეზღუდულობის გამო, იდენტობათა უფრო ფართო ქოლგების ქვეშ გაერთიანებას მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობა ენიჭება, იდენტობაზე დაფუძნებული სოციალური მოწყვლადობისა და ძალადობრივი გამოცდილებების გამოვლენის მიზნით.

4. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

4.1. სოციოდემოგრაფიული მახასიათებლები

წინამდებარე რაოდენობრივ კვლევაში 370-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა მონაცემთა შემოწმებისა და გაფილტვრის შემდეგ, ანალიზის ეტაპისთვის 320 ინტერვიუ გამოდგა ვალიდური. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები 320 რესპონდენტის მონაცემებს ასახავს.

მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, ასაკის ცვლადი 5 კატეგორიად დაჯგუფდა, რომელთა შორისაც რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: თითქმის თანაბარია 18-23 წლის და 24-29 წლის გამოკითხული რესპონდენტების წილი (18-23 წლამდე – 43.8%, ხოლო 24-29 წლის – 42.8%). კვლევაში 30-35 წლის რესპონდენტების საერთო წილი 8.8%-ია. 36-41 წლის რესპონდენტები გამოკითხულთა 2.5%-ს შეადგენენ, 42 და 42+ რესპონდენტები კვლევაში წარმოდგენილნი არიან 2.2%-ით.

დიაგრამა №1. რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება (%).



რაც შეეხება რესპონდენტების გენდერული იდენტობების მიხედვით განაწილებას, გამოკითხული რესპონდენტების 33.8% სისგენდერი ქალია, 37.5% – სისგენდერი კაცი, არაბინარული/გენდერქვიარი/აგენდერი/გენდერფლუიდი რესპოდენტთა 17.2%-ია, ტრანსგედერი ქალი 7.5%-ია, ხოლო ტრანსგენდერი კაცი – 3.1%. რესპონდენტთა 0.9%-მა (0.3% – ქვიარი; 0.6% – არ ვიცი) ამ შეკითხვაზე პასუხად „სხვა“ ვარიანტი ან „არ ვიცი“ მიუთითა.

დიაგრამა №2. რესპონდენტების განაწილება გენდერული იდენტობის მიხედვით.



სექსუალური ორიენტაციის მიხედვით რესპონდენტთა განაწილებას შემდეგი სახე აქვს: გამოკითხული რესპონდენტების 34.7% საკუთარ თავს გეი ჯგუფს მიაკუთვნებს, 29.4% კი -ლესბოსელ ჯგუფს, ბისექსუალი რესპონდენტების საერთო რაოდენობა 21.9%-ს შეადგენს, საიდანაც 12.2% ბისექსუალი ქალი, ხოლო 9.7% ბისექსუალი კაცია. კვლევაში ჰეტეროსექსუალი რესპონდენტების რიცხვი 9.4%-ია, თითოეული მათგანი *გენდერული იდენტობის მიხედვით* თავს ტრანსგენდერ ქალად ან ტრანს-გენდერ კაცად განსაზღვრავს. რესპონდენტების 3.8%-მა სექსუალურ ორიენტაციად „პანსექსუალობა“ განსაზღვრა, ხოლო 0.9%-მა – ქვიარი. იხილეთ დიაგრამა №3.

დიაგრამა №3. რესპონდენტების განაწილება სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.



გარდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა, კითხვარში ყურადღება დაეთმო თემის წევრების თვითაღქმას ქვიარობასა და ქვიარობის კონკ-რეტულ დეფიციინიებთან. მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტების 72.5% თავს ქვი-არად აღიქვამს, 22.2% -მა აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 5.3%-ს გაუჭირდა შეკითხვაზე ცალსახა პასუხის მითითება.

ამავე დროს, იმის უკეთ გასაგებად, თუ რა მნიშვნელობით იყენებდნენ რესპონდენ-ტები „ქვიარის“ აღმნიშვნელს, კვლევის პროცესში მათ მიეცათ შესაძლებლობა,

საკუთარი პოზიცია გამოეხატათ „ქვიარის“ ოთხ სხვადასხვა განმარტებასთან მიმართებით. ეს განმარტებები დაეფუძნა ტერმინის თეორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ გამოყენებას,[106] რომელიც ასახავს მარტივ დებულებებს, და თანხვედრაშია, ერთი მხრივ, ქვიარ თეორიასა და ქვიარ აქტივიზმის გაგებასთან, მეორე მხრივ კი, კულტურულ აღმნიშვნელთან და შესაბამისად, გათანაბრებულია იდენტობასთან.

შედეგად, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი **ეთანხმება** დებულებებს, რომ (1) „ქვიარი ქოლგა ტერმინია და მოიცავს ლგბტქ+ სპექტრს“ (61.6%) და (2) „ქვიარობა არის ლგბტ აქტივიზმის ფორმა, რომლის მთავარი მიზანი ჰომოფობიასთან ბრძოლაა“ (52.5%). განსაკუთრებით საინტერესოა, რომ რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი არ ეთანხმება დებულებას, რომ „ქვიარობა რადიკალური მემარცხენე პოლიტიკური აქტივიზმის ფორმაა, რომლის ერთ-ერთი მიზანი სოციალური სამართლიანობის მიღწევა და ჰეტეროპატრიარქატულ წესრიგთან დაპირისპირებაა“ (50.6%). ამ შედეგების მიხედვით, ერთი მხრივ, ფაქტობრივად უარყოფილია ქვიარობის, როგორც ნორმატიულობის კრიტიკაზე დაფუძნებული მიდგომისა და, მეორე მხრივ კი, ქვიარ თეორიის იდეა, რომ „ქვიარ ბრძოლის მიზანი ტოლერანტობისა და თანაბარი სტატუსის მოპოვება კი არ არის, არამედ ამ ინსტიტუტებისა და წარმოდგენების რღვევა“,[107] ამასთან, მეტად მიღებულია მისი იდენტობად განსაზღვრა. დეტალური განაწილება იხილეთ ცხრილში №1.

ცხრილი №1. ქვიარობის კონკრეტული დეფინიციები და რესპონდენტთა პასუხების განაწილება (მონაცემები ნაჩვენებია პროცენტებში %).

	დებულება	ეთანხმება	არ ეთანხმება	უჭირს პასუხის გაცემა
1	ქვიარი არის ქოლგა ტერმინი და მოიცავს ლგბტ+ სპექტრს	61.6%	32.5%	5.9%
2	ქვიარი უპირისპირდება ადამიანთა სექსუალობების მიხედვით დაჯგუფებას	41.9%	46.3%	11.9%
3	ქვიარობა არის რადიკალური მემარცხენე პოლიტიკური აქტივიზმის ფორმა, რომლის მთავარი მიზანი სოციალური სამართლიანობის მიღწევა და ჰეტეროპატრიარქატულ წესრიგთან დაპირისპირებაა	38.4%	50.6%	10.9%
4	ქვიარობა არის ლგბტ აქტივიზმის ფორმა, რომლის მთავარი მიზანი ჰომოფობიასთან ბრძოლაა	52.5%	41.9%	5.6%

106 Wickman, J. (2010). Queer Activism – what might that me? Trikster #4.

107 Warner, M. (1993). Fear of a Queer Planet: Queer Politics and Social Theory . London: University of Minnesota Press

რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას, კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა (52.2%) არ არის ურთიერთობაში სხვასთან, ხოლო 46% – ურთიერთობაშია სხვა ადამიანთან (საიდანაც, 31.9% არ ცხოვრობს პარტნიორთან, ხოლო 14.1% ცხოვრობს პარტნიორთან ერთად). შემდეგი პოზიცია ქორწინებაში მყოფის კატეგორიამ დაიკავა, რომელშიც გამოკითხულთა 1.6% გაერთიანდა. რაც შეეხება განქორწინებული რესპონდენტების რიცხვს, მათი წილი გამოკითხულ რესპონდენტებში მცირეა და 0.3%-ს შეადგენს.

დიაგრამა №4. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობა.



კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა (ცხრილი №2), რომ იდენტობების მიხედვით, ურთიერთობაში არმყოფი რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი ბისექსუალი ქალი რესპონდენტები არიან (73.0%), შემდეგ კი გეი რესპონდენტები (59.1%); ხოლო, მათგან, ვინც პარტნიორულ ურთიერთობაში არიან და არ ცხოვრობენ პარტნიორთან ერთად, ყველაზე დიდ ნაწილს ბისექსუალი კაცი (45.2%) და ლესბოსელი (39.8%) რესპონდენტები შეადგენენ. მაღალია ლესბოსელი და გეი რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც ცხოვრობენ პარტნიორთან (18.3% და 15.5%). ოჯახური მდგომარეობის დეტალური განაწილება რესპონდენტების იდენტობების მიხედვით, იხილეთ ცხრილში №2.

ცხრილი №2. რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობის განაწილება მათი იდენტობების მიხედვით (N=320)[108].

	არ არის ურთიერთობაში	ურთიერთობაშია (არ ცხოვრობს პარტნიორთან)	ურთიერთობაშია (ცხოვრობს პარტნიორთან)	განქორწინებულია	ქორწინებაშია	რესპონდენტთა რაოდენობა n
ლესბოსელი	41.9%	39.8%	18.3%	0.0%	0.0%	93
გეი	59.1%	24.5%	15.5%	0.0%	0.9%	110
ბისექსუალი ქალი	73.0%	18.9%	2.7%	0.0%	5.4%	37
ბისექსუალი კაცი	41.9%	45.2%	9.7%	0.0%	3.2%	31
ტრანსგენდერი	50.0%	32.4%	11.8%	2.9%	2.9%	34
სხვა	40.0%	40.0%	20.0%	0.0%	0.0%	15

რესპოდენტების 49.7% ოჯახთან/მშობლებთან ერთად ცხოვრობს, 28.7 – მარტო, 21.3% -თანაზიარ სივრცეში (რუმმეითთან), 0.3% კი – ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო დაწესებულებაში (კრიზისული ცენტრი/თავშესაფარი).

გამოკითხული რესპონდენტებიდან მხოლოდ 4.1%-ს ჰყავს შვილი ან შვილები, მათი 69.4% ბისექსუალი რესპონდენტია. რესპონდენტების 91.7%, რომელთაც ჰყავთ შვილი ან შვილები (n=13), არ ცხოვრობენ თავიანთ შვილებთან ერთად.

ეთნიკური მიკუთვნებულობის მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობა (94.1%) თავს ქართველთა ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებს, 1.9% – რუსებს, 0.9% – სომხებს, სხვა კატეგორიაში გამოკითხულთა მხოლოდ 3.1% გაერთიანდა.

რესპონდენტთა რელიგიური მიკუთვნებულობის დასადგენად, პასუხები შეთავაზებულ კატეგორიებზე შემდეგნაირად განადაწილდა: რესპონდენტთა უმრავლესობა – 37.5%, თავს ათეისტად მიიჩნევს, ასევე მაღალია რესპოდენტთა რიცხვი, რომელიც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს. დეტალური განაწილებისთვის, იხილეთ დიაგრამა №5.

108 რესპონდენტების იდენტობები კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შემცირდა 5 ძირითად კატეგორიამდე: ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ქალი, ბისექსუალი კაცი და ტრანსგენდერი. რესპონდენტები სხვა იდენტობების მიხედვით, საერთო შერჩევის 4.7%-ს შეადგენდნენ, რის გამოც მათი მონაცემები წარმოდგენილია გაერთიანებულად, „სხვა“ კატეგორიაში.

დიაგრამა №5. რესპონდენტების რელიგიური მიკუთვნებულობა.

რაც შეეხება რესპონდენტების განაწილებას **საცხოვრებელი ადგილის** მიხედვით, კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 66.9% კვლევის საველე სამუშაოების ჩატარების დროს, თბილისში ცხოვრობდა. რეგიონების მიხედვით, კვლევაში თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილნი რესპონდენტები, რომლებიც ცხოვრობენ იმერეთის (10%) და აჭარის (9.4%) რეგიონებში. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რესპონდენტების 5.6%, ხოლო გურიის რეგიონში 3.1% ცხოვრობს. საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები რესპონდენტების საერთო რაოდენობა 2.5%-ს შეადგენს. ასევე, ემიგრანტი რესპონდენტების რიცხვი კვლევაში წარმოდგენილია 2.5%-ით (N=310). გამოკითხული რესპონდენტების 49.7% მითითებულ რეგიონში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცხოვრობს.

დიაგრამა №6. რესპონდენტების განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით (მონაცემები წარმოდგენილია პროცენტებში, %).



რესპონდენტებთან, რომლებმაც 5 წლის განმავლობაში შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი (50.4%, n=161), დაზუსტდა ძირითადი მიზეზები, რამაც განაპირობა მათი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მათგან, 58.6% საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ძირითად მიზეზად სასწავლებლის/სამუშაოს სხვა რეგიონში მდებარეობას

ასახელებს, 8.9%-ის შემთხვევაში, მიგრაცია დასაქმების შესაძლებლობის მეტი პერსპექტივითაა განპირობებული, 8.3%-ის შემთხვევაში, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა შეიარაღებულმა კონფლიქტმა განაპირობა, ხოლო **7.6% საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მთავარ მიზეზად ზოგად ჰომობიურ გარემოს ასახელებს.**

კვლევის ჩატარების მომენტისთვის რესპონდენტების 49.7% მშობლებთან/ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, 50% კი დამოუკიდებლად – მარტო ან მესამე ადამიანთან ერთად თანაზიარობაში.

დიაგრამა № 6.1. რესპონდენტების განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.



განათლების დონის შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ უფრო დიდ ნაწილს (45.9%) აქვს უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი მინიჭებული). 31.3%-ს კი, საველე სამუშაოების ჩატარების პროცესში, არასრული უმაღლესი განათლების სტატუსი ჰქონდა, გამოკითხულთა 11.9%-ისთვის განათლების ყველაზე მაღალი საფეხურია სრული საშუალო განათლება. 8.8%-ს მიღებული აქვს პროფესიული განათლება. იხილეთ დიაგრამა №7.

დიაგრამა №7. განათლების მიღწეული დონე რესპონდენტებში (მონაცემები გამოსახულია პროცენტებში, %).



4.1.1. შემოსავლები

გამოკითხულთა თითქმის მესამედის (29.1%) შემოსავლის ოდენობა 251 ლარიდან 600 ლარის ჩათვლით კატეგორიაში ერთიანდება. რესპონდენტების 27.5% მიუთითებს, რომ მათი შემოსავალი 601-1000 ლარის დიაპაზონში ექცევა. მეხუთედზე მეტის (22.2%) შემთხვევაში კი, ეს თანხა 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით კატეგორიაშია მოქცეული. დანარჩენ კატეგორიებში განაწილებული მონაცემები 10%-ზე ნაკლებია. დეტალური მონაცემები იხილეთ დიაგრამაში №8.

დიაგრამა №8. რესპონდენტების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი (% პროცენტებში, N=320).



დიაგრამა №9. შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით.[109]



109 შემთხვევათა სიმცირის გამო, პასუხების ცალკეული ვარიანტები გაერთიანდა ერთ კატეგორიაში (3 ქვემო ქართლი და 4 შიდა ქართლი გაერთიანდა „სხვა“ კატეგორიაში) მე-5, მე-6, მე-8 და მე-11 პასუხის ვარიანტები ვერ მოხვდა ანალიზის პროცესში, კვლევის შერჩევიდან გამომდინარე.

ცხრილი №3. შემოსავლების განაწილება რესპონდენტების იდენტობების მიხედვით.

	2001 ლარი და მეტი	1001-დან 2000 ლარის ჩათვლით	601-დან 1000 ლარის ჩათვლით	251-დან 600 ლარის ჩათვლით	1-დან 250 ლარის ჩათვლით	შემოსავლის გარეშე (0 ლარი)	n, რაოდენობა
ლესბოსელი	9.7%	28.0%	36.6%	17.2%	6.5%	2.2%	93
გეი	11.8%	20.9%	22.7%	38.2%	6.4%	0%	110
ბისექსუალი ქალი	18.9%	5.4%	16.2%	40.5%	13.5%	5.4%	37
ბისექსუალი კაცი	16.2%	35.5%	25.8%	22.6%	0%	0%	31
ტრანსგენდერი	23.5%	11.8%	32.4%	23.5%	8.8%	0%	34
სხვა	6.7%	33.3%	26.7%	33.3%	0%	0%	15
LGBT ჯამი:	13.5%	22.2%	27.5%	29.1%	6.6%	1.3%	320

ყურადსაღებია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (46.3%) მიუთითებს, რომ შემოსავალი, რომელსაც ის საშუალოდ იღებს, მხოლოდ კვებასა და ტანსაცმელზე ჰყოფნის, და ძვირადღირებული ნივთების შეძენას ვერ ახერხებს. მეხუთედზე მეტის (23.4%) შეფასებით, მიმდინარე შემოსავალი მხოლოდ კვებასა და სახლის მინიმალურ საჭიროებებზე ჰყოფნით, თუმცა არა ტანსაცმელზე. გამოკითხულთა 16.6%-ს შემოსავლის არსებული ოდენობით ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა შეუძლია, მაგრამ მანქანის ყიდვას ვერ მოახერხებს. შემდგომ კატეგორიაში გაერთიანებულ რესპონდენტებს თანხა საკვებზეც კი არ ჰყოფნით (7.8%), ხოლო გამოკითხულთა 5.3% არსებული შემოსავლით ახერხებს შეიძინოს ნებისმიერ რამ, რაც სურს. რესპონდენტთა 0.6%-მა პასუხზე უარი განაცხადა.

კითხვაზე, რომელიც შემოსავლების წყაროს ეხებოდა, რესპოდენტთა 74.7%-მა წყაროდ ხელფასი მიუთითა. რესპოდენტთა 38.8%-თვის შემოსავლის წყარო ოჯახის წევრები არიან. ყველაზე მინიმალურად რესპონდენტები სოციალურად დაუცველის შემწეობას იღებენ. ამ კატეგორიაში გამოკითხულთა მხოლოდ 0.6%-ია გაერთიანებული.

დიაგრამა №10. რესპონდენტების შემოსავლების წყაროები.



დიაგრამა №11. რესპონდენტების საშუალო დანახარჯი გასულ თვეში.



კვლევა აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობის შემოსავალი აქვთ რესპონდეტებს, მათი თვიური დანახარჯი, მეტწილად, შემოსავლის ოდენობის ანალოგია, რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, შემოსავლებიდან თანხა სამომავლოდ სხვა საჭიროებებისთვის გადაინახონ. ამას ისიც ადასტურებს, რომ **გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 26.6%-ს (n=85, N=320) აქვს პირადი დანაზოგი, ხოლო *ვალი (ან ფინანსური ვალდებულება)* აქვს რესპონდენტების 45.0%-ს.**

ზოგადი კეთილდღეობისა და შემოსავლების გადაკვეთის ჭრილში, საინტერესოა, რომ რესპონდენტების მხოლოდ 68.4%-ს აქვს შესაძლებლობა ზამთრის და ზაფხულის კურორტებზე დაისვენოს. ხოლო, გამოკითხულთა 49.1%-ს არასდროს უმოგზაურია საქართველოს ფარგლებს გარეთ საკუთარი სახსრებით. ასევე, საინტერესო მონაცემია ისიც, რომ ინტერნეტზე სრულყოფილი წვდომა აქვს რესპონდენტების **96.1%-ს**; საკუთარი პერსონალური კომპიუტერი კი აქვს რესპონდენტების მხოლოდ **68.8%-ს**.

4.1.2. ცხოვრებით კმაყოფილება

კვლევის ფარგლებში შეფასდა გამოკითხული რესპონდენტების მხრიდან **საკუთარი ბედნიერების აღქმა** 10-ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა „არ ვარ ბედნიერი“, ხოლო 10 – „ვარ ბედნიერი“. 10-ბალიანი სკალიდან, ბედნიერების სკალის საშუალო ინდექსი გამოკითხულ რესპონდენტებში 5.9 ქულაა (St.d 2.08; Med. 6.0;). საინტერესოა, რომ ამ მონაცემთან შედარებით, CRRC-ის „კავკასიის ბარომეტრის“ მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ, უფრო ბედნიერად გრძნობს თავს, ვიდრე – უბედურად, კერძოდ 10-ქულიან შკალაზე, ბედნიერების მონაცემი 7.31-ს უდრის 2019 წლის მონაცემებით[110].

დიაგრამა №12. რესპონდენტების ბედნიერების ქულების განაწილება 5-ბალიან სკალაზე.

ხართ თუ არა ბედნიერი?



რაც შეეხება ბედნიერების ქულების განაწილებას რესპონდენტების იდენტობების მიხედვით, გამოკითხული ლესბოსელი რესპონდენტების შემთხვევაში 28% პასუხობს, რომ უფრო ბედნიერია, ვიდრე არ არის ბედნიერი, ხოლო 17.2%-მა მიუთითა, რომ უფრო არ არის ბედნიერი, ვიდრე არის. ამავე დროს, ზუსტად 17.2%-მა მიუთითა, რომ ბედნიერია, ხოლო 5.4%-მა „არ ვარ ბედნიერი“ კატეგორია აირჩია.

გეი რესპონდენტების შემთხვევაში, ლესბოსელი რესპონდენტებისგან განსხვავებით, უფრო მაღალია პასუხის ისეთი კატეგორიის წილი, როგორიცაა „უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე არ ვარ“ (37.3%). 21.8%-მა კი მიუთითა, რომ უფრო არ გრძნობენ თავს ბედნიერად, ვიდრე გრძნობენ.

საკუთარი ბედნიერების აღქმაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა ბისექსუალ ქალ და ბისექსუალ კაც რესპონდენტებს შორის. **ბისექსუალი კაცი რესპონდენტების ნახევარზე მეტი (64.5%) თავს უფრო ბედნიერად მიიჩნევს, ვიდრე უბედურად, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ბისექსუალი ქალი რესპონდენტების შემთხვევაში თითქმის**

110 CRRC, Caucasus Barometer, 2020

მეოთხედს შეადგენს (27%). ამასთან, საკუთარი ცხოვრებით უფრო არ არის ბედნიერი ბისექსუალი ქალების 18.9%, რაც ბისექსუალი კაცი რესპონდენტების შემთხვევაში 9.7%-ია.

ტრანსგენდერი რესპონდენტების შემთხვევაში, უფრო მაღალია იმ რესპონდენტების წილი, რომლებმაც „არ ვარ ბედნიერი“ ან „უფრო არ ვარ ბედნიერი“ კატეგორიები აირჩია, ასეთი რესპონდენტების რაოდენობა 41.2%-ია (არ ვარ ბედნიერი – 11.8%, უფრო არ ვარ ბედნიერი – 29.4%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №13. (საშუალოების შედარების სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig=0.001)).

დიაგრამა №13. ბედნიერების სკალის ქულების განაწილება იდენტობების მიხედვით.



რესპონდენტებს ვკითხეთ, რამდენად კომფორტულად გრძნობენ თავს საქართველოში. იმ რესპონდენტების წილი, რომლებმაც პასუხად „ძალიან არაკომფორტულად“ ან „არაკომფორტულად“ მონიშნეს, მნიშვნელოვნად აღემატება იმ რესპონდენტების წილს, რომლებმაც ამ შეკითხვაზე „კომფორტულად“ ან „ძალიან კომფორტულად“ პასუხები შეარჩიეს (ძალიან არაკომფორტულად/არაკომფორტულად – 37.2%; კომფორტულად/ძალიან კომფორტულად – 25.7%), ხოლო, ნაწილობრივ კომფორტულად და ნაწილობრივ არაკომფორტულად პასუხი რესპონდენტების 40.0%-მა აირჩია.

კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ **საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ტრანსგენდერ რესპონდენტებში გვხვდება – ძალიან არაკომფორტულად (20.6%) და არაკომფორტულად (35.3%).** დეტალური განაწი-

ლება იხილეთ ცხრილში №4. ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.=0.00).

ცხრილი №4. საქართველოში ცხოვრების შეფასების განაწილება რესპონდენტების იდენტობების მიხედვით.

რესპოდენტთა იდენტობა	ძალიან არაკომფორტულად	არაკომფორტულად	ნაწილობრივ კომფორტულად, ნაწილობრივ არაკომფორტულად	კომფორტულად	ძალიან კომფორტულად	სხვა (უარი პასუხზე / არ ვიცი)
ლესბოსელი	10.8%	16.1%	51.6%	19.4%	2.2%	0%
გეი	15.5%	23.6%	31.8%	25.5%	1.8%	1.8%
ბისექსუალი ქალი	5.4%	37.8%	40.5%	16.2%	0.0%	0%
ბისექსუალი კაცი	9.7%	22.6%	45.2%	19.4%	3.2%	0%
ტრანსგენდერი	20.6%	35.3%	35.3%	2.9%	0.0%	5.9%
სხვა	20.0%	20.0%	26.7%	26.7%	6.7%	0%

ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტების 44.4%-მა აღნიშნა, რომ, შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, საქართველოს სამუდამოდ დატოვებდნენ, მათგან 70.9%-მა ქვეყნის დატოვების მნიშვნელოვან ფაქტორად **ეკონომიკური მიზეზი,** 66.5%-მა – **საქართველოში არსებული ჰომოფობიური გარემო,** 45.2%-მა – **განათლების დაბალი ხარისხი,** ხოლო 38.0%-მა **ჯანდაცვის დაბალი ხარისხი** დაასახელა. 86.2%-მა კი, ქვეყნის დატოვების მნიშვნელოვან მიზეზად უკეთესი ცხოვრების მოლოდინი მიუთითა.

ცხოვრებით კმაყოფილებისა და ზოგადი კეთილდღეობის ჭრილში რესპოდენტებს ქორწინების უფლებასთან დაკავშირებითაც დაესვათ კითხვა. როგორც კვლევა აჩვენებს, ქორწინების ინსტიტუტით სარგებლობის სურვილი რესპონდენტების 48.4%-ს აქვს, მათგან 36.2% მიიჩნევს, რომ ქორწინების ინსტიტუტის არარსებობა მათ აუღიარებლობის განცდას უქმნით, ხოლო 23.0%-ს მიაჩნია, რომ ინსტიტუტის არარსებობა შვილად აყვანის უფლებას ზღუდავს. ასევე, 17.2% ამბობს, რომ მათთვის ქორწინების ინსტიტუტის არარსებობა, პარტნიორულ ურთიერთობებში არასტაბილურობის განცდას უჩენს.

რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ დაესახელებინათ **ის უმთავრესი ფაქტორი, რაც საკუთარი იდენტობით თავისუფლად ცხოვრების საშუალებას მისცემდათ.** ამ მხრივ, რესპონდენტების 28.5%-მა მშობლების/ოჯახის მხარდაჭერა დაასახელა, 28.2%-მა -სახელმწიფოს მხრიდან დეკლარირებული მხარდაჭერა, 20.5%-მა – სოციალური კეთილდღეობა, ხოლო 11.4%-მა სოციალური კაპიტალის გაზრდა, რაც არსებითად წინა კითხვის ნაწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. იხ. დიაგრამა №14.

დიაგრამა №14. ფაქტორები, რომლებიც რესპონდენტებს საკუთარი ცხოვრებით თავისუფლად ცხოვრების საშუალებას მისცემდა.



4.2. ნდობა სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ

ძირითადი მიგნებები:

- ლგბტქ ჯგუფის წევრების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა არსებითად დაბალია.
- რესპოდენტების 82% არ ენდობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას.
- რესპოდენტების 79% არ ენდობა საქართველოს პარლამენტს.
- რესპოდენტების 68% არ ენდობა სასამართლოს.
- რესპოდენტთა 74% არ ენდობა საქართველოს პროკურატურას, ხოლო 66% არ ენდობა შინაგან საქმეთა სამინისტროს/პოლიციას. აღნიშნულ სტრუქტურებს გამოკითხულთა მხოლოდ 5 და 6% ენდობა.
- ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს უფლებამდაცველი ლგბტქი სათემო ორგანიზაციები (65%) და უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები (60%).
- ნდობის საშუალო მაჩვენებლით სარგებლობს საქართველოს სახალხო დამცველი, მას გამოკითხულთა 39% ენდობა.

- **რესპონდენტების დიდი ნაწილის, კერძოდ, 42.8%-ის აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში სტიგმა და წინასწარგანწყობა ლგბტქ თემის მიმართ შემცირდა ან უფრო შემცირდა, ვიდრე გაიზარდა.**
- **გამოკითხულთა დიდი ნაწილი (36.2%) მიიჩნევს, რომ ძალადობა და დისკრიმინაცია ლგბტქ თემის მიმართ, ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა ან უფრო გაიზარდა, ვიდრე შემცირდა, ხოლო 29.4% ამ მაჩვენებლის შემცირებისკენ მიუთითებს.**

ლგბტქ თემის მიმართ არსებული ინსტიტუციური ჰომო/ტრანსფობიის გამო, კვლევისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ ნდობის ხარისხის შესწავლას. რესპონდენტების ნდობის მაჩვენებლები სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ საქართველოში შეფასდა ლიკერტის 5-ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა – არ ვენდობი, ხოლო 5 – ვენდობი.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამართალმდაცავი სტრუქტურებისადმი ნდობის საშუალო მაჩვენებელი ლგბტქ თემში 1.73-ია (N=310), რაც იმას ნიშნავს, რომ თემის დიდი ნაწილი (74.1%) საერთოდ არ ენდობა ან უფრო არ ენდობა სამართალდამცავ ორგანოებს.

გამოკითხული რესპონდენტების მიხედვით, ყველაზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი გამოიკვეთა შემდეგი ინსტიტუციების მიმართ: საქართველოს პარლამენტი (საშ. 1.53); საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება (1.61); შინაგან საქმეთა სამინისტრო (1.88); საქართველოს პროკურატურა (1.69); სასამართლო (1.88); ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საპატრიარქოს ინსტიტუციის მიმართ გამოვლინდა (1.15), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე შეკითხვას რესპონდენტების მხოლოდ 2/3-მა ნაწილმა უპასუხა (N=227).

ნდობის ნაწილში, დაბალი მაჩვენებელი გამოიკვეთა მედიის ინსტიტუტის მიმართ, საშუალო ქულა – 2.09; ნდობის საშუალო მაჩვენებელთანაა მიახლოებული შეფასება **საქართველოს სახალხო დამცველის** ინსტიტუტის მიმართ – 2.79.

რაც შეეხება ინსტიტუტებს, რომლებსაც გამოკითხული რესპონდენტები უფრო ენდობიან, ვიდრე არ ენდობიან, ასეთ კატეგორიაში მოხვდა **უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები** (საშუალო ქულა: 3.53) და **ლგბტქი+** სათემო ორგანიზაციები (საშუალო ქულა: 3.76). დეტალური განაწილებისთვის იხილეთ დიაგრამა №15.

დიაგრამა №15. სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ ნდობის მაჩვენებელი.



საინტერესოა, რომ სრულიად საპირისპიროა ნდობის მაჩვენებლები საქართველოს ზოგად მოსახლეობაში. თუ წინამდებარე კვლევით, პოლიციას ყველაზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი აქვს, „კავკასიის ბარომეტრის“ 2019 წლის მონაცემებით, ზოგად მოსახლეობაში სხვა სტრუქტურებთან ერთად, ყველაზე დიდი ნდობით სწორედ პოლიცია სარგებლობს, ხოლო არასამთავრობო უფლებადაცვითი ორგანიზაციები ყველაზე ნაკლები ნდობით. იხილეთ CRRC-ის „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემები:

რამდენად ენდობით ან არ ენდობით...
„კავკასიის ბარომეტრის“ 2019 წლის ტალღა



წყარო: CRRC, კავკასიის ბარომეტრი, 2019 წლის ტალღა

გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ლგბტქ ჯგუფის მიმართ სტიგმისა და წინასწარგანწყობების ცვლილებების ტენდენცია. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილის (42.8%) (N=320) აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში სტიგმა და წინასწარგანწყობა ლგბტქ თემის მიმართ **შემცირდა** ან **უფრო შემცირდა, ვიდრე გაიზარდა.** ნეიტრალური პოზიცია გამოხატა რესპონდენტების 25.3%-მა, ხოლო გამოკითხული რესპონდენტების 29.1% ფიქრობს, რომ სტიგმა და წინასწარგანწყობები თემის მიმართ ბოლო 5 წლის განმავლობაში გაზრდილია.

მსგავსი შეკითხვა დაესვათ რესპონდენტებს ბოლო 5 წლის განმავლობაში ლგბტქ თემის მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ტენდენციის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (36.2%) მიიჩნევს, რომ ძალადობა და დისკრიმინაცია ლგბტქ თემის მიმართ ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა ან უფრო გაიზარდა, ვიდრე შემცირდა, ხოლო 29.4% ამ მაჩვენებლის შემცირებისკენ მიუთითებს. შეკითხვას ნეიტრალური პასუხი რესპონდენტების 31.9%-მა გასცა.

იმ რესპონდენტებმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ ძალადობა და სტიგმა ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა, ასევე დაასახელეს ის ძირითადი მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო ლგბტქ თემის მიმართ ძალადობისა და სტიგმის გაზრდასა და შემცირებას, ნი-

შანდობლივია, რომ ძალადობისა და სტიგმის ზრდის ტენდენციის მიზეზებად ყველაზე ხშირად დასახელდა საპატრიარქოს ნეგატიური როლი და ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფების გაძლიერება, ისევე როგორც პოლიტიკოსების მხრიდან თემის ინსტრუმენტალიზება. საინტერესოა, რომ რესპონდენტები ლგბტქ ჯგუფის მიმართ სტიგმისა და ძალადობის შემცირებასა და გაზრდასაც თემის ხილვადობას უკავშირებენ, რაც ერთი შეხედვით უერთიერთგამომრიცხავი პასუხებია, თუმცა თემის ხილვადობის შედეგები პრაქტიკაში სწორედ ორ ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს იძლევა, ერთი მხრივ, ის ზრდის კონკრეტულ ჯგუფებში თემის მიმართ მგრძნობელობასა და სოლიდარობას, მეორე მხრივ კი, ასევე აძლიერებს ძალადობასა და დისკრიმინაციულ მოპყრობას, შესაბამისად, თემის ხილვადობა, მისი წინააღმდეგობრივი ბუნების გამო, აუცილებლად არ არის დაკავშირებული ერთ შედეგთან. იხილეთ დიაგრამა №16 და დიაგრამა №17.

დიაგრამა №16. რამ შეუწყო ხელი ლგბტქ პირთა მიმართ ძალადობისა და სტიგმის გაზრდას.



დიაგრამა №17. რამ შეუწყო ხელი ლგბტქ პირთა მიმართ ძალადობისა და სტიგმის შემცირებას.



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში 2018 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი (ამჟამად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი) შეიქმნა, რომლის მანდატიც, სხვა დანაშაულებთან ერთად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების ხარისხის მონიტორინგზეც ვრცელდება. ამ დეპარტამენტის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ვითარება დანაშაულთა გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თვალსაზრისით, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და პრევენციული პოლიტიკის გარკვეული ასპექტების დანერგვის კუთხით. კერძოდ, დეპარტამენტმა ხელი შეუწყო პოლიციელთა და გამომძიებელთა გადამზადებას აღნიშნული ტიპის დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად. დეპარტამენტის მანდატიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევისთვის მნიშნელოვანი იყო მისი როლის შეფასება ლგბტქ ადამიანთა მიმართ ძალადობის შემცირების პროცესში, შესაბამისად, რესპონდენტებს უფრო ფართოდ უნდა შეეფასებინათ დეპარტამენტის მუშაობა მისი დაარსებიდან დღემდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 21% არ იცნობს აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობას და დიდი ალბათობით, არც მისი არსებობის შესახებ აქვს ინფორმაცია. **აქვე უნდა ითქვას, რომ 46% დეპარტამენტის მუშაობას უარყოფითად აფასებს, ხოლო 18% დადებითად.** მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ამ კითხვის პასუხთა გადანაწილების მიზეზებს არ აანალიზებს, სავარაუდოა, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილის მხრიდან ნეგატიური შეფასება უკავშირდება არა უშუალოდ დეპარტამენტის მუშაობას საგამოძიებო ზედამხედველობის ჭრილში, არამედ მათ სუსტ გავლენას ძალადობის შემცირებაზე. იხილეთ დიაგრამა №18.

დიაგრამა №18. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მუშაობის შეფასება.



რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ შეეფასებინათ პოლიციის ქცევა და დამოკიდებულება ლგბტქ ადამიანთა მიმართ. გამოკითხულთა მცირე პროცენტული მაჩვენებელი (30%) მიიჩნევს, რომ პოლიციელთა დამოკიდებულება გაუმჯობესდა, 14% აღნიშნავს, რომ გაუარესდა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ნეიტრალურ შეფასებას აქვს, – 47% მიიჩნევს, რომ პოლიციელთა ქცევა და დამოკიდებულება არ შეცვლილა („ნაწილობრივ გაუმჯობესდა, ნაწილობრივ გაუარესდა“). იხილეთ დიაგრამა №19.

დიაგრამა №19. პოლიციის ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილება ლგბტქ ადამიანთა მიმართ.



აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ მიუხედავად საკანონმდებლო აღიარებისა და პოლიტიკის დონეზე გარკვეული გაუმჯობესებისა, ლგბტქ პირების მიმართ ინსტიტუციათა დამოკიდებულება ფუნდამენტურად არ შეცვლილა, რაც განაპირობებს კიდეც ლგბტქ ჯგუფის მხრიდან ღრმა უნდობლობას სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების მიმართ.

4.3. ქამინგაუთის გამოცდილება

„ქამინგაუთი“ პირის ცხოვრებაში არის პერიოდი, როდესაც ის ამჩნევს, რომ თავისი სექსუალური ორიენტაციით განსხვავდება ჰეტეროსექსუალი ადამიანებისაგან და სწავლობს საკუთარი თავის ისეთად მიღებას, როგორიც არის. ეს არის საკუთარი თავის მიღების პროცესი, რომელიც ცხოვრების განმავლობაში და მის სხვადასხვა ეტაპზე გრძელდება. ადამიანები გეი, ლესბოსურ, ბისექსუალურ და ტრანსგენდერ იდენტობებს ჯერ საკუთარი თავისთვის აყალიბებენ, შემდეგ კი სხვებს უმხელენ. ნებისმიერ ადამიანთან, ან საჯაროდ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გაცხადება შეიძლება ჩაითვალოს ქამინგაუთად.[111] ამასთან, ქამინგაუთი არასდროს არის ერთჯერადი აქტი, ცხოვრების განმავლობაში, პირს, საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის შესახებ, ქამინგაუთი, შესაძლოა, სხვადასხვა სივრცეში, სხვადასხვა ადამიანებთან ხელმეორედ მოუწიოს, შესაბამისად, ის პროცესია და არა ერთჯერადი აქტი.

მიუხედავად ქამინგაუთის მნიშვნელობისა ლგბტქ ადამიანთა ნაწილის ცხოვრებაში, *„ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მაღალი მაჩვენებლისა და ქვეყანაში არსებული მძიმე ჰომოფობიური ფონის გამო, რომელიც გამყარებულია ტრა-*

111 ტერმინის განმარტება აღებულია კვლევიდან აღდგომელაშვილი ე., „წინასწარგანწყობიდან თანსაწორობამდე“, WISG, 2016

დიციული იდეოლოგიებით და მხარდაჭერილია ძლიერი ინსტიტუციების მხრიდან, ლგბტი ჯგუფის წევრთა უმრავლესობა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საფრთხიდან გამომდინარე, თავს არიდებს საჯაროდ საკუთარი სტატუსის გაცხადებას. გარდა ამისა, ქამინგაუთის შიში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ამ ადამიანებისთვის საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაში".[112]

წინამდებარე თავი აფასებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ქამინგაუთის გამოცდილებას, შედეგებსა და ბარიერებს.

4.3.1. ღიაობა სექსუალური ორიენტაციის შესახებ

ძირითადი მიგნებები:

- **გამოკითხულთა (n=275) მხოლოდ 21.8% არის ყველასთან ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. 76.7% ნაწილობრივ არის ღია, ანუ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ხოლო 1.5% საერთოდ არ არის ღია სხვებთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ.**
- **ოჯახის ყველა წევრთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაობის მაჩვენებელი არსებითად დაბალია – 17.7%. გამოკითხული რესპონდენტებიდან, ყველაზე მეტად, ოჯახის არცერთ წევრთან არ არიან ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, გეი რესპონდენტები (43.2%) და ბისექსუალი კაცი რესპონდენტები (61.3%).**
- **ღიაობის მაჩვენებელი დედასა და მამას შორის არსებითად განსხვავებულია, მამის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ჩამოუვარდება დედის მიმართ ღიაობის მაჩვენებელს. კერძოდ, რესპონდენტთა 68.6% არის ღია დედასთან, ხოლო მამასთან მხოლოდ 27.5%.**
- **საინტერესოა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ასევე ღიაა დასთან – 71.7%, რაც აღემატება იმავე მაჩვენებელს ძმასთან მიმართებით, რომელიც 54.3%-ია.**
- **შესაბამისად, სექსუალურ ორიენტაციასთან ღიაობა კვლავ გენდერულად არის განპირობებული და არსებით კავშირშია პატრიარქალურ და მასკულინურ კულტურასთან, რაც ლგბ თემის წევრებს აიძულებთ თავიანთი იდენტობა კაცი ოჯახის წევრებისგან მეტად დამალონ.**

112 აღდგომელაშვილი ე. „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე", WISG, 2016

ქამინგაუთის შესახებ გამოცდილება არსებითად არის დაკავშირებული საკუთარი იდენტობის გაცნობიერებასთან, რომელიც ინდივიდუალური და პრივატული პროცესია ყველა ადამიანის ცხოვრებაში და ხშირად განსხვავდება გაცნობიერებული გადაწყვეტილების სხვისთვის გაზიარების პერიოდისგან. კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, თუ რა ასაკში გააცნობიერეს პირველად საკუთარი სექსუალური ორიენტაცია, ამ მხრივ, გამოკითხულ რესპონდენტებში საშუალო ასაკი 13 წელია *(Mean 13.5; St.D. 3.96).*

ცხრილი №5. რა ასაკში გააცნობიერეთ პირველად თქვენი სექსუალური ორიენტაცია?

რესპონდენტის იდენტობა	საშუალო	რაოდენობა, n	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმალური მნიშვნელობა	მაქსიმალური მნიშვნელობა	დიაპაზონი
ლესბოსელი	13.5	94	4.4	14	3	25	22
გეი	12.3	111	3	13	5	20	15
ბისექსუალი ქალი	15.9	39	4.7	16	5	27	22
ბისექსუალი კაცი	14.9	31	2.5	16	9	18	9
ლგბ ჯამი:	13.5	275	4	13	3	27	24

დაახლოებით 17 წლის ასაკში კვლევის რესპონდენტებმა პირველად გაუზიარეს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია სხვას (Mean 17.2; St.D. 3.4). წარმოდგენილი მონაცემები შედარდა სექსუალური ორიენტაციის სხვადასხვა კატეგორიას, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიკვეთა ბისექსუალ ქალ რესპონდენტებსა და ლესბოსელ (Sig.=0.05) და გეი რესპონდენტებს შორის (Sig.=0.0). ჯგუფებს შორის ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები იხილეთ ცხრილში №6.

ცხრილი №6. რა ასაკში გაუზიარეთ პირველად თქვენი იდენტობის შესახებ ინფორმაცია სხვას?

რესპონდენტის იდენტობა	საშუალო	რაოდენობა, n	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმალური მნიშვნელობა	მაქსიმალური მნიშვნელობა	დიაპაზონი
ლესბოსელი	17	94	3.4	17	7	25	11.5
გეი	16.6	109	2.6	16	9	27	7.0
ბისექსუალი ქალი	18.7	38	5.1	17.5	11	38	25.5
ბისექსუალი კაცი	18.1	31	3.1	19	11	25	9.4
ლგბ ჯამი:	17.2	272	3.4	17	7	38	11.8

გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა რესპონდენტების ღიაობის მაჩვენებელი საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა შესახებ, რომელიც ღიაობის ორ ძირითად ფორმას მოიცავს, ერთი მხრივ, ღიაობა გულისხმობს პროაქტიულ ქამინგაუთს, როდესაც ადამიანი ღიად აცხადებს კონკრეტულ სივრცეში თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, და მეორე მხრივ, ისეთი ფორმის ღიაობას, როდესაც ლგბტქ ჯგუფის წევრი არ მალავს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, ეს კი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ლგბტქ ჯგუფის წევრი, მართალია, არ ახდენს ქამინგაუთს, მაგრამ ირიბად ცხადს ხდის საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას. შესაბამისად, ღიაობის შესახებ კითხვის შედეგები ზემოთდასახელებულ შემთხვევათა კუმულაციურ შინაარსს მოიცავს.

ამრიგად, კითხვაზე, თუ რამდენად ღია არიან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, **გამოკითხულთა 21.8% (n=275) აღნიშნავს, რომ ყველასთან ღიაა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, 76.7% ნაწილობრივ ღიაა, ხოლო 1.5% საერთოდ არ არის ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ სხვებთან.** კატეგორიაში „საერთოდ არ ვარ“ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც რესპონდენტებს მინიმუმ ერთ ადამიანთანაც არ აქვთ გაზიარებული საკუთარი იდენტობა. კვლევის მიზნობრივი შერჩევის ბუნებიდან გამომდინარე, კვლევაში ძირითადად ის რესპონდენტები მოხვდნენ, რომლებსაც საკუთარი იდენტობის შესახებ ინფორმაცია მინიმუმ სათემო ორგანიზაციებთან, ინტერვიუერებთან ან მასთან დაახლოებულ წევრებთან აქვთ გაზიარებული. აქვე მნიშვნელოვანია, რომ კატეგორია „ნაწილობრივ ღიაა“ ფართო შინაარსისაა და აერთიანებს ისეთ რესპონდენტებსაც, რომლებიც მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ადამიანთან არიან ღია. იხილეთ დიაგრამა №20.

დიაგრამა №20. ღიაობა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ სხვებთან (% პროცენტებში) (N=275).



კროსტაბულაციური ანალიზის მიხედვით, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ **ყველაზე** მეტად ღია არიან გეი რესპონდენტები (26.1%, n=111), ლესბოსელი რესპონდენტების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 21.3%-ს უტოლდება (n=94). რაც შეეხება

ბისექსუალ რესპონდენტებს, ბისექსუალი კაცების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია – 19.4% (n=31), ხოლო ბისექსუალი ქალების შემთხვევაში – 12.8%-ის ტოლია (n=39). ლგბ საშუალო ამ მაჩვენებელთან მიმართებით 21.8%-ია. საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ **ნაწილობრივ** ღიაა ლესბოსელი რესპონდენტების 78.7% და გეი რესპონდენტების 72.1%, ამ მხრივ, ყველაზე მაღალი წილი მოდის ბისექსუალ ქალ რესპონდენტებზე – 87.2%, ბისექსუალი კაცების შემთხვევაში ეს მონაცემი – 74.1%-ია. ლგბ საშუალო ამ მაჩვენებელთან მიმართებით 76.7%-ია.

ასაკობრივ ჯგუფებთან რესპონდენტების იდენტობის ღიაობის კავშირის დასადგენად, იქნებოდა თუ არა ჯგუფებს შორის განსხვავება, გამოვიყენეთ საშუალოების შედარების მეთოდი (ANOVA). 95%-იან სანდოობაზე დათვლილი მონაცემების შედეგად, დადგინდა, რომ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ იკვეთება (Sig.=0.192). ეს შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ ჯგუფებს შორის გამოკვეთილი პროცენტული სხვაობა ზოგად ტენდენციას არ აღწერს. იგი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულად ამ კვლევის ფარგლებში, მიღებული შედეგია.

მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაობასთან მიმართებით, სხვადასხვა ჯგუფებში.

ოჯახის ყველა წევრთან, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ყველაზე მეტად ღია ლესბოსელი რესპონდენტები არიან (27.7%, n=94), შემდეგ კი – გეი რესპონდენტები – 17.1% (n=111). ოჯახის ყველა წევრთან კი ყველაზე ნაკლებად ღია ბისექსუალი კაცი რესპონდენტები არიან (3.2%, n=31), ხოლო ბისექსუალი ქალების მხოლოდ 7.7%-ია ოჯახის ყველა წევრთან ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ლგბ საშუალო პასუხი ამ ვარიანტისთვის 17.7%-ია. გამოკითხული რესპონდენტებიდან, ყველაზე მეტად, ოჯახის არცერთ წევრთან არ არიან ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, გეი რესპონდენტები (43.2%) და ბისექსუალი კაცი რესპონდენტები (61.3%). პასუხი ამ კატეგორიის საშუალო ლგბტქ ჯფუფებისთვის 36.4%-ია. (ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.<0.05)).

მეგობრები კვლევის ფარგლებში ის სოციალური ჯგუფია, რომელთანაც რესპონდენტები ყველაზე ღია არიან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გაზიარებისას. ამ მხრივ, განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები გამოიკვეთა ლესბოსელ რესპონდენტებში (75.3%, n=93).

ნათესავებთან და ახლობლებთან ღია ნაკლები რესპონდენტია (42.9%, n=252); ასევე დაბალი სანდოობით სარგებლობს სამეზობლოები, შესაბამისად, **მეზობლებთან გამოკითხულთა** 74.9%-ს (n=207) არ არის ღია.

თანამშრომლების შემთხვევაში, რესპონდენტების დიდი ნაწილი ღიაა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. რესპონდენტების 80%-ზე მეტი საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაა მინიმუმ ერთ თანამშრომელთან მაინც. ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ბისექსუალ ქალსა და ყველა სხვა სექსუალური ორიენტაციის რესპონდენტს შორის (ლესბოსელ რესპონდენტებთან – sig<0.01, გეი რესპონდენტებთან – sig=0.02, ხოლო ბისექსუალ კაც რესპონდენტებთან – sig=0.04).

კლასელებთან/კურსელებთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაა რესპონდენტების დაახლოებით 78% (მინიმუმ ერთ წევრთან მაინც) (n=162). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მხოლოდ გეი და ბისექსუალ ქალ რესპონდენტებს შორის იკვეთება (Sig<0.05-ზე). რესპონდენტების სექსუალური ორიენტაციის ღიაობის დეტალური განაწილება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან, იხილეთ ცხრილში №7.

ცხრილი №7. რესპონდენტთა ღიაობის მაჩვენებელი საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან (მონაცემები გამოსახულია პროცენტებში, %).

ღიაობა საკუთარი იდენტობის შესახებ:	ლესბოსელი	გეი	ბისექსუალი ქალი	ბისექსუალი კაცი	ლგბ ჯამი:
ოჯახის წევრები:					
რესპონდენტების რაოდენობა:	94	111	39	31	275
ყველასთან	27.7%	17.1%	7.7%	3.2%	17.7%
უმეტესობასთან	11.7%	6.3%	12.8%	12.9%	9.8%
რამდენიმესთან	18.1%	11.7%	12.8%	6.5%	13.5%
მხოლოდ ერთთან	20.2%	21.6%	35.9%	16.1%	22.5%
არც ერთთან	22.3%	43.2%	30.8%	61.3%	36.4%
მეგობრები:					
რესპონდენტების რაოდენობა:	93	111	39	31	274
ყველასთან	75.3%	49.5%	35.9%	45.2%	55.8%
უმეტესობასთან	14.0%	32.4%	51.3%	35.5%	29.2%
რამდენიმესთან	10.8%	16.2%	12.8%	19.4%	14.2%
არც ერთთან	0%	1.8%	0%	0%	0.7%
ნათესავები/ახლობლები:					
რესპონდენტების რაოდენობა:	85	103	36	28	252
ყველასთან	10.6%	6.8%	2.8%	3.6%	7.1%
უმეტესობასთან	7.1%	5.8%	0%	10.7%	6.0%
რამდენიმესთან	38.8%	33.0%	25.0%	28.6%	33.3%
მხოლოდ ერთთან	11.8%	5.8%	27.8%	28.6%	33.3%
არც ერთთან	31.8%	48.5%	44.4%	53.6%	42.9%

მეზობლები:					
რესპონდენტების რაოდენობა:	66	87	33	21	207
ყველასთან	12.1%	6.9%	3.0%	9.5%	8.2%
უმეტესობასთან	0%	2.3%	0%	0%	1.0%
რამდენიმესთან	10.6%	6.9%	9.1%	33.3%	11.1%
მხოლოდ ერთთან	9.1%	1.1%	9.1%	0%	4.8%
არც ერთთან	68.2%	82.8%	78.8%	57.1%	74.9%
თანამშრომლები:					
რესპონდენტების რაოდენობა:	78	78	30	26	212
ყველასთან	51.3%	35.9%	16.7%	38.5%	39.2%
უმეტესობასთან	6.4%	21.8%	3.3%	26.9%	14.2%
რამდენიმესთან	25.6%	20.5%	36.7%	11.5%	23.6%
მხოლოდ ერთთან	5.1%	1.3%	13.3%	7.7%	5.2%
არც ერთთან	11.5%	20.5%	30.0%	15.4%	17.9%
კლასელები/კურსელები:					
რესპონდენტების რაოდენობა:	66	76	27	13	162
ყველასთან	22.7%	26.3%	7.4%	7.7%	20.9%
უმეტესობასთან	15.2%	18.4%	18.5%	7.7%	16.5%
რამდენიმესთან	36.4%	30.3%	22.2%	53.8%	33.0%
მხოლოდ ერთთან	9.1%	3.9%	14.8%	7.7%	7.7%
არც ერთთან	16.7%	21.1%	37.0%	23.1%	22.0%

წინამდებარე კვლევის მსგავსად, სხვადასხვა კვლევები ასევე აჩვენებს, რომ ლგბტქ ჯგუფისთვის ყველაზე დიდი სირთულე ოჯახის წევრებთან ქამინგაუთია, ლგბტქ ჯგუფის წევრები იშვიათად უზიარებენ მთელ ოჯახს ინფორმაციას თავიანთი სექსუალობისა თუ იდენტობის შესახებ. მათ უწევთ შეარჩიონ ისეთი ადამიანი, რომელიც, გარდა ემოციური მხარდაჭერისა, ასევე გაუმარტივებს ოჯახის დანარჩენ წევრებთან ქამინგაუთის პროცესს, მათი ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის ირიბი მიწოდებითა და შემზადებით. როგორც წესი, ამ როლს დედა ირგებს, რომელიც საოჯახო სივრცეში ემოციური შრომის მთავარი გამწევია. კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტქ ჯგუფის წევრები ყველაზე იშვიათად მიმართავენ ქამინგაუთს მამებთან, მათგან ძალადობისა და მიუღებლობის უფრო მაღალი რისკის შიშით. ამ შიშის საფუძვლიანობას ადასტურებს სხვა კვლევებიც, რომლებიც მიუთითებს, რომ მამები იშვიათად ამჟღავნებენ მიმღებლურ დამოკიდებულებას, დედებთან და დედმამიშვილებთან შედარებით.

შესაბამისად, ამ კვლევის შედეგები აღწერს ქამინგაუთთან დაკავშირებით გავრცელებულ ტენდენციას. რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილია ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ დედასთან (68.6%) და დასთან (71.7%). ძმასთან რესპონდენტების 54.3%-ია ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ამ

მხრივ, დაბალი მაჩვენებელი გამოიკვეთა ღიაობის მხრივ ოჯახის შემდეგ წევრებთან: მამა (27.5%), ბებია (25.0%) და ბაბუა (11.8%), ასევე, ოჯახის სხვა წევრებთან (გარდა ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა) – 28.0%. აღნიშნული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (sig<0.001).

ცხრილი №8. ოჯახის სხვადასხვა წევრთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაობის მაჩვენებლები (გამოსახულია პროცენტებში, %).

ღიაობა სექსუალური ორიენტაციის შესახებ	დედა	მამა	ძმა	და	ბებია	ბაბუა	ოჯახის სხვა წევრი
დიახ	68.6%	27.5%	54.3%	71.7%	25.0%	11.8%	28.0%
არა	31.4%	72.5%	45.7%	28.3%	75.5%	88.2%	72.0%
პასუხების რაოდენობა:	169	138	70	106	92	85	75

სექსუალური ორიენტაციის ღიაობასთან დაკავშირებით, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს დაესვათ დამაზუსტებელი კითხვა იმის შესახებ, **არიდებენ თუ არა თავს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებას მოსალოდნელი უარყოფითი (ნეგატიური) რეაქციების გამო. ეს კითხვა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაობის კითხვისგან და არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული სტატისტიკურად ურთიერთშემავსებლად.** უფრო ზუსტად რომ ითქვას, ის რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ღია არიან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, არ არის გამორიცხული, რომ ასევე მალავდნენ ამ ინფორმაციას გარკვეულ სივრცეებში უარყოფითი რეაქციების თავიდან ასარიდებლად. შესაბამისად, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ღიაობა საკუთარი იდენტობის შესახებ, არ არის ყოველთვის აბსოლუტური და დამოკიდებულია სხვადასხვა სივრცესა და გარემო ფაქტორებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ რესპონდენტების დიდი პროცენტული წილი – 63.9% თავს არიდებს სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებას, 31.3%-კი არ არიდებს. იხილეთ დიაგრამა №21.

დიაგრამა №21. თავს არიდებთ თუ არა საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამოხატვას მოსალოდნელი უარყოფითი რეაქციის გამო?



იმის უკეთ გასარკვევად, თუ რა სივრცეებში უწევთ ლგბტქ ჯგუფის წევრებს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის პირდაპირი თუ ირიბი გამჟღავნებისგან თავის შეკავება, რესპონდენტებმა დაასახელეს კონკრეტული პირადი თუ საჯარო სივრცეები. პასუხებიდან ირკვევა, რომ საჯარო და კერძო სივრცეებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, **ანუ ლგბტქ ჯგუფის წევრები ნეგატიურ რეაქციას ელიან როგორც უცხო ადამიანების მხრიდან საჯარო სივრცეში,** ასევე, პირად სივრცეებში, სადაც მათ იცნობენ და თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ. შესაბამისად, რესპონდენტთა პასუხებში სჭარბობს ისეთი სივრცეები, როგორიცაა საჯარო ტრანსპორტი (53.8%), სამეზობლო (53.4%), სახლი (51.2%) და ქუჩა (50.9%). იხილეთ დიაგრამა №22.

დიაგრამა №22. სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდვის სივრცეები.



ამრიგად, როგორც სექსუალური ორიენტაციის შესახებ ქამინგაუთის გამოცდილების შესახებ არსებული მონაცემები აჩვენებს, ის კვლავ დაკავშირებულია ჰეტეროპატრიარქატულ კულტურასა და ძალადობრივ გარემოსთან, რაც ლგბტქ ჯგუფის წევრებს თავისუფლად ცხოვრების შესაძლებლობებსა და სოციალიზაციის უსაფრთხო სივრცეებს უზღუდავს.

4.3.2. ღიაობა გენდერული იდენტობის შესახებ

ძირითადი მიგნებები:

- **გამოკითხულთა 43.8% (n=39; N=89) ყველასთან ღიაა საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ, ხოლო ნაწილობრივ ღიაა – 52.8%. (n=47), ნაწილობრივ ღიაობა კი ნიშნავს, რომ ისინი საკუთარი იდენტობის შესახებ ღია ერთ ან რამდენიმე ადამიანთან არიან.**
- **ტრანს რესპოდენტთა მხოლო 18.6% არის ღია საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ოჯახის წევრებთან, მაშინ როდესაც, საკმაოდ დიდი რაოდენობა – 45.3% ოჯახის არცერთ წევრთან არ არის ღია.**
- **რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილია ღია საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ დედასთან (59.6%), ვიდრე მამასთან (36.6%). ასევე, მნიშვნელოვანია განსხვავება დის და ძმის შემთხვევაში, საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ დასთან ღიაა რესპონდენტების 79.5%, მაშინ როცა ძმის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 59.4%-ია.**

ქამინგაუთის გამოცდილებამდე, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, თუ რა ასაკში გააცნობიერების პირველად თავიანთი გენდერული იდენტობა, ამ მხრივ, გამოკითხულ რესპონდენტებში საშუალო ასაკი 12 წელია (Mean 12.3; St.D. 4.4). ხოლო, დაახლოებით 16 წლის ასაკში კვლევის რესპონდენტებმა პირველად გაუზიარეს საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია სხვას (Mean 15.8; St.D. 4.2); წარმოდგენილი მონაცემები შედარდა გენდერული იდენტობის სხვადასხვა კატეგორიასთან, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიკვეთა მხოლოდ არაბინარულ/გენდერქვიარ/აგენდერ/გენდერფლუიდ და ტრანსგენდერ ქალ რესპონდენტებს შორის (Sig.<0.01). ჯგუფებს შორის ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები იხილეთ ცხრილში №9.

ცხრილი №9. რესპონდენტების მიერ გენდერული იდენტობის გაცნობიერებისა და სხვებისთვის გაზიარების ასაკობრივი მაჩვენებლების ცენტრალური ტენდენციები.

რესპონდენტის იდენტობა		საშუალო	რაოდენობა, n	სტანდარტული გადახრა	მედიანა	მინიმალური მნიშვნელობა	მაქსიმალური მნიშვნელობა	დიაპაზონი
არაბინარული, გენდერქვიარი, აგენდერი, გენდერფლუიდი	გააცნობიერა საკუთარი გენდერული იდენტობა	14	55	3.3	14	6	20	14
	გაუზიარა სხვას საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია	16.9		2.6	17	11	25	14
ტრანსგენდერი ქალი	გააცნობიერა საკუთარი გენდერული იდენტობა	10.6	24	4.9	12	4	18	14
	გაუზიარა სხვას საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია	13.9		6.5	13	6	38	32
ტრანსგენდერი კაცი	გააცნობიერა საკუთარი გენდერული იდენტობა	7.5	10	3.7	6	3	15	12
	გაუზიარა სხვას საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია	14.1		2.6	13	11	18	7
ტრანს* ჯამი:	გააცნობიერა საკუთარი გენდერული იდენტობა	12.3	89	4.4	13	3	20	17
	გაუზიარა სხვას საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია	15.8		4.2	16	6	38	32

კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 43.8% (n=39; N=89) ყველასთან ღიაა საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ, ხოლო ნაწილობრივ ღიაა – 52.8%. (n=47).

კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ **ყველასთან** თითქმის თანაბრად ღია არიან ტრანსგენდერი ქალი (62,5%, n=24) და ტრანსგენდერი კაცი (60.0%, n=10) რესპონდენტები, რაც თითქმის ორჯერ აღემატება არაბინარულ/გენდერქვიარ/აგენდერ/გენდერფლუიდ რესპონდენტებს (32.7%, n=55). შესაბამისად, საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივაა ღია არაბინარული/აგენდერი/გენდერქვიარი/გენდერფლუდი რესპონდენტების 61.8%. იხ. დიაგრამა №23.

დიაგრამა №23. ღიაობა საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ სხვებთან (N=89).



სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაობის მსგავსად, არსებითი განსხვავებები იკვეთება გენდერული იდენტობის შესახებ ღიაობის მაჩვენებელთან, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მიმართებით.

ოჯახის ყველა წევრთან, საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ყველაზე მეტად ღია არიან ტრანსგენდერი კაცი რესპონდენტები (30%, n=10), ხოლო ოჯახის არცერთ წევრთან არ არის ღია არაბინარული/გენდერქვიარი/აგენდერი/გენდერფლუიდი რესპონდენტების 53.8% და ტრანსგენდერი კაცი რესპონდენტების 40%. ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავებები გამოიკვეთა არაბინარულ და ტრანსგენდერ ქალ რესპონდენტებს შორის (Sig=0.01).

მეგობრები კვლევის ფარგლებში ის სოციალური ჯგუფია, რომელთანაც რესპონდენტები ყველაზე ღია არიან საკუთარი გენდერული იდენტობის გაზიარებისას. ამ მხრივ, განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები გამოიკვეთა ტრანსგენდერ ქალ რესპონდენტებში, რომელთა 75% თავიანთ ყველა მეგობართან ღიაა საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ.

ნათესავებისა და ახლობლების მიმართ, მაღალია მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც, რესპონდენტები არცერთ ახლობელთან ან ნათესავთან არ არიან ღია საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ (38.4%) (ჯგუფებს შორის განსხვავებები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (Sig>0.05)).

ტრანს* რესპონდენტების შემთხვევაში, მეზობლები ის სოციალური ჯგუფია, რომელთანაც კვლევის რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად არიან ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. რესპოდენტთა 47.7% არცერთ მეზობელთან არ არის ღია საკუთარი იდენტობის შესახებ.

თანამშრომლების შემთხვევაში, ტრანსგენდერი ქალი და ტრანსგენდერი კაცი რესპონდენტები უფრო მეტად ღია არიან საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ (ყველა თანამშრომელთან საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ღიაა ტრანსგენდერი ქალი რესპონდენტების 66.7% და ტრანსგენდერი კაცი რესპონდენტების 70%).

კლასელების/კურსელების შემთხვევაში, საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ყველაზე ნაკლებად ღია არიან აგენდერი/გენდერფლუიდი/აგენდერი/გენდერქვიარი რესპონდენტები – 36% არცერთ კლასელთან ან კურსელთან არ არის ღია საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ (ჯგუფებს შორის განსხვავებები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (Sig>0.05)).

რესპონდენტების მიერ საკუთარი გენდერული იდენტობის სხვებთან ღიაობის დეტალური განაწილება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან მიმართებით, იხილეთ ცხრილში №10.

ცხრილი №10. რესპონდენტების მიერ საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ ღიაობის მაჩვენებელი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან (მონაცემები გამოსახულია პროცენტებში, %).

ღიაობა საკუთარი იდენტობის მიმართ:	არაბინარული, გენდერქვიარი, აგენდერული, გენ-დერფლუიდი	ტრანსგენდერი ქალი	ტრანსგენდერი კაცი	ტრანს* ჯამი:
ოჯახის წევრებთან				
რესპონდენტების რაოდენობა:	52	24	10	86
ყველასთან	17.3%	16.7%	30%	18.6%
უმეტესობასთან	0%	20.8%	10%	7%
რამდენიმესთან	1.9%	20.8%	0%	7%
მხოლოდ ერთთან	15.4%	12.5%	20.0%	15.1%
არც ერთთან	53.8%	29.2%	40.0%	45.3%
მეგობრებთან:				
რესპონდენტების რაოდენობა:	52	24	10	86
ყველასთან	30.8%	75%	80%	48.8%
უმეტესობასთან	23.1%	20.8%	20%	22.1%
რამდენიმესთან	21.2%	4.2%	0%	14%
მხოლოდ ერთთან	11.5%	0%	0%	7%
არც ერთთან	3.8%	0%	0%	2.3%
არ ვიცი / უარი პასუხზე / მე არ მეხება	9.6%	0%	0%	5.8%
ნათესავები/ახლობლები:				
რესპონდენტების რაოდენობა:	52	24	10	86
ყველასთან	15.4%	25%	30%	19.8%
უმეტესობასთან	1.9%	0%	0%	1.2%
რამდენიმესთან	9.6%	29.2%	10%	15.1%
მხოლოდ ერთთან	9.6%	16.7%	0%	10.5%
არც ერთთან	46.2%	25%	30%	38.4%
არ ვიცი / უარი პასუხზე / მე არ მეხება	17.3%	4.2%	30%	15.2%
მეზობლები:				
რესპონდენტების რაოდენობა:	52	24	10	86
ყველასთან	5.8%	33.3%	40%	17.4%
უმეტესობასთან	1.9%	8.3%	0%	3.5%
რამდენიმესთან	0%	12.5%	0%	3.5%
მხოლოდ ერთთან	1.9%	8.3%	0%	3.5%
არც ერთთან	61.5%	25%	30%	47.7%
არ ვიცი / უარი პასუხზე / მე არ მეხება	28.9%	12.5%	30%	24.4%

თანამშრომლები:				
რესპონდენტების რაოდენობა:	52	24	10	86
ყველასთან	26.9%	66.7%	70%	43%
უმეტესობასთან	3.8%	8.3%	0%	4.7%
რამდენიმესთან	15.4%	4.3%	0%	10.5%
მხოლოდ ერთთან	5.8%	0%	0%	3.5%
არც ერთთან	25%	0%	10%	16.3%
არ ვიცი / უარი პასუხზე / მე არ მეხება	23.1%	20.8%	20%	22.1%
კლასელები/კურსელები:				
რესპონდენტების რაოდენობა:	50	24	10	84
ყველასთან	14%	8.3%	20%	13.1%
უმეტესობასთან	4%	12.5%	0%	6%
რამდენიმესთან	18%	4.2%	20%	14.3%
მხოლოდ ერთთან	8%	0%	0%	4.8%
არც ერთთან	36%	20.8%	0%	27.4%
არ ვიცი / უარი პასუხზე / მე არ მეხება	20%	54.2%	60%	34.4%

რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილია ღია საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ **დედასთან** (59.6%), ვიდრე მამასთან (36.6%). ასევე მნიშვნელოვანია განსხვავება დის და ძმის შემთხვევაში, საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ დასთან ღიაა რესპონდენტების **79.5%,** მაშინ როცა ძმის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 59.4%-ია. ბებიის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 42.4%-ია, ხოლო ბაბუის შემთხვევაში – 33.3%, დასთან კი – 71.7%.

ცხრილი №11. ოჯახის სხვადასხვა წევრთან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ღიაობის მაჩვენებლები (გამოსახულია პროცენტებში, %).

რესპონდენტის იდენტობა	დედა	მამა	ძმა	და	ბებია	ბაბუა
დიახ	59.6%	36.6%	59.4%	79.5%	42.4%	33.3%
არა	31.4%	72.5%	40.6%	20.5%	57.6%	66.7%
პასუხების რაოდენობა:	47	41	32	39	33	18

გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით ღიაობასთან მიმართებით, ტრანს ჯგუფს ასევე დაესვა დამაზუსტებელი კითხვა, **თუ რამდენად არიდებენ თავს საკუთარი გენდერული იდენტობის გამოხატვას მოსალოდნელი უარყოფით რეაქციის გამო.** პასუხების მიხედვით, იდენტობის გამჟღავნებას თავს არიდებს გამოკითხულთა (N=89) 43.8% და არ არიდებს 48.3%, პასუხის გაცემისგან თავის შეიკავა 7.9%-მა. იხილეთ დიაგრამა №24.

დიაგრამა №24. გენდერული იდენტობის გამოხატვის თავიდან არიდების მაჩვენებელი.



როგორც გამოკითხვამ აჩვენა, გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავს იკავებს რესპონდენტთა თითქმის ნახევარი, იმ სივრცეებს შორის კი, სადაც ჯგუფის წევრები ცდილობენ გენდერულად კონფორმულ ქცევას დაექვემდებარონ, კვლავ სახლი (50%), სამეზობლო (48.1%), საჯარო ტრანსპორტი (42.6) და ქუჩა (37%) სჭარბობს. ასევე ხშირად დასახელდა სკოლაც (33.3%) და ის გასართობი სივრცეები, რომელიც არ არის სპეციფიკურად მონიშნული, როგორც „ლგბტ მეგობრული“ (42.6%). იხილეთ დიაგრამა №25.

დიაგრამა №25. სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის სივრცეები.



როგორც ქამინგაუთის გამოცდილებათა აღწერა აჩვენებს, ლგბტქ თემის წევრებისთვის ღიაობა კვლავ არსებით ბარიერებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი სრულად ან ნაწილობრივ არის ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის შესახებ, ღიაობის ეს მაჩვენებელი პირობითია და ის ყოველთვის უკავშირდება გარემოფაქტორებს. ეს იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ქამინგაუთი არ არის სტატიკური პროცესი და მუდმივად ექვემდებარება მედიაციის აუცილებლობას პირსა და გარესამყაროს შორის. შესაბამისად, იმ რესპონდენტების შემთხვევაშიც კი, რომლებიც ამბობენ, რომ სრუ-

ლიად ღია არიან თავიანთი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის შესახებ, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ისინი მუდმივად საუბრობენ საკუთარი იდენტობის შესახებ. მათ, ისევე, როგორც დანარჩენ რესპონდენტებს, შესაძლოა, მაინც უწევდეთ საკუთარი იდენტობის შესახებ ინფორმაციის დამალვა სხვადასხვა სივრცეებში, იმისათვის, რათა თავიდან აირიდონ შესაძლო უარყოფითი რეაქციები ან შედეგები, რომლებმაც, შესაძლოა, ასევე ნეგატიური გავლენა იქონიოს მათ ცხოვრებაზე, ან იმწუთიერ კეთილდღეობაზე. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი საკუთარი იდენტობის შესახებ ინფორმაციის პირდაპირ თუ ირიბად გამჟღავნებისგან თავს იკავებს როგორც საჯარო, ისე კერძო (ოჯახი) სივრცეებში. ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ თემის წევრებისთვის საფრთხისგან, ნეგატიური მოლოდინებისა თუ მიუღებლობისგან დაცლილი სივრცეები თითქმის არ არსებობს, რაც არსებითად ართულებს პირების ცხოვრებით კმაყოფილებასა და მათი ბედნიერების ხარისხს.

4.4. ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობის გამოცდილება

4.4.1. ძალადობის გამოცდილება ცხოვრების განმავლობაში

წინამდებარე თავი მიმოიხილავს ლგბტქ თემის მიერ განცდილი ძალადობის გამოცდილების ზოგად მონაცემებს, რომლებიც შემდეგ თავებში დიფერენცირდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სპეციფიკურ მაჩვენებლებში.

ძირითადი მიგნებები:

- **რესპონდენტების 52% ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი მთლიანად ან ნაწილობრივ, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გამო.**
- **გამოკითხული რესპონდენტებიდან ძალადობის გამოცდილება ყველაზე მაღალია გეი (65.5%) და ტრანსგენდერ (61.8%) რესპონდენტებში.**
- **ძალადობის გამოცდილება მაღალია თბილისში (57%), აჭარასა (53.3%) და იმერეთში (43.8%) მცხოვრები რესპონდენტების შემთხვევებში.**
- **რესპონდენტები ყველაზე ხშირად დაექვემდებარნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას (91%) და ფსიქოლოგიურ ძალადობას (81%). რესპონდენტების მესამედის შემთხვევაში, ადგილი აქვს ფიზიკური ძალადობის მუქარისა (75%) და ბულინგის (ფიზიკურ ან ონლაინ სივრცეში) შემთხვევებს (73%).**

გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს აქვს ძალადობის გამოცდილება (52%). ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ რესპონდენტთა 13%-მა თავი შეიკავა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან. იხ. დიაგრამა №26.

დიაგრამა №26. ცხოვრების განმავლობაში სოგი-ს ნიშნით ძალადობის გამოცდილების მაჩვენებელი.



კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ცხოვრების განმავლობაში, ლგბტქ თემის სხვადასხვა ჯგუფს ძალადობის განსხვავებული გამოცდილება აქვს. გამოკითხული რესპონდენტებიდან ძალადობის გამოცდილება ყველაზე მაღალია **გეი** (65.5%) და **ტრანსგენდერ** (61.8%) რესპონდენტებში. ამასთან, ტრანსგენდერი რესპონდენტების 23.5%-მა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. ასევე მაღალია შეკითხვაზე თავის შეკავების მაჩვენებელი **ლესბოსელი** რესპონდენტების შემთხვევაშიც (20.4%). ძალადობის გამოცდილება განსხვავებულია ბისექსუალ ქალ და ბისექსუალ კაც რესპონდენტებს შორის, კერძოდ, ბისექსუალი ქალი რესპონდენტების შემთხვევაში, იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებსაც აქვთ რაიმე ფორმით ძალადობის გამოცდილება ცხოვრების განმავლობაში, 48.6%-ია, ხოლო ბისექსუალი კაცი რესპონდენტების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 38.7%-ს უტოლდება (ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა (chi-square=31.86, df=10, p<.001)). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №27.

დიაგრამა №27. ცხოვრების განმავლობაში ძალადობის გამოცდილება იდენტობების მიხედვით.



რესპონდენტებს, რომლებსაც ცხოვრების განმავლობაში ჰქონიათ ძალადობის გამოცდილება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე (52%, n=167), ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეზუსტებინათ განცდილი ძალადობის ფორმები. დიაგრამაზე, №28, რესპონდენტების „დიახ“ და „არა“ პასუხები ძალადობის თითოეული ფორმის მიხედვით არის განაწილებული. როგორც დიაგრამაზეც ჩანს, რესპონდენტების უმრავლესობას ძალადობის ფორმებიდან გამოცდილი აქვს **სიტყვიერი შეურაცხყოფა (91%) და ფსიქოლოგიური ძალადობა (81%).** ამასთან, რესპონდენტების მესამედის შემთხვევაში, ადგილი აქვს **ფიზიკური ძალადობის მუქარას (75%) და ბულინგს (ფიზიკურ ან ონლაინ სივრცეში) (73%).** ყველაზე იშვიათად დასახელდა ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა **იძულებითი მკურნალობა (17%) და იძულებითი ვიზიტი სასულიერო პირებთან (16%).**

დიაგრამა №28. ცხოვრების განმავლობაში სოგი-ს საფუძველზე ძალადობის გამოცდილების მაჩვენებელი ძალადობის ფორმების მიხედვით (N=167).



ბოლო 2 წლის განმავლობაში რესპონდენტთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოცდილებების სიხშირესთან დაკავშირებით, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (45%, n=167) მიუთითებს, რომ მსგავსი გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ჰქონია, გამოკითხულთა 55%-დან, რომელიც მიუთითებს, რომ ჰქონია მსგავსი გამოცდილება, 19% აღნიშნავს, რომ ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ერთხელ მაინც გამხდარან, 19% ასევე საუბრობს, რომ მსგავსი გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში

მინიმუმ 5-ჯერ ან უფრო მეტჯერაც ჰქონია. სიხშირეთა დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №29.

დიაგრამა №29. ბოლო 2 წლის განმავლობაში ფიზიკური, ფსიქოლოგიური,სექსუალური ძალადობის გამოცდილება.



4.4.1.1. ფიზიკური ძალადობის უკანასკნელი გამოცდილება 2 წლის ინტერვალში

ძირითადი მიგნებები:

- **გამოკითხული რესპონდენტების 29.4%-ს (n=91) ჰქონია ფიზიკური ძალადობის გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში.**
- **იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ჰქონიათ ფიზიკური ძალადობის გამოცდილება, ფიზიკური ძალადობის მუქარას 78% დაექვემდებარა, სექსუალური ძალადობის მუქარას – 34%, ფიზიკურ ძალადობას 36% და სიცოცხლით მოსპობის მუქარას – 40%.**
- **მოძალადედ ყველაზე ხშირად დასახელდა უცხო ადამიანი (n=40) და ადამიანი სანაცნობო წრიდან (n=39).**
- **49.5%-ის შემთხვევაში, ძალადობრივი ქმედება ჩაიდინა ერთმა ადამიანმა, ხოლო 50.4%-ის შემთხვევაში, ძალადობის ჩამდენი ერთზე მეტი ადამიანი იყო.**
- **რაც შეეხება მოძალადეთა გენდერს, ყურადსაღებია, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოძალადე კაცი იყო (78%), 8.8%-ის შემთხვევაში – ქალი, ხოლო 7.7%-ის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე კაცი.**
- **რესპონდენტთა მხოლოდ 30.4%-მა მიმართა პოლიციას რეაგირებისთვის, ხოლო 69.6%-მა უარი განაცხადა პოლიციისადმი მიმართვაზე.**
- **მათგან, ვინც პოლიციას რეაგირებისთვის მიმართა (n=28), 57.1%-მა უარყოფითად შეაფასა პოლიციის რეაგირება, ხოლო 25%-მა დადებითად.**

გამოკითხული რესპონდენტების 29.4%-ს (N=91) ჰქონია ფიზიკური ძალადობის გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში. პერიოდულობის დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №30.

დიაგრამა №30. ბოლო 2 წლის განმავლობაში ფიზიკური ძალადობის უკანასკნელი შემთხვევა.

იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ჰქონიათ ფიზიკური ძალადობის გამოცდილება, **ფიზიკური ძალადობის მუქარას 78% დაექვემდებარა, სექსუალური ძალადობის მუქარას – 34%, ფიზიკურ ძალადობასა 36% და სიცოცხლით მოსპობის მუქარას – 40%.** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №31.

დიაგრამა №31. ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოცდილება.



ნიშანდობლივია, რომ მოძალადედ ყველაზე ხშირად დასახელდა **უცხო ადამიანი (n=40)** და **ადამიანი სანაცნობო წრიდან (n=39).** შემთხვევები, როდესაც ძალადობა განხორციელდა რადიკალი, ნეოკონსერვატული დაჯგუფებების წევრების მხრიდან, გამოკითხვაში შეადგენს 13-ს. თითქმის თანაბარი სიხშირით დასახელდა რესპონდენტების მხრიდან მოძალადედ ოჯახის წევრი/მეურვე (10 შემთხვევა) ან პარტნიორი (9 შემთხვევა). სიხშირეების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №32.

დიაგრამა №32. ძალადობის ჩამდენი პირი[113].



რესპონდენტების 49.5%-ის შემთხვევაში, ძალადობრივი ქმედება განხორციელდა **ერთი** ადამიანის მიერ, ხოლო 50.4%-ის შემთხვევაში ძალადობის ჩამდენი **ერთზე მეტი** ადამიანი იყო. ძალადობის ჩამდენ პირთა გენდერის მიხედვით, ყურადსაღებია, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მოძალადე კაცია (78%), 8.8%-ის შემთხვევაში – ქალი, ხოლო 7.7%-ის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე კაცი.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ძალადობის ჩამდენი პირი ერთი ადამიანი იყო (n=45), მათი ასაკი უმეტესწილად 18-35 წლის ასაკობრივ კატეგორიებში მერყეობს (73.3%), ხოლო 17.8%-ის შემთხვევაში, ძალადობის ჩამდენი პირის ასაკი 36-54 წლის ასაკობრივი კატეგორიაა. იმ შემთხვევებში, როდესაც ძალადობას ჯგუფური სახე ჰქონდა (ან მასში ერთზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა) (n=46), ძალადობის ჩამდენი პირების ასაკობრივი კატეგორიები შემდეგნაირად გადანაწილდა: 16-17 წლის – 2.8%; 18-35 წლის – 65.1%; 36-54 წლის – 52.4%; 55+ წლის – 15.4%).

ძალადობის ჩადენის სივრცედ ყველაზე ხშირად დასახელდა ქუჩა (27 შემთხვევა) და ონლაინ სივრცე (25 შემთხვევა). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №33.

113 *შენიშვნა: რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ აერჩიათ პასუხის ერთი ან რამდენიმე ვარიანტი, ასევე, თავად დაემატებინათ პასუხის ვერსია, თუ ის წინასწარ მიწოდებულ შეკითხვის პასუხებში არ ფიგურირებდა.

დიაგრამა №33. ძალადობრივი ქმედების ჩადენის სივრცე.



რესპონდენტების მიერ დასახელებულ ძალადობრივ ქმედებათა 75.3% ტერიტორიულად თბილისში მოხდა, 9.0% – იმერეთში, ხოლო 6.7% – აჭარაში. სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიის რეგიონში შემთხვევათა 3.4-3.4%-ს ჰქონდა ადგილი. ასევე, ქმედებათა 1.1% ჩადენილია საქართველოს ფარგლებს გარეთ. თითქმის ყველა შემთხვევაში, ძალადობრივი ქმედება ჩადენილია **ქალაქის ტიპის დასახლებაში** (96.6%).

საყურადღებოა, რომ რესპონდენტებმა, რომლებმაც ისაუბრეს ბოლო 2 წლის განმავლობაში ძალადობრივ გამოცდილებაზე, **მხოლოდ 30.4%-მა მიმართა პოლიციას რეაგირებისთვის, ხოლო 69.6%-მა უარი განაცხადა პოლიციისადმი მიმართვაზე.**

მათ, ვინც მიმართეს პოლიციას რეაგირებისთვის (n=28), ვთხოვეთ, შეეფასებინათ სამართალდამცავი სისტემის/პოლიციის რეაგირება კონკრეტულ ძალადობრივ ქმედებასთან დაკავშირებით. გამოკითხული რესპონდენტების 57.1%-მა უარყოფითად შეაფასა პოლიციის რეაგირება, ხოლო 25%-მა დადებითად. რესპონდენტების 17.9%-მა პოლიციის რეაგირება ნაწილობრივ დადებითად და ნაწილობრივ უარყოფითად შეაფასა.

რესპონდენტთა 25.0%-ის შემთხვევაში, მოძალადეს სისხლისსამართლებრივი/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა, ხოლო 32.1%-ის შემთხვევაში – არა. ამასთან, გამოკითხულთა 42.9%-ის შემთხვევაში, საქმე სასამართლომდეც არ მისულა.

რესპონდენტებს, რომლებმაც ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირებისთვის არ მიმართეს პოლიციას (n=60), ვთხოვეთ დაესახელებინათ 3 მიზეზი (პრიორიტეტული რიგითობის თვალსაზრისით), რის გამოც შეიკავეს თავი სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მიმართვისგან. **პირველ პრიორიტეტად ყველაზე მეტჯერ დასახელდა შემდეგი დებულებები: 1. ვიფიქრე, რომ ქმედება არ მოჰყვებოდა (25.8%); 2. არასაკმარისად მძიმე ქმედებად ჩავთვალე (19.7%); 3. პოლიციელთა მხრიდან ტრანსფობიური/ჰომოფობიური შიშის გამო (10.6%). მეორე პრიორიტეტად ყველაზე მეტჯერ დასახელდა 1. ძალადობის განმეორების შიშის გამო (22.6%), ხოლო მესამე პრიორიტეტად – წარსულში პოლიციასთან უარყოფითი გამოცდილების გამო (21.7%). პრიორიტეტების დეტალური განაწილების გასაცნობად იხილეთ ცხრილი №12.**

ცხრილი №12. პოლიციისთვის მიმართვაზე უარის მიზეზები.

	I პრიორიტეტი	პრიორიტეტი II	პრიორიტეტი III
ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა	25.8%		
არასაკმარისად მძიმე/სერიოზულ ქმედებად ჩავთვალე	19.7%		
პოლიციელის მხრიდან ტრანსფობიური/ ჰომოფობიური რეაქციების შიშის გამო	10.6%	11.3%	8.7%
ჩავთვალე, რომ თავად გავუმკლავდებოდი	7.6%	11.3%	
ძალადობის განმეორების შიშის გამო	6.1%	22.6%	
ჩავთვალე, რომ ვერაფერს მოიმოქმედებდნენ		17.0%	
სხვას მივმართე დახმარებისთვის		9.4%	
წარსულში პოლიციასთან უარყოფითი გამოცდილების გამო			21.7%
კონფიდენციალობის დარღვევის შიშის გამო			19.6%
ემოციურად მძიმე იყო			13.0%
ქმედებას არ ჰქონია განგრძობითი ხასიათი (ერთჯერადი იყო)			6.5%
N	66	53	46

4.4.1.2. ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე გამოცდილება 5 წლის ინტერვალში

გარდა 2 წლის განმავლობაში მომხდარი უკანასკნელი შემთხვევისა, რესპონდენტებს ეთხოვათ გაეხსენებინათ ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევა, ბოლო 5 წლის ინტერვალში. პირველ ეტაპზე დაზუსტდა განსხვავება ბოლო 2 წელთან დაკავშირებით. შეკითხვაზე რესპონდენტების 44%-მა უპასუხა, რომ ყველაზე მძიმე ფიზიკური ძალადობის გამოცდილება ემთხვევა ბოლო 2 წლის განმავლობაში მომხდარ უკანასკნელ შემთხვევას, ხოლო 49.7% (85 რესპონდენტი) საუბრობს უკანასკნელი შემთხვევისგან განსხვავებულ ქმედებაზე.

ძირითადი მიგნებები:

- **ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილ ძალადობათაგან ყველაზე მძიმე შემთხვევა გამოკითხულთა 86.9%-ის შემთხვევაში მოხდა მინიმუმ 3 წლის წინ, შემთხვევათა 3.5% – ბოლო 12 თვის განმავლობაში, ხოლო, დაახლოებით 10.6%-ის შემთხვევაში – 1 წლიდან – 2 წლის ინტერვალში.**
- **რესპონდენტებმა ყველაზე მძიმე ფიზიკური ძალადობის ფორმად დაასახელეს ფიზიკური ძალადობა (85%), ფიზიკური ძალადობის მუქარა (77%) და სიცოცხლის მოსპობის მუქარა (65%).**
- **რაოდენობრივად ყველაზე მძიმე ფიზიკური ძალადობის შემთხვევა მომდინარეობდა ადამიანისგან რესპონდენტის სანაცნობო წრიდან (n=29), უცხო ადამიანისგან (n=28) და ასევე, მათი პარტნიორის მხრიდან (n=18).**
- **მოძალადე შემთხვევათა უმრავლესობაში კაცი იყო (80.0%), 7.1%-ის შემთხვევაში – ქალი, ხოლო 11.8%-ის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე კაცი.**
- **ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე რესპოდენტთა მხოლოდ 24.7%-მა მიმართა პოლიციას რეაგირებისთვის, ხოლო 75.3%-ს არ მიუმართავს. ვინც მიმართა, მათი დიდი უმრავლესობა (95.2%) პოლიციის მხრიდან რეაგირებას უარყოფითად აფასებს.**

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ფიზიკური ძალადობის ნაკლებად მძიმე შემთხვევების გარდა, მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა რესპონდენტთა რეაგირება ძალადობის მძიმე გამოცდილებისას. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ კვლევის მიხედვით, მიუხედავად ძალადობის აღქმის სუბიექტური სიმძიმისა, მასზე რეაგირებისა და დახმარების მოთხოვნის მაჩვენებელი არსებითად არ განსხვავდება შედარებით მსუბუქი ძალადობის გამოცდილების შემთხვევაში ძალადობაგამოვლილთა რეაგირებისგან.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე გამოცდილების კითხვას უპასუხეს იმ რესპონდენტებმა (N=85), რომელთა გამოცდილება განსხვავდებოდა ბოლო 2 წლის განმავლობაში გამოცდილი ძალადობისგან. ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე გამოცდილებების პერიოდულობის მხრივ, შემთხვევათა 3.5% ბოლო 12 თვის განმავლობაში მოხდა, დაახლოებით 10.6% – 1 წლიდან – 2 წლის ინტერვალში, ხოლო შემთხვევების 86.9% მინიმუმ 3 წლის წინ მოხდა.

რესპონდენტებმა ყველაზე მძიმე ფიზიკური ძალადობის ფორმად დაასახელეს **ფიზიკური ძალადობა (85%), ფიზიკური ძალადობის მუქარა (77%) და სიცოცხლის მოსპობის მუქარა (65%).** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №34.

დიაგრამა №34. ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმების გამოცდილება.



კითხვაზე, თუ ვისგან მომდინარეობდა ძალადობრივი ქმედება და რა ურთიერთობაში იმყოფებოდნენ რესპონდენტები ამ წევრთან/წევრებთან, ყველაზე მეტი სიხშირით დასახელდა **ადამიანი სანაცნობო წრიდან (n=29)** და **უცხო ადამიანი** (n=28). ასევე, ხშირად დასახელდა **პარტნიორიც** (n=18). სიხშირეების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №35.

დიაგრამა №35. ძალადობის ჩამდენი პირი[114].



ბოლო 5 წლის განმავლობაში, რესპონდენტების მიმართ ჩადენილი ყველაზე მძიმე ფიზიკური ძალადობის ნახევარზე მეტ შემთხვევაში (57.6%) ის მომდინარეობდა **ერთი ადამიანისგან,** ხოლო 42.4%-ის შემთხვევაში – **ორი** ადამიანისგან. მოძალადე კი, შემთხვევათა უმრავლესობაში **კაცი** იყო (80.0%), 7.1%-ის შემთხვევაში – ქალი, ხოლო 11.8%-ის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე კაცი. (1.2%-მა მიუთითა, რომ არ იცის, ვისგან მომდინარეობდა ძალადობა). ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოძალადე ერთი ადამიანი იყო (n=36), მისი ასაკი უმეტესწილად 18-35 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ექცევა (58.3%), ხოლო 41.7%-ის შემთხვევაში – 36-54 წლის ასაკობრივი კატეგორიიდანაა. იმ შემთხვევებში კი, როდესაც ძალადობას ჯგუფური სახე ჰქონდა (ან მასში ერთზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა) (n=49), ასაკობრივი კატეგორიები შემდეგნაირად არის განაწილებული: >16-ზე – 2.4%; 16-17 წლის – 9.3%; 18-35 წლის – 75.6%; 36-54 წლის – 44.2%; 55+ წლის – 12.2%.

ძალადობის ჩადენის სივრცედ ყველაზე ხშირად დასახელდა **სახლი** (38.8%) და **ქუჩა** (29.4%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №36.

114 *შენიშვნა: რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ აერჩიათ პასუხის ერთი ან რამდენიმე ვარიანტი, ასევე, თავად დაემატებინათ პასუხის ვერსია, თუ ის წინასწარ მიწოდებულ შეკითხვის პასუხებში არ ფიგურირებდა.

დიაგრამა №36. ძალადობრივი ქმედების ჩადენის ადგილი.



რესპონდენტების მიერ დასახელებული ძალადობრივი ქმედებები 63.5% ჩადენილია თბილისში, 15.3% – იმერეთში, ხოლო 14.1% – აჭარაში, 6% – საქართველოს სხვა რეგიონებში, ხოლო 1.2% – საქართველოს ფარგლებს გარეთ. თითქმის ყველა შემთხვევაში, ძალადობრივი ქმედება ჩადენილია **საქალაქო ტიპის დასახლებაში** (93%).

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებისთვის, მათ მიერ დასახელებული ძალადობის გამოცდილება სუბიექტური აღქმით მძიმე კატეგორიის იყო, სამართალდამცავი უწყებებისადმი მიმართვიანობა კვლავ არსებითად დაბალი იყო. ამგვარი გამოცდილების მქონე რესპოდენტთა მხოლოდ 24.7%-მა მიმართა პოლიციას რეაგირებისთვის, ხოლო 75.3%-მა უარი განაცხადა პოლიციისადმი მიმართვაზე.

რესპონდენტებს, რომლებმაც პოლიციას მიმართეს რეაგირებისთვის (n=21), ვთხოვეთ, შეეფასებინეთ სამართალდამცავი სისტემის/პოლიციის რეაგირება კონკრეტულ ძალადობრივ ქმედებაზე. ამ მხრივ, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა 95.2% უარყოფითად ან უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად – აფასებს პოლიციის რეაგირებას, რესპონდენტების მხოლოდ 4.8%-მა შეაფასა პოლიციის რეაგირება დადებითად. რესპონდენტთა 28.6%-ის შემთხვევაში, მოძალადეს/სამართალდამრღვევს სისხლისსამართლებრივი/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა, 33.3%-ის შემთხვევაში არ დაეკისრა, ხოლო 38.1%-ის შემთხვევაში საქმე სასამართლომდე არ მისულა.

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირებისთვის არ მიმართეს პოლიციას (n=60), ეთხოვათ დაესახელებინათ 3 მიზეზი (პრიორიტეტულად), რის გამოც შეიკავეს თავი პოლიციისადმი მიმართვისგან. ყველაზე მეტჯერ

დასახელდა შემდეგი დებულებები: **ემოციურად მძიმე იყო** (23.4%); **სირცხვილის განცდა, არ მინდოდა სხვას გაეგო** (18.8%); **პოლიციელთა მხრიდან ტრანსფობიური/ჰომოფობიური შიშის გამო** (14.1%). პრიორიტეტების დეტალური განაწილება იხილეთ ცხრილში №13.

ცხრილი №13. პოლიციისთვის მიმართვაზე უარის მიზეზები.

	I პრიორიტეტი	პრიორიტეტი II	პრიორიტეტი III
ემოციურად მძიმე იყო	23.4%		
სირცხვილის განცდა გამიჩნდა (არ მინდოდა სხვას გაეგო)	18.8%		
პოლიციელის მხრიდან ტრანსფობიური/ჰომოფობიური რეაქციების შიშის გამო	14.1%	11.9%	
ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა	12.5%		9.1%
ჩავთვალე, რომ თავად გავუმკლავდებოდი	12.5%	15.3%	
ძალადობის განმეორების შიშის გამო			11.4%
სხვას მივმართე დახმარებისთვის			18.2%
საკმარისი მტკიცებულებების არ ქონის გამო (ხილვადი ფიზიკური დაზიანებები)		11.9%	
კონფიდენციალობის დარღვევის შიშის გამო		13.6%	
ვიფიქრე, რომ არ დამიჯერებდნენ		10.2%	
წარსულში პოლიციასთან უარყოფითი გამოცდილების გამო			22.7%
არ მინდოდა, რომ მოძალადე დაეკავებინათ			6.8%
N	64	59	44

4.4.1.3. ფსიქოლოგიური ძალადობა 2 წლის ინტერვალში

კვლევის შემდეგი თავი რესპონდენტებში ფსიქოლოგიური/ეკონომიკური ძალადობის, იძულების და უგულებელყოფის გამოცდილებას ეხება.

ძირითადი მიგნებები:

- რესპონდენტთა 48.4%-ს ჰქონია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში;
- ტრანსგენდერ რესპონდენტთა 81.5%-ს ჰქონია ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში;
- ლესბოსელი რესპონდენტების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება გამოკითხული ლესბოსელი რესპონდენტების 51.6%-ს აქვს;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში რესპონდენტების თითქმის უმრავლესობას ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებიდან გამოცდილი აქვს სიტყვიერი შეურაცხყოფა/დამცირება ან დაცინვა (87%), რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარზე მეტს გამოცდილი აქვს ემოციური მანიპულაცია (53%) და გენდერული გამოხატვის შეზღუდვის იძულება (54%). რესპონდენტთა მეოთხედზე მეტს კი, გამოცდილი აქვს ფსიქოლოგიური ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა შანტაჟი და იძულება (36%) და ქამინგაუთის მუქარა (28%);
- რესპონდენტების 59.4%-მა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას განგრძობითი ხასიათი ჰქონდა, ხოლო 40.6%-ის შემთხვევაში ქმედება ერთჯერად ხასიათს ატარებდა;
- ფსიქოლოგიურ ძალადობას ყველაზე ხშირად ოჯახის წევრი (n=54) მიმართავდა;
- ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი პირი კი შემთხვევათა უმრავლესობაში კაცი იყო (37.4%), 21.9%-ის შემთხვევაში - ქალი, ხოლო 32.9%-ის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე კაცი;
- ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე ხშირად ჩადენილია სახლში (48.7%), ქუჩასა (29.8%) და ონლაინ სივრცეში (27.0%);
- ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა მხოლოდ 14.2%-მა მიმართა სამართალდამცავ უწყებებს;
- რესპონდენტებმა, რომელთაც არ მიმართეს სამართალდამცავ უწყებებს, შემდეგი მიზეზები დაასახელეს: არასაკმარისად მძიმე ქმედებად მივიჩნიე (31.0%); მივიჩნიე, რომ თავად გავუმკლავდებოდი (22.6%); არ მინდოდა მოძალადე დაეკავებინათ (24.4%).

რესპონდენტებმა გაიხსენეს ბოლო 2 წლის განმავლობაში ფსიქოლოგიური/ეკონომიკური ძალადობის, იძულების და უგულებელყოფის ბოლო შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო მათ სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან.

გამოკითხული რესპონდენტების 38%-მა მიუთითა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება ბოლო 2 წლის განმავლობაში არ ჰქონია, რესპონდენტების დაახლოებით 7%-მა მიუთითა, რომ მსგავსი გამოცდილება 2 წლის წინ ჰქონდა. რესპონდენტების 36% მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის უკანასკნელი შემთხვევა ბოლო 6 თვიდან – 2 წლამდე პერიოდში გადახდათ, ხოლო 12% ფსიქოლოგიური ძალადობის ბოლო შემთხვევას ბოლო 6 თვემდე პერიოდში იხსენებს. იხილეთ დიაგრამა №37.

დიაგრამა №37. ფსიქოლოგიური ძალადობის უკანასკნელი შემთხვევის მაჩვენებელი (პერიოდულობით).

მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიკვეთა შემოსავლების მაჩვენებლების თვალსაზრისით, კერძოდ, 2001 ლარიდან ზევით შემოსავლის მქონე რესპონდენტებში **ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების არქონა** დაახლოებით 10%-ით, ხოლო 3001 ლარიდან ზემვით შემოსავლის მქონე რესპონდენტების შემთხვევაში – 20%-ით მაღალია, ვიდრე შემოსავლების სხვა კატეგორიის მქონე ჯგუფებში. განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (chi-square=64.845, df=35, p<0.005).

რესპონდენტებს, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ჰქონიათ ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო (48.4%, n=155), ვკითხეთ, კონკრეტულად ფსიქოლოგიური ძალადობის რა ფორმა გამოუცდიათ. დიაგრამაზე 4.2. წარმოდგენილია ძალადობის თითოეული ფორმის მიხედვით რესპონდენტების „დიახ“ და „არა“ პასუხების განაწილება. როგორც დიაგრამაზეც ჩანს, რესპონდენტების თითქმის უმრავლესობას ფსიქოლო-

გიური ძალადობის ფორმებიდან გამოცდილი აქვს სიტყვიერი შეურაცხყოფა/დამცირება ან დაცინვა (87%), რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარზე მეტს გამოცდილი აქვს ემოციური მანიპულაცია (53%) და გენდერული გამოხატვის შეზღუდვის იძულება (54%). რესპონდენტთა მეოთხედზე მეტს კი გამოცდილი აქვს ფსიქოლოგიური ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა შანტაჟი და იძულება (36%) და ქამინგაუთის მუქარა (28%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №38.

დიაგრამა №38. ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები ბოლო 2 წლის განმავლობაში.



რესპონდენტების 59.4%-მა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას განგრძობითი ხასიათი ჰქონდა, ხოლო 40.6%-ის შემთხვევაში ქმედება ერთჯერად ხასიათს ატარებდა.

კითხვაზე, თუ ვისგან მომდინარეობდა ფსიქოლოგიური ძალადობრივი ქმედება და რა ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ისინი ამ წევრთან/წევრებთან, ყველაზე ხშირად დასახელდა **ოჯახის წევრი (n=54)** და **უცხო ადამიანი** (n=50). 40 შემთხვევაში ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი იყო პირი რესპონდენტის სანაცნობო წრიდან. სიხშირეების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №39.

დიაგრამა №39. ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი პირი (სიხშირეები, რაოდენობები მითითებულია რიცხვებში).



რესპონდენტების მიერ დასახელებული ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევათა თითქმის ნახევარი ჩადენილია ერთი ადამიანის მიერ (47.7%) და 51%-ის შემთხვევაში მოძალადე პირი იყო ერთზე მეტი. საინტერესოა, რომ ფიზიკური ძალადობისგან განსხვავებით, არ არის არსებითად დიდი განსხვავება ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენ პირთა გენდერს შორის. შემთხვევათა 37.4%-ში მოძალადე კაცია, 21.9%-ის შემთხვევაში – ქალი, ხოლო 32.9%-ის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე კაცი (7.8%-მა აღნიშნა, რომ არ იცის, თუ ვისგან მომდინარეობდა ძალადობა).

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოძალადე ერთი ადამიანი იყო (n=74), მათი ასაკი უმეტესწილად 18-35 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია განაწილებული (45.3%), ხოლო 32.0%-ის შემთხვევაში – 36-54 წლის ასაკობრივი კატეგორიიდანაა. იმ შემთხვევებში, როდესაც ძალადობას ჯგუფური სახე ჰქონდა (ან მასში ერთზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა) (n=79), ასაკობრივი კატეგორიები შემდეგნაირად არის განაწილებული: >16-ზე – 1.6%; 16-17 წლის – 10.9%; 18-35 წლის – 64.9%; 36-54 წლის – 44.9%; 55+ წლის – 6.5%).

ძალადობრივი ქმედების ჩადენის სივრცედ ყველაზე ხშირად დასახელდა **სახლი** (48.7%), **ქუჩა** (29.8%) და **ონლაინ სივრცე** (27.0%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №40.

დიაგრამა №40. ფსიქოლოგიური ძალადობის ჩადენის სივრცე.



შემთხვევათა 68.4% მოხდა/ხდებოდა თბილისში, 12.9% – აჭარაში, ხოლო 11% – იმერეთში. შემთხვევათა 7.6% მოხდა საქართველოს სხვა რეგიონებში, ხოლო 0.6% – საქართველოს ფარგლებს გარეთ. ფსიქოლოგიური ძალადობის 90.7%-ის შემთხვევაში – ჩადენილია ქალაქის ტიპის დასახლებაში, შემთხვევათა 7.3% ჩადენილია დაბის, ხოლო 2.0% – სოფლის ტიპის დასახლებაში.

მსგავსად ფიზიკური ძალადობისა, ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილების შემთხვევაშიც, რესპონდენტები ნაკლებად მიმართავენ პოლიციას ან სამართალდამცავ სტრუქტურებს. ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 14.2%-ია, ხოლო რესპონდენტების 82.6%-ს არ მიუმართავს პოლიციისთვის. გამოკითხული რესპონდენტების 3.2%-მა თავი შეიკავა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან.

არსებითად დაბალია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც ფსიქოლოგიური ძალადობის შესატყობინებლად მიმართეს სამართალდამცავ უწყებებს (n=22), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა არ აღიქმება ისეთივე სიმძიმით, როგორც ფიზიკური ძალადობა. საგულისხმოა, რომ მათი ნახევარიც კი, ვინც რეაგირებისთვის მიმართა სამართალდამცავ უწყებას, რეაგირებას უარყოფითად აფასებს (50.0%), რესპონდენტების 31.8% დადებითად ან უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს სამართალდამცავი სტრუქტურების რეაგირებას კონკრეტულ ძალადობრივ გამოცდილებაზე. 18.2%-მა ნაწილობრივ დადებითი და ნაწილობრივ უარყოფითი ვარიანტი შეარჩია. რესპონდენტთა 4.5%-ის შემთხვევაში, მოძალადეს/სამართალდამრღვევს სისხლისსამართლებრივი/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა, 68.2%-ის შემთხვევაში არ დაეკისრა, ხოლო 13.6%-ის შემთხვევაში საქმე სასამართლომდე არ მისულა. ასევე, შემთხვევათა 13.6%-ის შემთხვევაში, საქმე, საველე სამუშაოების პერიოდში, განხილვის პროცესში იყო.

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირებისთვის არ მიმართეს პოლიციას (n=128), ვთხოვეთ დაესახელებინათ 3 მიზეზი (პრიორიტეტუ-

ლად), რის გამოც შეიკავეს თავი პოლიციისათვის მიმართვისგან. მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი დებულებები: არასაკმარისად მძიმე ქმედებად მივიჩნიე (31.0%); მივიჩნიე, რომ თავად გავუმკლავდებოდი (22.6%); ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა (15%); არ მინდოდა მოძალადე დაეკავებინათ (24.4%). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა ნორმალიზებულ ქცევად მიიჩნევა და რესპონდენტები მას არასაკმარისად სერიოზულ ქმედებად აღიქვამენ, შესაბამისად, მხარდაჭერასაც ნაკლებად ელიან. პრიორიტეტების დეტალური განაწილება იხილეთ ცხრილში №14.

ცხრილი №14. პოლიციისათვის მიმართვაზე უარის მიზეზები.

	I პრიორიტეტი	პრიორიტეტი II	პრიორიტეტი III
არასაკმარისად მძიმე/სერიოზულ ქმედებად ჩავთვალე	31.0%	13.2%	
ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა	13.5%	7.5%	7.0%
სირცხვილის განცდა გამიჩნდა (არ მინდოდა სხვას გაეგო)	11.9%		
ჩავთვალე, რომ თავად გავუმკლავდებოდი	11.9%	22.6%	11.6%
საკმარისი მტკიცებულებების არ ქონის გამო (ხილვადი ფიზიკური დაზიანებები)	7.9%		
ჩავთვალე, რომ ვერაფერს მოიმოქმედებდნენ		7.5%	8.1%
ძალადობის განმეორების შიშის გამო		7.5%	
არ მინდოდა, რომ მოძალადე დაეკავებინათ			24.4%
პოლიციელთა მხრიდან ტრანსფობიური/ჰომოფობიური რეაქციების შიშის გამო			10.5%
N	126	106	86

4.4.1.4. ფსიქოლოგიური ძალადობა 5 წლის ინტერვალში

ძირითადი მიგნებები

- **ბოლო 5 წლის განმავლობაში ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევად რესპონდენტების მხრიდან დასახელდა სიტყვიერი შეურაცხყოფა/დაცინვა ან დამცირება (70%), ემოციური მანიპულაცია (58%), შანტაჟი და იძულება (46%) და გენდერული გამოხატვის შეზღუდვის იძულება (36%).**
- **მიუხედავად ქმედებათა ძალადობრივი ხასიათის სუბიექტური სიმძიმისა, სამართალდამცავ უწყებას ფაქტის შესატყობინებლად, რესპონდენტების მხოლოდ 10.2%-მა მიმართა, ხოლო 89.8%-ს არ მიუმართავს.**
- **რესპონდენტებმა სამართალდამცავ სტრუქტურას არ მიმართეს შემდეგ მიზეზთა გამო: „ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა“ (22.0%); „პოლიციელთა მხრიდან ჰომოფობიური/ტრანსფობიური რეაქციის შიშის გამო“ (14.3%); არ მქონდა საკმარისი მტკიცებულებები (14.3%.); „წარსულში პოლიციასთან უარყოფითი გამოცდილების გამო“ (22.9%).**
- **ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობრივი ქმედება ბოლო 5 წლის განმავლობაში რესპონდენტთა მიხედვით, ჩადენილია სახლში (30.5%), ონლაინ სივრცეში (18.6%), ქუჩასა (15.3%) და სამუშაო ადგილზე (15.3%).**

გარდა 2 წლის განმავლობაში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის უკანასკნელი შემთხვევისა, რესპონდენტებს ეთხოვათ გაეხსენებინათ ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევა ბოლო 5 წლის ინტერვალში. **მძიმე გამოცდილების ცალკე ჩვენება ემსახურება მასთან დაკავშირებული რეაქციების განსხვავებების გამოვლენას, მათ შორის, იმის ჩვენებას, ახდენს თუ არა გავლენას ძალადობრივ გამოცდილებათა სიმძიმე სამართალდამცავი სისტემისთვის თუ სხვა მხარდამჭერი სივრცისთვის მიმართვაზე. სხვადასხვა გამოკითხვა აჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, გამოცდილებათა სუბიექტურად აღქმული მძიმე ხასიათი ძალადობაგამოვლილ პირს დახმარების მოთხოვნისკენ მეტად უბიძგებს, თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ ამ ფაქტის მძიმე ხასიათი შეიძლება გახდეს დახმარებაზე უარის თქმის საფუძველიც, რადგანაც ის განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს პირის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე.**

შესაბამისად, გამოკითხვის ფარგლებში, მნიშვნელოვანი იყო, კვლევას გაემიჯნა ბოლო 2 წლის განმავლობაში მომხდარი უკანასკნელი შემთხვევა ბოლო 5 წლის განმავლობაში მომხდარი ყველაზე მძიმე შემთხვევისგან. ამ მხრივ, **რესპონდენ-**

ტების 23.0%-მა (n=59) აღნიშნა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცდილი ძალადობის მძიმე ფორმა განსხვავდებოდა ბოლო ორი წლის განმავლობაში დასახელებული ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევისგან, ხოლო 75.4%-ის შემთხვევაში, ბოლო 2 წლის განმავლობაში მომხდარი ფსიქოლოგიური ძალადობის უკანასკნელი შემთხვევა მათთვის ყველაზე მძიმე ქმედებად აღიქმება.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ქმედების სიმძიმის აღქმა სუბიექტურია და ხშირად, ქმედების ჩამდენთა პირთა მიმართ მათ კავშირზეც არის დამოკიდებული, კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო ეჩვენებინა, თუ რას მიიჩნევენ რესპონდენტები ფსიქოლოგიური ძალადობის მძიმე ფორმად და ძალადობის რა ფორმას ჰქონდა მათ შემთხვევაში ადგილი.

ამ მხრივ, ყველაზე მეტად დასახელდა **სიტყვიერი შეურაცხყოფა/დაცინვა ან დამცირება (70%), ემოციური მანიპულაცია (58%), შანტაჟი და იძულება (46%).** ასევე, რესპონდენტების 36%-მა დაასახელა **გენდერული გამოხატვის შეზღუდვის იძულების ფორმა.** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №41.

დიაგრამა №41. ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები ბოლო 5 წლის განმავლობაში (N=59).



ბოლო 5 წლის განმავლობაში ფსიქოლოგიური ძალადობის მძიმე შემთხვევათა 7% ბოლო 12 თვის განმავლობაშია ჩადენილი, 14% – 1 წლიდან – 2 წლამდე პერიოდში, 20% – 2 წლიდან – 3 წლამდე პერიოდში, 34% – 3 წლიდან 4 წლამდე პერიოდში, ხოლო 13% – 4 წლიდან 5 წლამდე პერიოდში. რესპონდენტების 13%-მა მიუთითა, რომ არ ახსოვთ, თუ როდის მოხდა აღნიშნული შემთხვევა.

დიაგრამა №42. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევის დროითი განაწილება.



კითხვაზე, თუ ვისგან მომდინარეობდა ფსიქოლოგიური ძალადობრივი ქმედება და რა ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ისინი ამ პირებთან, ყველაზე მეტი სიხშირით დასახელდა **ოჯახის წევრი (n=22)** და **ადამიანი სანაცნობო წრიდან** (n=16). 8 შემთხვევაში ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი პირი იყო უცხო ადამიანი. სიხშირეების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №43.

დიაგრამა №43. ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი პირი (რაოდენობა, n).



რესპონდეტების 76.3%-ის თქმით, ყველაზე მძიმე ძალადობრივი შემთხვევა ჩადენილია ერთი ადამიანის მიერ, ხოლო 23.7%-ის შემთხვევაში, ძალადობრივი ქმედების ჩამდენი პირი ერთზე მეტი იყო.

ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენ პირთა თითქმის ნახევარი, **კაცი** იყო (52.5%), 28.8% კი – ქალი, ხოლო 15.3% – როგორც ქალი, ისე კაცი (3.4%-მა მიუთითა, რომ არ იცის, ვისგან მომდინარეობდა ძალადობა). ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოძალადე ერთი ადამიანი იყო, მათი ასაკი უმეტესწილად 18-35 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია განაწილებული (37.8%), ხოლო 28.9%-ის შემთხვევაში, 36-54 წლის ასაკობრივი კატეგორიიდანაა. იმ შემთხვევებში, როდესაც ძალადობას ჯგუფური სახე ქონდა (ან მასში ერთზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა), ასაკობრივი კატეგორიები შემდეგნაირად არის განაწილებული: 18-35 წლის – 64.3%; 36-54 წლის – 71.4%.

ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობრივი ქმედება ბოლო 5 წლის განმავლობაში რესპოდენტთა მიხედვით, ჩადენილია **სახლში** (30.5%), **ონლაინ სივრცეში** (18.6%), **ქუჩასა** (15.3%) და **სამუშაო ადგილზე** (15.3%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №44.

დიაგრამა №44. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე მძიმე შემთხვევის ადგილი.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ქმედებათა ძალადობრივი ხასიათის სუბიექტური სიმძიმისა, სამართალდამცავ უწყებას ფაქტის შეტყობინების მიზნით, რესპონდენტების მხოლოდ 10.2%-მა მიმართა, ხოლო 89.8%-ს არ მიუმართავს.

პოლიციას სულ ექვსმა რესპონდენტმა მიმართა, რის გამოც, პოლიციის რეაგირება აღარ შეგვიფასებია.

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირებისთვის არ მიმართეს პოლიციას (n=53), ვთხოვეთ დაესახელებინათ 3 მიზეზი (პრიორიტეტულად), რის გამოც შეიკავეს თავი პოლიციისათვის მიმართვისგან. მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი დებულება – **ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა** (22.0%); **პოლიციელთა მხრიდან ჰომოფობიური/ტრანსფობიური რეაქციის შიშის გამო – 14.3%, ასევე, დებულება – არ მქონდა საკმარისი მტკიცებულებები – 14.3%.** დეტალური განაწილება იხილეთ ცხილში №15.

ცხრილი №15. პოლიციისათვის მიმართვაზე უარის მიზეზები.

	I პრიორიტეტი	პრიორიტეტი II	პრიორიტეტი III
ჩავთვალე, რომ ვერაფერს მოიმოქმედებდნენ	22.0%		11.4%
ვიფიქრე, რომ რეაგირება არ მოჰყვებოდა	18.0%		5.7%
არასაკმარისად მძიმე ქმედებად ჩავთვალე	16.0%	7.1%	
სირცხვილის განცდა გამიჩნდა, არ მინდოდა სხვას გაეგო	8.0%		
პოლიციელთა მხრიდან ტრანსფობიური/ჰომოფობიური რეაქციების შიშის გამო	6.0%	14.3%	
არ მქონდა საკმარისი მტკიცებულებები (ხილვადი ფიზიკური დაზიანებები)		14.3%	
ძალადობის განმეორების შიშის გამო		11.9%	
ჩავთვალე, რომ თავად გავუმკლავდებოდი		9.5%	20.0%
წარსულში პოლიციასთან უარყოფითი გამოცდილების გამო			22.9%
ვიფიქრე, რომ არ დამიჯერებდნენ			8.6%
N	50	42	35

4.5. განათლების ხელმისაწვდომობა და ჰომო/ტრანსფობიური ბულინგის გამოცდილება

წინამდებარე თავი აფასებს, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ლგბტქ ადამიანებისთვის განათლება და იკვლევს როგორც სოციალურ, ისე იდენტობასთან დაკავშირებულ ბარიერებს სამ ძირითად საგანმანათლებლო სივრცეში – სასკოლო, პროფესიულ და საუნივერსიტეტო/უმაღლეს განათლებაში.

გამოკითხულ რესპონდენტთა **თითქმის ნახევარს** (45.9%) მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (მინიჭებული აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი), თითქმის მესამედი – არასრული უმაღლესი განათლების საფეხურზეა, გამოკითხულთა მხოლოდ 11.9%-მა მიუთითა მათ მიერ მიღებული განათლების ბოლო საფეხურად სრული საშუალო განათლება. ასევე, 8.8%-ს მიღებული აქვს პროფესიული განათლება. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №45.

დიაგრამა №45. რესპონდენტების განათლების დონე.



რესპონდენტებმა შეაფასეს საქართველოში არსებული განათლების ხარისხი. გამოკითხულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა (37%, N=320) საქართველოში განათლების დაბალ ხარისხზე გააკეთა აქცენტი, 20%-მა კი – ძალიან დაბალის კატეგორია აირჩია. იმ რესპონდენტების წილი გამოკითხვაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოში განათლების მაღალი ან ძალიან მაღალი ხარისხია, დაახლოებით 11%-ია. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №46.

დიაგრამა №46. საქართველოში არსებული განათლების ხარისხის ზოგადი შეფასება.

რესპონდენტების მიერ ასევე შეფასდა განათლების ბოლო საფეხურის ხარისხი 5 ბალიან შკალაზე. გამოკითხულთა 43.8% დადებითად ან უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად აფასებს მათ მიერ მიღებული განათლების ბოლო საფეხურს, ხოლო 29.1% – უარყოფითად, ან უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №47.

დიაგრამა №47. განათლების ბოლო საფეხურის შეფასება.



შეკითხვაზე, *„მოახდინა თუ არა გავლენა ოჯახიდან მომდინარე სტრესმა თქვენი განათლების ხარისხზე?“* რესპონდენტების (N=274) 42%-მა უპასუხა, რომ არ მოუხდენია, 33.6%-ის აზრით, ოჯახიდან მომდინარე სტრესმა ნაწილობრივ მოახდინა გავლენა განათლების მიღების ხარისხზე, ხოლო 23.7%-მა მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მათ მიერ განათლების ხარისხზე.

4.5.1. სასკოლო განათლება

ძირითადი მიგნებები

- რესპონდენტების 57% მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული განათლების ხარისხი დაბალია.
- დებულებას - „არანორმატიული სექსუალური იდენტობის მქონე მოზარდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლების უფლებაზე, ვიდრე დანარჩენებს“ - სრულებით ან ნაწილობრივ დაეთანხმა რესპონდენტების 48.7%.
- რესპონდენტების (N=292) 32.2%-მა ზოგადი განათლების მიღების ბარიერად დაასახელა ჰომოფობიური დისკრიმინაცია პედაგოგების ან/და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, ხოლო 41.9%-მა - კლასელების/სკოლელების მხრიდან მომდინარე ჰომოფობიური ბულინგი.
- იმ რესპონდენტების 44.1%-ს, რომლებსაც შეხვედრიათ ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ბარიერები სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო (N=136), გაუცდენია სასწავლო დღე სკოლაში.
- ფორმალური განათლების ჭრილში, რესპონდენტების მეოთხედს (25.3%) მიუღია ინფორმაცია ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და 19.7%-ს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ყველაზე ნაკლებად დასახელდა ისეთი თემები, როგორებიცაა სექსუალურ ცხოვრებასთან/თავდაცვასთან (14.1%) და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან დაკავშირებული საკითხები (14.7%).
- გამოკითხული რესპონდენტებიდან (N=89) ნახევარზე მეტს სკოლაში ჰქონია ძალადობის გამოცდილება სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გამო (N=49). ძალადობრივ ქმედებებს შორის ყველაზე ხშირია სიტყვიერი შეურაცხყოფა, შევიწროება ან მტრული კომენტარები (46.1%). რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა სხვა მოსწავლეების ჰომოფობიური/ტრანსფობიური დისკრიმინაციული ქცევის წახალისებას მესამე პირების მხრიდან (29.2%). ბოლო 5 წლის განმავლობაში, რესპონდენტების მეოთხედს (25.8%) სკოლაში ჰქონია ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოცდილება, ხოლო 22.5%-ის პერსონალური მონაცემები მათი ნებართვის გარეშე გაავრცელეს.
- ძალადობის შემთხვევათა დიდ ნაწილი მომდინარეობდა კლასელების მხრიდან (85.17%), რესპონდენტების 26.5%-მა კი აღნიშნა, რომ ძალადობა პედაგოგის მხრიდან მომდინარეობდა.

გამოკითხული რესპონდენტების 97.2%-მა სასკოლო განათლება საქართველოში მიიღო (N=320), ხოლო 2.5%-მა საქართველოს ფარგლებს გარეთ. 0.3%-ს – არ აქვს მიღებული სასკოლო განათლება. იმ რესპონდენტთა 50.8%-მა (N=311), ვინც სასკოლო განათლება საქართველოში მიიღო, სკოლა თბილისში დაამთავრა, 16.4%-მა – იმერეთში, 9%-მა – აჭარაში, ხოლო 6.4%-მა – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №48.

სკოლების 84.7% ქალაქის ტიპის დასახლებაში მდებარეობდა, 10.7% – სოფლის, ხოლო 3.6% დაბის ტიპის დასახლებაში. რაც შეეხება სკოლის ტიპებს, რესპონდენტების 78.8%-ს საჯარო ტიპის სკოლაში აქვთ განათლება მიღებული, 7.7%-ს კერძო სკოლაში, ხოლო 13.2%-ს როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლაში.

დიაგრამა №48. რესპონდენტთა სკოლის მდებარეობა (N=311).



რადგანაც ფორმალური სასკოლო განათლების სრულფასოვნად მიღებას, შესაძლოა, არსებითი გავლენა ჰქონდეს ადამიანების სამომავლო კეთილდღეობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შეგვესწავლა განათლების მიღების პროცესში არსებული სოციალური თუ სხვა ტიპის ბარიერების შესაძლო არსებობა. სოციალური პრობლემების მქონე რესპონდენტთა შორის (N=87) 14.5%-მა მთავარ ბარიერად ტანსაცმლის შესაძენად საჭირო ფინანსური სახსრების არარსებობა დაასახელა, ხოლო 13.8%-მა – ფინანსური სახსრების არარსებობა წიგნების შესაძენად. საინტერესოა, რომ 7.7%-მა სასკოლო განათლების სრულფასოვნად მიღე-

ბისთვის არსებულ ბარიერად ანაზღაურებად შრომით ურთიერთობაში ჩართვა დაასახელა. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №49.

დიაგრამა №49. სოციალური ბარიერები სასკოლო განათლების მიღების პროცესში.



განათლების მიღების პროცესში, გარდა სოციალური-ეკონომიკური ბარიერებისა, შესაძლოა, არსებობდეს ისეთი ბარიერები, რომელიც სუბიექტის მიერ უფლებათა პრაქტიკაში ეფექტურ განხორციელებას უშლის ხელს, ლგბტქ ჯგუფის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს უშუალო კავშირში მათ იდენტობასა და გენდერულ გამოხატვასთან. აქედან გამომდინარე, ლგბტქ ჯგუფის წევრები საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობების პირობებში, შესაძლოა, დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობასა და გარიყვას, მათ შორის, საგანმანათლებლო სივრცეებში, რაც ფორმალურ ზოგად განათლებას არახელმისაწვდომს ხდის. სასკოლო სივრცეებში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულება კი, თავის მხრივ, აიძულებს თემის წევრს შეცვალოს ქცევა ან/და გამოხატვა, რთულ შემთხვევებში კი არ დაესწროს საგაკვეთილო პროცესს ან შეიცვალოს სკოლა. ამიტომ, წინამდებარე კვლევის მიზანი იყო ეჩვენებინა რესპონდენტთა განწყობები და აღქმები, განათლების უფლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. შედეგად, ნიშანდობლივია, რომ დებულებას – *„არანორმატიული სექსუალური იდენტობის მქონე მოზარდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლების უფლებაზე, ვიდრე დანარჩენებს“* – სრულებით ან ნაწილობრივ დაეთანხმა რესპონდენტების 48.7% (N=310), რაც არსებითად მაღალი მაჩვენებელია. რესპონდენტების 27.5% სრულად ან ნაწილობრივ არ დაეთანხმა ამ დებულებას, ხოლო იმ რესპონდენტების რიცხვი, რომლებსაც გაუჭირდათ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მხოლოდ 3.2%-ია. კროსტაბულაციური ანალიზის მიხედვით, ამ დებულებას ყველაზე მეტად დაეთანხმნენ ტრანსგენდერი (79%), გეი (54%) და ლესბოსელი რესპონდენტები (56%) (განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა (chi-square=85.425, df=25, p<0.001)). პასუხების განაწილება რესპონდენტების იდენტობების მიხედვით იხილეთ დიაგრამაზე №50.

დიაგრამა №50. პასუხების განაწილება დებულებაზე: არანორმატიული იდენტობის მქონე მოზარდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლების უფლებაზე სხვებთან შედარებით.



ამასთან, რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს ზოგად განათლებაზე ხელმისაწვომობის ის ბარიერები, რომლებმაც ხელი შეუშალათ, გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო სხვებთან თანასწორად ესარგებლათ განათლების უფლებით. საყურადღებოა, რომ **რესპონდენტების (N=292) 32.2%-მა ასეთ ბარიერად ჰომოფობიური დისკრიმინაცია დაასახელა პედაგოგების ან/და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, ხოლო 41.9%-მა კლასელების/სკოლელების მხრიდან გამოწვეულ ჰომოფობიურ ბულინგზე გააკეთა აქცენტი.** სასკოლო დაწესებულებაში ძალადობის საფრთხეზე მიუთითა რესპონდენტების 27.1%-მა, ხოლო სკოლიდან გაშვების საფრთხეზე – 11.5%-მა.

კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს ჯგუფთაშორისი განსხვავებები ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერებთან დაკავშირებით, კერძოდ, ჰომოფობიური/ტრანსფობიური დისკრიმინაცია და ბულინგი პედაგოგების/ადმინისტრაციის ან კლასელების/სკოლელების მხრიდან **ყველაზე ხშირია ტრანსგენდერ რესპონდენტებში, ამავე ჯგუფში ასევე ხშირია ძალადობის საფრთხეც (60.6%).** კლასელების მხრიდან ბულინგი ხშირია გეი რესპონდენტებთან მიმართებით **(47.1%).** (95%-იან სანდოობაზე დათვლილი მონაცემების შედეგად, დადგინდა, რომ ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Sig.<0.05)); სიხშირეთა დეტალური განაწილება იხილეთ ცხრილში №16.

ცხრილი №16. ბულინგისა და უთანასწორო მოპყრობის განაწილება (ცხრილში მოცემული შედგები დათვლილია „დიახ“ პასუხების სიხშირეების მიხედვით).

რესპონდენტის იდენტობა:	1. ჰომოფობიური დისკრიმინაცია პედაგოგების ან/და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან	რესპონდენტების საერთო რაოდენობა, N	2. ჰომოფობიური ბულინგი კლასელების / სკოლელების მხრიდან	რესპონდენტების საერთო რაოდენობა, N	3. ძალადობის საფრთხე	რესპონდენტების საერთო რაოდენობა, N	4. სკოლიდან გაშვების საფრთხე	რესპონდენტების საერთო რაოდენობა, N
ლესბოსელი	28.2%	85	30.6%	85	11.1%	81	4.8%	84
გეი	30.4%	102	47.1%	102	36.3%	102	14.0%	100
ბისექსუალი ქალი	32.3%	31	40.0%	30	6.5%	31	16.1%	31
ბისექსუალი კაცი	6.9%	29	24.1%	29	13.8%	29	0%	29
ტრანსგენდერი	66.7%	33	69.7%	33	60.6%	33	28.1%	32
სხვა	41.7%	12	50.0%	12	50.0%	12	9.1%	11
ჯამი:	32.3%	292	41.9%	291	27.1%	288	11.5%	287

სასკოლო სივრცეში გავრცელებული ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და შევიწროების რისკის არსებობიდან გამომდინარე, ლგბტქ თემის წევრები იძულებულნი არიან სხვადასხვა მეთოდით თავი დაიცვან ძალადობრივი და დამაზიანებელი ქმედებებისგან, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დასმულ კითხვაზე *„გიწევდათ, თუ არა სკოლაში საკუთარი გენდერული გამოხატვის მისადაგება სტერეოტიპულ გენდერულ ნორმებთან, რათა არ გამხდარიყავით დისკრიმინაციის, ბულინგის ან შევიწროების მსხვერპლი“* – რესპოდენტთა დიდი ნაწილი – 69.7% აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ინტენსივობით უწევდა აღნიშნული თავდაცვის/არიდების მეთოდის გამოყენება (რესპონდენტების 32.6%-მა უპასუხა, რომ ყოველთვის უწევდათ, 37.1%-ის შემთხვევაში, **ნაწილობრივ** უხდებოდათ საკუთარი გენდერული გამოხატვის გავრცელებულ გენდერულ ნორმებთან მისადაგება, ხოლო 30.3%-ს არ უწევდა).

სასკოლო სივრცეში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებები არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე[115] და შემეცნების მოტივაციაზე/უნარზე, რადგანაც იდენტობაზე დაფუძნებული ნეგატიური გარემო აძლიერებს სტრესსა და საკუთარი თავის მიმართ მიუღებლობას. შესაბამისად, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმ რესპონდენტების **44.1%-ს,** რომლებსაც შეხვედრიათ ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ბარიერები სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო (N=136), **გაუცდენია სასწავლო დღე სკოლაში.** ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გაცდენის სიხშირეც – რესპონდენტთა (N=60) 35.5% იშვიათად აცდენდა სკოლას, 30.3% – ხშირად, ხოლო 19.7% ძალიან ხში-

115 UNESCO, Out in the Open: Education sector responses to violence based on sexual orientation and gender identity/expression, 2016

რად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჰომოფობიური/ტრანსფობიური ბულინგის გამო რესპონდენტების შედარებით მცირე რაოდენობას 6.6%-ს (N=320) შეუცვლია სკოლა ზემოთდასახელებული მიზეზის გამო.

საქართველოში არ არსებობს ყოვლისმომცველი სექსუალურ განათლება. არსებობს გაკრვეული საკითხები, რომელიც შედის სხვადასხვა საგნის კურიკულუმში (მაგ. მე და საზოგადოება, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია), თუმცა, ეს კურიკულუმები არ არის საკმარისი, რათა გარანტირებული იყოს **მოსწავლეთა უფლება, მიიღონ მეცნიერულად სწორი, ასაკისა და განვითარების შესაბამისი, სიღრმისეული განათლება სექსუალობის შესახებ.**[116] წინამდებარე კვლევამ მიზნად ასევე დაისახა ეჩვენებინა, თუ რა ტიპის გამოცდილებები არსებობს რესპონდენტთა შორის **ფორმალური** და **არაფორმალური** განათლების ფარგლებში სექსუალური განათლების რომელიმე ელემენტის შესახებ ინფორმაციის/განათლების მიღების კუთხით, მათ შორისა, გენდერული თანასწორობა, ადრეული ქორწინება და გენდერული ძალადობა.

კვლევამ აჩვენა, რომ ფორმალური განათლების ჭრილში, რესპონდენტების მეოთხედს (25.3%) მიუღია ინფორმაცია ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და 19.7%-ს – გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამოკითხულმა რესპონდენტებმა ყველაზე ნაკლებად დაასახელეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა სექსუალურ ცხოვრებასთან/თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები (14.1%) და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან (სგგი) დაკავშირებული საკითხები (14.7%). აღსანიშნავია ისიც, რომ არაფორმალური განათლების ფარგლებში, თითოეული დებულება რესპონდენტების მხრიდან უფრო ხშირად სახელდება. დეტალური განაწილება იხილეთ ცხრილში №17.

ცხრილი №17. ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში მიგიღიათ თუ არა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

	ფორმალური	არაფორმალური
სექსუალურ ცხოვრებასთან / თავდაცვასთან დაკავშირებით	14.1%	27.2%
სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან დაკავშირებით	14.7%	23.1%
აბორტთან, დედობასთან და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით	16.6%	27.5%
გენდერულ თანასწორობასთან, ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები	19.7%	34.4%
ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები	25.3%	34.1%
	N=320	N=320

116 საქართველოს სახალხო დამცველი, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების საკითხებზე ეროვნული კვლევა, 2019

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაციასა და გენდერული იდენტობის საკითხები არ წარმოადგენს სასკოლო კურიკულუმების ნაწილს, ხშირად ისინი სასკოლო სივრცეში მოსწავლეთა და მოსწავლე-მასწავლებელთა შორის არაფორმალური ფორმით განიხილება, ამგვარი განხილვების შინაარსმა კი, შესაძლოა, არსებითი გავლენა მოახდინოს პირის თვითაღქმასა და სამომავლო ცხოვრებაზე. რესპონდენტების 55.1%-მა აღნიშნა, რომ სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სკოლაში დისკუსიები არ ჰქონიათ (N=305), 16.7%-ის თქმით, საგაკვეთილო პროცესში ჰქონიათ მსგავს თემებზე დისკუსიის გამოცდილება, თუმცა, ეს საკითხები განიხილებოდა ნეგატიურ ჭრილში, 5.9% მიუთითებს, რომ მსგავს საკითხებზე დისკუსიები ნეიტრალურ ჭრილში იმართებოდა, ხოლო 14.1%-ის თქმით, საგაკვეთილო პროცესში ზემოაღნიშნულ საკითხებზე დისკუსიები მიმდინარეობდა, როგორც ნეგატიურ, ასევე ნეიტრალურ ჭრილში, 8.2%-ს კი ამ საკითხებზე დისკუსიის ფაქტი არ ახსენდება.

დებულებას, თუ **„რა გავლენა მოახდინა სკოლაში სწავლების პროცესში განხილულმა საკითხებმა, რომლებიც ლგბტქ ჯგუფის საკითხებს ეხებოდა, მათ სამომავლო ცხოვრებასა და თვითაღქმაზე?“ რესპონდენტების 21.4%-მა უპასუხა, რომ ნეგატიური, რადგან შიშის განცდა გააჩინა და დამალვისკენ უბიძგა მათ, ასევე, 16.1%-ის აზრით, მსგავსი საკითხების განხილვამ მიუღებლობის განცდა წარმოქმნა.** 45.5%-ის აზრით, ამას გავლენა არ მოუხდენია. რესპონდენტების მხოლოდ 4.5%-მა დაასახელა, რომ სკოლაში ლგბტქი ჯგუფის საკითხების განხილვამ დადებითი გავლენა იქონია მათ თვითაღქმასა და სამომავლო ცხოვრებაზე, რამაც ხელი შეუწყო მიმღებლობის გაჩენას. შეკითხვისგან თავი შეიკავა ან პასუხის გაცემა გაუჭირდა რესპონდენტების 12.9%-ს (N=112).

კვლევის ფარგლებში, საშუალო განათლების საფეხურთან მიმართებით, შესწავლილ იქნა საველე სამუშაოების პერიოდამდე **ბოლო 5 წლის განმავლობაში** არსებული გამოცდილება ქამინგაუთსა და მასთან დაკავშირებულ შესაძლო ძალადობასთან მიმართებით (N=89).[117] მონაცემების მიხედვით, იმ რესპონდენტების 45%, რომლებმაც სკოლა ბოლო 5 წლის განმავლობაში დაასრულეს არც ერთ კლასელთან არ იყო ღია იდენტობის შესახებ, 80% – არც ერთ პედაგოგთან, ხოლო 90% – სკოლის ადმინისტრაციის არც ერთ წევრთან. ქამინგაუთი ყველაზე ხშირია კლასელებთან, სადაც რესპონდენტების 12%-ს მხოლოდ ერთ კლასელთან იყო ღია იდენტობის შესახებ, 26% – მხოლოდ რამდენიმესთან, 6% – უმეტესობასთან, ხოლო 11% კი – ყველასთან. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №51.

117 რესპონდენტების 51%-ს სკოლა დასრულებული აქვს 2010-2014 წლებში, 24%-ს 2015-2019 წლებში, ხოლო 19%-ს 2000-2009 წლებში. 1985-1999 წლებში სკოლა დაასრულეს რესპონდენტების 3%-მა, ხოლო 2%-ს არ აქვს მიღებული ან დასრულებული საშუალო განათლება.

დიაგრამა №51. სკოლაში სწავლის პერიოდში ქამინგაუთის გამოცდილება.



რესპონდენტებიდან, რომელთაც მინიმუმ ერთ კლასელთან ან სკოლელთან ჰქონიათ ქამინგაუთის გამოცდილება (N=49), 24.5% აღნიშნავს, რომ კლასელებს უფრო ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდათ, ვიდრე – ნეგატიური. 57.1% კი ამბობს, რომ კლასელების დამოკიდებულება ცალსახად ნეიტრალური იყო. 4.1% ამბობს, რომ კლასელების დამოკიდებულება უფრო ნეგატიური იყო, ვიდრე ნეიტრალური, ხოლო 8.2%-ის შემთხვევაში ეს დამოკიდებულება ცალსახად ნეგატიური იყო.

მასწავლებლების შემთხვევაში (N=20), რესპონდენტების 45.0% საუბრობს ნეგატიურ გამოცდილებაზე, ხოლო 40.0% – უფრო ნეიტრალურ ან ცალსახად ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე. სკოლის ადმინისტრაციის შემთხვევაში (N=11), რესპონდენტების 45.5% საუბრობს ცალსახად ნეგატიურ დამოკიდებულებაზე, 18.2% – უფრო ნეგატიურ, ვიდრე ნეიტრალურ, ხოლო 36.4% – ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე.

ასევე შესწავლილ იქნა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული გამოცდილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სასკოლო სივრცეში ბოლო 5 წლის განმავლობაში. გამოკითხული რესპონდენტებიდან (N=89) ნახევარზე მეტს მსგავსი გამოცდილება აქვთ სკოლაში სწავლების პერიოდში (N=49). ძალადობის ფორმებს შორის რესპოდენტებს ყველაზე ხშირად გამოუცდიათ სიტყვიერი შეურაცხყოფა, შევიწროება ან მტრული კომენტარები (46.1%), ასევე, მესამე პირების მხრიდან მოსწავლეების ჰომოფობიური/ტრანსფობიური დისკრიმინაციული ქცევის წახალისება (29.2%). რესპონდენტების მეოთხედს (25.8%) სკოლაში ჰქონია ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოცდილება, ხოლო 22.5%-ს პერსონალური მონაცემები ნებართვის გარეშე გაუვრცელეს. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №52.

დიაგრამა №52. ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოცდილება სკოლის პერიოდში (N=89).



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა.

რესპონდენტების მიერ დასახელებული ძალადობრივი ქმედებების ძირითადი ნაწილი მომდინარეობდა კლასელების მხრიდან (85.17%), რესპონდენტების 26.5%-მა დაასახელა პედაგოგი, როგორც ზემოაღნიშნული ქმედების/ქმედებების განმახორციელებელი. 16.3%-ის შემთხვევაში ქმედება/ქმედებები განხორციელდა უცნობი სკოლელის მხრიდან, ხოლო 6.1%-ის შემთხვევაში – ადმინისტრაციის მხრიდან.

იმ რესპონდენტების 67.3%-ს (N=49), რომელთაც სკოლაში სწავლის დროს ჰქონიათ სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი/დისკრიმინაციის გამოცდილება, არავისთვის მიუმართავთ ფაქტზე რეაგირების მოსახდენად. 8.2%-მა მიმართა სხვა მასწავლებელს, ხოლო 10.2%-მა კი სკოლის ადმინისტრაციას. დისკრიმინაციის/ძალადობის ფაქტზე მიმართვიანობა მშობლების შემთხვევაში 4.1%-ია.

რესპონდენტების 18.8%-მა, რომელთაც სხვადასხვა პირს მიმართეს დისკრიმინაციის/ძალადობის ფაქტზე, განაცხადა, რომ მიმართვას რეაგირება არ მოჰყოლია, 43.8%-მა კი თქვა, რომ რეაგირება მოჰყვა, თუმცა დისკრიმინაციის/ძალადობის ფაქტი არაკმარისად სერიოზულად იქნა აღქმული. რესპონდენტების 37.5%-ის თქმით კი მიმართვიანობას ადეკვატური რეაგირება მოჰყვა (N=16).

ის რესპონდენტები, რომელთაც არავისთვის მიუმართავთ მომხდარი დისკრიმინაციის/ძალადობის ფაქტზე, სამ მიზეზს ასახელებენ:

- არ იცოდნენ, თუ ვისთვის ან როგორ უნდა მიემართათ (39.5%);
- არ უნდოდათ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამხელა (31.6%);
- იფიქრეს, რომ სერიოზულად არ აღიქვამდნენ მათ პრობლემას (18.4%).

მიმართვიანობის არსებითად დაბალი მაჩვენებელი, ისევე, როგორც მიმართვიანობაზე უარის თქმის საფუძვლები ააშკარავებს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ჩავარდნებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენციას, ხოლო მიმართვის შემთხვევაში – დისკრიმინაციასთან ადეკვატურ გამკლავებას ეფექტური, უსაფრთხო და სანდო სივრცის შექმნის გზით, რომელიც მოსწავლეებს არა მხოლოდ დაცულობის შეგრძნებას შეუქმნიდა, არამედ დაეხმარებოდა, დაეძლიათ მიღებული ფსიქოლოგიური ზიანი. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს სასკოლო სივრცეებში პროფესიონალური ფსიქოლოგიური სერვისის არსებობას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მოსწავლეებს მიეღოთ ადეკვატური ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, თუკი ამის შესაძლებლობა მათ ოჯახსა და სხვა საცხოვრებელ სივრცეებში არ აქვთ. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში **რესპონდენტების მხოლოდ 48.9%-მა განაცხადა, რომ მათ სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი, თუმცა სერვისის არსებობის მიუხედავად, რესპონდენტთა 72.7%-ს ამ სერვისით არ უსარგებლია.** ამრიგად, როგორც კვლევა აჩვენებს, მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რიგი რეფორმებისა, რომელიც შეეხო საშუალო განათლებას, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება, რომლებიც კომპლექსური ზომების მიღებას საჭიროებს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებულ, უსაფრთხო და მხარდამჭერ სივრცედ ტრანსფორმირებისთვის.

4.5.2. პროფესიული განათლება

ძირითადი მიგნებები

- **გამოკითხულთა თითქმის მეხუთედს აქვს მიღებული პროფესიული განათლება (20.9%).**
- **კვლევაში მონაწილე პირების უმრავლესობის აზრით (62.7%), პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების უფრო ნაკლები შანსი აქვთ.**
- **სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო რესპონდენტების დიდ ნაწილს არ შეხვედრია არსებითი ბარიერები პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, თუმცა, მიუხედავად ამისა, იშვიათია ქამინგაუთის გამოცდილება და ხშირია გენდერული გამოხატვის სტერეოტიპულ გენდერულ ნორმებთან მისადაგების პრაქტიკა.**

საქართველოს პროფესიული განვითარების სტრატეგიის მიხედვით[118], პროფესიული განათლება სიღარიბის აღმოფხვრისა და უმუშევრობის დაძლევის მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომლის სათანადოდ ორგანიზება და ინკლუზიურობის ხელშეწყობა სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, სახელწმიფომ აიღო ვალდებულება, 2030 წლისათვის მნიშვნელოვნად გაზარდოს ახალგაზრდებისა და ზრდასრული პირების შესაბამისი უნარ-ჩვევები ღირსეული დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია, როგორც მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის (ხარისხიანი განათლება), ასევე მე-8 მიზნის (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) მიღწევისათვის. ხარისხიანი პროფესიული განათლების მისაწვდომობის მნიშვნელობას უმუშევრობის დაძლევის კუთხით აძლიერებს ის ფაქტიც, რომ სოციალურად დაუცველი პირები პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებულთა მესამედზე მეტს (37%) შეადგენს, ხოლო დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის წევრები შეადგენენ სტატუსშეწყვეტილებისა (42%) და კურსდამთავრებულების (35.5%) უმრავლეს ნაწილს.[119]

თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნული მიზნებისა, ყურადსაღებია, რომ „პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებლების დამოკიდებულებების“ კვლევის მიხედვით, დამსაქმებელი რესპონდენტების ნახევარზე მეტისთვის (53%) პროფესიული დიპლომის ფლობა ჯერ კიდევ არ არის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დამადასტურებელი, დამსაქმებლების 43% კი თვლის, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები ცუდად ფლობენ პროფესიას და სჭირდებათ ტრენინგი დიდი დოზით.[120] ამასთან, კვლევამ გამოკვეთა დამსაქმებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის მცირე შემთხვევები, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობას რიგითი მოქალაქეებისთვის აზრს უკარგავს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში პროფესიული განათლების საკითხის ცალკე გამოტანა ემსახურებოდა, სწორედ მისი როლის განსაზღვრას სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სიღარიბის დაძლევის პროცესში. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გამოკითხულთა თითქმის მეხუთედს აქვს მიღებული პროფესიული განათლება (20.9%). კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლების მიღება ყველაზე ხშირია ტრანსგენდერ (50%) და ლესბოსელ რესპონ-

118 იხ: https://www.mes.gov.ge/uploads/300.pdf

119 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტისა და კვლევითი კომპანია ACT, პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, 2020, იხ: https://www.mes.gov.ge/uploads/files/SOCIO-ECONOMIC%20STATUS%20OF%20VOCATIONAL%20EDUCATION%20STUDENTS-GEO.PDF

120 ACT, UNDP, დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, 2015

დენტებს შორის (28%) (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა (Chi-square=30.41; df=5; p<0.001)).

დიაგრამა №53. პროფესიული განათლების მიღების გამოცდილება იდენტობების მიხედვით.



რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს პროფესიული სასწავლებლისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების შემდგომ დასაქმების შესაძლებლობებს შორის განსხვავება. საინტერესოა, რომ კვლევაში მონაწილე პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების უმრავლესობის აზრით (62.7%), პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების უფრო ნაკლები შანსი აქვთ, ხოლო გამოკითხულთა მეოთხედი (25.4%) მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების მქონესთან შედარებით, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ. დასაქმების მხრივ განსხვავებაზე არ საუბრობს გამოკითხულთა 10.4%, ხოლო 1.5%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში პროფესიულ განათლებას მშრომელების „კონკურენტუნარიანობის“ გაძლიერების ჭრილში უყურებენ, რესპონდენტებს ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რამდენად „კონკურენტუნარიანია“ კერძო/საჯარო პროფესიული სასწავლებლები, რასთან დაკავშირებითაც რესპონდენტების პასუხები თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი, კერძოდ, საკითხს პოზიტიურ ჭრილში აფასებს („კონკურენტუნარიანი“) 49.3%, ხოლო 49.3%-ის აზრით, საჯარო/კერძო პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები არაკონკურენტუნარიანები არიან, მათ შორის 6% უკიდურესად ნეგატიურ შეხედულებას აფიქსირებს („სრულიად არაკონკურენტუნარიანი“). გამოკითხულთა 1.5%-ს უჭირს პოზიციის დაფიქსირება.

პროფესიული განათლების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი მისი ინკლუზიურობაა, რაც ნიშნავს, რომ ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ადამიანისათვის განურ-

ჩევლად მათი იდენტობისა და მახასიათებლებისა და უნდა პასუხობდეს ინდივიდუალურ სპეციფიკურ საჭიროებებს. ამის შესაფასებლად რესპონდენტებს წარედგინათ დებულება: **„არანორმატიული იდენტობის ახალგაზრდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი პროფესიულ განათლებაზე“, რომელსაც რესპონდენტების 46.2% დაეთანხმა.** დებულებას არ ეთანხმება რესპოდენტების 34.4%, 16.4% კი ნეიტრალურ დამოკიდებულებას აფიქსირებს.

ხელმისაწვდომობის საკითხთან მიმართებით საინტერესო იყო, თუ რა კონკრეტული ბარიერები უშლით ხელს კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს სრულყოფილად მიიღონ პროფესიული განათლება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტები უმეტესწილად მსგავსი **ბარიერების არარსებობაზე** მიუთითებენ. საშუალოდ, გამოკითხულთა მეოთხედს აქვს სხვადასხვა ტიპის ბარიერის გამოცდილება, რაც პროცენტულად შემდეგნაირადაა გადანაწილებული („დიახ“ კატეგორია): მდებარეობა – 23.9%, რესურსებზე ფინანსური ხელმიუწვდომლობა – 34.3%, ინტერნეტზე/კომპიუტერზე ხელმიუწვდომლობა – 26.9%, სამუშაოსა და სწავლის დროის შეუთავსებლობა – 29.9%. იხილეთ დიაგრამა №54.

დიაგრამა №54. პროფესიული განათლების მიღების პროცესში არსებული სოციალური ბარიერები.

რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც გამოუცდიათ საკუთარი იდენტობის გამო პროფესიული განათლების მიღებისას. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმრავლესობას მსგავსი გამოცდილება არ აქვს (80%). შესაბამისად, იდენტობის გამო წარმოქმნილი ბარიერები, რომელთაც, შესაძლოა, ხელი შეეშალა პროფესიული განათლების მიღებაში, დაბალი პროცენტული მაჩვენებლით – 6%-16%-ით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის იდენტობასთან დაკავშირებული ბარიერები შემდეგი ფორმებით გამოიხატება: ჰომოფობიური დისკრიმინაცია ლექტორების მხრიდან – 11.9%, ჰომოფობიური ბულინგი ჯგუფელების მხრიდან – 16.4%, ძალადობის საფრთხე – 6%. იხილეთ დიაგრამა №55.

დიაგრამა №55. პროფესიული განათლების მიღების პროცესში არსებული ბარიერები, რაც კავშირშია ჰომო/ტრანსფობიასთან.

საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტების 84.6%, რომელთაც საკუთარი იდენტობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის ბარიერი შეხვედრიათ პროფესიული განათლების მიღების დროს, მსგავსი ფაქტების გამო ლექციებს აცდენდნენ. გაცდენის სიხშირეს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53.3%), „იშვიათად“ აფასებს, ხოლო 33.3%-ის შემთხვევაში გაცდენა უფრო ხშირი პრაქტიკაა, მათ შორის 13.3% ამბობს, რომ „ძალიან ხშირად“ აცდენდა.

იდენტობასთან დაკავშირებული ბარიერების დაბალი სიხშირე, რომელიც გამოკითხვის ფარგლებში გამოვლინდა, შესაძლოა, დიდწილად კავშირში იყოს ქამინგაუთის იშვიათ გამოცდილებასთან, რადგანაც, როგორც გამოკითხვა აჩვენებს, რესპონდენტები ქამინგაუთს სასწავლებლის სივრცეში ერიდებიან. გამოკითხულთა 80.6% არც ერთ ლექტორთან არ არის ღია იდენტობის შესახებ, ადმინისტრაციასთან არ ჰქონია ქამინგაუთის შემთხვევა 91%-ს, ეს მაჩვენებელი შედარებით მცირე წილით არის წარმოდგენილი ჯგუფელების შემთხვევაშიც – 65.7%.

იმ რესპონდენტებმა, ვისაც ქამინგაუთის გამოცდილება ჰქონიათ, შეაფასეს ლექტორების, ჯგუფელებისა თუ ადმინისტრაციის რეაქცია. შეფასება განხორციელდა „ნეიტრალურიდან“ „ნეგატიურის“ მიმართულებით. როგორც აღმოჩნდა, სამივე კატეგორიის შემთხვევაში რესპონდენტების ქამინგაუთს უმეტესწილად ნეიტრალური რეაქცია მოჰყვა, რაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ჯგუფელების შემთხვევაშია გამოვლენილი – 85.6% (ლექტორები – 50%, ადმინისტრაცია – 66.7%). საინტერესოა ის შედეგიც, რომ ნაწილობრივ ან სრულად ნეგატიური რეაქცია მხოლოდ ლექტორებთან ქამინგაუთის შემთხვევაში დაფიქსირდა – 18.5% (მათ შორის 6.3% – „ნეგატიური“).

როგორც უკვე აღინიშნა, საფრთხის თავიდან არიდების მიზნით უარი ქამინგ აუთზე ყოველთვის არ წარმოდგენს ეფექტურ დაცვით მექანიზმს, განსაკუთრებით ტრანს ადამიანებისთვის. ხშირად, მათთვის არა მხოლოდ პასიური, არამედ აქტიური ქმედებაა საჭირო, კერძოდ, გენდერული გამოხატვის სტერეოტიპულ გენდერულ ნორმებთან მისადაგება. **რესპონდენტების 37.3% აღნიშნავს,** რომ მათ უწევდათ გენდერულ ნორმებთან საკუთარი ქცევისა და გამოხატვის მისადაგება, რათა საგანმანათლებლო სივრცეში დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა, აგრეთვე, შეაფასეს სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ან ამგვარად აღქმის გამო მათ მიმართ დისკრიმინაციის გამოვლენის ფაქტები. უმეტესწილად, რესპონდენტებს მსგავსი გამოცდილება არ აქვთ (ამ კი კითხვაზე უარ 76%-98%-ებს შორის მერყეობს). რაც შეეხება უარყოფითი დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ტიპის გამოვლინებას, ყველაზე ხშირად რესპონდენტები სიტყვიერ შეურაცხყოფას (23.9%) ასახელებენ, ასევე, ძალადობას ან ძალადობის მუქარას (20.9%). მინიმალური მაჩვენებლითაა წარმოდგენილი კიბერბულინგის შემთხვევები – 1.5%. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №56.

დიაგრამა №56. დისკრიმიანციის სხვადასხვა ფორმის გამოცდილება პროფესიული განათლების მიღების პროცესში.



იმ რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (52.6%), ვინც მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულების გამოცდილებაზე მიუთითა, აღნიშნა, რომ ზემოთ დასახელებული ქმედება მათთვის ნაცნობი ჯგუფელის მხრიდან მომდინარეობდა, 31.6%-მა კი მოქმედ პირად ლექტორი დაასახელა. გამოკითხულთა 10.5%-ის შეფასებით, მსგავსი ქმედება მათთვის უცნობი ჯგუფელის მხრიდანაც განხორციელებულა, ხოლო 5.3% პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის მხრიდან გამოვლენილ უარყოფით დამოკიდებულებას უსვამს ხაზს. მიუხედავად სხვადასხვა აქტორის მიერ გამოჩენილი დისკრიმინაციისა, რესპონდენტების 84.2% აღნიშნავს, რომ მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შესახებ არავისთვის მიუმართავს; გამოკითხულთა 10.5%-მა პედაგოგს აცნობა, ხოლო 5.3%-მა – ადმინისტრაციას. მსგავსი გამოცდილების მქონე აბსოლუტურად ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათ მიმართვას რეაგირება მოჰყვა, თუმცა, ფაქტი არასაკმარისად სერიოზულად აღიქვეს და, შესაბამისად, მოძალადის მიმართ ზომები არ მიღებულა.

მეორე მხრივ კი, იმ პირებმა, რომელთაც მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედების შესახებ არ განაცხადეს, ამის მიზეზად პირველ რიგში, შესაბამის სერვისზე ინფორმაციის არქონა დაასახელეს, კერძოდ, არ იცოდნენ, თუ ვისთვის ან როგორ უნდა მიემართათ (43.8%). გამოკითხულთა 31.3%-ის შეფასებით კი, თავად გაუმკლავდნენ პრობლემას. მეორე პრიორიტეტად დასახელებულ კატეგორიებში შემდეგი პასუხი სჭარბობს – „ვიფიქრე, რომ არ ღირდა აღნიშნულ ფაქტზე მიმართვა“ (28.6%), შემდგომ პოზიციას კი გამოკითხულთა ემოციური მდგომარეობა იკავებს, კერძოდ, რესპონდენტთა 21.4% მიუთითებს, რომ მომხდარმა ემოციურად იმდენად იმოქმედა მათზე, რომ ამ საკითხზე სასაუბროდ მზად არ იყვნენ.

ამრიგად, როგორც პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ანალიზი აჩვენებს, აღნიშნულ სივრცეში სხვა საგანმანათლებლო სივრცეების მსგავსად არსებობს ჰომო/ტრანსფობიური დისკრიმინაციის შემთხვევები, რაც ბარიერებს წარმოშობს ლგბტქ ჯგუფისთვის მიიღონ მათთვის საჭირო/საინტერესო პროფესიული განათლება და ისარგებლონ მისი ბენეფიტებით.

4.5.3. უმაღლესი განათლება

ძირითადი მიგნებები

- **რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა (42.5%) უმაღლესი განათლების ვერმიღების ბარიერად სწავლების საფასურის გადახდის შეუძლებლობა დაასახელა.**
- **უმაღლესი განათლების მიღების პროცესში არსებული სოციალური ბარიერებიდან რესპონდენტებმა სამუშაოსა და სწავლის დროის შეუთავსებლობა (42.9%) და სწავლის გადასახადი (40.4%) დაასახელეს.**
- **რესპონდენტები ქამინგაუთს ერიდებიან, გამოკითხულთა 66.8%-ს არც ერთი ლექტორთან არ ყოფილა ღია იდენტობის შესახებ, მსგავს პოზიციას ვხვდებით ადმინისტრაციასთან მიმართებითაც – 90.9%. ჯგუფელების შემთხვევაშიც ეს მაჩვენებელი მცირე წილით არის წარმოდგენილი და 21.6%-ს უტოლდება.**
- **რესპონდენტების 29.3%-ს სრულად ან ნაწილობრივ უწევდა მისი გამოხატვის მისადაგება გენდერულად კონფორმული ქცევასთან უთანასწორო მოპყრობის თავიდან არიდების მიზნით.**
- **იმ რესპონდენტების 74.6%-ს (N=44), რომლებსაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლის დროს ჰქონიათ სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი/დისკრიმინაციის გამოცდილება არავისთვის მიუმართავთ ფაქტზე რეაგირებისთვის.**

▸ დებულებას – „არანორმატიული იდენტობის მქონე ახალგაზრდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი უმაღლეს განათლებაზე სხვებთან შედარებით“ – რესპონდენტების 31.0% ეთანხმება.

უმაღლესი/საუნივერსიტეტო განათლება ინდივიდთა სოციო-ეკონომიკური სტატუსის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული ბარიერების შესწავლა იმ მიზეზების იდენტიფიცირებას ემსახურება, რომელიც რეალობაში განათლებას ხელმიუწვდომელს ხდის.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობას (77.2%) მიუღია ან იღებს უმაღლეს განათლებას, მათი 40.5% უმაღლესი განათლების მიღების პროცესშია, ხოლო 59.5%-ს აქვს, სულ მცირე, ბაკალავრის ხარისხი. გამოკითხულთა 91.1%-მა უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღო, 8.1%-მა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ხოლო 0.8%-მა – საქართველოს ფარგლებს გარეთ. თუმცა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში უმაღლესი განათლების ბლოკი შეეხება **მხოლოდ** საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების ხარისხს და მასზე ხელმისაწვდომობის ასპექტებს, შესაბამისად, რესპონდენტებს, რომლებმაც განათლება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიიღეს, აღარ მიუღიათ მონაწილეობა უმაღლესი განათლების ბლოკის შემდგომი სექციების გამოკითხვის პროცესში.

რესპონდენტებმა, რომლებსაც არ აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება, დაასახელეს განათლების მის არ ან ვერმიღების გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ნიშანდობლივია, რომ **რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა (42.5%) განათლების ვერმიღების ბარიერად სწორედ სწავლების საფასურის გადახდის შეუძლებლობა დაასახელა.** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №57.

დიაგრამა №57. უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული ბარიერები.

სხვადასხვა ტიპის ბარიერმა, შესაძლოა, თავი იჩინოს უმაღლესი განათლების მიღების პროცესშიც, რაც ართულებს პროფესიის სრულყოფილად დაუფლების შესაძლებლობებს, ბარიერთა შორის რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა **სამუშაოსა და სწავლის დროის შეუთავსებლობა (42.9%) და სწავლის გადასახადი (40.4%).** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №58.

დიაგრამა №58. უმაღლესი განათლების მიღების პროცესში არსებული სოციალური ბარიერები.



ეკონომიკურ ბარიერებთან ერთად, რესპონდენტებმა შეაფასეს ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებმაც თავი იჩინა უმაღლესი განათლების მიღების პროცესში იდენტობის გამო და მნიშვნელოვნად შეზღუდა განათლების უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბარიერები დაბალი პროცენტული მაჩვენებლით, 1.4%-13.6%-ით არის წარმოდგენილი („დიახ“ კატეგორია), თუმცა, ბარიერების ფორმების თვალსაზრისით რესპონდენტებმა დაასახელეს ისეთი პრობლემური გამოცდილებები, როგორიცაა **ჰომოფობიური დისკრიმინაცია ლექტორების მხრიდან – 13.6%, ჰომოფობიური ბულინგი ჯგუფელების მხრიდან – 9.9%, ასევე, ძალადობის საფრთხე – 5.3% და სხვა შემთხვევები – 1.4%.**

მნიშვნელოვანია, რომ იდენტობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ბარიერი იმდენად დიდ პრობლემას წარმოადგენდა სტუდენტებისთვის, რომ უწევდათ საუნივერსიტეტო დღის ან სალექციო საათის გაცდენა (44.2%). გაცდენის სიხშირეს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52.2%), „იშვიათად“ აფასებს, ხოლო 39.1%-ის შემთხვევაში გაცდენა უფრო ხშირი პრაქტიკაა, მათ შორის 8.7% „ძალიან ხშირად“ გაცდენის კატეგორიას აფიქსირებს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქამინგაუთის გამოცდილება არსებით კავშირშია ლგბტქ ჯგუფის მიერ განცდილ ძალადობრივ გამოცდილებასა თუ დისკრიმინაციულ მოპყრობასთან, მათ შორის, საუნივერსიტეტო სივრცეში. როგორც წინამდებარე კვლევა აჩვენებს, ძირითადად, რესპონდენტები ქამინგაუთს ერიდებიან. გამოკითხულთა 66.8%-ს არც ერთ ლექტორთან არ ყოფილა ღია იდენტობის შესახებ,

მსგავს პოზიციას ვხვდებით ადმინისტრაციასთან მიმართებითაც – 90.9%. ჯგუფელების შემთხვევაშიც ეს მაჩვენებელი მცირე წილით არის წარმოდგენილი და 21.6%-ს უტოლდება, რომელთა შორის, რესპონდენტების 43.7% აღნიშნავს, რომ რამდენიმე ჯგუფელთან არის/იყო ღია იდენტობის შესახებ, ყველასთან ღიაობის ფაქტს კი, რესპონდენტთა მხოლოდ 11.4% ადასტურებს.

როგორც ზემოთ არა ერთხელ აღინიშნა, ქამინგაუთისგან თავის შეკავება არ წარმოადგენს იდენტობაზე დაფუძნებული მტრობისა და უთანასწორო მოპყრობის თავიდან არიდების გარანტიას, ხშირად ლგბტქ თემის წევრებს უწევთ მეტად აქტიური ძალისხმევის გაღება, რათა მათი იდენტობის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდეს. შესაბამისად, კვლევამ შეაფასა, თუ რამდენად უწევდათ რესპონდენტებს გენდერული გამოხატვის სტერეოტიპულ გენდერულ ნორმებთან მისადაგება იმ მიზნით, რომ საგანმანათლებლო სივრცეში დისკრიმინაციისა და შევიწროვების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ/გახდნენ, როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების 29.3%-ს სრულად ან ნაწილობრივ უწევდა გენდერული კონფორმულობა უთანასწორო მოპყრობის თავიდან არიდების მიზნით.

არსებით მნიშვნელობას წარმოადგენდა რესპონდენტების გამოცდილებების შესწავლა იდენტობაზე დაფუძნებული ძალადობის გამოცდილებების კუთხით, რომელიც ბოლო 5 წლის ინტერვალში შეფასდა. როგორც კვლევები აჩვენებს, ძალადობის სხვადასხვა ფორმას, უმეტესწილად კი ფსიქოლოგიურ ძალადობას, ხშირად აქვს ადგილი საუნივერსიტეტო სივრცეებში, როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების მხრიდან. საინტერესოა, რომ რესპონდენტების (N=245) მიერ ყველაზე მეტად დასახელდა დისკრიმინაციისა თუ ძალადობის შემდეგი ფორმები: სიტყვიერი შეურაცხყოფა, შევიწროება ან მტრული კომენტარები (18.8%), ასევე, აკადემიური პერსონალის ან უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლების მხრიდან სტუდენტების ჰომოფობიური/ტრანსფობიური დისკრიმინაციული ქცევის წახალისება (8.2%). რესპონდენტების 5.7%-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პერსონალური მონაცემების გავრცელებას, ხოლო 5.3%-ის შემთხვევაში – სექსუალურ შევიწროებას. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №59.

დიაგრამა №59. უმაღლესი განათლების მიღების პრიცესში არსებული დისკრიმინაციული მოპყრობის გამოცდილება.



რესპონდენტების მიერ დასახელებული დისკრიმინაციული ქმედებების ძირითადი ნაწილი მომდინარეობდა ნაცნობი სტუდენტის მხრიდან (61.0%), რესპონდენტების 20.3%-მა დაასახელა ლექტორი, როგორც დისკრიმინაციული ქმედების/ქმედებების განმახორციელებელი პირი. 11.9%-ის შემთხვევაში ზემოდასახელებული ქმედება/ქმედებები განხორციელდა უცნობი სტუდენტის მხრიდან, ხოლო 3.4%-ის შემთხვევაში – სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან.

დისკრიმინაციული ქმედებების 3.4% განხორციელდა (საველე სამუშაოების პროცესამდე) ბოლო 6 თვემდე პერიოდის განმავლობაში, 10.2% – 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდში, 13.6% – 1 წლიდან 2 წლამდე პერიოდში, 15.3% – 2 წლიდან – 3 წლამდე პერიოდში, 27.1% – 3 წლიდან 4 წლამდე პერიოდში, ხოლო შემთხვევათა 23.7% – 4 წლიდან 5 წლამდე პერიოდში.

იმ რესპონდენტების 74.6%-ს, რომლებსაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლის დროს ჰქონია სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი/დისკრიმინაციის გამოცდილება, **არავისთვის მიუმართავს ფაქტზე რეაგირებისთვის.** 15.3%-მა მიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, 5.1%-მა უნივერსიტეტის რექტორს, 3.4%-მა დახმარებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართა, გამოკითხულთა 1.7%-მა კი ისარგებლა სახალხო დამცველის სერვისით.

რესპონდენტების 66.7%-მა, რომელთაც სხვადასხვა პირს **მიმართეს** (N=15) დისკრიმინაციის/ძალადობის ფაქტზე, განაცხადა, რომ მიმართვას მოჰყვა რეაგირება, თუმცა, ფაქტი არასაკმარისად სერიოზულად იქნა აღქმული, 20.0%-ის შემთხვევაში, რესპონდენტების შეფასებით, საქმეს ადეკვატური რეაგირება მოჰყვა, ხოლო 13.3%-ის შემთხვევაში საქმე განხილვის პროცესშია (N=15).

მეორე მხრივ, იმ პირებმა, რომელთაც დისკრიმინაციული ქმედების შესახებ არ განაცხადეს, ამის მიზეზად, პირველ პრიორიტეტად დაასახელეს ის, რომ თავად გაუმკლავდნენ (29.5%). გამოკითხულთა 25.0%-ის შეფასებით არ იცოდნენ, თუ ვისთვის უნდა მიემართათ. მეორე პრიორიტეტად დასახელებულ კატეგორიებში შემდეგი პასუხი სჭარბობს – „ვიფიქრე, რომ არ ღირდა აღნიშნულ ფაქტზე მიმართვა“ (32.4%), შემდგომ პოზიციას კი კონფიდენციალობის დარღვევის რისკები წარმოადგენს (21.6%). შემდგომ დასახელებულ მიზეზებს შორის სჭარბობს კატეგორია: „ვიფიქრე, რომ სერიოზულად არ აღიქვამდნენ ამ პრობლემას“ – 19.4%.

ზემოაღნიშნული შეფასებების შესაჯამებლად და იმის უკეთ გასარკვევად, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს არანორმატიულ და არადომინანტურ იდენტობას უმაღლესი განათლების მიღების ხარისხზე, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს წარედგინათ დებულება: *„არანორმატიული იდენტობის მქონე ახალგაზრდებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი უმაღლეს განათლებაზე სხვებთან შედარებით“,* რომელსაც რესპონდენტების 31.0% დაეთანხმა, გამოკითხულთა 41.6% არ ეთანხმება, 26.1% ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს, 1.2%-ს კი გაუჭირდა შეკითხვაზე პასუხის გაცემა („არ ვიცი“).

როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, ლგბტქ თემის წევრების მიერ განათლების უფლებით სარგებლობა მრავალ ბარიერთან არის დაკავშირებული. ერთი მხრივ, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობები საქართველოში არსებული განათლების სისტემის ფარგლებში შეზღუდულია, რაც ჩანს როგორც განათლების პირველ, ისე შემდგომ საფეხურებზე. ამასთან, ნათელია, რომ სასკოლო განათლება ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეების იმ უნარებით აღჭურვას, რაც მათ სამომავლო კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

საქართველოში არ არსებობს ყოვლისმომცველი განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან ფუნდამენტს წარმოადგენს, არა მხოლოდ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ მცდარი და ნეგატიური წარმოდგენების რღვევის პროცესში, არამედ თანასწორი საზოგადოებისა და მოქალაქის აღზრდისთვის.

კვლევის მიხედვით, სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეებში კვლავ გავრცელებულია ჰომო/ტრანსფობიური ბულინგი, ისევე, როგორც პედაგოგთა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან უთანასწორო მოპყრობა ან ამგვარი ქცევის წახალისება. ეს ააშკარავებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მრავალწახნაგოვან და კომპლექსურ პრობლემებს, რომლებიც საჭიროებს ეფექტური ზომების მიღებას, როგორც მასწავლებელთა პერმანენტული გადამზადების, ისე კურიკულუმების სათანადო რევიზიის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო სივრცის უსაფრთხოებასა და თანასწორობის პრინციპების განუხრელად დაცვას.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, მის ხელმისაწვდომობას პირველ რიგში ხელს სოციალური ბარიერები უშლის, რაც დაკავშირებულია სწავლის გადასახადთან და იმ ტვირთთან, რომელიც დასაქმებულ სტუდენტებზე ყველაზე მძიმედ აისახება. სტუდენტებს უწევთ არჩევანი გააკეთონ განათლებასა და ფინანსურ შემოსავალს შორის, რაც მხარდაჭერილი არ არის სახელწმიფოს მხრიდან ადეკვატური სოციალური დაცვის მექანიზმებითა და ღონისძიებებით.

ამ პირობებში, ლგბტქ ჯგუფისათვის იდენტობაზე დაფუძნებული ჩაგვრა და შესაძლო უთანასწორო მოპყრობა დამატებით ბარიერებს ქმნის განათლების სრულყოფილად მიღების პროცესში. მართალია, წინამდებარე რაოდენობრივ კვლევას არ გამოუკვეთავს ძალადობისა და დისკრიმინაციის მრავლობითი შემთხვევები საუნივერსიტეტო სივრცეებში, მაგრამ ლგბტქ ჯგუფის მხრიდან ქამინგაუთის თვითშეზღუდვა და გენდერულად კონფორმულ ქცევა ადასტურებს, რომ ლგბტქ ჯგუფისთვის საგანმანათლებლო სივრცეები კვლავ არ არის უსაფრთხო.

4.6. შრომა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა

ძირითადი მიგნებები

- ლგბტქ პირთა საშუალო ანაზღაურება რესპონდენტთა 60.5%-ის შემთხვევაში 1000 ლარის ფარგლებს არ სცდება.
- დასაქმებულ რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი (22.3%) ერთდროულად ორ სამუშაო ადგილასაა დასაქმებული, რისი მიზეზიც რესპონდენტთა 88.9%-ის შემთხვევაში ანაზღაურების სიმცირეა.
- რესპონდენტების 60.5% უთითებს, რომ სრულ განაკვეთზე კვირაში საშუალოდ 47.4 საათს მუშაობს. თავისუფალი გრაფიკით მუშაობს რესპონდენტთა 20.9%, მათი სამუშაო დროის ხანგრძლივობა კი კვირაში საშუალოდ 28.9 საათია, რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლები (18.6%) ნახევარ განაკვეთზეა დასაქმებული, რაც საშუალოდ კვირაში 25.1-საათიან დატვირთვას ნიშნავს.
- დასაქმებული რესპონდენტების 23.2% ხელშეკრულების გარეშე, ხოლო რესპონდენტების ნახევარი (50%) ვადიანი კონტრაქტით მუშაობს. 16.8%-ს უტოლდება მათი წილი, ვინც უვადო ხელშეკრულებითაა დასაქმებული.
- გამოკითხულთა 82%-ს შრომის ანაზღაურება მხოლოდ კვების, ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ჰყოფნის, რაც მიუთითებს, რომ საქართველოში შრომის ანაზღაურება არ არის ადეკვატური და

ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების ადეკვატურ ხარისხს.

- რესპონდენტთა შორის დაუსაქმებლობის მიზეზთა შორის სჭარბობს სწავლისა და სამუშაოს დროის შეუთავსებლობა (27.3%). ტრანს რესპონდენტების შემთხვევაში კი კვლევა აჩვენებს, რომ დასაქმების ბარიერს მათთვის დამსაქმებელთა მხრიდან პირადი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა წარმოადგენს (14.1%).
- საქართველოში კარგი სამუშაოს საშოვნად რესპონდენტთა დიდი ნაწილი მნიშვნელოვან ფაქტორად ნაცნობობას მიიჩნევს - 42.9%, რაც დასაქმებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ რწმენის არქონაზე მიუთითებს.
- რესპონდენტების 63%-ს თანხის სესხება მხოლოდ ყოველდღიური ხარჯის დასაფარად მოუწია, 31.7%-ს საკვებისთვის, ხოლო 25.9%-ს ბინის ქირისთვის. იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც რაიმე წყაროდან უსესხებიათ თანხა, 62.2% დასაქმებულია, ხოლო 37.8% კი - დაუსაქმებელი.
- ბოლო 2 წლის განმავლობაში კვებისა ან/და სხვა საბაზო საჭიროებებისთვის რესპონდენტების 23.9%-მა სესხით ისარგებლა საბანკო ან მიკროსაფინანსო კომპანიისგან.

დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა და შრომის ღირსეული პირობები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანთა სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობის აღმოფხვრასა და სამომავლო კეთილდღეობას უზრუნველყოფს. 2014 წლისთვის მსოფლიოს მასშტაბით 73 მილიონი ახალგზარდა იყო სამსახურის ძიებაში. იმ ახალგაზრდათა წილი, რომლებიც არ იყვნენ დასაქმებულები, არ იღებდნენ განათლებას ან ტრენინგს ყოველი ხუთი ახალგაზრდიდან, ერთია. ამასთან, 2013 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ერთ მესამედზე მეტი დასაქმებული ახალგაზრდა ცხოვრობდა დღიურად მხოლოდ 2 დოლარის ხარჯზე.[121]

გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, ის ახალგაზრდები, რომლებიც ვერ იღებენ სრულყოფილ სასკოლო განათლებას, სოციალური მოწყვლადობისთვის რისკ ჯგუფს წარმოადგენენ, რადგან საქმდებიან და რჩებიან ისეთ სამუშაო სივრცეებში, სადაც მათი უფლებები დაცული არ არის, ხოლო სამუშაო პირობები საფრთხის შემცველი და ქრონიკული სიღარიბის გამომწვევია. ადრეულ ასაკში უმუშევრობის გამოცდილება უარყოფითად აისახება ცხოვრებისეულ შანსებსა და გრძელვადიანი სამუშაოს პოვნის შესაძლებლობებზე. სიღრმისეული განათლებისა და გადამზადების ციკლი, მეტი სამუშაო ადგილი და მისი უკეთესი ხარისხი

121 ILO, DECENT WORK AND THE 2030 AGENDA FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT, ob: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---europe/---ro-geneva/---ilo-lisbon/documents/event/wcms_667247.pdf

ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტი და სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტია.[122]

შესაბამისად, ღირსეულ შრომაზე მისაწვდომობა და ადეკვატური სამუშაო პირობები სიღარიბის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც აერთიანებს სამუშაო ადგილზე როგორც თანასწორი მოპყრობის პრინციპების, ასევე, დამსაქმებელთა მიერ შრომითი უფლებების დაცვასა და ეფექტურ უზრუნველყოფას. დასაქმებულთა შრომითი პირობები სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას, სამუშაო დროსა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების წესს და სხვა მნიშვნელოვან პირობებს.

წინამდებარე თავი პირველ ნაწილში ლგბტქ ადამიანთა დასაქმების სტატუსსა და არსებულ შრომის პირობებს იკვლევს, რომლის მიზანია გამოააშკარაოს უფლებადარღვევათა ის პრაქტიკა, რაც დასაქმების ადგილზე იჩენს თავს, უღირს სამუშაო გარემოს ქმნის და ზოგჯერ, უმუშევრობას განაპირობებს.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ, **68.8% კვლევის განხორციელების ეტაპისთვის დასაქმებულია, 31.3% კი არ არის დასაქმებული.** დასაქმების ძირითად სტატუსის თვალსაზრისით, რესპონდენტების 36.1% დაქირავებული მუშაკია საშუალო ან დიდი ზომის ორგანიზაციაში, 28.2% კი – მცირე საწარმოში. გამოკითხულთა 16.7% მიუთითებს, რომ ადგილობრივ/საერთაშორისო არაკომერციულ ორგანიზაციაში მუშაობს, ხოლო 12% თვითდასაქმებულია ან საკუთარი ბიზნესი აქვს. ამასთან, 5%-ს არ აღემატება მათი წილი, ვინც სახელმწიფო ორგანიზაციაში მუშაობს (4.2%) ან სეზონურ სამუშაოშია ჩართული (2.8%).

რაც შეეხება დასაქმებას, რესპონდენტების დიდი ნაწილი (32.7%) ხელოვნების, გართობისა და დასვენების“ სფეროში მუშაობს, ხოლო თითქმის მეხუთედი (19.2%) – განთავსების/კვების მომსახურების გაწევის მიმართულებით. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №60.

122 იქვე.

დიაგრამა №60. დასაქმების სექტორი.



ნიშანდობლივია, რომ დასაქმებულ რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი (22.3%) ერთ-დროულად ორ სამუშაო ადგილასაა დასაქმებული, ორზე მეტ ანაზღაურებად სამუ-შაოზე დასაქმების შემთხვევები 2%-ს არ აჭარბებს (3 სამსახური – 1.8%, 4 ან მეტი – 0.5%). ხაზგასასმელია ისიც, რომ რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც **ერთზე მეტ სამუშაო ადგილას არის დასაქმებული, ამის მიზეზად ანაზღაურების სიმცირეს ასახელებს** (88.9%). იხ. დიაგრამა №61. („დიახ“ კატეგორია).

დიაგრამა №61. ერთდროულად რამდენიმე სამუშაო ადგილას დასაქმების მიზეზები.



დასაქმებულ რესპონდენტთა დატვირთულობისა და სამუშაო დროის ხანგრძლივობის არსებული პრაქტიკის უკეთ შესასწავლად, მათ ეთხოვათ დაესახელებინათ კვირის განმავლობაში დახარჯული სამუშაო დრო. **რესპონდენტების 60.5% უთითებს, რომ სრულ განაკვეთზე კვირაში საშუალოდ 47.4 საათს მუშაობს.** თავისუფალი გრაფიკით მუშაობს რესპონდენტთა 20.9%, მათი სამუშაო დროის ხანგრძლივობა კი კვირაში საშუალოდ 28.9 საათია, რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლები (18.6%) ნახევარ განაკვეთზეა დასაქმებული, რაც საშუალოდ კვირაში 25.1-საათიან დატვირთვას ნიშნავს. საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს კვირაში 40 საათზე მეტი, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათზე მეტი, თუმცა, როგორც წინამდებარე კვლევა აჩვენებს რესპონდენტთა ნაწილის შემთხვევაში დამსაქმებლები ამ ვალდებულებას არღვევენ.

საინტერესოა ისიც, რომ დასაქმებული რესპონდენტების 23.2% ხელშეკრულების გარეშე, ხოლო რესპონდენტების ნახევარი (50%) ვადიანი კონტრაქტით მუშაობს. 16.8%-ს უტოლდება მათი წილი, ვინც უვადო ხელშეკრულებითაა დასაქმებული. მხოლოდ 1.8% აღნიშნავს, რომ ორივე ტიპის კონტრაქტი აქვს გაფორმებული (8.2%-ის მითითებით ეს საკითხი მათ არ ეხებათ). საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1(პრიმა) ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება აუცილებლად წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება. კვლევისას ვერ მოხდა იმის განსაზღვრა, თუ რა პერიოდის განმავლობაში იყვნენ დასაქმებული ის პირები, რომელთაც არ ჰქონდათ ხელშეკრულება გაფორმებული, შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად იქნა მშრომელთა უფლებები დარღვეული დამსაქმებლების მიერ ამ კონკრეტულ შემთხვევებში.

საქსტატის 2018 წლის მონაცემებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1068 ლარს წარმოადგენს, ქალის ხელფასი 823 ლარია, კაცისა კი – 1281.[123] ყურადსაღებია, რომ წინამდებარე კვლევის ფარგლებში **ლგბტქ პირთა საშუალო ანაზღაურება რესპონდენტთა 60.5%-ის შემთხვევაში 1000 ლარის ფარგლებს არ სცდება.** 36.1%-ის შრომითი ანაზღაურება 601-1000 ლარის ფარგლებშია მოქცეული. თითქმის მეოთხედი (24.4%) მიუთითებს, რომ ყოველთვიურად, საშუალოდ 251-600 ლარს იღებს შრომის ანაზღაურების სახით. გამოკითხულთა მხოლოდ 19.6%-ა აქვს თვიური საშუალო ხელფასი 1001-2000 ლარის ფარგლებში, რაც არსებითად დაბალი მაჩვენებელია. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №62.

123 საქსტატი, ხელფასების კალკულატორი, იხ: https://www.geostat.ge/salarium/?lang=ka

დიაგრამა №62. რესპონდენტების საშუალო შემოსავლები ხელფასიდან.



რეგიონების მიხედვით, თბილისში მცხოვრები რესპონდენტების საშუალო ხელფასი 3.91 ნიშნულზეა, ხოლო სხვა რეგიონების შემთხვევაში 3.23, რაც ნიშნავს, რომ თბილისში ეს რიცხვი უფრო ახლოს არის 601-დან 1000 ლარამდე კატეგორიასთან, ხოლო რეგიონში – 251 ლარიდან 600 ლარამდე კატეგორიასთან.

კორსტაბულაციური ანალიზის მიხედვით, იმ რესპონდენტების შემოსავლები, რომლებსაც აქვთ **უმაღლესი განათლება** და არიან ამავდროულად დასაქმებულები, შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 3000 ლარზე მეტი – 4.5%; 2001 ლარიდან 3000 ლარამდე – 15.3%; 1001 ლარიდან 2000 ლარამდე – 23.4%; 601 ლარიდან 1000 ლარამდე – 34.2%; 251 ლარიდან – 600 ლარამდე – 18.9%; 1 ლარიდან – 250 ლარამდე – 3.6%. **რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში უმაღლესი განათლება არ არის ადეკვატური შემოსავლის ქონის გარანტი და შესაბამისად, არსებითად არ განსაზღვრავს კეთილდღეობას.**

შრომის ანაზღაურების ადეკვატურობის შესაფასებლად რესპონდენტების საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობები იქნა შესწავლილი. ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტების უმრავლესობის – 52.5%-ის შეფასებით, თანხა კვებასა და ტანსაცმელზე ჰყოფნის, თუმცა ძვირადღირებული ნივთების შეძენას ვერ ახერხებს. 29.5% მიუთითებს, რომ მათი ყოველთვიური ხელფასი მხოლოდ კვებასა და სახლის მინიმალური საჭიროებებისთვისაა საკმარისი, მაგრამ ტანსაცმლის შესაძენად აღარ ჰყოფნით. გამოკითხულთა 13.2% თანხით ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენას ახერხებს, თუმცა, ხელფასით მანქანას ვერ შეიძენს. 5%-ს არ აღემატება ორი უკიდურესი შინაარსობრივი კატეგორიის მაჩვენებლები, კერძოდ, 3.2% მიუთითებს, რომ ყოველთვიური ხელფასი მხოლოდ საკვებზე ჰყოფნის, 1.8%-ს კი თანხით ყველაფრის შეძენა შეუძლია, რაც სჭირდება. **ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში შრომის ანაზღაურება არ არის ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების ადეკვატურ ხარისხს.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ გამოკითხვაში მონაწილე დასაქმებული რესპონდენტების 53% ვერ სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, რადგანაც სამსახურს ეს სერვისი არ გააჩნია. მეოთხედზე მეტი (27.4%) საკუთარი ნებით არ სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურებით. გამოკითხულთა თითქმის მეხუთედი (18.7%) დადებით პასუხს აფიქსირებს, 0.9% კი, პასუხის გაცემისგან თავს იკავებს.

ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის საკითხი უკეთ წარმოჩინდება საზოგადოების მხრიდან დასაქმებისა და შრომის არსის მნიშვნელობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე დაკვირვებითაც, გარდა იმისა, რომ შრომას აქვს მატერიალური მნიშვნელობა და ის ეკონომიკური კეთილდღეობის განმსაზღვრელია, ის ასევე შეიძლება იყოს პირთა ინდივიდუალური განვითარების, გაძლიერებისა და პერსონალური კმაყოფილების წყაროც. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა მოსაზრებები თანაბარი 40.6%-40.6% მაჩვენებელით არის წარმოდგენილი ორ კონცეპტუალურად განსხვავებულ დებულებასთან მიმართებით – *„ვმუშაობ იმისთვის, რომ მქონდეს ანაზღაურება“ და „გარდა ანაზღაურებისა, სამუშაო მაძლევს პერსონალური კმაყოფილების შეგრძნებას“,* გამოკითხულ რესპონდენტთა 18.7% კი აღნიშნავს, რომ მისი მთავარი მიზანი გამოცდილების შეძენაა.

კვლევის ფარგლებში, ასევე შევისწავლეთ იმ პირთა მდგომარეობაც, რომლებიც კვლევის განხორციელების ეტაპისთვის არ იყვნენ დასაქმებულნი. გამოკითხულთა 44.8% 0-6 თვის განმავლობაში არ მუშაობს, 42.7%-ს კი უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ანაზღაურებადი სამსახური არ აქვს. 7-12 თვის განმავლობაში დაუსაქმებელ პირთა კატეგორიაში რესპონდენტების 12.5% იყრის თავს.

რესპონდენტთა შორის დაუსაქმებლობის მიზეზთა შორის სჭარბობს **სწავლისა და სამუშაოს დროის შეუთავსებლობა (27.3%). ტრანს რესპონდენტების შემთხვევაში კი კვლევა აჩვენებს, რომ დასაქმების ბარიერს მათთვის დამსაქმებელთა მხრიდან პირადი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა წარმოადგენს (14.1%),** არაერთი კვლევა ადასტურsxvaებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ტრანს ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში პირად დოკუმენტებში გენდერული მარკერი შეცვალონ საკუთარი გენდერული აღქმის შესაბამისად, დასაქმების შანსები არსებითად კლებულობს. შესაბამისად, მათ უწევთ ისეთ სამუშაო ადგილებზე დასაქმება, რომელიც ხშირად დროებითია, დაბალანაზღაურებადი და ზოგიერთ შემთხვევაში – საფრთხის შემცველიც. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №63.

დიაგრამა №63. რესპონდენტების დაუსაქმებლობის მიზეზები.



დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით რესპონდენტთა სუბიექტური აზრის იდენტიფიცირებისთვის, მათ ეთხოვათ, განესაზღვრათ, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს კარგი სამსახურის შოვნას. რესპონდენტების (როგორც დასაქმებულებმა, ისე დაუსაქმებელმა) **დიდი ნაწილი მნიშვნელოვან ფაქტორად ნაცნობობას მიიჩნევს – 42.9%, რაც დასაქმებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ რწმენის არქონას მიუთითებს.** გამოკითხულთა 15.8%-ის აზრით, გამართლებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, გამოკითხულთა მხოლოდ 6.9% მიიჩნევს, რომ დასაქმებისთვის უმთავრესი განათლებაა, რაც ნიშნავს, რომ რესპონდენტთათვის ადეკვატური განათლებაც კი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების მაღალ შესაძლებლობებს. მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №64.

დიაგრამა №64. სამსახურის საშოვნელად საჭირო ფაქტორები.



სოციო-ეკონომიკური მოწყვლადობის უკეთ წარმოსაჩენად კვლევის ფარგლებში რესპონდენტების ფინანსური მზაობაც შეფასდა, კერძოდ, თუ რამდენად შეძლებდნენ რესპონდენტები რთულ სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში 500, 1500 და 5000 ლარის მობილიზებას. კვლევა აჩვენებს რომ, რესპონდენტთა დიდი ნაწილი შეძლებდა 500 ლარის მობილიზებას (86.8%), 1500 ლარის მობილიზებას შეძლებდა რესპონდენტთა ნახევარზე ცოტა მეტი (57.3%), 5000 ლარის მობილიზებას კი რესპონდენტთა მხოლოდ მეხუთედი თუ მოახერხებდა (23.6%), რაც არსებითად დაბალი მაჩვენებალია.

ბოლო წლებში ვალის მკვეთრი ზრდა შინამეურნეობების მოწყვლადობის განმაპირობებელია, შემოსავალთან არაპროპორციულად მაღალი ტვირთის მქონე სესხები კი მოსახლეობისთვის ფინანსური პრობლემების ერთ-ერთი მთავარი წყარო.[124] ამასთან, სესხის აღების საჭიროება, შესაძლოა, თავად წარმოადგენს სოციალური მოწყვლადობის მაჩვენებელსაც, იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული ფაქტორით არის ის განპირობებული. წინამდებარე კვლევით გამოიკვეთა, რომ **რესპონდენტების 63%-ს თანხის სესხება მხოლოდ ყოველდღიური ხარჯის დასაფარად მოუწია, 31.7%-ს საკვებისთვის, ხოლო 25.9%-ს ბინის ქირისთვის.** დეტალური განაწილებისთვის იხ. დიაგრამა N65.

ნიშანდობლივია, რომ კროსტაბულაციური ანალიზის მიხედვით, იმ რესპონდენტებიდან, რომლებსაც რაიმე წყაროდან უსესხებიათ თანხა, 62.2% დასაქმებულია, ხოლო 37.8% კი – დაუსაქმებელი.

დიაგრამა №65. თანხის სესხების პრაქტიკა საჭიროებების მიხედვით.



124 UNICEF, მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა, 2017, გვ. 22

სესხების ტიპების მიხედვით, ბანკების შემთხვევაში დადებითი პასუხის მაჩვენებელი 39.1%-ს უტოლდება, მეგობარი/ნაცნობის შემთხვევაში კი – 79.1%-ს, რაც ყველაზე მაღალი შედეგია, ოჯახის წევრისგან ფულის სესხების გამოცდილება გამოკითხულთა მეხუთედს აქვს (20.6%). ყველაზე იშვიათად რესპონდენტები სესხს დამსაქმებლებს სთხოვენ – 7.3%.

ყურადსაღებია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში კვებისა ან/და სხვა საბაზო საჭიროებებისთვის რესპონდენტების 23.9%-მა სესხით ისარგებლა საბანკო ან მიკროსაფინანსო კომპანიისგან, მათ შორის, გამოკითხულთა 12.4% მხოლოდ ერთხელ, ხოლო 11.5%-ს 2-ჯერ აქვს სესხი აღებული, სიხშირის სხვა მაჩვენებლების პროცენტული წილი 7%-მდეა. ეს მიუთითებს, რომ რესპონდენტების შემოსავალი არ არის საკმარისი თუნდაც საბაზისო საჭიროებების დასაფარად და მათ დამატებითი თანხის აკუმულირება სჭირდებათ, თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სესხით სარგებლობა, ხშირად ამწვავებს სოციალურ მოწყვლადობასა და მსესხებლებს მუდმივი ფინანსური პრობლემების წინაშე ტოვებს, რაც მათ კეთილდღეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება.

4.6.1. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

ძირითადი მიგნებები

- **მოსაზრებას, რომ „ლგბტქ ადამიანებს, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი დასაქმებაზე“ გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება - 93.1%.**
- **კითხვას – ,,იმუშავებდით, თუ არა დაბალ ანაზღაურებაზე, თუ სამუშაო ადგილი თქვენი იდენტობის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას მოგცემდათ“ – გამოკითხულთა 54.4% დაეთანხმა. ეს უთითებს, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ადეკვატურ ანაზღაურებას, არამედ ჰომოფობიისგან თავისუფალ, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს, სადაც არ მოუწევთ მუდმივი თვითკონტროლი და დამატებითი ძალისხმევის გაღება იდენტობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამჟღავნების თავიდან ასარიდებლად და შესაბამისად, ნორმალური სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად.**
- **რაც შეეხება სამუშაო ადგილზე ღიაობას, დასაქმებულ რესპონდენტთა (N=220) 47.3%-მა მიუთითა, რომ ყველასთან ღიაა, ხოლო 52.7% საერთოდ არ არის ან ნაწილობრივ არის ღია, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის შესახებ სამუშაო ადგილზე.**

- **სამუშაო ადგილზე მიმღებლობის შესაძლო დაბალი ხარისხი რესპონდენტების 48.9%-ის აზრით, მათ შრომისუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს, რადგან უკარგავს მოტივაციას. გამოკითხულთა 16.5% აღნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევაში მოუწევთ დამალვა ან ქცევის/საუბრის კონტროლი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათზე. 5.5%-ის აზრით კი, მიმღებლობის დაბალი ხარისხი სამუშაო ადგილზე ის შემთხვევაა, რის გამოც სამუშაო ადგილს დატოვებენ.**
- **ბოლო 2 წლის განმავლობაში რესპონდენტების 28.8% ყოფილა სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ან ასოციაციური დისკრიმინაციის მსხვერპლი სამუშაო ადგილზე. დისკრიმინაციულ ქმედებათა შორის სჭარბობს ვერბალური დისკრიმინაცია - შეურაცხყოფა, დამცირება და დაცინვა (81.2%) და არავერბალური დისკრიმინაცია - გარიყვა, ზურგს უკან საუბარი, ჭორების გავრცელება (66.7%). ხოლო, რესპონდენტთა 18.2%-ს ჰქონია გასაუბრების ეტაპზე დისკრიმინაციული გამოცდილება საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.**
- **განხორციელებული დისკრიმინაციული ფაქტის შეტყობინების მიზნით, გამოკითხულთა 68.1%-ს არავისთვის მიუმართავს.**
- **ბოლო 2 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილზე განხორციელებული დისკრიმინაციული ქცევის შედეგად, 36.9%-მა დატოვა სამუშაო ადგილი საკუთარი ნებით, 9.2%-მა კი სამუშაო ადგილი დატოვა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.**

ლგბტქ ადამიანების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმა და დისკრიმინაცია მათი დასაქმების შანსებსა და სამუშაოს შენარჩუნების პირობებზეც აისახება, რაც თემის წევრებისთვის დამატებით ბარიერებს ქმნის და არსებითად ამცირებს კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობებს. ლგბტქ პირთა მიმართ იდენტობაზე დაფუძნებული უთანასწორო პრაქტიკის არსებობას ადასტურებს რესპონდენტებისთვის წარდგენილ დებულებაზე მიღებული პასუხებიც. მოსაზრებას, რომ **„ლგბტქ ადამიანებს, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი დასაქმებაზე“ გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება – 93.1%** (მათ შორის, 39.7% ნაწილობრივ თანხმობას გამოთქვამს), რესპონდენტთა მხოლოდ 6.9% არ დაეთანხმა ზემოაღნიშნულ დებულებას. ასევე, დებულებას, რომ ლგბტქ თემის წევრები კარიერულ წინსვლას რთულად აღწევენ, გამოკითხული რესპონდენტების 44.8% ნაწილობრივ ეთანხმება, 35.3% – სრულად, ხოლო 18.8% – არ ეთანხმება.

ხელმისაწვდომობის დეტალური შესწავლისთვის, კვლევისას გაანალიზდა რესპონდენტების მხრიდან ღიაობის მაჩვენებელი სამუშაო ადგილზე. დასაქმებულ რესპონდენტთა **(N=220) 47.3%-მა მიუთითა, რომ ყველასთან ღიაა, 30.4% კი არ არის ღია** (ღიაობის ზოგადი მაჩვენებლის გარდა, საინტერესოა, რომ დასაქმებულმა რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს დამატებითი სპეციფიკური ფაქტორები სამუშაო ადგილზე ღიაობასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა 24.5% ფიქრობს, რომ არ არის საჭირო ღიაობა, 2.7%-ს ეშინია საკუთარი იდენტობის გაზიარება შესაძლო ჰომოფობიური განწყობების გამო, ხოლო 3.2%-ს აქვს შიში, რომ იდენტობის გამხელის შემთხვევაში, შესაძლოა, სამუშაოს დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს). 21.4%-მა აღნიშნა, რომ მხოლოდ თანამშრომლებთან ან ერთეულ თანამშრომლებთან არიან ღია, ხოლო 0.9% საკუთარი იდენტობის შესახებ ღიაა მხოლოდ მენეჯერთან/უფროსთან. **შესაბამისად, 52.7% საერთოდ არ არის ან ნაწილობრივ არის ღია საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის შესახებ სამუშაო ადგილზე.** დეტალურად იხ. დიაგრამა №66.

ღიაობის მაჩვენებლის შესწავლისას გათვალისწინებული უნდა იქნას რესპონდენტთა შერჩევის მეთოდი. კვლევა თოვლის გუნდის პრინციპით იმ რესპონდენტებთან ჩატარდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად კავშირში არიან ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან, შესაბამისად, ფლობენ ინფორმაციას უფლებადაცვის მექანიზმებზე და სხვა თემის წევრებთან შედარებით (რომლებიც არ არიან ღია ან ამ კვლევამ ვერ მოიცვა) გაძლიერებულნი არიან, ასევე, მათი ნაწილი მუშაობს კიდეც ამ ორგანიზაციებში, ამიტომ, სამუშაო ადგილზე სრულად ღიაობის მაჩვენებელი (47.3%), წინამდებარე კვლევის შერჩევიდან გამომდინარე, ვერ იქნება მიჩნეული მაღალ მონაცემად და ვერ გავრცელდება მთლიანად ლგბტქ ჯგუფზე.

დიაგრამა №66. საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ღიაობა სამუშაო ადგილზე.



შენიშვნა: აღნიშნულ კითხვას პასუხი გასცეს მხოლოდ დასაქმებულმა რესპონდენტებმა (N220).

რესპონდენტთა იმ ნაწილმა, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ (ერთ ადამიანთან მაინც) არის ღია სამუშაო ადგილზე სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის შესახებ, შეაფასეს სამუშაო ადგილზე მიმღებლობის ხარისხი შკალაზე ნეგატიურიდან – ნეიტრალურ განწყობამდე. რესპონდენტების 61.2%-ის თქმით, სამუშაო ადგილზე მიმღებლობის ხარისხი სრულიად ნეიტრალურია; ნაწილობრივ ნეიტრალური და ნაწილობრივ ნეგატიური 9.2%, 27.6% საუბრობს უფრო ნეიტრალურ, ვიდრე ნეგატიურ განწყობაზე, ხოლო 2% – ნეგატიურ განწყობაზე (N=152).

ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასა თუ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით ღიაობის შემთხვევაში მოსალოდნელი რეაქციების თვალსაზრისით, **რესპონდენტების 73.4% აღნიშნავს, რომ ღიაობის ფაქტი მათ სამუშაო ადგილზე გავლენას არ ახდენს/არ მოახდენს.** ეს მონაცემი უნდა იქნას გაანალიზებული წინამდებარე კვლევის შერჩევის მეთოდის და რესპონდენტთა სამუშაო სექტორის გათვალისწინებით. როგორც აღინიშნა, რესპონდენტთა 32.7% დასაქმებულია სახელოვნებო, დასვენებისა და გართობის სექტორში. კვლევები ცხადყოფს, რომ ლგბტქ თემის წევრები ცდილობენ დასაქმდნენ ისეთ სექტორსა თუ ადგილას, რომელიც თემის მიმართ მეგობრულია ან სულ მცირე, არ არის ექსპლიციტურად ჰომოფობიური. რაც ცხადია, არსებითად ზღუდავს როგორც მათი დასაქმების შანსებს, ასევე მათთვის პროფესიულად სასურველი საქმიანობით დაკავების შესაძლებლობებს. **საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტთა შორის, ვინც აღნიშნავს, რომ არ მოახდენს გავლენას მათი იდენტობის შესახებ ღიაობა სამუშაო ადგილზე, 35.6% დასაქმებულია ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფეროში, ხოლო გამოკითხულთა 20% – კვებისა და განთავსების სექტორში.**

იმ რესპონდენტების წილი, რომელთაც სამუშაო ადგილზე ღიაობის ნეგატიური გავლენის მოლოდინი აქვთ, 21.3%-ია, მათგან რესპონდენტთა 8.0%-მა აღნიშნა, რომ ღიაობამ, შესაძლოა, მოახდინოს ნეგატიური გავლენა, რის გამოც ეცდება გაესაუბროს თანამშრომლებს/უფროსს, რათა თავიდან აირიდოს მტრული სამუშაო გარემო; 8.5%-მა აღნიშნა, რომ მოუწევთ დატოვონ სამუშაო ადგილი, რადგან დაექვემდებარებიან შეურაცხყოფას და ძალადობას; ხოლო 4.8%-ის აზრით, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა გაათავისუფლონ სამსახურიდან; გამოკითხულთა 2.7% შეკითხვას არ გამოეპასუხა (N=188).

ამასთან, რესპონდენტების 48.9%-ის აზრით, მიმღებლობის დაბალი ხარისხი მათ შრომისუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს, რადგან უკარგავს მოტივაციას. გამოკითხულთა 16.5% აღნიშნავს, რომ მსგავს შემთხვევაში მოუწევთ დამალვა ან ქცევის/საუბრის კონტროლი, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მათზე. 5.5%-ის აზრით კი, მიმღებლობის დაბალი ხარისხი სამუშაო ადგილზე ის ვითარებაა, რის გამოც სამუშაო ადგილს დატოვებენ. განსაკუთრებით საინტერესოა

ის ფაქტი, რომ **რესპონდენტების 25.7%-ის აზრით, მიმღებლობის დაბალი ხარისხი სამუშაო ადგილას, არ მოახდენს მათზე გავლენას ორი ძირითადი მიზეზის გამო – 6.6% ამბობს, რომ ეცდება არ იფიქროს მსგავს შემთხვევაზე, ხოლო 19.1% ამბობს, რომ იგნორირებას გაუკეთებს აღნიშნულ ფაქტს, რაც ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი სამუშაო ადგილზე მიმღებლობის დაბალი ხარისხის წინაშე აღმოჩნდება, მისგან დაღწევის გზა და გამკლავების მეთოდი ამგვარი სამუშაო გარემოს ატანაა,** რაც არსებითად დამაზიანებელი შეიძლება იყოს მისთვის, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც ადამიანებს სამუშაო ადგილზე ხანგრძლივი დროის გატარება უწევთ.

ღიაობის საკითხს უკავშირდება რესპონდენტთა პოზიციები კვლევის მიერ მიწოდებულ კითხვაზე – *„იმუშავებდით, თუ არა დაბალ ანაზღაურებაზე, თუ სამუშაო ადგილი თქვენი იდენტობის თავისუფლად გამოხატვის საშუალებას მოგცემდათ“* – გამოკითხულთა 54.4% დაეთანხმა ამ დებულებას, 38.1%-მა უარყოფითი პასუხი დააფიქსირა, რესპონდენტთა 7.5%-მა კი პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა („უარი პასუხზე“). ეს მიუთითებს, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტისთვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ადეკვატურ ანაზღაურებას, არამედ ჰომოფობიისგან თავისუფალ, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს, სადაც არ მოუწევთ მუდმივი თვითკონტროლი და დამატებითი ძალისხმევის გაღება იდენტობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამჟღავნების თავიდან ასარიდებლად და შესაბამისად, ნორმალური სამუშაო გარემოს შესანარჩუნებლად.

ამასვე მოწმობს ისიც, სამუშაოს ძიებისას თუ რა ფაქტორებს ანიჭებენ უპირატესობას რესპონდენტები. მართალია, რესპონდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა დაასახელა **ანაზღაურების ფაქტორი** (91.3%) და **სამუშაო საათების ოდენობა (დრო)** (67.5%), მაგრამ ასევე მაღალი მაჩვენებლით არის მოცემული პრიორიტეტი, რომ სამუშაო ადგილას იყოს **ლგბტ მეგობრული გარემო** (65%). აქვე მნიშვნელოვანია, რომ ტრანსგენდერი რესპონდენტების შემთხვევაში ყველაზე მეტად დასახელდა **პირადი დოკუმენტების შემოწმების ფაქტორი** (9.4%), ის, რომ დამსაქმებელი არ ითხოვდეს პირად დოკუმენტებს. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №67.

დიაგრამა №67. სამსახურის ძიებისას მნიშვნელოვანი ფაქტორები.



სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის უკეთ საჩვენებლად კვლევამ აქცენტი ბოლო 2 წლის განმავლობაში არსებულ გამოცდილებაზე გააკეთა. როგორც გამოკითხვა აჩვენებს, **რესპონდენტების 28.8% ყოფილა სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ან ასოციაციური დისკრიმინაციის მსხვერპლი,** მათგან 15.2%-მა მიუთითა, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი ხშირად არიან/ყოფილან (ძალიან ხშირად – 1.3%, ხშირად – 13.9%), 7.6% იშვიათად ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი, ხოლო 6.0%-მა აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის შემთხვევას სამუშაო ადგილზე ერთხელ ჰქონდა ადგილი.

დისკრიმინაციულ ქმედებათა შორის სჭარბობს **ვერბალური დისკრიმინაცია – შეურაცხყოფა, დამცირება და დაცინვა (81.2%) და არავერბალური დისკრიმინაცია – გარიყვა, ზურგს უკან საუბარი, ჭორების გავრცელება (66.7%),** ასევე ხშირად დასახელდა ძალადობის მუქარა (37.7%) და სექსუალური შევიწროება (34.8%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №68.

დიაგრამა №68. დისკრიმინაციის სხვადასხვა პრაქტიკა სამუშაო ადგილას.



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნა.

იმ რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (50.7%), რომელთაც ჰქონიათ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გამოცდილება სამუშაო ადგილზე, აღნიშნა, რომ დისკრიმინაცია მომდინარეობდა თანამშრომლისგან/კოლეგისგან, 23.2%-ის შემთხვევაში უფროსის/მენეჯერისგან, 30.4%-მა კი მომხმარებელი დაასახელა.

დიაგრამა №69. დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირი.



გენდერული თვალსაზრისით, დისკრიმინაციული ქცევის განმახორციელებელი პირი 60.9%-ის შემთხვევაში კაცი იყო, 1.4%-ის შემთხვევაში ქალი, ხოლო 37.7%-ის შემთხვევაში, როგორც კაცი, ასევე ქალი.

სექსუალურ ორიენტაციასა ან/და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებულ მტრულ სამუშაო გარემოსა თუ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე რეაგირების თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ, მათ შორის, ვისაც ამგვარი გამოცდილება ჰქონია, **68.1%-ს არავისთვის მიუმართავს დახმარების მისაღებად,** რესპონდენტთა 21.7%-მა მიმართა უფროსს/მენეჯერს, 5.8-5.8%-მა მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას ან სამართალდამცავ სტრუქტურებს (პოლიციას). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №70.

დიაგრამა №70. შესაბამისი პირის/უწყებისადმი მიმართვიანობა დიკსკრიმინაციის ფაქტზე.



მეორე მხრივ, მიმართვიანობაზე უარის მიზეზების თვალსაზრისით, იმ რესპონდენტებმა, რომელთაც არავის მიმართეს რეაგირებისთვის, ჩათვალეს, რომ თავად გაუმკლავდებოდნენ (25.0%), გამოკითხულთა 18.2%-ის შეფასებით კი, ამის მიზეზი სამუშაო ადგილზე ურთიერთობების დაძაბვის თავიდან არიდება იყო. მეორე პრიორიტეტად დასახელებულ კატეგორიებში შემდეგი პასუხი ჭარბობს – „ჩავთვალე, რომ ვერაფერს მოიმოქმედებდნენ“ (28.1%), ხოლო 21.9%-ის შემთხვევაში, პირველი პრიორიტეტის მსგავსად, სამუშაო ადგილას ურთიერთობების დაძაბვის თავიდან არიდება იყო. შემდგომ დასახელებულ მიზეზებს შორის „ქმედების განმახორციელებელი მაღალი თანამდებობის პირი ან/და ხელმძღვანელი/უფროსი იყო“ კატეგორია ჭარბობს – 29.2%.

ბოლო 2 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილზე განხორციელებული დისკრიმინაციული ქცევის შედეგად, 36.9%-მა დატოვა სამუშაო ადგილი საკუთარი ნებით, 9.2%-მა – სამუშაო ადგილი დატოვა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო 18.5%-ს შეუნარჩუნდა სამუშაო ადგილი, თუმცა მტრული გარემოს ატანის ფასად.

დისკრიმინაციულ პრაქტიკას გარდა სამუშაო ადგილისა, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის (გასაუბრების) დროს. საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს დისკრიმინაციას წინასახელშეკრულებლო ურთიერთობებში, თუმცა, გამოკითხულ რესპონდენტთა 18.2%-ს ჰქონია გასაუბრების ეტაპზე დისკრიმინაციული გამოცდილება საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო. დისკრიმინაციული მოპყრობის კონკრეტულ ფორმებთან დაკავშირებით დეტალური განაწილება იხილეთ ცხრილში №18.

ცხრილი №18. წინასახელშეკრულებლო ურთიერთობებში შესაძლო დისკრიმინაციული ქმედება (სუბიექტური აღქვები).

შეკითხვა: რამ შეგიქმნათ ვარაუდი, რომ დისკრიმინაციის მიზეზი იყო აღქმული ან რეალური სექსუალური ორიენტაცია/ გენდერული იდენტობა?	რესპონდენტთა პასუხების განაწილება პროცენტებში (N57)
დამისვეს კითხვები ჩემს გენდერულ გამოხატვასთან დაკავშირებით	35.8%
დამისვეს პირდაპირი ან ირიბი კითხვები ჩემს სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით	35.3%
დამისვეს ჩემს „ცხოვრების წესთან” დაკავშირებული კითხვები	45.1%
დამისვეს კითხვები გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით	11.8%
მკითხეს „ქალი ხარ თუ კაცი?”	19.6%
ზოგადი დამოკიდებულებით ვივარაუდე/მივხვდი	76.5%
ეძებდნენ სხვა მიზეზს, რომ არ აეყვანათ რესპონდენტი სამსახურში	35.3%

4.6.2. სექს–სამუშაო

ძირითადი მიგნებები

- **გამოკითხულ რესპონდენტთა 18.4% ყოფილა/არის ჩართული კომერციულ სექს- სამუშაოში. სექს-სამუშაოში ჩართულობის მაჩვენებელი სჭარბობს ტრანსგენდერ რესპონდენტებში (82.4%).**
- **რესპონდენტების 71.4%-თვის, რომლებიც კვლევის მიმდინარეობის განმავლობაში სექს-სამუშაოში იყვნენ ჩართულები, ეს მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა.**
- **რესპონდენტების უმრავლესობა (61.4%) სექს-სამუშაოში ჩართულობის მთავარ მიზეზად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს (სიღარიბე ან ვალი და ა.შ.), უსახლკარობის რისკს უთითებს რესპონდენტთა 20.5%, ხოლო 18.2% მიუთითებს, რომ ეს გადაწყვეტილება საკუთარი არჩევანით მიიღო.**
- **სექს-სამუშაოში ჩართულობასთან ასოცირებული მთავარი სირთულეების შეფასების თვალსაზრისით, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს ფინანსურ არასტაბილურობასთან დაკავშირებული სტრესი (79.5%.), სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის არსებული საფრთხე – 77.3%.**

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურად კომერციულ სექს-შრომასთან დაკავშირებით მრავალი საკამათო საკითხი არსებობს, საქართველოში სექსმუშაკთა უფლებების მდგომარეობის შესწავლისა და მათი უფლებების დაცვის გარშემო დისკუსიები თუ აქტიური მხარდამჭერი პოლიტიკა არ ხორციელდება. მთავარი გამოწვევა, რომელიც სექს-შრომაში ჩართულ ადამიანებს უდგათ, უსაფრთხოების ფაქტორია, რომელიც კავშირშია, როგორც ძალადობის მრავალმხრივ პრაქტიკასთან, ასევე ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევებთან. მართალია, ზრდასრული ადამიანი ფლობს გადაწყვეტილების შესაძლებლობას, ჩაერთოს თუ არა კომერციულ სექს-სამუშაოში, მაგრამ საქართველოს რეალობაში ასეთი არჩევანი ხშირად სოციო-ეკონომიკური მოწყვლადობითა და ქრონიკული სიღარიბით არის განპირობებული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით (ILO), სექს-შრომა ხშირად მძლავრ ფინანსურ ინსენტივს მოიცავს, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს ამ სექტორში ჩართვას, მიუხედავად სოციალური სტიგმისა და ფიზიკური საფრთხისა.[125]

მსოფლიოში სექს-სამუშაოში ჩართული პირები მრავალ კრიტიკულ გამოწვევასთან ერთად აივ/შიდსის გაზრდილი რისკის ქვეშ არიან. მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის

125 Lim, Lin Lean. Ed. 1998. *The Sex Sector: The Economic and Social Bases of Prostitution in Southeast Asia.* Geneva: International Labour Office.

ჩართული სექს-სამუშაოში, სისგენდერი ქალი, კაცი თუ ტრანს ადამიანი, ისინი მუდმივად იმყოფებიან მარგინალიზების, სტიგმისა და მუდმივი ძალადობის საფრთხის ქვეშ. ILO-ს მიხედვით, მნიშვნელოვანია სექსმუშაკთა სოციალური და კულტურული მოწყვლადობის შემცირება ეკონომიკური გაძლიერების, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფითა და სოციალურ დაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, მათ შორის, ჯანდაცვის ადეკვატურ სერვისებსა და სკრინინგ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.[126]

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა 18.4% ყოფილა ან არის ჩართული კომერციულ სექს-სამუშაოში. საკითხის იდენტობის ჭრილში გაანალიზების თვალსაზრისით სექს-სამუშაოში ჩართულობის ან ჩართვულობის გამოცდილების მაჩვენებელი სჭარბობს ტრანსგენდერ რესპონდენტებში (82.4%). მონაცემების დეტალური გადანაწილება იხილეთ დიაგრამაზე №71.

დიაგრამა №71. სექს-სამუშაოში ჩართულობის გამოცდილება.



იმ რესპონდენტების 71.4%-ისთვის, რომლებიც კვლევის მიმდინარეობის განმავლობაში სექს-სამუშაოში იყვნენ ჩართულები, ეს მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა.

რესპონდენტების 52.5% აღნიშნავს, რომ სექს-სამუშაოში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არის/იყვნენ ჩართულნი. 43.2% 0-6 თვემდე პერიოდს ასახელებს. თანაბარი – 2.3%-2.3%-ით არის წარმოდგენილი 6 თვიდან 1 წლამდე და 1 წლიდან 2 წლამდე პერიოდის განმავლობაში სექს-შრომაში ჩართულობა.

126 ILO, Thematic Brief on sex workers, იხ: https://www.ilo.org/aids/WCMS_185717/lang--en/index.htm

კვლევის ფარგლებში, სიხშირესთან ერთად, სექს-სამუშაოში ჩართვის მიზეზებიც შეფასდა. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმრავლესობა (61.4%) სექს-სამუშაოში ჩართულობის მთავარ მიზეზად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს (სიღარიბე ან ვალი და ა.შ.), უსახლკარობის რისკს უთითებს რესპონდენტთა 20.5%, ხოლო 18.2% მიუთითებს, რომ ეს გადაწყვეტილება საკუთარი არჩევნით მიიღო. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №72.

დიაგრამა №72. სექს-სამუშაოში ჩართვის სუბიექტური მიზეზები.



შეკითხვა: რას გამოყოფდით სექს-სამუშაოში ჩართვის მთავარ მიზეზად?(N57)

საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, სექს-სამუშაოში ჩართულობასთან ასოცირებული მთავარი სირთულეების შეფასებისას, რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად დაასახელეს ფინანსურ არასტაბილურობასთან დაკავშირებული სტრესი (79.5%.), რესპონდენტთა დიდი რაოდენობის მიერ ასევე დასახელდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის არსებული საფრთხე – 77.3%. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №73.

დიაგრამა №73. სექს-სამუშაოსთან დაკავშირებული სირთულეები (N57).



ეს მონაცემები მიუთითებს, რომ სექს-სამუშაო შრომის ერთ-ერთ ყველაზე საფრთხისშემცველ ფორმას წარმოადგენს. სექს-სამუშაოში ჩართულ ადამიანებს მუდმივად უწევთ ჯანმრთელობისა და სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების შეფასება, რომელიც გამვლელების, სამართალდამცავი უწყებების თუ კლიენტების მხრიდან მომდინარეობს, რაც მათ მუდმივი სტრესის ქვეშ ამყოფებთ. შესაბამისად, არსებითია სექს-შრომასთან დაკავშირებული საკითხების უსაფრთხო შრომის მსჯელობის ფარგლებში მოქცევა და მისი რეგულირების იმგვარი მოდელების ადვოკატირება, რომელიც ამ შრომაში ჩართული ადამიანების საჭიროებებს და ხედვებს გაითვალისწინებს.

4.7. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა

ძირითადი მიგნებები

- ფიზიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რესპონდენტთა 32.5%-მა აღნიშნა, რომ აქვს ქრონიკული ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემა.
- რესპონდენტების 21.4%-მა აღნიშნა, რომ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემა, დაავადება თუ შეზღუდული შესაძლებლობა მათ ყოველდღიურ საქმიანობას აფერხებს. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა კი რესპონდენტების 44.1%-ის შემთხვევაში აფერხებს ყოველდღიურ საქმიანობას.
- ჯანმრთელობის სერვისებზე ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რესპონდენტთა 13.4%-მა აღნიშნა, რომ მსგავს სერვისებზე ხელი უფრო არ მიუწვდებათ, ვიდრე მიუწვდებათ, ხოლო 9.1%-ს კი საერთოდ არ მიუწვდება.
- გეგმიური გამოკვლევების ჩასატარებლად ექიმთან არ მისულა რესპონდენტების 31.9%, ხოლო 16% ამ მიზნით ექიმთან იმყოფებოდა 1 წლის ან უფრო მეტი ხნის წინ. რესპონდენტების 37.5%-მა აღნიშნა, რომ გეგმიური შემოწმებისთვის ექიმთან ბოლო 6 თვის განმავლობაში იყვნენ, ხოლო 14.7%-მა - 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდი მიუთითა.
- ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფილი და ხარისხიანი მომსახურების ბარიერებს შორის, რესპონდენტების 72.9%-მა ხანგრძლივი რიგი და ლოდინი დაასახელა, 63.7%-მა პროფესიონალი ექიმების არარსებობა, 41.4%-მა კი მედიკამენტებზე ფინანსური ხელმიუწვდომლობა, 32.7%-მა კი ჯანდაცვის სერვისების ფინანსური ხელმიუწვდომლობა დაასახელა.
- სოგი-ს საფუძველზე ჯანდაცვის სერვისის მიღების ბარიერად რესპონდენტების (N=285) 36.5%-მა მიუთითა სამედიცინო პერსონალის დაბალი

მგრძნობელობა, 39.6%-მა კი პერსონალური ინფორმაციის გავრცელების რისკი (N=293), ხოლო გამოკითხულთა 37.6%-ის მითითებით, ბარიერია ის ფაქტი, რომ ჯანდაცვის პროვაიდერებს ვერ აწვდის სრულყოფილ ინ-ფორმაციას დისკრიმინაციის მოსალოდნელი რისკის გამო.

- რესპონდენტების 51.0% ღიაა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ ექიმთან, როცა ეს მათი ჯანმრთელობის გარკვეულ საკითხებთან არის დაკავშირებული, ხოლო 21.6% - არ არის ღია, 7.2%-ს შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო 20.3%-მა პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.
- ღიაობაზე უარის მიზეზებს შორის რესპონდენტების 34%-მა კონფიდენცი-ალობის დარღვევის რისკი დაასახელა, ხოლო 30.2%-მა თქვა, რომ არ თვლიდნენ საჭიროდ აღნიშნული ინფორმაციის ექიმისთვის მიწოდებას, ასევე დაასახელა მოსალოდნელი მიუღებლობის შიში 28.3%-მა, მომსა-ხურებაზე უარის მიღების მოსალოდნელი საფრთხის ფაქტი 7.5%-მა (N53).
- რესპონდენტების 14.4%-მა (N=46) აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის გან-მავლობაში ჯანდაცვის სერვისის მიღებისას გამხდარან დისკრიმინაციის მსხვერპლები (70.6%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 15.0%-მა აღ-ნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა).
- დისკრიმინაციული ფაქტის შესატყობინებლად, რესპონდენტთა 78.3%-ს არავისთვის მიუმართავს, რის მთავარ მიზეზადაც დასახელდა ქმედების არასაკმარისად სერიოზულ ფაქტად აღქმა (25.0%) და კონფიდენციალო-ბის დარღვევის რისკები (19.4%).
- ტრანს სპეციფიკურ ჯანდაცვასთან დაკავშირებით ბარიერებად დასახელდა ტრანს საკითხების მცოდნე/ინფორმირებული ჯანდაცვის მომწოდებელთა სიმცირე (61.8%), ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც არ ფარავს ტრან-სი ადამიანების ჯანდაცვის საჭიროებებს (58.8%), პროფესიონალთა მხრი-დან მხარდაჭერის ნაკლებობა (52.9%).

ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე ხელმისაწვდომობა არსე-ბით გავლენას ახდენს ადამიანთა კეთილდღეობასა და ღირსეული ცხოვრების შე-საძლებლობებზე. ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ურთიერთგადამკვეთ ფაქტორებს მოიცავს, კერძოდ, ჯანდაცვის სერვისების ფიზიკურ არსებობას, ფინანსურ ხელმი-საწვდომობას, მისაღებობასა და ხარისხს. მხოლოდ აღნიშნულ ასპექტთა სრული რეალიზებით შეიძლება იქნას მიღწეული ადამიანთა უფლება ჯანმრთელობის დაც-ვაზე.

ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის კონკრეტულ ზემოთხსენებულ ფაქტორთა იდენტიფიცირებამდე, რესპონდეტებმა შეაფასეს საკუთარი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა, გამოკითხულთა 46.6%-მა მიუთითა, რომ თავს კარგად გრძნობენ (19.1% – ძალიან კარგად), ხოლო 17.5%-მა ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგად შეფასებად ცუდი ან ძალიან ცუდი კატეგორიები მიუთითა (ძალიან ცუდად – 5.6%, ცუდად – 11.9%). რესპონდენტთა 34.1% ნეიტრალურ შეფასებას აფიქსირებს და უჭირს რომელიმე პოზიციისკენ გადახრა. აღნიშნული მონაცემები მსგავსია CRRC-ის კავკასიის ბარომეტრის 2019 წლის მონაცემებისა, რომლის მიხედვით, საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობას რესპონდენტთა 35% კარგად აფასებს, 47% საშუალოდ, ხოლო 18% ცუდად (CRRC, 2020).

როგორც გამოკითხვით ჩანს, ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემებსა თუ ფუნქციონალურ შეზღუდვების თვალსაზრისით, შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (41.9%) და ქრონიკული ფიზიკური დაავადებები (32.5%). სიხშირეთა დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №74.

დიაგრამა №74. ჯანმრთელობის გრძლევადიანი პრობლემები.



** ჯანმრთელობის გრძელვადიან პრობლემებში» იგულისხმება ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც გრძელდება სულ მცირე 6 თვე.*

ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტების 21.4%-მა აღნიშნა, რომ **ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემა,** დაავადება თუ შეზღუდული შესაძლებლობა მათ ყოველდღიურ საქმიანობას აფერხებს. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში კი რესპონდენტების 44.1%-ში აფერხებს ყოველდღიურ საქმიანობას (26.2% – აფერხებს, 17.9% – უფრო აფერხებს, ვიდრე არ აფერხებს).

ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რომელიც სერვისების როგორც ფიზიკურ, ისე ფინანსურ ხელმისაწვდომობას მოიცავს, რესპონ-

დენტთა 13.4%-მა აღნიშნა, რომ მსგავს სერვისებზე ხელი უფრო არ მიუწვდებათ, ვიდრე მიუწვდებათ, ხოლო 9.1%-ს კი საერთოდ არ მიუწვდება. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №75.

დიაგრამა №75. ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.



კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა შედარებით მაღალია ბისექსუალ კაც რესპონდენტებში (54.8%) და ლესბოსელ ქალ რესპონდენტებში (47.3%), ხოლო ყველაზე დაბალია ბისექსუალ ქალ რესპონდენტებში (16.2%) და ტრანსგენდერ რესპონდენტებში (14.7%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №76. (მონაცემები სტატისტიკურად სანდოა, **x^2=66.99, df=25, p<0.001).** 95%-იან სანდოობაზე დათვლილი მონაცემების შედეგად, ჯგუფებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (Sig<0.01).

დიაგრამა №76. ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობა (იდენტობების მიხედვით).



გამოკითხული რესპონდენტების 79.4%-ს ბოლო 2 წლის განმავლობაში უსარგებლია რაიმე ტიპის ჯანდაცვის სერვისით. იმ რესპონდენტების 81.7%-ს, ვისაც ბოლო 2 წლის განმავლობაში უსარგებლიათ ჯანდაცვის რომელიმე სერვისით, ჯანდაცვის სერვისი ქ. თბილისში აქვთ მიღებულ, 13.1%-ს სხვა დიდ ქალაქში, 2.0%-ს სხვა ქალაქში, ხოლო 2.8%-ს საქართველოს ფარგლებს გარეთ. (N=252);

ბოლო 2 წლის განმავლობაში, რესპონდენტების 33.4%-მა ისარგებლა გადაუდებელი სამედიცინო სერვისით, 26.3%-მა ჩაიტარა გეგმიური შემოწმება, ხოლო 29.1%-მა ზოგადი პრევენციის მიზნით მიიღო ჯანდაცვის სერვისი (შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა). გეგმიური გამოკვლევების ჩასატარებლად, ექიმთან არ მისულა რესპონდენტების **31.9%,** ხოლო 16% ამ მიზნით ექიმთან იმყოფებოდა 1 წლის ან უფრო მეტი ხნის წინ. რესპონდენტების 37.5%-მა აღნიშნა, რომ გეგმიური შემოწმებისთვის ექიმთან ბოლო 6 თვის განმავლობაში იყვნენ, ხოლო 14.7%-მა 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდი მიუთითა.

სპეციფიკურად სექსუალური ჯანმრთელობის მხრივ, ბოლო 2 წლის განმავლობაში რესპონდენტების **27.0%-მა** ისარგებლა ვენეროლოგის სერვისით, **23.8%-მა** უროლოგის, **18.8%-მა** – გინეკოლოგის, **7.8%-მა** – სექსოლოგის, ხოლო 1.9%-მა რეპროდუქტოლოგის სერვისით. იხილეთ დიაგრამა №77.

დიაგრამა №77. სექსუალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი.



ბოლო 2 წლის განმავლობაში, აივ/შიდსზე საკუთარი სტატუსის გასაგებად რესპონდენტების 27.5% არ შემოწმებულა, 10.6% – მხოლოდ ერთხელ შეემოწმა, 27.5%-ის ტოლია იმ რესპონდენტების წილი, რომლებმაც ბოლო 2 წლის განმავლობაში მსგავსი შემოწმება 2-ჯერ, 3-ჯერ ან 4-ჯერ ჩაიტარეს, ხოლო 34.7%-მა მიუთითა, რომ აივ/შიდსზე 5-ჯერ ან უფრო მეტჯერ არიან შემოწმებულები ბოლო 2 წლის განმავლობაში. იდენტობების მიხედვით სგგი და აივ/შიდსზე საკუთარი სტატუსი ყველაზე ხშირად (5-ჯერ და მეტჯერ) ბისექსუალმა კაცმა და გეი ჯგუფმა შეამოწმა, ყველაზე იშვიათად ამ სერვისს ბისექსუალი და ლესბოსელი ქალები იყენებენ. დეტალურად იხილეთ დიაგრამა **№78 და №79.**

ასევე საინტერესოა, რომ თითქმის თანაბარია ამ სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი თბილისსა და სხვა რეგიონებში, კერძოდ, თბილისის მიღმა რეგიონებში, აივ/შიდსზე საკუთარი სტატუსის გასაგებად შეემოწმა რესპონდენტთა 71.7%, თბილისში კი ეს მონაცემი 72.9%-ია.

დიაგრამა №78. სგგი და აივ/შიდსზე ჯანმრთელობის სტატუსის შემოწმების სიხშირე.



დიაგრამა №79. სგგი და აივ/შიდსზე ჯანმრთელობის სტატუსის შემოწმების სიხშირე იდენტობების მიხედვით.



მნიშვნელოვანია, რომ უფასო სერვისების შესახებ სგგი და აივ/შიდსის შესახებ სმენია რესპონდენტების 91.9%-ს, რისი მიზეზიც ლგბტქ სათემო და ასევე, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და მათ შორის, რისკ ჯგუფებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ გაწეული სამუშაოა ცნობიერების ამაღლებისა და სერვისების მიწოდების კუთხით. ამასთან, გამოკითხული რესპონდენტების 48.0% პირველად სერვისს სგგი და აივ/შიდსთან მიმართებაში იღებს **ლგბტქი სათემო არასამთავრობო ორგანიზაციაში,** 19.0% – სახელმწიფოს აივ/შიდსის ცენტრში, 17.0% – რისკ ჯგუფებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში (N=294). იხილეთ დიაგრამა №80.

დიაგრამა №80. აივ/შიდსთან დაკავშირებული სერვისის მიღების მაჩვენებელი.



ზოგადად, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას არსებითად აუმჯობესებს ადეკვატურ სადაზღვევო პაკეტზე ხელმისაწვდომობა. საქართველომ საყოველთაო ჯანდაცვა 2013 წელს შემოიღო, რითიც არსებითად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება, შესაბამისად, გაზარდა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის ფინანსური დაცვის უკეთესი უზრუნველყოფა, თუმცა, მიუხედავად დაფინანსების გაზრდისა, არ მომხდარა ჯანდაცვის სექტორის სხვა გამოწვევათა რეფორმირება, კერძოდ, რეფორმები არ შეხებია სერვისის ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმებს, მედიკამენტების ხარისხისა და ფასის რეგულირებას. სახელმწიფოს ასევე არ მიუღია დამატებითი ზომები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გასაუმჯობესებლად, როგორც ფინანსურად ეფექტურ სერვისზე, რომელსაც შეუძლია დაავადებათა ადრეულ ეტაპზე გამოვლენა, მკურნალობა და პრევენცია.[127]

დაზღვევის სერვისთან მიმართებით, წინამდებარე კვლევის რესპონდენტებს ასევე დაესვათ შეკითხვა დაზღვევით სარგებლობისა და კმაყოფილების შესახებ. გამოკითხულთა 57.8%-მა აღნიშნა, რომ სარგებლობს **საყოველთაო დაზღვევის სერვისით, 20.9%-მა კერძო დაზღვევის სერვისით,** ხოლო 3.1% სარგებლობს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული საყოველთაო დაზღვევის სერვისით, 15.6%-მა კი მიუთითა, რომ არ აქვთ დაზღვევა. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №81.

დიაგრამა №81. დაზღვევის სერვისებით სარგებლობა.



127 UN Women, Country Gender Equality Profile of Georgia, 2020, გვ. 33

რესპონდენტებმა, რომლებიც სარგებლობენ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში არსებული სერვისებით, შეაფასეს საყოველთაო დაზღვევით კმაყოფილება. ამ მხრივ, რესპონდენტების მხოლოდ 26.2%-მა მიუთითა, რომ საყოველთაო დაზღვევით კმაყოფილია (რომელთა შორის, 15.9% – კმაყოფილია, ხოლო 10.3% – უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო), ხოლო 29.7%-მა კი მიუთითა, რომ უკმაყოფილოა საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში არსებული სერვისებით (12.8% – უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი, ხოლო 16.9% – უკმაყოფილო). შეკითხვას ნეიტრალური პასუხი გასცა გამოკითხულთა 23.6%-მა, ხოლო 20.5%-ს არ უსარგებლიათ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში არსებული სერვისებით.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანი განსხვავება გამოიკვეთა სახელმწიფო და კერძო დაზღვევის სისტემებს შორის, კერძოდ, მათგან, ვინც იყენებს კერძო დაზღვევის მიერ შემოთავაზებულ სერვისებს, 62.3% კმაყოფილია სერვისებით, 22.1% – უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო. რესპონდნტების მხოლოდ 5.2%-მა შეაფასა კერძო დაზღვევის ფარგლებში მიღებული სერვისები ნეგატიურად. 10.4%-მა შეკითხვას ნეიტრალური პასუხი გასცა.

რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ მიეთითებინათ ის ცალკეული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლით, მიიღონ ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფილი და ხარისხიანი მომსახურება. რესპონდენტების 72.9%-მა მთავარ ბარიერად **ხანგრძლივი რიგი და ლოდინი დაასახელა, 63.7%-ის აზრით, კი ჯანდაცვის სერვისების მიღების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა პროფესიონალი ექიმების არარსებობა,** 41.4%-მა კი **მედიკამენტების ფინანსური ხელმიუწვდომლობა დაასახელა.** ასევე, გამოკითხულთა დაახლოებით მესამედმა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შემზღუდველ ფაქტორად უშუალოდ ჯანდაცვის სერვისის ფინანსური ხელმიუწვდომლობა დაასახელა (32.7%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №82.

დიაგრამა №82. ჯანმრთელობის დაცვის სერვისზე წვდომის ბარიერები.



რაც შეეხება იმ ბარიერებს, რომელიც რესპონდენტებს მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ გამოხატვის გამო ექმნებათ ჯანდაცვის პროვაიდერებთან, რესპონდენტების (N=285) 36.5%-მა მიუთითა სამედიცინო პერსონალის დაბალი მგრძნობელობა, 39.6%-მა კი პერსონალური ინფორმაციის გავრცელების რისკი (N=293), ხოლო გამოკითხულთა 37.6%-ის მითითებით, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სერვისის მიღების ბარიერია ის ფაქტი, რომ ჯანდაცვის პროვაიდერებს ვერ აწვდის სრულყოფილ ინფორმაციას დისკრიმინაციის მოსალოდნელი რისკის გამო. იხილეთ დიაგრამა №83.

დიაგრამა №83. ჯანმრთელობის სერვისით სარგებლობის ბარიერები (სოგი-სთან კავშირში).



ტრანს რესპონდენტების შემთხვევაში გამოვლინდა ჯანდაცვის მიმწოდებელთა ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი გენდერულ იდენტობასა და ტრანსგენდერობასთან დაკავშირებულ სამედიცინო საკითხებზე, კერძოდ, ტრანს რესპონდენტთა 41.2%-მა აღნიშნა, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჯანდაცვის მიმწოდებელს თავად მიაწოდa ინფორმაცია (განუმარტა) გენდერული იდენტობის თუ ტრანსგენდერობის შესახებ.

ნდობა ჯანდაცვის სისტემისა და პერსონალისადმი ასევე გამოიხატება რესპონდენტთა მხრიდან საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალთან ღიაობის ხარისხში. როგორც გამოკითხვა აჩვენებს, **რესპონდენტების 51.0% ღიაა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის შესახებ ექიმთან, როცა ეს კავშირშია მათი ჯანმრთელობის გარკვეულ საკითხებთან,** ხოლო 21.6% – არ არის ღია, 7.2%-ს შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო 20.3%-მა პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

იმ რესპონდენტებს, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, არ აწვდიან ინფორმაციას ექიმს სექსუალური ორიენტაციის, თუ გენდერული იდენტობის შესახებ, დაესვათ შეკითხვა, თუ რა განაპირობებს ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას. ამ მხრივ, რესპონდენტების 34%-მა კონფიდენციალობის დარღვევის რისკი დაასახელა,

ხოლო 30.2%-მა თქვა, რომ არ თვლიდა საჭიროდ ამ ინფორმაციის ექიმისთვის მიწოდებას, ასევე 28.3%-მა დაასახელა მოსალოდნელი მიუღებლობის შიში, მომსახურებაზე უარის მიღების მოსალოდნელი საფრთხის ფაქტი კი – 7.5%-მა (N53).

რესპონდენტების 14.4%-მა (N=46) აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სერვისის მიღებისას გამხდარან დისკრიმინაციის მსხვერპლები (70.6%-მა უარყოფითი პასუხი გასცა, ხოლო 15.0%-მა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა). მათ შორის, ვინც აღნიშნა, რომ ყოფილან დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი ჯანდაცვის სერვისის მიღებისას, 43.5% სრულად ღია იყო საკუთარი სექსუალური ორეინტაციისა ან/და გენდერული იდენტობის შესახებ ექიმთან.

დისკრიმინაციის განხორციელების ადგილის თვალსაზრისით, იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც ჰქონიათ ამგვარი გამოცდილება 41.3%-ის შეთხვევაში განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, გარდა ქ. თბილისისა.

უშუალოდ დისკრიმინაციულ ქმედებებს შორის დასახელდა დამცინავი დამოკიდებულება (93.5%), ექიმების მხრიდან შეუსაბამო კითხვები (79.5%), უარი მომსახურებაზე (65.2%), შეურაცხყოფა ან დამცირება (58.7%), სპეციფიკური საჭიროებების იგნორირება (54.3%), კონფიდენციალობის დარღვევა (50.0%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №84.

დიაგრამა №84. ჯანდაცვის სერვისის მიღებისას გამოცდილი დისკრიმინაციის ფორმები.



რესპონდენტების მიერ დასახელებული ქმედებების ძირითადი ნაწილი მომდინარეობდა ექიმის მხრიდან (93.5%), რესპონდენტების 41.3%-მა ასევე დაასახელა ექთანი, 26.1%-მა სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაცია, 17.4%-მა – სამედიცინო დაწესებულებაში მომუშავე სხვა პირი, ხოლო 23.9%-ის შემთხვევაში დისკრიმინაციული ქმედება მომდინარეობდა ლაბორატორიის თანამშრომლის მხრიდან (N=46).

რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს კონკრეტული დარგის სპეციალისტები, რომელთა მხრიდანაც მომდინარეობდა დისკრიმინაციული ქმედება. შემთხვევათა 32.6%-ში ქმედება მომდინარეობდა გინეკოლოგის მხრიდან, 23.9% – ვენეროლოგის, 13.0% – სექსოლოგის, ხოლო 6.5-6.5% ფსიქიატრისა და ოჯახის ექიმის მხრიდან, გამოკითხულთა 10.9%-მა შეკითხვა უპასუხოდ დატოვა (N=46).

დისკრიმინაციული ფაქტის შესატყობინებლად, რესპონდენტთა 78.3%-ს არავისთვის მიუმართავს, რის მთავარ მიზეზადაც დასახელდა ქმედების არასაკმარისად სერიოზულ ფაქტად აღქმა (25.0%) და კონფიდენციალობის დარღვევის რისკები (19.4%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №85.

დიაგრამა №85. დისკრიმინაციული ფაქტის შეუტყობინებლობის მიზეზები.



ტრანს რესპონდენტებს (N34) დამატებით დაესვათ კითხვები ჯანდაცვის სერვისის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, კერძოდ, რესპონდენტებს ეთხოვათ დაესახელებინათ ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლით სრულყოფილად ისარგებლონ საქართველოში არსებული ჯანდაცვის სერვისებით. რესპონდენტების მხრიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ტრანს საკითხებზე მცოდნე/ინფორმირებული ჯანდაცვის მომწოდებელთა სიმცირე (61.8%), ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც არ ფარავს ტრანსი ადამიანების ჯანდაცვის საჭიროებებს (58.8%), პროფესიონალთა (ჯანდაცვის ან მომიჯნავე სფეროს წარმომადგენლის) მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა (52.9%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №86.

დიაგრამა №86. ჯანდაცვის სერვისის მიღებისას არსებული ბარიერები (ტრანსსპეციფიკური).



დისკრიმინაციული დამოკიდებულების სპეციფიკური ფორმების თვალსაზრისით კი, ტრანს რესპონდენტთა 47.1%-მა დაასახელა სერვისის მომწოდებლის მხრიდან რელიგიური შეხედულებების თავს მოხვევა, დამცინავი ან/და არასერიოზული დამოკიდებულება (38.2%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №87.

დიაგრამა №87. ტრანს ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფორმები.



ტრანს რესპონდენტებს კარგად აქვთ გააზრებული საქართველოში ჯანდაცვის სექტორის ძირითადი გამოწვევები, განსაკუთრებით, როდესაც ეს ტრანსსპეციფიკურ ჯანდაცვას ეხება. რესპონდენტთა აზრით, იმისთვის, რომ სახელმწიფომ ეფექტურად უპასუხოს ტრანს ადამიანთა ჯანდაცვის საჭიროებებს, მან უნდა შეიმუშავოს

სახელმძღვანელო პრინციპები და პროტოკოლები ტრანსსპეციფიური ჯანდაცვის შესახებ (82.4%). 73.5%-ის აზრით, სახელმწიფო დაზღვევა უნდა ფარავდეს ტრანსსპეციფიური ჯანდაცვის ყველა საჭიროებას, ხოლო 70.6%-ის თქმით, სახელმწიფო დაზღვევა ასევე უნდა ფარავდეს ჰორმონალურ თერაპიას. რესპონდენტთა 82.4%-ის აზრით, სახელმწიფო დაზღვევამ უნდა დაფაროს გენდერის კვლავმინიჭების ოპერაცია, ხოლო 67.6%-ის აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის სპეციალისტების გადამზადება.

4.7.1. ფსიქიკური ჯანმრთელობა

ძირითადი მიგნებები

- **რესპონდენტთა 43.1%-მა აღნიშნა, რომ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა.**
- **იმ რესპონდენტების 37.1%-მა, რომელთაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა, ის უშუალოდ დააკავშირა სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ სტიგმასთან, დისკრიმინაციულ პრაქტიკასა თუ მიუღებლობით გამოწვეულ სტრესთან.**
- **ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კონკრეტულ პრობლემათა შორის ყველაზე დიდი სიხშირით დასახელდა: დეპრესია (74.3%), შფოთვითი აშლილობა (71.4%), პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა (32.1%), ნივთიერებაზე დამოკიდებულება (31.4%).**
- **იმ რესპონდენტთა 77%-მა, რომელთაც აქვთ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, აღნიშნა, რომ ჰქონიათ/აქვთ სუიციდალური აზრები (77.0%), 47.4% აღნიშნავს, რომ აქვს ალკოჰოლზე დამოკიდებულების პრობლემა, 40.6%-მა კი აღნიშნა, რომ ჰქონია/აქვს თვითდაზიანების გამოცდილება.**
- **იმ რესპონდენტების, რომელთაც აქვთ ალკოჰოლზე დამოკიდებულების პრობლემა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 31.7% ლესბოსელ ქალებზე მოდის, ხოლო 30.2% გეი კაცებზე, ასევე მაღალია ალკოჰოლზე დამოკიდებულების მაჩვენებელი ტრანს თემში, რომელიც 12.7%-ს შეადგენს.**
- **რესპონდენტთა (N=140) მხოლოდ 40.0%-მა განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უსარგებლიათ ფსიქიატრის/ნევროპათოლოგის სერვისით. სარგებლობაზე უარის თქმის საფუძვლებს შორის რესპონდენტთა (N=83) 41.0%-მა ფინანსური ხელმიუწვდომელობა დაასახელა, ხოლო 13.3%-მა განაცხადა, რომ არ ჰქონიათ ფსიქიატრის ან ნევროპათოლოგის სერვისით სარგებლობის სურვილი, 8.4% – ვფიქრობ, რომ ჩემით გავუმკ-**

ლავდებოდი, 8.4% აღნიშნავს, რომ დაზღვევა არ ფარავს ამ სერვისს, რის გამოც არ მიუწვდება ხელი მასზე.

- რესპონდენტების ნახევარზე მეტმა - 58.0%-მა ისარგებლა ფსიქოთერაპიით ბოლო ორი წლის განმავლობაში. სარგებლობაზე უარის თქმის მიზეზებში კი კვლავ ფინანსური ხელმიუწვდომლობა სჭარბობს (29.8%).
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს გამოკითხულთა 63.2% ლგბტქ+ საოთემო ორგანიზაციაში იღებს, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული მხარდაჭერის მთავარი წყარო არასამათავრობო ორგანიზაციაა და არა სახელმწიფო.

ფსიქიკური ჯანმრთელობა მოწყვლადი და სისტემური ძალადობის ქვეშ მყოფ ჯგუფთა წინაშე არსებულ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. წინამდებარე კვლევის რესპონდენტთა **43.1%-მა აღნიშნა, რომ მათ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა,** 53.1%-მა უარყოფითი პასუხი გასცა. 1.6%-მა მიუთითა, რომ არ იციან, ხოლო 2.2%-მა შეკითხვას არ გასცა პასუხი. იხილეთ დიაგრამა №88.

დიაგრამა №88. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გავრცელების მაჩვენებელი.



საგულისხმოა, რომ იმ რესპონდენტების 37.1%-მა, რომელთაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა, ეს პრობლემა უშუალოდ დააკავშირა სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის სტიგმასთან, დისკრიმინაციულ პრაქტიკასა თუ მიუღებლობით გამოწვეულ სტრესთან. დეტალური მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი №89.

დიაგრამა №89. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის კავშირი სოგი-სთან დაკავშირებულ სტიგმასთან.



ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კონკრეტულ პრობლემათა შორის ყველაზე დიდი სიხშირით დასახელდა: **დეპრესია** (74.3%), **შფოთვითი აშლილობა** (71.4%), **პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა** (32.1%), **ნივთიერებაზე დამოკიდებულება** (31.4%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №90.

დიაგრამა №90. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების კონკრეტული ფორმების გავრცელების მაჩვენებელი.



ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის ცალკე იქნა გამოყოფილი თვითდესტურქციული აზრები და ქცევები, რომელთა შორის, იმ რესპონდენტთა 77%-მა, რომელთაც აქვთ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, აღნიშნა, რომ ჰქონიათ/აქვთ **სუიციდალური აზრები** (77.0%), 47.4% აღნიშნავს, რომ აქვს **ალკოჰოლზე დამოკიდებულების პრობლემა,** 40.6%-მა კი მი-

უთითა, რომ ჰქონია/აქვს **თვითდაზიანების გამოცდილება.** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №91.

დიაგრამა №91. თვითდექსტრუქციული ქცევის გავრცელების მაჩვენებელი.



იმ რესპონდენტებისგან, რომელთაც აქვთ ალკოჰოლზე დამოკიდებულების პრობ-ლემა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 31.7% ლესბოსელ ქალებზე მოდის, ხოლო 30.2% გეი კაცებზე, ასევე მაღალია, ალკოჰოლზე დამოკიდებულების მაჩვენებელი ტრანს თემში, რომელიც 12.7%-ს შეადგენს. დიაგრამა №92.

დიაგრამა №92. ალკოჰოლზე დამოკიდებულების მაჩვენებელი რესპონდენტთა იდენტობების მიხედვით.



რაც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდამჭერ სერვისს, რესპონდენტთა (N=140) მხოლოდ **40.0%-მა განაცხადა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უსარგებლიათ ფსიქიატრის/ნევროპათოლოგის სერვისით** (შესაბამისად, 60.0%-მა უარყოფითი პასუხი დააფიქსირა), მათგან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სარგებლობის მაჩვენებელი მხოლოდ 28.6%-ია, ხოლო თბილისის შემთხვევაში 71.4%. დამაზუსტებელი კითხვის საშუალებით, კვლევამ ასევე გამოავლინა სარგებ-

ლობაზე უარის თქმის მიზეზები, რომელთა შორის რესპონდენტთა (N=83) 41.0%-მა **ფინანსური ხელმიუწვდომელობა** დაასახელა, ხოლო 13.3%-მა განაცხადა, რომ არ ჰქონიათ ფსიქიატრის ან ნევროპათოლოგის სერვისით სარგებლობის სურვილი, 8.4%-მა თქვა „ვფიქრობ, რომ ჩემით გავუმკლავდებოდი“, 8.4% კი აღნიშნავს, რომ დაზღვევა არ ფარავს ამ სერვისს, რის გამოც არ მიუწვდება ხელი მასზე.

რაც შეეხება **ფსიქოლოგის სერვისსა და ფსიქოთერაპიას,** რესპონდენტების ნახევარზე მეტმა – **58.0%-მა ისარგებლა ამ სერვისით ბოლო ორი წლის განმავლობაში,** მათგან 30% საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მონაცემს ასახავს, ხოლო 70% – თბილისის მონაცემს. სარგებლობაზე უარის თქმის მიზეზებში კი კვლავ ფინანსური ხელმიუწვდომლობის ასპექტი სჭარბობს (29.8%), 19.3%-მა მიუთითა, რომ არ ჰქონია სურვილი მსგავსი სერვისით ესარგებლა, 15.8%-მა კი მიუთითა, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა, 12.3%-მა ვერ იპოვა პროფესიონალი ექიმი, 8.8%-მა კი განაცხადა, რომ სახელმწიფო და კერძო დაზღვევა არ ფარავს სერვისს.

ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისებით მოსარგებლე რესპონდენტების 39.5%-მა აღნიშნა, რომ სერვისებს კერძო კლინიკაში იღებენ, **6.6%** არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ სერვისს იყენებს, ხოლო **63.2% კი – ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ სერვისს.**

ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სათემო ორგანიზაციები, რომლებიც ლგბტქ ჯგუფს უფასოდ სთავაზობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა სერვისს, მათი მთავარი მიმწოდებლები არიან. სათემო ორგანიზაციების მხრიდან ამ მომსახურეობის შეწყვეტა რალურად გამოიწვევს, რომ ის ლგბტქ ჯგუფის დიდი ნაწილისთვის აღარ იქნება ხელმისაწვდომი, რადგანაც ამ სერვისებით ვერსარგებლობის ძირითადი მიზეზი მათი სიძვირეა.

ამასთან, ფსიქიკური ჯანმრთელობის დეტერმინანტების კონცეპტუალიზება საჭიროებს ფოკუსს ურთიერთობებსა და სოციალურ კავშირებზე, რაც მოითხოვს სტრუქტურულ ინტერვენციებს საზოგადოებაში და ჯანდაცვის სექტორს მიღმა. ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მიუთითებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის დეტერმინანტების იდენტიფიცირებისას პრაქტიკაში ჯერ კიდევ ინდივიდუალური, კაუზალური მოდელი გამოიყენება. ეს ტენდენცია შედეგობს იმგვარი ინტერვენციებით, რომლებიც ფოკუსირებს იმწუთიერ, ინდივიდუალურ ქცევით ფაქტორებზე, საფუძვლემდებარე სტრუქტურული გარემო-პირობების აღმოფხვრის ნაცვლად. შესაბამისად, დეტერმინანტების ვიწრო შინაარსს, ისევე როგორც ემოციური სტრესისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მხოლოდ ბიო-სამედიცინო მიზეზებით ახსნას, ყურადღება გადააქვს

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკებისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებებისგან.[128]

გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიხედვით, „ჯანმრთელობის დეტერმინანტების იგნორირების შედეგად მიღებულ სისტემურ ზიანთან გამკლავების ტვირთი ინდივიდებს დააწვათ. რის შედეგადაც, ინდივიდები ფსიქიკური ჯანმრთელობის სექტორს მიმართავენ, თუმცა, ამ სექტორს მათ არ ჰყოფნის ადეკვატური რესურსები და შესაბამისი მიდგომები რათა კოლექტიურ ჩავარდნას გაუმკლავდეს.“[129] სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ ინდივიდებს ჰქონდეთ ადამიანის უფლებათა მიდგომაზე დაფუძნებულ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე წვდომა. ამასთან, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა გულისხმობს არა მხოლოდ ადეკვატური სერვისების არსებობას, არამედ აღნიშნულ მდგომარეობათა პრევენციას, რაც კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან სამუშაოს გაწევას საჭიროებს იმ გარემო-პირობების შესაცვლელად, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემათა წარმოქმნას.

კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ლგბტქ ჯგუფი, სოციალური მოწყვლადობის გამო, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მაგრამ ეს პრობლემები ინდივიდუალურად და მხოლოდ სამედიცინო მიდგომით ვერ აღმოიფხვრება, რადგანაც მისი გამომწვევი ფაქტორები უკავშირდება მძიმე სოციალურ ფონს, უთანასწორობას და სტიგმას, რაც ლგბტქ ადამიანების ცხოვრებას მუდმივ დაძაბულობასა და სტრესს უქვემდებარებს.

ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებით ადამიანის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომა მოითხოვს, რომ სპეციალური ყურადღება მიენიჭოს იმ ადამიანებსა და თემს, რომლებიც განსაკუთრებულ მოწყვლად მდგომარეობაში არიან, ისევე, როგორც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ დეტერმინანტებს, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის წარმოქმნისთვის ქმნის ნიადაგს. ჯანდაცვის სექტორისა და სერვისების ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ლგბტქ პირთა აქტიური და ინფორმირებული მონაწილეობა, რათა მიღებული ზომების ეფექტურობა იქნას უზრუნველყოფილი.[130]

128 A/HRC/41/34, Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, 12 April 2019, პარ. 4

129 იქვე, პარ. 7

130 ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, Paul Hunt, 2006

4.8. გენდერის სამართლებრივი აღიარება

ძირითადი მიგნებები

- **რესპონდენტების 23.5%-მა, რომლებსაც არ შეუცვლიათ სამართლებრივად გენდერული მარკერი, ამის მიზეზად სამართლებრივი ცვლილებებისთვის საჭირო მოთხოვნების ვერდაკმაყოფილება დაასახელა, ხოლო 17.6%-მა – სურვილის არქონა (N=34)**
- **რესპონდენტთა 50.0%-ის აზრით, პირის თვითიდენტიფიკაცია არის ის, რასაც უნდა ეფუძნებოდეს გენდერის სამართლებრივი აღიარება, რათა ის მეტად ეფექტური, ღირსების დაცვაზე ორიენტირებული და ადამიანთა საჭიროებებზე მორგებული იყოს. ხოლო, 17.6%-ის თქმით, გენდერის სამართლებრივი აღიარება მხოლოდ გენდერული დისფორიის დიაგნოზს უნდა ეფუძნებოდეს, 14.7%-ს ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს, 5.9% ჰომორნალური თერაპიის გავლის შესახებ ცნობას, ხოლო 11.8% კი – გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის შესახებ ცნობას მიიჩნევს გენდერის სამართლებრივი აღიარების პრერეკვიზიტად.**

ლგბტქ თემში კვლავ განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფად რჩებიან ტრანსგენდერი ადამიანები. ტრანსფობიურ დანაშაულებთან ერთად, დღემდე პრობლემურ საკითხია ის, რომ ტრანსგენდერი პირები ქირურგიული ოპერაციის გარეშე ვერ ახერხებენ სამოქალაქო აქტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლას. სქესის შესახებ ჩანაწერის შესაცვლელად ქირურგიული ჩარევის გზით ანატომიური სქესის შეცვლისა და შესაბამისი დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის მოთხოვნა არღვევს ტრანსგენდერ ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებებს.

გენდერის სამართლებრივი აღიარება საქართველოში კვლავ არსებით გამოწვევად რჩება, რასაც ასევე ხელს უშლის ტრანს თემსა და ფემინისტურ გაერთიანებებში არსებული არაერთგვაროვანი შეხედულებები გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცედურების ელემენტებთან და მის პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით. რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო, მოეხდინა იმ ადამიანთა მოსაზრებებისა და შეხედულებების იდენტიფიცირება, რომელთაც ეს საკითხები ყველაზე მეტად ეხებათ; რაც ასევე არსებით როლს თამაშობს გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით სტრატეგიის შემუშავებასა და სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნათა ადვოკატირების პროცესზე.

კვლევის ფარგლებში გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე არსებულ კითხვებს იმ ტრანს რესპონდენტებმა უპასუხეს, რომლებიც ამ საკითხს რელევანტურად მიიჩნევ-დნენ, შესაბამისად, ტრანს რესპონდენტთაგან აღნიშნულ ბლოკს ძირითადად ტრან-სმა კაცმა და ტრანსმა ქალმა რესპონდენტებმა უპასუხეს (N34).

არსებითად მნიშვნელოვანი იყო, კვლევას ეჩვენებიან ტრანს ადამიანთა ცოდნა და ინფორმირებულობა აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ საქარ-თველოში გენდერის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა არ არსებობს იმ ფორმითა და ინსტრუმენტებით, როგორც ეს საერთაშორისო სტანდარტით არის მოთხოვნილი (50.0%), 11.8%-მა არ იცის მსგავსი სერვისის არსებობის შესახებ, რესპონდენტების 38.2%-მა უპასუხა, რომ საქართველოში გენდერის სამართლებ-რივი აღიარების შესაძლებლობა არსებობს. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 85.3%-მა მიუთითა, რომ არ იცნობს საქართველოში გენდერის სამართლებრივი აღიარების ოფიციალურ პროცედურას.

გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცედურის დღეს არსებული ფორმა არ შეესა-ბამება საერთაშორისო სტანდარტს და მასთან არსებით წინააღმდეგობაში მოდის. აღი-არების პროცედურა სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის 78-ე მუხლის საფუძველზე ეფუძნება „სქესის ცვლილების შესახებ ჩანაწერს“, რომლის განმარტებას არც კანონი და არც საჯარო უწყება არ ახდენს, თუმცა ივარაუდება, რომ სქესის ცვლილება გულისხმობს სამედიცინო მეთოდიკის საშუალებით პირის დაბადებისას მინიჭებული სქესის ცვლილე-ბას საწინააღმდეგო სქესით, ანუ „სქესის კვლავმინიჭების ოპერაციას“. ამასთან დაკავში-რებით რესპონდენტების ინფორმირებულობა იხილეთ დიაგრამაზე №93.

დიაგრამა №93. გენდერის სამართლებრივი აღიარების წინაპირობები.

რესპონდენტების 41.2%-მა არ იცის, თუ რა პირობებია საჭირო გენდერის სამართ-ლებრივი აღიარებისთვის, 20.6% ფიქრობს, რომ გენდერის კვლავმინიჭების შეუქ-ცევადი ოპერაცია მთავარი პირობაა გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის, 17.6%-მა მიუთითა ჭეშმარიტი ტრანსგენდერის ცნობა, ხოლო 8.8%-მა – სტერილი-ზაცია. ასევე, გამოკითხულთა 8.8%-მა მიუთითა გენდერული დისფორიის დიაგნო-ზის საჭიროება გენდერის სამართლებრივი აღიარების უზრუნველსაყოფად.

განსხვავებით გენდერის სამართლებრივი აღიარებისგან, სახელის ოფიციალურად შეცვლის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა უშვებს. საინტერესოა, რომ აღნიშნული სერვისით უსარგებლია რესპონდენტების 17.6%-ს.

რესპონდენტების 23.5%-მა, რომლებსაც სამართლებრივად არ შეუცვლიათ გენდერული მარკერი, ამის მიზეზად სამართლებრივი ცვლილებებისთვის საჭირო მოთხოვნების ვერდაკმაყოფილება დაასახელა, ხოლო 17.6%-მა – სურვილის არ ქონა (N=34)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **რესპონდენტების აზრი იმის შესახებ თუ რას უნდა ეფუძნებოდეს გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცედურები,** რათა ის მეტად ეფექტური, ღირსების დაცვაზე ორიენტირებული და ადამიანთა საჭიროებებზე მორგებული იყოს. **50.0%-ის აზრით, პირის თვითიდენტიფიკაცია არის ის, რასაც უნდა ეფუძნებოდეს გენდერის სამართლებრივი აღიარება.** 17.6%-ის თქმით, გენდერის სამართლებრივი აღიარება მხოლოდ გენდერული დისფორიის დიაგნოზს უნდა ეფუძნებოდეს, 14.7%-ს ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს, 5.9%-ს ჰომორნალური თერაპიის გავლის შესახებ ცნობა მიაჩნია საჭიროდ, ხოლო 11.8%-ს კი – გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციის შესახებ ცნობა.

დიაგრამა №94. რას ეფუძნება გენდერის სამართლებრივი აღიარება.



ასევე საინტერესოა, რომ რესპონდენტების 26.5% მიიჩნევს, რომ პირად დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერი არ არის საჭირო, 26.5%-ის აზრით, პირადობაში უნდა ჩაიწეროს „ქალი და კაცი“ და არა სხვა აღმნიშვნელი. 23.5%-ის აზრით, უმჯობესია, თუ ჩაიწერება შემდეგი ფორმულირებით: კაცი, ქალი, მესამე სქესი ან „კაცი, ქალი, სხვა“ (11.8%).

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარება ტრანს ადამიანთა სოციალური ინკლუზიის მნიშვნელოვანი ბერკეტი და საშუალებაა. ამგვარი პროცედურების არარსებობა ტრანს ადამიანებს გამორიცხავს სო-

ციალური დაცვის მრავალი განზომილებიდან და ასევე უწყობს ხელს მათ გარიყვას პოლიტიკური ცხოვრებიდან. შესაბამისად, გენდერის სამართლებრივი აღიარების არარსებობა ტრას ადამიანთა სოციალური ექსკლუზიის ერთ-ერთი მძლავრი სიმპტომია, რაც მათ მთლიან სასიცოცხლო ციკლზე ახდენს გავლენას. ამიტომ, აუცილებელია სახელწმიფოს მხრიდან ტრანს ადამიანთა აღიარებასა და მათი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული რეგულაციების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ტრანს ადამიანთა საჭიროებების გათვალისწინებასა და მათ უშუალო ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში „არაფერი ჩვენზე, ჩვენ გარეშე“ პრინციპის უპირატესი გათვალისწინებით.

4.9. სოციალური დაცვა და უსახლკარობის გამოცდილება

ძირითადი მიგნებები

- **საცხოვრებელი სახლი პირად საკუთრებაში რესპონდენტების მხოლოდ 6.1%-ს აქვს.**
- **გამოკითხულთა 46.0%-ს თითქმის არასდროს უწევს საცხოვრებელი ადგილის ცვლილება, 30.7%-ს უფრო იშვიათად ვიდრე წელიწადში ერთხელ, 12.5%-ს წელიწადში დაახლოებით ერთხელ მაინც, ხოლო 9.9%-ს ყოველი 6 თვის ინტერვალში რამდენჯერმე უწევს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.**
- **რესპონდენტებს საცხოვრებელი ადგილის ცვლილება ყველაზე მეტად (არასტაბილური) ანაზღაურების ფაქტორის (28.6%) გამო უწევთ. რესპონდენტების 10.5%-მა საცხოვრებელი ადგილის ცვლილების მთავარ მიზეზად სახლის მფლობელის ჰომო/ტრანსფობიური დამოკიდებულება გამოყო, 9.5%-ის შემთხვევაში კი – მეზობლების ჰომო/ტრანსფობიური დამოკიდებულება.**
- **რესპონდენტების 20.9% ყოფილა უსახლკარობის რისკის წინაშე, ხოლო რესპონდენტების 13.4%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.**
- **უსახლკარობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა (N=63) 70.1% ასეთ დროს მეგობართან ცხოვრობდა, 35.8% – ნათესავთან, ხოლო 26.1%-ს ქუჩაში უწევდა ცხოვრება.**
- **რესპონდენტების 44.8%-მა მიუთითა, რომ უსახლკარობის გამოცდილება კავშირში იყო მათ იდენტობასთან, 11.9% მიუთითებს ნაწილობრივ კავშირზე.**
- **უსახლკარობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა (N63) 58.1% უსახლკარობის გამომწვევ მიზეზად მიუთითებს, როგორც ფინანსური შემო-**

სავლის არქონას, ასევე დაბალ შემოსავლებს. უსახლკარობის მიზეზად რესპონდენტების 43.5% -მა ოჯახის წევრებთან ქამინგაუთი დაასახელა. 41.9%-მა უსახლკარობის მიზეზად დაასახელა ოჯახის წევრების მხრიდან იდენტობის გამო ძალადობა.

სოციალური დაცვა და უსახლკარობის რისკების პრევენცია ლგბტქ თემის წევრებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა. საქართველოში სოციალური დაცვის სისტემა არაეფექტურია და არ არის მორგებული კონკრეტულ პირთა საჭიროებებზე. სახელმწიფოს არასაკმარისად აქვს გააზრებული უსახლკარობის რისკების გამომწვევი ფაქტორები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის, რაც განაპირობებს სათანადო საცხოვრისზე უფლების დარღვევასა თუ მისი დარღვევის რისკის წარმოშობას.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა შეაფასეს საცხოვრებელი ადგილით კმაყოფილება 5 ბალიან შკალაზე, სადაც 5 ნიშნავდა – კმაყოფილს, ხოლო 1 – უკმაყოფილოა. გამოკითხულთა 40.8% კმაყოფილია საკუთარი საცხოვრებელი ადგილით (11.6% – კმაყოფილი, 29.2% – უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო), ხოლო 21.0% უკმაყოფილო (7.5% – უკმაყოფილო, 13.5% – უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი). გამოკითხულთა 30.5% ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს და უჭირს რომელიმე პოზიციისკენ გადახრა. 7.5%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

შემდეგ ეტაპზე რესპონდენტებმა უპასუხეს შეკითხვას, თუ ვის საკუთრებაში იყო მათი მიმდინარე საცხოვრებელი ადგილი. ამ მხრივ, რესპონდენტების თითქმის თანაბარი რაოდენობა მოხვდა ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა „საცხოვრებელი ადგილი ჩემი ოჯახის საკუთრებაშია“ (43.6%) და „საცხოვრებელი ადგილი გამქირავებლის საკუთრებაშია“ (42.3%). **რესპონდენტების მხოლოდ 6.1%-ის შემთხვევაშია საცხოვრებელი ადგილი მათ პირად საკუთრებაში.** 4.5% კი მეგობრის/ნაცნობის საკუთრებაში ცხოვრობს, 2.9%-მა მიუთითა, რომ აღნიშნული შეკითხვა მათ არ ეხებათ, ხოლო 0.6%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. საინტერესოა, რომ **გამოკითხულთაგან მხოლოდ 45.3%-მა აღნიშნა, რომ მომდევნო 10 წლის განმავლობაში შეძლებენ პირად საკუთრებაში ბინის შეძენას.**

საცხოვრებელი ადგილის ხშირად ცვლილება არსებით სტრესთან არის დაკავშირებული, თუმცა, უმეტესწილად ის გარემოებებით გამოწვეული აუცილებლობაა. ხშირად, ლგბტქ თემის წევრების სახლის ცვლილება მათ მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების თავიდან არიდებისა თუ კონფიდენციალობის დარღვევის

რისკის გამო უწევთ. წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 46.0%-ს თითქმის არასდროს უწევს საცხოვრებელი ადგილის ცვლილება, 30.7%-ს – უფრო იშვიათად, ვიდრე წელიწადში ერთხელ, 12.5%-ს – წელიწადში დაახლოებით ერთხელ მაინც, ხოლო 9.9%-ს ყოველი 6 თვის ინტერვალში რამდენჯერმე უწევს საცხოვრებელი ადგილის ცვლილება.

საცხოვრებელი ადგილის ხშირად ცვლილების მიზეზად ყველაზე მეტად დასახელდა **ცვალებადი (არასტაბილური) ანაზღაურების** ფაქტორი (28.6%), შემდეგ კი **სასწავლებლის/სამუშაო ადგილის მდებარეობის** ფაქტორი (12.4%). რესპონდენტების 10.5%-მა საცხოვრებელი ადგილის ცვლილების მთავარ მიზეზად **სახლის მფლობელის ჰომო/ტრანსფობიური დამოკიდებულება** გამოყო, დაახლოებით ამდენივე რესპონდენტმა 9.5%-მა **მეზობლების ჰომო/ტრანსფობიური** დამოკიდებულება აირჩია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეკითხვაზე **„ცხოვრების განმავლობაში ყოფილხართ თუ არა უსახლკარობის პრობლემის წინაშე“ რესპონდენტების 20.9%-მა მიუთითა, რომ იყო ასეთი პრობლემის წინაშე (N=63),** ხოლო 65.6% მიუთითა, რომ არ ყოფილა. საყურადღებოა ისიც, რომ რესპონდენტების 13.4%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. **უსახლკარობის გამოცდილების მქონე რესპონდენტებიდან თითქმის ნახევარმა (47.8%) აღნიშნა, რომ უსახლკარობის პრობლემის წინაშე ბოლო 2 წლის განმავლობაში იმყოფებოდა.** იხილეთ დიაგრამა №95.

დიაგრამა №95. უსახლკარობის გამოცდილების მაჩვენებელი.



იმ რესპონდენტების 70.1%, რომლებსაც ჰქონიათ უსახლკარობის გამოცდილება (N=63), უსახლკარობის დროს მეგობართან ცხოვრობდა, 35.8% – ნათესავთან, ხოლო 26.1%-ს ქუჩაში უწევდა ცხოვრება. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №96.

დიაგრამა №96. უსახლკარობის დროს სად გიწევდათ ცხოვრება.



ყურადსაღებია, რომ რესპონდენტების 44.8%-მა მიუთითა, რომ უსახლკარობის გამოცდილება კავშირში იყო მათ იდენტობასთან, 11.9% მიუთითებს ნაწილობრივ კავშირზე, ხოლო 43.3%-ის შემთხვევაში უსახლკარობის გამოცდილებას არ ჰქონია კავშირი მათ იდენტობასთან. ასევე, რესპონდენტების 58.1% უსახლკარობის გამომწვევ მიზეზად მიუთითებს, როგორც ფინანსური შემოსავლის არქონას, ასევე დაბალ შემოსავლებს. 43.5% კი ოჯახის წევრებთან ქამინგაუთის ფაქტორს გამოყოფს, 41.9%-მა კი ამგვარ ფაქტორად ოჯახის წევრების მხრიდან იდენტობით გამოწვეული ძალადობა დაასახელა. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №97.

დიაგრამა №97. უსახლკარობის გამოცდილების მიზეზები.



უახლოესი 2-5 წლის განმავლობაში, რესპონდენტების 36.3% ფიქრობს, რომ შესაძლოა, აღმოჩნდეს უსახლკარობის პრობლემის წინაშე, ხოლო 52.5%-მა თქვა, რომ არ არის მოსალოდნელი ასეთი რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ, რესპონდენტების 11.2%-ს შეკითხვაზე გაუჭირდა პასუხის დაფიქსირება.

ის, თუ რამ შეიძლება განაპირობოს მომავალი 2-5 წლის განმავლობაში რესპონდენტების უსახლკარობის რისკის ქვეშ დადგომა, შეფასდა წინასწარგანსაზღვრული ფაქტორების მიხედვით. რესპონდენტების 72.0%-მა შესაძლო უმუშევრობა დაასა-

ხელა, ასევე, 50.4% უთითებს არასტაბილურ შემოსავალზე, 44.0%-ის აზრით, შესაძლო უსახლკარობა შეიძლება გამოიწვიოს ოჯახის წევრებთან ქამინგ აუთმა, ხოლო 42.6%-ის აზრით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ოჯახში ძალადობას. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №98.

დიაგრამა №98. უსახლკარობის განმაპირობებელი შესაძლო ფაქტორები.

რამ შეიძლება განაპირობოს თქვენი უსახლკარობა?



როგორც გამოკითხვამ აჩვენა, უსახლკარობის რისკები ლგბტქ ადამიანთა დღის წესრიგში ხშირად დგება, მისი გამომწვევი ფაქტორები კი უკავშირდება ზოგად სოციალურ ფონს, და ასევე მათ იდენტობას. კერძოდ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო ისინი ხშირად დგებიან ოჯახში ძალადობის ან მისი რისკის წინაშე, რაც ლგბტქ ჯგუფის წევრებს აიძულებს, დატოვონ საცხოვრებელი ადგილი ან თავად ოჯახის წევრები აგდებენ სახლიდან. თუ უსახლკარობის დეფინიციას გავაფართოებთ და მას სოციალურ დატვირთვას მივცემთ, კიდევ უფრო ნათელი გახდება ის ფაქტი, რომ ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც თემის წევრები რჩებიან საკუთარ ოჯახებში თავშესაფრის არარსებობის გამო, მათ საკუთარი იდენტობისა და გამოხატვის დათრგუნვა უწევთ, რაც ნიშნავს, რომ საცხოვრისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია – უსაფრთხო სივრცე, კვლავ დარღვეულია.

შესაბამისად, უსახლკარობის რისკების შემცირებისა და პრევენციისთვის, სახელმწიფოს მხრიდან მრავალმხრივი ზომების მიღებს საჭიროებს, რომლებიც მორგებული უნდა იყოს უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და თემის წევრების საჭიროებებზე.

4.10. ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები და დემოკრატიული მონაწილეობა

ძირითადი მიგნებები

- გამოკითხულთა 36.6% საქართველოში არსებულ ყველა ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციებს იცნობს;
- გამოკითხული რესპონდენტების 80.3% იცნობს საქართველოში არსებულ ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სერვისებს, ხოლო 59.7% იყენებს მათ.
- რესპონდენტთა მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი სერვისების შექმნის საჭიროება დასაქმების ხელშეწყობა, განათლების მიღების ხელშეწყობა და თავშესაფრით უზრუნველყოფა.
- რესპონდენტების 27.3% თვლის, რომ სათემო ორგანიზაციები ასახავენ მათ საჭიროებებს, 21.0% თვლის, რომ ვერ ასახავენ, ხოლო 30.7% ნეიტრალურად აფასებს. საყურადღებოა ისიც, რომ შეკითხვაზე 16.9%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო 4.1%-მა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.
- რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რამდენად აქვთ შესაძლებლობა იქონიონ გავლენა სათემო ორგანიზაციათა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე - რესპონდენტთა 47.8% აღნიშნულ შესაძლებლობათა არარსებობაზე მიუთითებს.
- რესპონდენტები თვლიან, რომ სათემო ორგანიზაციათა დღის წესრიგი ვერ პასუხობს შემდეგ გამოწვევებს: უმუშევრობა და სიღარიბე (48.7%), უსახლკარობისგან დაცვა (41.8%) და განათლების ხელმისაწვდომობა (40.8%). დონორების დღის წესრიგთან მიმართებით, კი რესპონდენტთა მხოლოდ 25.9% მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა დღის წესრიგი პასუხობს ადგილობრივ გამოწვევებს.
- ლგბტქ თემის სოციო-ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ, შესაძლოა, სადავო იყოს ის კონკრეტული ღონისძიებები და ნაბიჯები, რაც სათემო ორგანიზაციებს თემის მხრიდან "მოეთხოვება", თუმცა კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ეთხოვათ პრიორიტეტების მიხედვით დაესახელებინათ ის ძირითადი საკითხები, რაც ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციების მხრიდან ძალისხმევის მიმართვას საჭიროებს. რესპონდენტებმა ხშირად დაასახელეს დასაქმების ხელშეწყობა (12.5%), თემის წევრების ეკონომიკური გაძლიერება (15.2%), ასევე, საცხოვრებლის უზრუნველყოფა (12.8%).

ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური დამოკიდებულებების გამო ლგბტქ თემის წევრებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო მხარდამჭერ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მათი უფლებების დაცვას, არამედ მათთვის მხარდამჭერი სივრცის შექმნას, რომელიც ლგბტქ თემის წევრებს შესაძლებლობას მისცემს საკუთარი თავი თავისუფლად გამოხატონ და იგრძნონ, რომ მარტონი არ არიან. ასეთი მხარდამჭერი სივრცეების როლს საქართველოში წლების განმავლობაში ადგილობრივი ლგბტქ+ ორგანიზაციები უზრუნველყოფენ, რომლებიც მუშაობენ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩაგვრის აღმოსაფხვრელად და თემის წინაშე არსებული გამოწვევების სახელწმიფოს წინაშე ადვოკატირებისთვის, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოებრივი სერვისების დაბალი მრგძნობელობის გამო ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციებმა ჩაანაცვლეს სახელმწიფოს სერვისები და თემის წევრებს მრავლობითი ფორმის მხარდაჭერას სთავაზობენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს სერვისები თემის წევრებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, ამან გარკვეულწილად განაპირობა სოციალური საჭიროებებისა და მოთხოვნების დეპოლიტიზება, რის შედეგადაც, თემის წევრები სწორედ სათემო ორგანიზაციებს მიიჩნევენ იმ ინსტიტუციებად, რომელთაც მათი კეთილდღეობა უნდა უზრუნველყონ. ცხადია, რომ სათემო ორგანიზაციების რესურსები, ლიმიტირებული დაფინანსების გამო და ინდივიდუალურ მოთხოვნათა საპასუხოდ საკმარისი არ არის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში თავად ორგანიზაციათა პოლიტიკური დღის წესრიგი და მუშაობის მეთოდიკა თამაშობს არსებით როლს, რომელიც თემის წევრებს მათზე დამოკიდებულებას უჩენს.

სხვადასხვა სერვისის მისაღებად არსებითი მნიშვნელობა აქვს ცოდნას ამ სერვისებისა და ორგანიზაციების შესახებ. წინამდებარე კვლევა აჩვენებს, რომ ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებს მაღალი ცნობადობა აქვთ თემის წევრებს შორის. **რესპონდენტთა 36.6% საქართველოში არსებულ ყველა ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციებს იცნობს, 48.1% – რამდენიმეს,** ხოლო 9.7% – მხოლოდ ერთს. გამოკითხულთა მხოლოდ 5.6%-მა დაასახელა, რომ არ იცნობენ საქართველოში არსებულ სათემო ორგანიზაციებს.

გამოკითხულთა 46.4% ყველა სანდო წყაროს სექსუალობის, სოგი-სა თუ სხვა საკითხების გარშემო ინფორმაციის მისაღებად **არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსებს** მიიჩნევს, 17% – სოციალურ ქსელს, ხოლო 14.5% – ონლაინ მედიას. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №99.

დიაგრამა №99. ყველაზე სანდო წყარო სექსუალობის შესახებ.



არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციათა მიმართ ნდობას და მის უსაფრთხო სივრცედ აღქმას. როგორც კვლევის დასაწყისშივე აღინიშნა, ლგბტქ თემი, განსხვავებით საქართველოს ზოგადი მოსახლეობისგან, მეტად მაღალ ნდობას გამოხატავს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების და სათემო ორგანიზაციების მიმართ, რადგანაც ეს ორგანიზაციები ლგბტქ ჯგუფის ერთადერთ მხარდამჭერად გვევლინება. შესაბამისად, გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი წილი, სულ მცირე, ერთი სათემო ორგანიზაციის მიმართ მაინც გამოხატავს ნდობას. ბუნებრივია, ჯგუფის წევრები მეტ ნდობას გამოხატავენ იმ ორგანიზაციის მიმართ, სადაც ყველაზე ხშირად იღებენ სერვისს და მონაწილეობს მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ამრიგად, რესპონდენტების 13.6%-მა დაასახელა, რომ ენდობა საქართველოში არსებულ ყველა სათემო ორგანიზაციას, 55.0% – რამდენიმე მათგანს ენდობა, ხოლო 12.3% – მხოლოდ ერთს. რესპონდენტების 16.6%-მა დაასახელა, რომ არ ენდობიან საქართველოში არსებულ სათემო ორგანიზაციებს, ხოლო 2.6%-მა შეკითხვას არ უპასუხა (N=302).

მათგან, ვინც არც ერთ სათემო ორგანიზაციას არ ენდობა, 64%-ის მიმდინარე საცხოვრებელი ადგილი თბილისია, ხოლო 36%-ის – რეგიონი. მათგან ვინც ყველას ენდობა, 24.4% რეგიონებში ცხოვრობს.

კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა სათემო ორგანიზაციას ყველაზე მეტად ენდობიან გეი (16.2%) და ლესბოსელი (14.9%) რესპონდენტები, რამდენიმე ორგანიზაციას ყველაზე მეტად ენდობიან ტრანსგენდერი რესპონდენტები (74.2%), ხოლო მხოლოდ ერთ ორგანიზაციას – ლესბოსელი რესპონდენტები (14.9%). **უნდობლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბისექსუალ ქალ რესპონდენტებში** (25.7%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №100.

დიაგრამა №100. სათემო ორგანიზაციებისადმი ნდობის მაჩვენებელი.



გამოკითხული რესპონდენტების 80.3% იცნობს საქართველოში არსებულ ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სერვისებს, ხოლო რესპონდენტთა ნახევარზე მეტი – 59.7% იყენებს მათ. მათგან, ვინც **არ იყენებენ** საქართველოში არსებულ ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციების სერვისებს (N=114) 55.3%-მა დაასახელა, რომ არ აქვთ სერვისებით სარგებლობის/გამოყენების სურვილი, 15.8%-მა მიუთითა, რომ არ აქვთ ამის საჭიროება, ხოლო 13.2%-მა აღნიშნა, რომ თავს არ გრძნობენ კომფორტულად სათემო ორგანიზაციების სერვისების მიღების დროს, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 5.3%-მა გამოყო კონფიდენციალობის დარღვევის რისკი, ხოლო 4.4%-მა სერვისის დაბალ ხარისხი.

ისინი, ვინც სარგებლობენ სათემო ორგანიზაციების სერვისებით, ყველაზე ხშირად იყენებენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრევენციულ სერვისს, კერძოდ, აივ/შიდსა და სგგი-ზე ტესტირებას (69.1%), რაც ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციათა მიზანმიმართული და ხანგრძლივი მუშაობით უნდა აიხსნას. ასევე, რესპონდენტთა დიდი ნაწილი (34%) იყენებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისს (ფსიქოლოგი/ფსიქიატრი), ხოლო, 24.1% – იურიდიულ სერვისს. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №101.

დიაგრამა №101. სათემო ორგანიზაციების სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი.



ღია კითხვების საშუალებით, რესპონდენტთა საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირებისთვის რესპონდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, დაესახელებინათ ის სერვისები, რომელთა გაჩენას ისურვებდნენ სათემო ორგანიზაციებში და დაელაგებინათ პრიორიტეტების მიხედვით. რესპონდენტთა მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა დასაქმების ხელშეწყობის, განათლების მიღების ხელშეწყობისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის სერვისები. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №102.

დიაგრამა №102. რა დამატებითი სერვისები უნდა იქნას შემოთავაზებული სათემო ორგანიზაციების მიერ?



კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის სიხშირეც. **გამოკითხულთა დიდი წილი – 64.4% სხვადასხვა ინტენსივობით ერთვება აღნიშნულ ღონისძიებებში** (11.6% – უფრო იშვიათად, ვიდრე წელიწადში ერთხელ, 9.1% – წელიწადში

ერთხელ, 5.3% – ექვს თვეში ერთხელ, 11.3% – სამ თვეში ერთხელ, 10.0% – თვეში ერთხელ, ხოლო 17.5% – თვეში რამდენჯერმე), რომელთაგან **რესპონდენტთა 58.9% ძირითადად საგანმანათლებლო ტრენინგებში იღებს მონაწილეობას, ხოლო 42.5% – აქტივიზმთან დაკავშირებულ შეხვედრებში.** პასუხების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №103.

დიაგრამა №103. სათემო ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი.



გამოკითხულთა 35% არ ერთვება სათემო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში; მიზეზების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამა №104.

დიაგრამა №104. სათემო ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარის მიზეზები.

ლგბტქ+ ორგანიზაციათა მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების რელევანტურობის და მნიშვნელობის შესაფასებლად, რესპონდენტებს ეთხოვათ მოეხდინათ ღონისძიებების შეფასება მნიშვნელობათა ხარისხის მიხედვით. რესპონდენტთა დიდი ნაწილი – 36.3% მიიჩნევს, რომ ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები მნიშვნელოვანია, 21.9% მიუთითებს, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმნიშვნელო, 12.8% კი თვლის, რომ ასეთი ღონისძიებები უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე მნიშვნელოვანი, 5.6%-მა ცალსახად უმნიშვნელო პასუხი აირჩია. 20.0% ნეიტრა-

ლურ პოზიციას აფიქსირებს და უჭირს რომელიმე პოზიციისკენ გადახრა, 3.4%-მა შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები სათემო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სხვადსხვა ტიპის ღონისძიებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მათ ასევე გაკეთეს აქცენტი იმ ღონისძიებათა ორგანიზებაზე თუ არსებულის გაუმჯობესებაზე, რომელიც თემისათვის მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. პასუხების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით, იხილეთ დიაგრამაზე №105.

დიაგრამა №105. რა ღონისძიებების გაუმჯობესებას/დამატებას ისურვებდით სათემო ორგანიზაციების მიერ?



შენიშვნა: აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა რესპონდენტთა 43.4%-ს.

მაღალი აქტივობით ხასიათდება გამოკითხულ რესპონდენტთა სათემო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების თუ სხვა ტიპის ტრენინგებში მონაწილეობის ხარისხიც. რესპონდენტების 41.3%-ს ბოლო 2 წლის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა სათემო ორგანიზაციის მიერ გამართულ იმ ტრენინგზე, რომლებიც სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა.

კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა რესპონდენტების მხრიდან ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციების მიერ ან მათთან თანამშრომლობით ორგანიზებული გასართობი/კლუბუ-

რი სივრცეების გამოყენების სიხშირე. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, რესპონდენტთა 47.7% „ჰორუმით“ სარგებლობს, ხოლო 47.1% – “KIKI”-თი. რესპონდენტთა 3.6%-მა „იდენტობა იუს“-ის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები დაასახელა. საგულისხმოა, რომ ლგბტქ მეგობრულ, მათ შორის, გასართობ სივრცეებს მნიშვნელოვანი დატვირთვა შესაძლოა ჰქონდეთ თემის წევრებისთვის. სწორედ ამ მნიშვნელობის გამოსაკვეთად, რესპონდენტებს ეთხოვათ ერთდროულად რამდენიმე პასუხის მონიშვნის საშუალებით, აღენიშნათ ზემოთდასახელებულ სივრცეთა მნიშვნელობა მათ ცხოვრებაში. პასუხების დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №106.

დიაგრამა №106. გასართობი/კლუბური სივრცეებით სარგებლობის მიზეზები.



სათემო ორგანიზაციების ფუნქციონირების ტიპი გულისხმობს ჯგუფის – ერთი ან რამდენიმე მახასიათებლით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობის ინტერესებისთვის მუშაობას, შესაბამისად, იმისათვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ თემის უფლებების დაცვას და მისი წევრების გაძლიერებას, იმპერატიულია ის დაშვება, რომ ორგანიზაციები იყენებენ **მონაწილეობით მეთოდოლოგიებს** შესაბამისი ჯგუფის ჩართულობის უზრუნველსაყოფად მათ ინიციატივებში, განვითარების გეგმებსა და ღონისძიებებში. მონაწილეობა გულისხმობს პროცესებზე „ოუნერშიფის“ გარკვეული ხარისხით ფლობას, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და პროცესის კონტროლის შესაძლებლობას, შესაბამისად, ამგვარი კავშირის არარსებობა ხელს უშლის განვითარებისათვის შემუშავებულ ნებისმიერ პროექტს. მონაწილეობის არარსებობა კარგად ჩანს როგორც თემის საჭიროებების იდენტიფიცირების, პროექტის შექმნისა და მისი მონიტორინგის/შეფასების ეტაპზე, ისე მისი იმპლემენტაციისას.[131] რასაც ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ შემუშავებული მონაწილეობითი ინსტრუმენტები, რაც თემის წევრებს პროცესის პასიურ მონაწილეებად აქცევს.[132]

131 Powell, F.1998. The Non- profit Sector: A Research Handbook. New Haven: Yale University Press

132 White, S. C. 2000. “Depoliticizing Development: the uses and abuses of participation. In Pearce, J. (ed). Development, NGOs and Civil Society. Selected Essays from Development in Practice. A Development in Practice Reader. London: OXFAM GB.

წინამდებარე კვლევაში, ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციათა დემოკრატიული ჩართულობისა და მონაწილეობითი მმართველობის ხარისხის იდენტიფიცირებისათვის, რესპონდენტებს ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რამდენად ასახავენ სათემო ორგანიზაციები მათ საჭიროებებს. რესპონდენტების 27.3% თვლის, რომ სათემო ორგანიზაციები ასახავენ მათ საჭიროებებს, 21.0% თვლის, რომ ვერ ასახავენ, ხოლო 30.7% ნეიტრალურად აფასებს. საყურადღებოა ისიც, რომ შეკითხვაზე 16.9%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა, ხოლო 4.1%-მა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.

რესპონდენტებს ასევე ეთხოვათ შეეფასებინათ, თუ რამდენად აქვთ შესაძლებლობა იქონიონ გავლენა სათემო ორგანიზაციათა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ნიშანდობლივია, რომ **რესპონდენტთა 47.8% ამგვარ შესაძლებლობათა არარსებობაზე მიუთითებს, თუმცა ასევე მაღალია იმ რესპოდენტთა წილი, რომელიც გადაწყვეტილებაზე გავლენის შესაძლებლობების არსებობაზე საუბრობს.** დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №107.

დიაგრამა №107. გავლენის შესაძლებლობა სათემო ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.



მიუხედავად ამგვარი შედეგისა, ხაზგასასმელია, რომ დამატებით შესწავლას საჭიროებს ის ფაქტორები თუ რატომ მიიჩნევენ ჯგუფის წევრები, რომ არ აქვთ გადაწყვეტილებებზე გავლენის შესაძლებლობა, კერძოდ, არიან თუ არა ჩართულები ამ პროცესში, იჩენენ თუ არა ინიციატივას, მოაწილეობენ თუ არა საერთო საკითხებზე დისკუსიებში და სხვა. ამრიგად, კვლევისას ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის სხვადასხვა ხარისხის დეტალური შესწავლა, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას ტოვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართებები არსებობს რესპონდენტებსა და სათემო ორგანიზაციებს შორის. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა ვერ პასუხობს იმას, თუ რა მიზეზებმა განაპირობა გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის შეუძლებლობა და რა კონკრეტულ ფორმებში გამოიხატება ის, ასევე არ არის ნათელი თუ რა იგულისხმება სათემო ორგანიზაციების გადაწყვეტილე-

ბის მიღების პროცესზე გავლენის შესაძლებლობაში და რა კონკრეტულ მეთოდებს მოიცავს. შესაბამისად, ეს საკითხები მეტ ჩაღრმავებასა და დამატებით კვლევას საჭიროებს სათემო ორგანიზაციათა გამჭვირვალობისა და დემოკრატიული ჩართულობის თვალსაზრისით, ამ კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრისა და მონაწილეობითი მეთოდოლოგიების დანერგვისათვის.

თემის საჭიროებების იდენტიფიცირების და სამუშაო დღის წესრიგში მათი პრიორიტიზაციის თვალსაზრისით, რესპონდენტების მხრიდან ასევე შეფასდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული ის მწვავე გამოწვევები, რომელთაც სათემო ორგანიზაციათა სამუშაო ფოკუსი ნაკლებად პასუხობს. რესპონდენტების მიერ, ამგვარ საკითხთა შორის ყველაზე ხშირად დასახელდა **უმუშევრობა და სიღარიბე** (48.7%), **უსახლკარობისგან დაცვა (41.8%) და განათლების ხელმისაწვდომობა** (40.8%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №108.

დიაგრამა №108. რა საჭიროებები გაქვთ, რასაც დღეს სათემო ორგანიზაციების მუშაობა ვერ ფარავს?



მონაცემები მიუთითებს, რომ მიუხედავად სათემო ორგანიზაციების ძალისხმევისა, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისთვის გაწეული შრომა ვერ აგვარებს ლგბტქ პირთა ყოველდღიურ მძიმე რეალობას, რაც ბაზისურ სოციალური საჭიროებებზე ხელმიუწვდომლობით არის გამოწვეული. ამიტომ, სათემო ორგანიზაციათა დღის წესრიგში საჭიროა სოციო-ეკონომიკურ უფლებების ენის შეტანა და სახელმწიფოს მიმართ ადვოკატირების გაძლიერება.

მეორე მხრივ, ლგბტქ თემის სოციო-ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ, შესაძლოა, სადავო იყოს ის კონკრეტული ღონისძიებები და ნაბიჯები, რასაც სათემო ორგანიზაციებს თემის წევრები სთხოვენ. წინამდებარე კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ეთხოვათ პრიორიტეტების მიხედვით დაესახელებინათ ის ძირითადი საკითხები, რაც ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციების მხრიდან ძალისხმევის მიმართვას საჭიროებდა. საინტერესოა, რომ რესპონდენტების მხრიდან ხშირად დასახელ-

და **დასაქმების ხელშეწყობა** (12.5%), თემის წევრების ეკონომიკური გაძლიერება (15.2%), **დასაქმების ხელშეწყობა** (12.5%), ასევე, **საცხოვრებლის უზრუნველყოფა** (12.8%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №109.

დიაგრამა №109. თქვენი აზრით, რა საკითხებზე უნდა მიმართონ ძალისხმევა ლგბტქი+ სათემო ორგანიზაციებმა?



ეს პრიორიტეტები გარკვეულწილად იმეორებს იმ საჭიროებებს, რომლებსაც რესპონდენტთა აზრით, სათემო **ორგანიზაციათა მუშაობა ვერ ფარავს საქართველოში. თუმცა, როგორც აღინიშნა, სადავო შესაძლოა იყოს სათემო ორგანიზაციათა მიერ სოციო-ეკონომიკურ გამოწვევათა და საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობები და „ვალდებულებები“.** ერთი მხრივ, სათემო ორგანიზაცია ადვოკატირების პროცესის წარმასთვასთან, კვლევისა და მონიტორინგის განხორციელებასთან ერთად სერვისის მიმწოდებელიც არის, თუმცა, სერვისები მუდმივად არის დამოკიდებული დონორთა დაფინანსებაზე და მათ, შესაძლოა, არ ჰქონდეთ გრძლვადიანი ეფექტი და სიმყარე. მეორე მხრივ კი, სერვისების საკუთარ ორგანიზაციულ სხეულში მოთავსებით, სათემო ორგანიზაცია და ლგბტქ თემი სახელმწიფოს არაპირდაპირ ათავისუფლებს ამგვარ სერვისებზე პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, სოციალური თუ სხვა ტიპის სერვისების სახელმწიფოს გარეთ, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის რესურსის ქვეშ მოქცევა, ამ სერვისების მდგრადობის და მისი დეპოლიტიზების რისკებს წარმოშობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ლგბტქ ჯგუფის, აქტივისტების და თავად სათემო ორგანიზაციათა პოლიტიკა მიემართებოდეს არა საჭიროებების საპასუხო სერვისების არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ სრულად მოცვას, არამედ მათ არსებობას სახელმწიფოს სერვისების ქვეშ; ეს გზა კი თავისთავად არ გამორიცხავს სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობას და თუნდაც, სათემო ორგანი-

ზაციების მიერ სახელმწიფოს დაფინანსების გზით (მისი გააზრებული პასუხისმგებლობის ქვეშ) ამ სერვისების შეთავსებას.[133]

ამ საკითხებთან არსებით კავშირშია დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერისა და დაფინანსების ძირითადი არეალები და ინტერესები. საქართველოში არსებულ დონორ ორგანიზაციათა დღის წესრიგი მეტწილად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე კონცენტრირდება, განსაკუთრებით, ხილვადია ასეთი მიდგომა ლგბტქ ადამიანთა უფლებებთან, შესაბამისად, ხშირად, შესაძლოა, დაფინანსების მიღმა დარჩეს ის საჭიროებები, რომელიც ლგბტქ თემის წევრებს არა მხოლოდ ჰომოფობიის, არამედ ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალური მდგომარეობის შედეგად აქვთ. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხრიდან ლგბტქ თემის ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინების ხარისხი. ამ მხრივ, რესპონდენტების 25.9% ფიქრობს, რომ საერთაშორისო დონორები და ორგანიზაციები ასახავენ ლგბტქ თემის ადგილობრივ საჭიროებებს, ხოლო 19.7% ფიქრობს, რომ არ ასახავენ. შეკითხვაზე ნეიტრალური პასუხი აირჩია და შესაბამისად, გაუჭირდა რომელიმე პოზიციისკენ გადახრა რესპონდენტების 32.8%-ს, ხოლო, 20.9%-მა მიუთითა, რომ უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ნეიტრალურ პასუხთა დიდი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ლგბტქ თემის წევრები არ არიან სიღრმისეულად ინფორმირებულები იმ პროექტთა ფოკუსის შესახებ, რასაც სათემო ორგანიზაციები დონორების დაფინანსების ქვეშ და მათი მხარდაჭერით ახორციელებენ, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს თემის წევრების სათემო ორგანიზაციათა მუშაობის პროცესში ჩართვის ხელშეწყობის გაძლიერების საჭიროებებს.

4.11. სამოქალაქო აქტივიზმი და სოლიდარობის ჯგუფები

ძირითადი მიგნებები

- **რესპონდენტების დიდ ნაწილს გააზრებული აქვს საქართველოში არსებული ძირითადი სოციალური გამოწვევები, რაც, როგორც ზოგადად მოსახლეობის, ისე მათსავე მოწყვლადობას განაპირობებს და კეთილდღეობის მიღწევის გზებს აბრკოლებს, შესაბამისად, საქართველოში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებად რესპონდენტთა პასუხებში სიღარიბე, უმუშევრობა და ადამიანის უფლებების დარღვევები სჭარბობს.**

133 Nicola Banks, David Hulme, Michael Edwards, NGOs, States, and Donors Revisited: Still Too Close for Comfort? World Development, Volume 66, 2015

- კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის მესამედი (37.2%) მიიჩნევს თავს სამოქალაქო აქტივისტად (58.8% არ მიიჩნევს).
- შეკრებებსა და საჯარო მანიფესტაციებზე მონაწილეობის კუთხით, თითქმის თანაბარია შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეთა (47.8%) და იმ რესპონდენტთა წილი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას მათში (48.8%).
- რესპონდენტების დიდი წილი (62.9%) შეკრებებსა და მანიფესტაციებში ლგბტქ ჯგუფის არაპრივილეგირებულ წევრთა მხარდასაჭერად ერთვება, („რათა მესიჯი გაუგზავნონ, რომ მარტონი არ არიან“), მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნაც - 62.1%.
- საჯარო მანიფესტაციებსა თუ შეკრებებში მონაწილეობაზე უარის მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა იდენტობის შესახებ ღიაობის (ქამინგაუთის) არარსებობა (43.8%); რესპონდენტთა ნაწილმა მიზეზთა შორის ასევე მიუთითა ძალადობის მაღალი რისკი (40%). პასუხებს შორის ასევე გამოიკვეთა ლგბტქ მოძრაობის/ორგანიზაციის სამუშაო მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომები, კერძოდ, რესპონდენტების 37.6%-ს მიაჩნია, რომ აიდაჰოს/პრაიდს თემის ყოფის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალი არ აქვს, გამოკითხულთა 40.3% კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ საჯარო შეკრებები და მანიფესტაციები [ემანსიპატორული] ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს არ წარმოადგენს.
- რესპონდენტების 38.4%-ის აზრით, ხილვადობის პოლიტიკა ლგბტქ თემის სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობას პოზიტიურად ცვლის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შეფასების მაჩვენებელიც თითქმის დადებითი პასუხის თანაბარია - გამოკითხულთა 32.2% მიიჩნევს, რომ ხილვადობის პოლიტიკას ნეგატიური გავლენა აქვს.
- შიდა პრობლემათა საპასუხოდ, რესპონდენტების პასუხებში სჭარბობს თემის გაძლიერებასა და ერთიანობაზე ზრუნვის საჭიროება. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ გარე სამუშაოსთან ერთად, პირველ რიგში, თემის შიგნით გასატარებელი სამუშაოებია გასაწევი, მათი გაძლიერების, მობილიზებისა და ერთიანობის უზრუნველსაყოფად.

„ლგბტ მოძრაობა (ანუ ჰომო/ბი/ტრანსფობიის წინააღმდეგ მოქმედი ორგანიზაციების, არარეგისტრირებული ჯგუფებისა და ინდივიდუალური აქტივისტების ერთობლიობა) საქართველოში 11 წელს ითვლის და მის ცენტრს თავიდანვე არასამ-

თავრობო ორგანიზაციები წარმოადგენდნენ. ისინი ადგენდნენ თემის წევრებთან მეტნაკლებად შეთანხმებულ დღის წესრიგს და იყვნენ და არიან თემის ყველაზე ხილვადი წარმომადგენლები“.[134] არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თემის ხილვადობისა და ლგბტქ ადამიანთა საჭიროებების სახელმწიფო ინსტიტუტების წინაშე ადვოკატირების თვალსაზრისით, თუმცა, მათმა მუშაობამ გარკვეული კრიტიკაც დაიმსახურა, რაც მეტწილად გამოწვეულია მათი დღის წესრიგის ნაწილობრივი აცდენით თემის საჭიროებებთან, კომუნიკაციის ნაკლებობით თემის გარკვეულ სეგმენტებთან და ამ ჯგუფების არათანაბარი რეპრეზენტაციით მოძრაობაში.[135] შესაბამისად, ლგბტქ უფლებების თვალსაზრისით გაწეული სამუშაო კვლავ ეფუძნება დღის წესრიგს, რომელიც ზემოდან ქვემოთ არის მიმართული და სუსტად – ქვემოდან ზემოთ. „ენჯეოიზებულმა“ დღის წესრიგმა ასევე დააბრკოლა ლგბტ/ქვიარ მოძრაობის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების შესაძლებლობებიც, თუმცა წლების განმავლობაში ლგბტქ+ სათემო ორგანიზაციების მიერ შექმნილ ბაზისებზე, ისევე როგორც მათ მიღმა, გაჩნდა სხვადასხვა ტიპის დამოუკიდებელი მოძრაობები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მეთოდოლოგიით, სხვადასხვა იდეოლოგიური პლატფორმითა და ზოგჯერ, განსხვავებული მიზნებისთვისაც კი. ეს მიანიშნებს, რომ ლგბტქ თემი არ არის ჰომოგენური, რაც წარმოშობს კიდეც რადიკალურ განსხვავებებს სხვადასხვა აქტორს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქტივისტური ველი ბევრად პლურალისტურია და წინა წლებში მეტწილად იდენტობის პოლიტიკის თვალით დანახული დღის წესრიგის ერთგვარი რევიზიაც მოხდა, უფრო ინკლუზიური, დემოკრატიული და სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ძლიერი პოლიტიკური დღის წესრიგისა და მოძრაობის პოზიტიური გამოცდილებები არ არსებობს. რესპონდენტების განწყობაც, რომ სიღარიბე და სხვა სოციალური გამოწვევები სათანადოდ არ არის ასახული სათემო ორგანიზაციების დღის წესრიგში, ამით უნდა იყოს განპირობებული.

რესპონდენტების დიდ ნაწილს გააზრებული აქვს საქართველოში არსებული ძირითადი სოციალური გამოწვევები, რაც, როგორც ზოგადად მოსახლეობის, ისე მათსავე მოწყვლადობას განაპირობებს და კეთილდღეობის მიღწევის გზებს აბრკოლებს, შესაბამისად, საქართველოში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებად რესპონდენტთა პასუხებში სიღარიბე, უმუშევრობა და ადამიანის უფლებების დარღვევები სჭარბობს. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №110.

134 გვიანიშვილი ნ. ლგბტ მოძრაობა საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები აქტივისტის პოზიციიდან, EMC, სტატიების კრებული, 2018

135 იქვე.

დიაგრამა №110. ამჟამად, რა გესახებათ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად საქართველოში?



არსებულ პრობლემათა ცვლილების მიზნით, რესპონდენტთა ნაწილი ცდილობს იყოს პოლიტიკური თვალსაზრისით გათვითცნობიერებული და აქტიური, რა მიზნითაც რესპონდენტების ნახევარზე მეტი – 63.2%, იღებს მონაწილეობას არჩევნებში, ხოლო 56.9%-ს მონაწილება აქვს მიღებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამართულ აქტივისტურ შეკრებებში.

საინტერესოა ასევე, რომ **კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის მესამედი (37.2%) მიიჩნევს თავს სამოქალაქო აქტივისტად** (58.8% არ მიიჩნევს, ხოლო 3.4%-მა „არ ვიცი“ პასუხი დააფიქსირა, შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა რესპონდენტების 0.6%-მა). აქტივისტთა სამუშაო არეალის მრავალფეროვნებასა და იდეოლოგიურ განსხვავებებს აჩვენებს, რესპონდენტთა მიერ ღია კითხვის საშუალებით დაზუსტებული აქტივისტური სახელდებების სიმრავლეც. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №111.

დიაგრამა №111. აქტივიზმის სახელდება.



შენიშვნა: კითხვას უპასუხეს მხოლოდ მათ, რომლებიც საკუთარ თავს სამოქალაქო აქტივისტად მიიჩნევენ.

კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა რესპონდენტების მონაწილეობა თემის/სათემო ორგანიზაციების მხრიდან ორგანიზებულ იმ საჯარო მანიფესტაციებსა და შეკრებებში, რომლებიც ლგბტქი+ საკითხებს შეეხებოდა. **როგორც მონაცემები აჩვენებს, თითქმის თანაბარია შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეთა (47.8%) და იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც მონაწილეობას არ იღებს (48.8%).**

სოგი-ზე ფოკუსირებულ საჯარო შეკრებებში მონაწილეობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა შორის 28%-ს რესპონდენტს მიუღია მონაწილეობა 2013 წლის 17 მაისის საჯარო შეკრებაში. ხშირად დასახელდა, 2015 წლის 17 მაისის შეკრება თბილისის „მრგვალ ბაღში“ – 27.3%, აგრეთვე, 2017 წლის 17 მაისის შეკრება თბილისში, მთავრობის კანცელარიასთან – 24.7%. გამოკითხულთა მეხუთედზე მეტი (22.7%) მიუთითებს, რომ მონაწილეობა მიიღო 2019 წელს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ორგანიზებულ „ქვიარ დების“ გარბენში. 2018 წლის შემთხვევაში ეს მაჩვენელი 18.7%-ს გაუტოლდა. ხოლო, 2019 წლის „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებულ კვირეულსა და პარტიზანულ შეკრებაში რესპონდენტების 17.3%-მა მიიღო მონაწილეობა.

კონკრეტული გამოცდილების გარდა, კვლევა შეეცადა ეჩვენებინა საჯარო შეკრებებში რესპონდენტთა მონაწილეობის მოტივაცია, ამ კითხავზე რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხი მოენიშნათ. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების **დიდი წილი (62.9%) მსგავს აქტივობაში ლგბტქ ჯგუფის არაპრივილეგირებულ წევრთა მხარდასაჭერად ერთვება, („რათა მესიჯი გაუგზავნონ, რომ მარტონი არ არიან“), მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნაც – 62.1%.** პასუხების დეტალური განაწილებისთვის იხილეთ დიაგრამა №112.

დიაგრამა №112. რა არის საჯარო შეკრებებში მონაწილეობის მთავარი მოტივაცია?



კვლევამ ასევე მოახდინა იმ ძირითად მიზეზთა იდენტიფიცირება, თუ რატომ არ მონაწილეობენ რესპონდენტები საჯარო მანიფესტაციებსა თუ შეკრებებში. ამ მხრივ, **მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა იდენტობის შესახებ ღიაობის (ქამინგაუთის) არარსებობა (43.8%).** რაც ნიშნავს, რომ რესპონდენტები კავშირს ხედავენ საჯარო შეკრებებში მონაწილეობასა და ქამინგაუთის ფაქტს შორის. შესაბამისად, სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, თემის წევრმა ვერ მიიღოს მონაწილეობა შეკრებაში. ეს ასევე ნიშნავს, რომ „თემის რეპრეზენტაცია მინდობილია „ღია“ აქტივისტების შეზღუდული წრისთვის, რაც განაპირობებს თემისთვის რეპრეზენტაციაზე კონტროლის არასაკმარისი მექანიზმების ქონას.[136] თუმცა, მოძრაობაში შემავალი ჯგუფების და ადამიანების მრავალფეროვნება ამ ტენდენციას თანდათანობით ცვლის. რესპონდენტთა ნაწილმა მიზეზთა შორის ასევე მიუთითა ძალადობის მაღალი რისკი (40%). პასუხებს შორის ასევე გამოიკვეთა ლგბტქ მოძრაობის/ორგანიზაციის სამუშაო მეთოდოლოგიასა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომები, კერძოდ, **რესპონდენტების 37.6%-ს მიაჩნია, რომ აიდაჰოს/პრაიდს თემის ყოფის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი პოტენციალი არ აქვს, გამოკითხულთა 40.3% კი მიიჩნევს, რომ მხოლოდ საჯარო შეკრებები და მანიფესტაციები [ემანსიპატორული] ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს არ წარმოადგენს.**

შეკრებისა და ზოგადად, საჯარო აქტივობების შეფასებასთან ასევე არის კავშირში, ლგბტქ მოძრაობის მხრიდან ხილვადობის პოლიტიკაზე ჭარბი ფოკუსირების პრაქტიკაც, რომელიც შეფასების შესაძლებლობა ასევე მიეცათ რესპონდენტებს. **რესპონდენტების 38.4%-ის აზრით, ხილვადობის პოლიტიკა ლგბტქ თემის სოციალურ და უფ-**

136 იქვე.

ლებრივ მდგომარეობას პოზიტიურად ცვლის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შეფასების მაჩვენებელიც თითქმის დადებითი პასუხის თანაბარია – გამოკითხულთა 32.2% მიიჩნევს, რომ ხილვადობის პოლიტიკას ნეგატიური გავლენა აქვს. რესპონდენტების მეხუთედზე მეტის (21.3%) შეფასებით, ხილვადობის პოლიტიკას არ აქვს გავლენა თემის სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობაზე, ანუ ვერ ცვლის ლგბტქ ადამიანთა მდგომარეობას. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №113.

დიაგრამა №113. ხილვადობის პოლიტიკის გავლენა თემის სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობაზე.



ისტორიულად, ლგბტქ მოძრაობისთვის დამახასიათებელია, რომ ის ხშირად იყო გამოყოფილი სხვა ტიპის სოციალური თუ სამოქალაქო მოძრაობებიდან. რაც ერთი მხრივ, განპირობებული იყო მათ მიმართ მხარდაჭერის ნაკლებობით, მეორე მხრივ, კი მათი ვიწრო ფოკუსით, რომელიც გულისხმობდა მოძრაობის დღის წესრიგის მიმართვას მხოლოდ იდენტობიდან ამოსულ საჭიროებებზე. მხარდაჭერის ნაკლებობა კი ქმნიდა და ქმნის ამ საჭიროებათა საყოველთაოობის გააზრების ნაკლებობას, როგორც ლგბტქ მოძრაობის, ისე თემის ირგვლივ გაერთიანებული სხვა აქტივისტური ჯგუფების მხრიდან. მხარდაჭერის ნაკლებობის კიდევ ერთი მახასიათებელი კი წმინდად პოლიტიკურია, სხვა მოძრაობის წევრებს არ სურდათ და დღესაც არ სურთ ასოცირდნენ იმ ჯგუფთან, რომელთა წინააღმდეგ ერთდროულად არსებობს სამოქალაქო და რელიგიური დაპირისპირება, იმ მიზეზით, რომ ეს მათ სამუშაოს ნაკლებად ეფექტურს გახდის და მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლის. "ლგბტ თემის ნებისმიერი გამოჩენა საჯარო სივრცეში ლგბტ პროპაგანდად აღიქმება".[137] არა მხოლოდ საზოგადოებისა და კლერიკალური ჯგუფებისთვის, არამედ სხვა აქტივისტური მოძრაობებისთვისაც. შესაბამისად, წლების განმავლობაში, ლგბტქ მოძრაობა საკუთარი მიზნების მიღწევას სხვა ჯგუფების აშკარა და ექსპლიციტური მხარდაჭერის მიღმა ახორციელებდნენ.

ის აქტივისტური ჯგუფები, რომელთა მხრიდანაც მხარდაჭერა გაძლიერდა ლგბტქ ჯგუფების მიმართ ძირითადად ფემინისტურ ერთობებს წარმოადგენენ. წინამდება-

137 აღდგომელაშვილი ე. „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე", WISG, 2016

რე კვლევის ფარგლებში, რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი მიიჩნევს ლგბტქ თემისთვის პოტენციურ მხარდამჭერებად **ქალთა მოძრაობას** (44.1%), **ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფსა** (43.8%) და **საქართველოს ახალგაზრდა მწვანეებს** (41.3%). ლგბტქ თემისთვის პოტენციურ მხარდამჭერებად უფრო ნაკლებად არის მიჩნეული ისეთი აქტივისტური გაერთიანებები, როგორიცაა **აუდიტორია 115** (30.0%) და **პარტიზანი მებაღეები** (21.9%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №114.

დიაგრამა №114. ლგბტქ ჯგუფის პოტენციური მხარდამჭერი აქტივისტური ჯგუფები.



მნიშვნელოვანია, რომ არსებითად მაღალია იმ რესპონდენტების წილი, რომელთაც არ აქვთ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ჯგუფებსა თუ მათ დღის წესრიგზე („არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“), რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ მათი საქმიანობა ვერ წვდება ძირითად მოსახლეობას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ ჯგუფთა ნაწილი დღეს მოძრაობის/გაერთიანების სახით აღარ არსებობს (მაგ. აუდიტორია 115, თეთრი ხმაურის მოძრაობა). საინტერესოა ისიც, რომ მათგან, **ვინც აღნიშნეს, რომ არ იცნობენ კონკრეტულ აქტივისტურ ჯგუფებს, 32%-ს რეგიონებში მცხოვრები ლგბტქ ჯგუფის წევრები არიან,** რაც შესაძლოა მიუთითებს იმაზე, რომ ამ მოძრაობებს არ აქვთ მაღალი ცნობადობა თბილისს გარეთ.

გარდა მხარდაჭერისა, რომელიც, შესაძლოა, გულისხმობდეს ფორმალურ ან პასიურ მხარდაჭერას, რაც მაგალითად, საჯარო შეკრებასა თუ მანიფესტაციაზე შეერთებას გულისხმობს, მნიშვნელოვანია აქტიური მხარდაჭერაც, რომელიც აქტივისტურ ერთობათა დღის წესრიგში ლგბტქ საკითხების დამკვიდრებას გულისხმობს, დღეს საქართველოში ფემინისტური მოძრაობები სხვადასხვა ფორმით ცდილობენ მოიცვან ლგბტქ პირთა საჭიროებები, თუმცა რამდენად შესაბამისობაშია მათი მცდელობები თემის

საჭიროებებთან, ამაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. საინტერესოა, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი – 58.1% ფიქრობს, რომ საქართველოში არსებული ფემინისტური მოძრაობები ასახავენ ლგბტქ ადამიანთა საჭიროებებს (48.1% – ნაწილობრივ ასახავენ, 10.0% – ასახავენ), ხოლო 24.7% მიაჩნია, რომ არ ასახავენ. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №115.

დიაგრამა №115. ასახავენ თუ არა ფემინისტური ჯგუფები ლგბტქ ჯგუფთა საჭიროებებს.

დებულებას, რომ ლგბტქ აქტივიზმი უნდა იყოს გამიჯნული NGO აქტივიზმისგან, ეთანხმება გამოკითხული რესპონდენტების 44.0% (მათგან, 17.2% – სრულად ეთანხმება, ხოლო 26.8% – ნაწილობრივ ეთანხმება), რაც შეეხება აქტივიზმის პარტიული პოლიტიკისგან გამიჯვნის საჭიროებას, მას რესპონდენტთა 63.4% ეთანხმება. იხილეთ დიაგრამა №116.

დიაგრამა №116. ლგბტქ აქტივიზმი გამიჯნული უნდა იყოს თუ არა პოლიტიკისგან და NGO აქტივიზმისგან.



ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რესპონდენტების მიერ ლგბტქ აქტივიზმის შიდა გამოწვევების შეფასება. რესპონდენტების 47.5%-მა ჯგუფების შიგნით არსებულ იერარქიულ მდგომარეობაზე მიუთითა. 38.1%-ის აზრით, სათემო აქტივიზმის მთავარი გამოწვევა ჯგუფს შიგნით არსებული სოლიდარობის ნაკლებობაა და ასევე, იგივე რაოდენობა ფიქრობს, რომ დღეს, თემში ერთიანობის ნაკლებობა ლგბტქ აქტივიზმის მთავარი გამოწვევაა. გამოკითხულთა 35.2% კი ფიქრობს, რომ დღეს, ლგბტქ სათემო აქტივიზმის მთავარი გამოწვევა ხილვადობის პოლიტიკაზე ფოკუსირებაა, ხოლო 32.3% მის ენჯეოიზებული ხასიათის პრობლემაზე უთითებს. დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №117.

დიაგრამა №117. ლგბტქ სათემო აქტივიზმის მთავარი გამოწვევები.



გარდა საზოგადოების მხრიდან მომდინარე ჰომო/ბი/ტრანსფობიისა, თავად თემი ასევე არ არის თავისუფალი საზოგადოებაში გავრცელებული წინასწარგანწყობებისა და სტიგმისგან, დაბალი მგრძნობელობისგან სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ადამიანების საჭიროებებისა და მდგომარეობის მიმართ, რაც ცალკეულ შემთხვევებში ჯგუფებს შორის სოლიდარობის ნაკლებობას იწვევს. როგორც წინამდებარე გამოკითხვა აჩვენებს, რესპონდენტთა აზრით, თავად თემის შიგნით ყველაზე გავრცელებულია **სექს-სამუშაოს მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია (76.1%), ასევე, ტრანსფობია (66.1%) და სტიგმა ტრანსი ქალის მიმართ (62%).** ასევე, მაღალია სტიგმა და დისკრიმინაცია „ფემინური“ გეი კაცის მიმართ (53.8%). ამავდროულად, ყველაზე **იშვიათად** დასახელდა შემდეგი პრობლემები: მასკულინური „გეი“ კაცის მიმართ სტიგმა (45.0% – იშვიათად) და ფემინური ლესბოსელი ქალის მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია (41.0%). დეტალური განაწილება იხილეთ დიაგრამაზე №118.

დიაგრამაზე №118. თქვენი აზრით, რამდენად ხშირია/გავრცელებულია ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები ლგბტქ თემში?


ტრანსფობია
66.1%
17.5%
7.9%
4.1%
4.4%
ტრანსი ქალის მიმართ სტიგმა
62%
20.1%
10.3%
3.4%
4.1%
ტრანსი კაცის მიმართ სტიგმა
45.1%
21.6%
18.8%
6%
8.5%
გენდერულად არაბინარული/გენდერფლუიფი პირის მიმართ სტიგმა
36%
17.2%
17.3%
6.3%
23.2%
ბიფობია
39.8%
27%
21%
7.8%
4.4%
ბისექსუალი კაცის მიმართ სტიგმა
31.6%
30.7%
19.1%
9.7%
7.8%
ბისექსუალი ქალის მიმართ სტიგმა
31.3%
25.7%
28.2%
8.8%
6%
ლესბოფობია
17.5%
24.1%
39.8%
14.7%
3.8%
„ფემინური“ ლესბოსელი ქალის მიმართ სტიგმა
20.1%
17.9%
41%
15.4%
5.6%
„ფემინური“ გეი კაცის მიმართ სტიგმა
53.8%
20.4%
14.2%
7.2%
4.4%
„მასკულინური" ლესბოსელი ქალის მიმართ სტიგმა
31.8%
29.9%
21.3%
11%
6%
„მასკულინური“ გეი კაცის მიმართ სტიგმა
10.3%
14.9%
45%
24.9%
4.9%
სექს-სამუშაოს მიმართ სტიგმა და დისკრიმინაცია
76.1%
9.7%
3.7%
7.5%
2.8%
0%
20%
40%
60%
80%
100%
ხშირია
ზოგჯერ
ზოგჯერ
ზოგჯერ

დიაგრამა №119. ლგბტქ აქტივიზმის სამი მთავარი მიზანი.



როგორც ზემოაღნიშნული მონაცემები აჩვენებს, ლგბტქ თემი არაჰომოგენურ ჯგუფს წარმოადგენს, შესაბამისად, განსხვავებულია მათი მიდგომები ჰომო/ტრანს-ფობიასთან ბრძოლასთან. აღსანიშნავია, რომ თემის წევრები ასევე მნიშვნელოვ-ნად მიიჩნევენ თემის შიგნით გაძლიერების აუცილებლობას, მათი გაძლიერებისა თუ ერთიანობის ხელშეწყობის გზით, თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვანია თუ რას მოიცავს „ერთიანობა“ და რა საკითხების ირგვლივ არსებული მუშაობა შექმნის უსაფრთხო და საერთო წუხილებით გაერთიანებულ ჯგუფს, რომელსაც ექნება რესურსი მობი-ლიზდეს და მყარი აქტივისტური ერთობა შექმნას.

5. დასკვნა

წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანი იყო სოციალური მოწყვლადობის განმსაზღვრელებისა და სოციალური ექსკლუზიის სიმპტომების კვლევა, რაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური უთანასწორობის ასპექტების ურთიერთქმედების იდენტიფიცირებით იქნა მიღწეული. ის დაეფუძნა ლგბტქ თემის სოციალური და ეკონომიკური გამორიცხვის მახასიათებლებს და მათი პოლიტიკური მონაწილეობის, აგენტობისა და ინკლუზიური ჩართულობის იდენტიფიცირებას, ისევე როგორც აქტივიზმში ჩართულობისა და საკუთარი დღის წესრიგის განსაზღვრის შესაძლებობებს.

სოციალური ექსკლუზიის ჩარჩოს გაფართოების გზით კვლევა შეეცადა ეჩვენებინა მისი მრავალმხრივი ასპექტები, კერძოდ, ეკონომიკურ მოწყვლადობასთან ერთად წარმოეჩინა ექსკლუზიის ისეთი ფორმები, რომლებიც ცხოვრებისიული შანსების გაუარესებასა და კულტურულ არაღიარებაში ვლინდება და მოიცავს აგენტობის დაკარგვასა და თანასწორი მოქალაქეობის იდეიდან განდევნას. კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ ადამიანები განიცდიან როგორც საერთო სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების ნეგატიურ გავლენას, ასევე სტიგმას, დისკრიმინაციასა და იდენტობასთან დაკავშირებულ სხვა სოციალურ სირთულეებს, რაც მათ სოციალურად კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის.

დღეს სახელმწიფოს პოლიტიკა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის თვალსაზრისით მხოლოდ საპოლიციო მიდგომაზე დგას და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა პრევენცია მთლიანად არის ორიენტირებული სადამსჯელო პრაქტიკაზე, რომელიც ფოკუსირდება მხოლოდ კონკრეტული დანაშაულებრივი დევიანტობის განრიდებით საზოგადოებისგან, რომელიც შესაძლოა ინდივიდუალურად პრობლემას იმწუთიერად ჭრიდეს, მაგრამ ვერ აგვარებს ჰომოფობიის არსებობასა და ჩაგვრას, როგორც სტრუქტურულ წესრიგს. აღნიშნული საპოლიციო ხედვა, სხვა მიზეზებთან ერთად, იმით არის გამოწვეული, რომ ის მხოლოდ დანაშაულისა და სასჯელის ენაში დაინახება და ვერ ხდება, მისი სოციალური შედეგებისა და გავლენების სიღრმისეული გააზრება.

როგორც კვლევის დასაწყისში აღინიშნა, სოციალური ექსკლუზია კავშირშია არამხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობასთან, არამედ სიმბოლურ ექსკლუზიასთან, სოციალურ დეპრივაციასა და არასრულყოფილ მონაწილეობასთან სოციალურ ინსტიტუციებში. ის ხაზს უსვამს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ხარისხის შემცირების პრობლემას და თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობისა და აგენტობის ნაკლებობას. სოციალური ექსკლუზიის ჩარჩოს შეუძლია, დაგვეხმაროს რომ სოციალური დაცვა ადამიანთა კეთილდღეობაზე ზეგავლენის მქონე სპეციფიკურ ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ კონტექსტში ჩავსვათ და დავინახოთ თუ როგორ მიემართება პოლიტიკები და პროგრამები დეპრივაციის სხვადასხვა განზომილებასა და მათ გამომწვევ მიზეზებს.

დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკური ჰომოფობია და ლგბტქ ადამიანთა არაღიარების პოლიტიკა არსებითად ართულებს მათი სოციალური და ეკონომიკური წუხილების, საჭიროებებისა და უფლებების დღის წესრიგში დაყენებას. არსებულ სახელმწიფოებრივ დღის წესრიგში კვლავ თვალსაჩინოა კანონმდებლობასა და რეალურ პოლიტიკას შორის აცდენა, რაც ეჭვქვეშ აყენებს საკანონმდებლო ჩარჩოს ეფექტურობას და მის მიზნებს. სახელმწიფოს მხრიდან მიღებული რიგი ინსტიტუციური ცვლილების მიუხედავად, საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა არსებითად დაბალია. დაბალ ნიშნულზეა ასევე სამართალდამცავი სისტემის მიმართ არსებული ნდობის ხარისხიც, რაც იმის მანიშნებელიცაა, რომ სისტემაში განხორციელებული რეფორმები არ ეფუძნება ზრუნვის, მხარდაჭერის და ადამიანის უფლებათა მიდგომებს, რასაც ამძაფრებს გამართული სოციალური სერვისებისა და მულტისექტორული მიდგომის არარსებობა. შესაბამისად, ვერ უმჯობესდება ლგბტქ ადამიანთა ცხოვრების ხარისხიც.

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით ნათელად ჩანს, რომ ლგბტქ ადამიანების მიმართ ჩაგვრის სხვადასხვა ფორმებს შორის ღრმა კავშირი არსებობს. ამ პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს ლგბტქ ადამიანების სხვების თანასწორად აღიარებას, თანასწორი მოქალაქეობის მინიჭებას, დამოუკიდებლად არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებებზე ფოკუსირებას და ეფექტური ზომების მიღებას ჩაგვრის დასაძლევად.

კვლევამ ცხადყო, რომ სოციალური ექსკლუზიის სიმპტომებსა და შედეგებთან ყოვლისმომცველი და კომპლექსური პოლიტიკების გზით შეპირისპირება წარმოადგენს ექსკლუზიის პრაქტიკასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ მეთოდს, რომელიც გაითვალისწინებს პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. კვლევაში იდენტიფიცირებული პრობლემები საშუალებას იძლევა შემუშავდეს და დაისახოს კონკრეტული გზები სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში, რაც მთლიანობაში მოემსახურება არა მხოლოდ ლგბტქ ადამიანთა წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გამოსწორებას, არამედ საზოგადოების იმ წევრებისაც, რომელთა კეთილდღეობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს დაბალი წვდომა სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე და სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებების მნიშვნელობის გააზრების ნაკლებობა და ხშირად არარსებობა.

კვლევის მიგნებების ოპერაციონალიზება ხელს შეუწყობს სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული დღის წესრიგის შექმნას სახელმწიფოში, რომელიც ლგბტქ ადამიანთა უფლებების აღიარებასა და მათი სოციალური ექსკლუზიის პრევენციასა და აღმოფხვრას დაისახავს მიზნად, მეტად დემოკრატიული, საჭიროებებზე ორიენტირებული და მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების გზით. ის ასევე შეუწყობს ხელს ორგანიზაციათა, აქტივისტთა და სათემო დონეზე არსებულ ხარვეზთა იდენტიფიცირებას და მათ გადასაჭრელად გადასადგმელ ეფექტურ გზათა დასახვას, მეტად პლურალისტური, სოციალურ გამოწვევებზე ორიენტირებული, დეცენტრალიზებული და ინკლუზიური დღის წესრიგის შესაქმნელად საქართველოში.

EMC